

**ნატო წულეისკირი, ირინე ჩაჩანიძე,  
თამარ გუჩუა, იმერი ბასილაძე,  
მარიამ მარჯანიშვილი**

**იმერეთის  
სოციალიზმისტური სურათი  
XIX საუკუნის 80-90-იანი და  
XX საუკუნის 10-20-იანი  
წლების ქუთაისის პრესაში**



**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**Akaki Tsereteli State University**



**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი**  
**Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia**

**Nato Tsuleiskiri, Irine Chachanidze, Tamar Guchua,  
Imeri Basiladze, Mariam Marjanishvili**

**Sociolinguistic Picture of Imereti According to Kutaisi Press of 80-90s  
of XIX Century and 10-20s of XX Century**

**Kutaisi  
2020**

ნატო წულეისკირი, ირინე ჩაჩანიძე, თამარ გუჩუა,  
იმერი ბასილაძე, მარიამ მარჯანიშვილი

იმერეთის სოციოლინგვისტური სურათი XIX საუკუნის 80-90-  
იანი და XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქუთაისის პრესაში

ქუთაისი  
2020

წინამდებარე მონოგრაფია XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში იმერეთის რეგიონის სოციოლინგვისტური სურათის ჩვენების მცდელობაა. ავტორები, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, მოგვითხრობენ საანალიზო პერიოდის იმერეთში ენობრივი სიტუაციის (ირინე ჩაჩანიძე, ნატო წულუისკირი, თამარ გუჩუა), საგანმანათლებლო პოლიტიკის (იმერი ბასილაძე) და ქალთა განათლების საკითხების (მარიამ მარჯანიშვილი) ძირითად ტენდენციებზე. მონოგრაფიას თან ახლავს საილუსტრაციო მასალა, რომელიც საკვანძო საკითხების გარშემო, ქრონოლოგიის დაცვით, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში დადასტურებული შემთხვევების პირდაპირ ციტირებას წარმოადგენს.

წიგნი განკუთვნილია ლინგვისტებისთვის, ისტორიკოსებისთვის, პედაგოგიკის დარგის სპეციალისტებისთვის, ჟურნალისტებისა თუ პრესის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულთათვის.

რეცენზენტები:

**რუსუდან ზექალაშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
**კახა გაბუნია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (FR17\_178). მასში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (FR17\_178). All the ideas expressed herewith are those of the authors, and may not represent the opinion of the Foundation itself.

წიგნი იბეჭდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარედაქციო-სამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

ISBN 978-9941-448-98-0

© ნ. წულუისკირი, ი. ჩაჩანიძე, თ. გუჩუა, ი. ბასილაძე, მ. მარჯანიშვილი / ი. ჩაჩანიძის რედაქციით.

© ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020.  
არაკომერციული გამოცემა.

## შინაარსი

XIX საუკუნის 80-90-იანი წლების პრესის სოციოლინგვისტური ანალიზი _____	6
სკოლებში ქართული ენის სტატუსის შესახებ (მე-20 საუკუნის დასაწყისის იმერეთის პრესის მიხედვით) _____	18
განათლებისა და ქართული ენის საკითხები XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქუთაისის პრესაში _____	40
განათლება და პედაგოგიური აზროვნება მე-20 საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში _____	48
გენდერული თანასწორობის პრობლემა XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქუთაისის პრესაში: ე.წ. „ქალთა საშინაო სკოლები“ _____	62
ქალთა განათლების საკითხი XX საუკუნის 10-20-იანი წლების პრესაში _____	71
საილუსტრაციო მასალა _____	89

## XIX საუკუნის 80-90-იანი წლების პრესის სოციოლინგვისტური ანალიზი

ენობრივი პოლიტიკა თითოეული ქვეყნის ზოგადი პოლიტიკის უშუალო შემადგენელი ნაწილი გახდა. იმისათვის, რომ მართებულად განისაზღვროს ენობრივი პოლიტიკის მიმართულებები მოცემული ქვეყნისათვის, მისი ენობრივი სიტუაციის ადეკვატური შესწავლაა აუცილებელი. ენობრივი პოლიტიკის მეშვეობით შეიძლება იმართოს ისეთი ნეგატიური მოვლენებიც, როგორებიცაა ეთნოკონფლიქტთა გაღვივება, ენათა დაყოფა „პრესტიჟულ“ და „არაპრესტიჟულ“ ენებად, სახელმწიფო მთლიანობის დაშლის პოლიტიკური პროცესები, საზოგადოების შიდა სოციალური დაყოფა და ა.შ.

ენობრივი პოლიტიკის ცნება ორგანულადაა დაკავშირებული ენობრივ დაგეგმვასთან, რომელიც ორი მიმართულებით ხორციელდება: ა) სახელმწიფო გეგმავს სახელმწიფო ენის განვითარების კურსს, მასთან ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებული სხვა ენების დამოკიდებულების საკითხს, ენათა ფუნქციონირების არეებს და ბ) გარეგანი ფაქტორების სხვადასხვა ზემოქმედებით იცვლება ენობრივი სიტუაცია სახელმწიფოში და ენობრივი დაგეგმვა სხვა მიმართულებას იღებს, მეტწილად, გარედან მართული ხდება (პრისტლი 1999; ჰოდსონი 1994).

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში იმერეთის პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ქართული ენის ფუნქციონირების საკითხებზე.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ 1801 წლიდან ქართული ენის ბედი მეფის რუსეთის ენობრივი პოლიტიკის ხელში ჩააგდო. შედეგმაც არ დააყოვნა: რუსეთის ხელისუფლება აუქმებს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას, სკოლებში სწავლება რუსულ ენაზეა, ღვივდება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა ეთნიკური და ეროვნული კონფლიქტები და ა. შ. 1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი აქვეყნებს ცირკულარს, რომლითაც

ყველა ტიპის სკოლაში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება, ხოლო დედაენა არასავალდებულოდ გამოცხადდა. 1885 წელს გამოქვეყნებული მეორე ცირკულარით, ქართული ენა სრულიად განიდევენა სკოლიდან (თავზიშვილი 1948), სასულიერო სემინარიაში აიკრძალა ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება, ეგზარქოსის განკარგულებით, სასულიერო სასწავლებლებიდან დაითხოვეს ეროვნებით ქართველი მასწავლებლები. XX საუკუნის დასაწყისისათვის სახალხო სკოლებიდან ქართული ენის განდევნა ცარიზმს დამთავრებული ჰქონდა.

ამ ანტიეროვნული პოლიტიკის პარალელურად, ქართველმა ინტელიგენციამ, დიდი თავგანწირვის ფასად, დაიწყო რიგ ღონისძიებათა გატარება. კერძოდ, შეიქმნა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (1879 წ.), რომლის ინიციატივითაც კავკასიაში ყველგან, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, გაიხსნა არასახელმწიფო სკოლები, ჩამოყალიბდა ქართული დრამატული საზოგადოება (1880 წ.), დაარსდა არაერთი ჟურნალ-გაზეთი. ასეულობით პერიოდული გამოცემა აშუქებდა რუსეთის ასიმილაციურ ენობრივ თუ ეთნიკურ პოლიტიკას და ეროვნულ მობილიზაციაზე ზრუნავდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო „ენობრივი დაგეგმვის“ ყველაზე პროდუქტიული ეტაპი („დაგეგმვის“ საფეხურებსა და თვისობრივ ეტაპებზე იხ. Fishman J. A. The Earliest Stage of Language Planning, Edited by Joshua A. Fishman, Mouton de Gruyter, Berlin-New York, 1993).

ამ პერიოდის იმერეთის, კერძოდ ქუთაისის, კულტურული ცხოვრებისთვის ნიშანდობლივი იყო საგამომცემლო საქმიანობის გაფართოვება, რაც, თავის მხრივ, განაპირობა ცარიზმის ამ რეგიონისადმი, როგორც გამორჩეულად ქართულისადმი, მკვეთრად გამოხატულმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ: *„შემდეგ თბილისისა მწიგნობრობის, პერიოდულ გამოცემის გავრცელების საქმე სწრაფის ნაბიჯით ვითარდება იმერეთის დედაქალაქ ქუთაისში“* (ი. კვიციანიძე, ჟურნალი „განთიადი, 1915, 6).

შთამბეჭდავია პერიოდულ გამოცემათა სია, რომლებიც XIX საუ-



კუნის 80-90-იანი და XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქუთაისში გამოდიოდა. არასრული ჩამონათვალი ასეთია: „შინაური საქმეები“ (1908-1915 წწ.), „კოლხიდა“ (1911-1913 წწ.), „იმერეთი“ (1912-1915 წწ.), „შრომა“ (1908 წ.), „აკაკის თვითური კრებული“ (1897-1900), „ერი“ (1913-1914 წწ.), „სამშობლო“ (1915-1917 წწ.), „მწყემსი“ (1883-1910 წწ.), „ცხოვრება და მეცნიერება“ (1914 წ.), „ფონი“ (1909-1910 წწ.), „ხმა ქართველი ქალისა“ (1917-1918 წწ.), „განთიადი“ (1913-1915 წწ.), „ცისფერი ყანწები“ (1916 წ.) და ა.შ. მიუხედავად გამოცემის ხასიათისა, დიდი ყურადღება ეთმობოდა მშობლიური ენის, განათლებისა თუ რელიგიის საკითხებს, მასალა მოიცავდა არა მხოლოდ ქუთაისს, არამედ, მთელ იმერეთის რეგიონს.

განათლების სისტემაში რუსული ენა გააბატონეს. კავკასიის ოლქის მზრუნველი იანოვსკი 1881 წელს ახალ სასწავლო გეგმაში აქვეყნებს ცირკულარს, რომლითაც ყველა ტიპის სკოლაში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოდებულიყო რუსული ენის სწავლება. დედაენის სწავლება ქართულ სკოლებში არასავალდებულოდ გამოცხადდა. ამის შესაბამისად, ქართულს, როგორც არასავალდებულო საგანს, სკოლაში პირველ და ნაწილობრივ მეორე კლასებში ეთმობოდა უმნიშვნელო რაოდენობის საათები და ისიც მხოლოდ ყველა გაკვეთილის ბოლოს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1885 წელს იანოვსკიმ მეორე ცირკულარით ქართული ენა სავსებით განდევნა სკოლიდან და სწავლების პროცესში დაამკვიდრა ე. წ. „მუნჯური მეთოდი“ (გ. თავზიშვილი 1948).

„მუნჯური მეთოდით“ სკოლებიდან განიდევნენ ქართველი მასწავლებლები. მაგალითად, ქუთაისის გიმნაზიაში 29 მასწავლებლიდან 4 იყო ქართველი, ბათუმის გიმნაზიაში — 19-დან 3, ქუთაისის რეალურ სასწავლებელში — 12-დან 4 და ა. შ.

დისკუსიამ, რომელიც სასწავლო რეფორმასთან და ქართულის სწავლების აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული, მასშტაბური ხასიათი მიიღო და საქართველოში ენობრივი სიტუაციისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა საკითხი მოიცვა. ქუთაისის გამო-

ცემები: „იმერეთი“, „შინაური საქმეები“, „კოლხიდა“, „მწყემსი“ და სხვ. სისტემატურად აქვეყნებდნენ ამ საკითხებისადმი მიძღვნილ საპოლემიკო თუ ინფორმაციული ხასიათის წერილებს. ერთ-ერთი ასეთი საკითხი გახლდათ 1902 წელს, სინოდის მიერ საქართველოს საეგზარქოსოს სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის დამტკიცებული ე. წ. „მუნჯური მეთოდი“, რომელიც ფაქტობრივად, ქართული ენის განდევნას გულისხმობდა. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, გაზეთ „შინაური საქმეების“ ფურცლებზე ვკითხულობთ:

*„ქუთაისის გუბერნიის სახალხო დირექტორმა ლევიცკიმ „კურსი“ ე.წ. მუნჯურ მეთოდზე აგებული და რუსიფიკაციის იდეით გატაცებულმა, ქართველ მოზარდ ემაწვილობას ტვინი გამოულაყა. დაბრმავებულნი რუსიფიკატორნი ვერ ამჩნევენ, რომ ცრუ და მავნე აზრებით იყვნენ გატაცებულნი, რომ ისინი მიზანს თავის დღეში ვერ მიაღწევდენ, რადგან ქართველების გარუსება ყოვლად წარმოუდგენელი აზრია საქართველოში და მაშასადამე, მთელი იმათი „ღვაწლი“ და ჭაპან-წყვეტა მხოლოდ წყლის ნაყვას და მეტი არაფერი“ („შინაური საქმეები“, 1912, #13).*

სკოლებიდან ქართული ენის განდევნის შემდეგ შეეცადნენ სამეგრელოს, სვანეთისა და აჭარის სკოლებში ქართულის ნაცვლად სწავლება მეგრულად, სვანურად და თურქულად შემოეღოთ და მათ საფუძველზე რუსული ესწავლებინათ. განსაკუთრებული სიმძაფრით ქართული ენის დევნა სამეგრელოში გამოვლინდა. ხელისუფლება შეეცადა კუთხური სეპარატიზმის პოლიტიკა კონკრეტული დასაბუთებებით შეენიღბა. მისი იდეოლოგები ამტკიცებდნენ, რომ თითქოს: *„მეგრელმა ბავშვებმა არ იცოდნენ ქართული ენა და რომ მეგრულ ენას უნდა გაეწია მათთვის რუსული ენის სწავლებაში დაბმარე როლი“ („მწყემსი“, 1892, #11).*

ქართულ ენასთან ბრძოლა ანბანის საკითხებსაც შეეხო. მაგალითად, სემინარიაში დაამახინჯეს წესდება, რათა ქართველ ბავშვებს ქართულად სწავლის საშუალება არ მისცემოდათ. მასწავლებელ ნათიევს შემოუღია ქართული სიტყვების რუსული ასოებით წერა.

1888-1889 წწ. პრაქტიკულად გადადგეს ნაბიჯები მეგრულ-სვანური „უმწერლობო ენებისთვის“ ანბანის შემუშავებისა და ამავე ენებზე დაწყებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელოს შედგენა-გამოცემისათვის.

1885 წელს გამოიცა ბრძანება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. ამიერიდან აქ რუსულის სწავლება „მუნჯური მეთოდით“ თუ არა, მეგრული ენის მეშვეობით უნდა წარმართულიყო. მეგრულისთვისაც რუსულ ენაზე დამყარებული დამწერლობა იქმნებოდა, დაიწყეს საღვთო წიგნების მეგრულად თარგმნა (ტაბიძე 2005). რუსული ენის სწავლება მშობლიური ენის ხარჯზე ენობრივი პოლიტიკის მთავარი გამოხატულება გახდა: *„უწმინდესმა სინოდმა რუსული ენის გაკვეთილების მიცემის შესახებ დაადგინა, რომ ათი გაკვეთილი რუსული ენისა უნდა მისცეს სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში ერთმა მასწავლებელმა და ცხრა გაკვეთილი დანარჩენ სამ კლასში მეორე მასწავლებელმა. საზოგადოდ გვეგონა, რომ რუსი მასწავლებლების ხელში წინ წაიწევდა რუსული ენის ცოდნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი არაფერი შესამჩნევი ნაყოფი ჩანს“* („მწყემსი“, 1886, #19)

კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელ მმართველთან, იანოვსკისთან, წარადგინეს მეგრული შრიფტის შემქმნელი თადეოზ აშორდია, რომელმაც რუსულ ასოებს გარკვეული დეტალები, კუდეები შემატა და ამის საფუძველზე შექმნა თითქოსდა მეგრულის შესაბამისი დამწერლობა.

რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება ქართველებში ეროვნული ღირსების გრძნობის დაკნინება გახდა. ამისთვის აყალბებდნენ ისტორიულ წარსულს, შეურაცხყოფდნენ ქართველ მეფეებსა და ეროვნულ დროშას, აკნინებდნენ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს; ეგზარქოსმა პავლემ ქართული ეკლესიის გარუსების მიზნით თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება აკრძალა და უფრო მეტიც, სასულიერო სასწავლებლებიდან ქართველი მასწავლებლები

დაითხოვა: „თბილისის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში სწავლობენ წერა-კითხვას. აქ სწავლობენ სომხები. სწავლა კარგად მაშინ წარიმართება, რომ ქართულ ენაზე წარმოებდეს. უმეტესად სომხების გლებკაცობას თავის ენად ქართული ენა აქვს მიღებული, მაგრამ სომხების პატრიოტები ამას ყურადღებას არ აქცევენ და სომხურ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში აკრძალული აქვთ ქართული ენა. ამით ისინი დიდ დაბრკოლებას აძლევენ სწავლის საქმეს. იმედი გვაქვს, რომ ექსარხოსი პავლე ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და მოვალედ გახდის ქალაქის სამღვდელთაგან, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ისწავლებოდეს ქართული“.

ქუთაისის რეალური სასწავლებლის ყოფილი მოსწავლე გერონტი ქიქოძე თვითმხილველის პოზიციიდან წერს: „სასწავლებელს პატარა ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ იქ არცერთი ქართული წიგნი არ მოიპოვებოდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენა ოფიციალურად აკრძალული ყოფილიყო, ის უფრო აბუჩად იყო აგდებული. ქართულისთვის კვირაში ერთი ნახევარსაათიანი გაკვეთილი გვექონდა დანიშნული, ის არავისთვის სავალდებულო არ იყო, ამიტომ ზოგიერთი ქართველი მოსწავლეს არ ესწრებოდა მას“ (ქიქოძე 1956).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამაარსებლებმა იმთავითვე გაითვალისწინეს ქართული ნაციონალური სულის აღზევების აუცილებლობა და მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ეროვნული შუღლისა და განხეთქილებისა, ი. გოგებაშვილის ინიციატივით საზოგადოების წესდებაში შეიტანეს პარაგრაფი შემდეგი შინაარსით: „საზოგადოება თავის მიზანს მიაღწევს იმით, რომ სახალხო სკოლებში სწავლებას შემოიღებს სამშობლო, ბავშვების გასაგებ ენაზე“.

ქართველი ინტელიგენცია ვერ ეგუებოდა ცარისტული ენობრივი პოლიტიკის გამანადგურებელ შედეგს: „თუ უფალი იანოვსკი ისეთი მიხვედრილი კაცია, როგორც ამბობენ, უეჭველია, შეზარებით უარჰყოფს იმ კაცის შემარცხვენს მიდრეკილებას, რომელმანაც გამოადევნინა აქაური ენები გიმნაზიიდან. ამ უსამართლობას, ამ ბოროტ-

მოქმედებას, განათლების მოღვაწეთა ბევრი მავნებელი შედეგი აქვს როგორც საზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფო სარგებლობისათვის. ენა საგანძეა ხალხის ჭკუისა, ზნეობისა, გრძნობისა, ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთახდაა და მოდი და მერე იკითხე, ხალხს რატომ არ ვუყვარვართო. ვინ? სულთა-მხდელი? იგი ბუნების წინააღმდეგია და მა შემთხვევაში ბუნების ძალა უძლეველია... სულთამხდელს კაცი ვერ შეიყვარებს, ვერა, ვერა!” (გოგებაშვილი 1989).

საქართველოში რუსეთის მმართველობის დამკვიდრების შემდგომ ამ უკანასკნელის პოლიტიკა ქართული ეროვნულობის განსაზღვრელი ფაქტორების დასუსტებას ისახავდა მიზნად. კერძოდ,

ა. ეტაპობრივად დაიწყო როგორც რუსი, ასევე სხვა, არაქართველი მოსახლეობის შემოყვანა, რათა რუსეთთან ასიმილაცია დაჩქარებულიყო;

ბ. გატარდა ეკონომიკური პოლიტიკა: ცარიზმი ცდილობდა საქართველო ექცია მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და ნედლეულის მწარმოებელ კოლონიად;

გ. სამთავრობო რეფორმების განხორციელება მხოლოდ რუს მოხელეებს დაევალოთ;

დ. გატარდა ცარიზმის საგანგებო პოლიტიკა ქართული ენის წინააღმდეგ.

ქართული ენის უფლებებისათვის ბრძოლა ქართველ საზოგადო მოღვაწეებსა და სახალხო მასწავლებლებს არა მხოლოდ ეროვნული საკითხებისათვის ბრძოლად წარმოედგინათ, არამედ პედაგოგიური ინტერესების დასაცავადაც, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ „დედაენის გამოუყენებლად ბავშვის გონების გახსნა ყოვლად შეუძლებელია“.

რუსეთი პატარა ერების დაკნინებასა და გადაგვარებას მშობლიური ენის შეზღუდვითა და შემდეგ მისი სრული გაუქმებით ცდილობდა, რადგან სურდა, ახალ თაობაში ეროვნული სული დაეკარგა. დედაენის შეზღუდვა და გაუქმება, უპირველეს ყოვლისა, დაწყებით სკოლებში ხორციელდებოდა. რუსი მოხელეები კარგად ხვდებოდნენ, რომ თუ ქართველი ახალგაზრდობა თავიდანვე დაკარგავდა

მშობლიურ ენას, ის დაკარგავდა თავის უმთავრეს ეროვნულ თვისებასა და საგანძურს — ქართველობას — და ადვილი იქნებოდა მათი ეროვნული გადაგვარება ანუ „გარუსება“; სწორედ ამიტომ, რუსეთმა, პირველი რაც გააკეთა ეროვნული გადაგვარებისათვის, ეს იყო იერიში ქართულ ენაზე. დაწყებით სკოლებში რუსული ენა შემოიღეს და „მუნჯური მეთოდით“ ასწავლიდნენ. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ლევიცკიმ, იაკობ გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს, „Русское Слово“-ს ნაცვლად შეადგინა ახალი სახელმძღვანელო, რომელიც „მუნჯურ მეთოდზე“ იყო აგებული: რუსული ენა ბავშვს ისე უნდა ესწავლა, რომ ქართული არ გაეგონა. ამ გზით ქართული ენის შესწავლის საშუალება სრულიად ისპობოდა. სამოსწავლო უწყებამ, რასაკვირველია, მოიწონა ლევიცკის წიგნი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. ლევიცკი შეეცადა ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ს ნაცვლად საკუთარი სახელმძღვანელოს გავრცელებას. ი. გოგებაშვილის პროტესტი კი პროტესტად დარჩა.

„მუნჯური მეთოდი“ სამეგრელოს და სვანეთის სკოლებიდან ქართული ენის გამოძევების პოლიტიკას ემსახურებოდა. მთავრობა იღებდა ზომებს, გამოეგონებინა მეგრული ენისთვის ანბანი, გადართარგმნილიყო მეგრულად ლოცვები და საერთოდ წირვა-ლოცვა მეგრულ ენაზე ეწარმოებინათ. ასეთივე პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთი სვანებისა და აფხაზების მიმართ. ამას, რა თქმა უნდა, არ შეეგუა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია და პირველ რიგში გაზეთი „მწყემსის“ რედაქტორი დეკანოზი დავით ღამბაშიძე. იგი მწუხარებას გამოთქვამდა ამ ანტიქართული მოვლენის მიმართ: *„ჩვენ არასოდეს და არა ვისგან არ გაგვიგონია, რომ მეგრელებისათვის ქართული ენა ისეთი უცხო ენა იყოს, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ... თავისთავად შეცდომაა ისიც, როდესაც მეგრულს ქართულისაგან განსხვავებულ ენობრივ ჯგუფად თვლიან, და ეს მარტო უცოდინრობით როდი მოსდის მავანს, არამედ სრულიად შეგნებულად წინასწარგანზრახულად ხდება ქართველთა ერთიანობის დარღვევა“*

(„მწყემსი“, 1885, #7).

1881 წლის ცირკულარის შესაბამისად, დირექცია იძულებული შეიქმნა პირველივე კლასიდან დაეწყო რუსულის გაძლიერებული სწავლება, რა თქმა უნდა, მშობლიური ენისათვის განსაზღვრული გაკვეთილების ხარჯზე, ხოლო ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა ხელმძღვანელობის ბრძანებით, 1890 წლიდან საგიმნაზიო სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. სკოლებში რუსიფიკაციის გაძლიერებას ასევე კარგად გამოხატავს თბილისის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის 1892-1893 წლების სასწავლო გეგმაც, რომლის მიხედვითაც, მოსამზადებელ კლასში ქართულ ენასა და მართლწერას ორ-ორი საათი ეთმობოდა; ხოლო რუსულ ენას-ექვსი, მართლწერას - ოთხი. ამას ემატებოდა საეკლესიო-სლავური გალობის შესწავლისათვის ორი კვირეული საათი. სწავლების ზედა საფეხურზე ქართული ენისა და მართლწერის გაკვეთილების რაოდენობა თითო საათამდე მცირდებოდა; რუსული ენისა კი — ხუთ (ნაცვლად ოთხისა), ხოლო მართლწერის — ოთხ (ნაცვლად სამისა) კვირეულ საათამდე უნდა გაზრდილიყო. ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში შექმნილი ვითარება ქართველი საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევდა: *„სამშობლო ენის სწავლება ამ სასწავლებელში მხოლოდ მაშინ სწარმოებს, როცა შეგირდების მშობლები ამ საგნისათვის გაიღებენ ხოლმე განსაკუთრებულ ხარჯს წლიურად... როგორი დედები უნდა გამოვიდნენ ის ქალები, რომელთაც თავისი სამშობლო ენა თითქმის სრულიად დავიწყებიათ, და ამის გამო ვერც სხვა უცხო ენა შეუთვისებიათ! რა კეთილი მოელის იმ ოჯახს, საცა ასე მოუმზადებელი ქალები დედობის უფლებას მოიხვეჭენ?“* („მწყემსი“, 1893, #7).

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს ისიც წარმოადგენდა, რომ ქართულ სკოლებში მასწავლებელთა უმეტესობა რუსი ეროვნების იყო, რომლებმაც არ იცოდნენ ქართული და ადგილობრივ მოსახლეობას ისე უყურებდნენ, როგორც „ტუზემცებს“. გაზეთ „შრომის“ კორესპოდენტი ასე ახასია-

თებს ოთხმოციანი წლების სკოლებში მასწავლებლისა და მოწაფის დამოკიდებულებას: „მასწავლებელი მოსწავლეს ისე უყურებს, როგორც მონას, რომელსაც კარგად არ ცნობილობს, არ აღიარებს მისს კაცობრულს ბუნებას და მუდამ მუქარით ზედ მოქმედებს მასზედ. მოსწავლეებსაც თავისი შეხედულება აქვს შედგენილი. ის ცნობს მასწავლებელს დესპოტად, რომელიც მოსწავლის მდგომარეობაში ერთ წამსაც არ შედის, ამიტომ მოსწავლე მუდამ ცდილობს მასწავლებლის წინააღმდეგობას, ეძებს შემთხვევას აწყენინოს მას რითიმე, მისი ჯავრი ამოიყაროს და ხშირად ეს შემთხვევა ცემა-ტყეპით თავდება ხოლმე და შკოლითგან სამსჯავროში გადადის“ („შრომა“, 1883, #42).

მოწინავე ქართველი მასწავლებლები მოითხოვდნენ სწავლების რადიკალურ გარდაქმნას. მათთვის მიუღებელი იყო ცარიზმის მოხელეების მიერ დანერგული სწავლების მეთოდები, ზეპირობა და მასალის კატეხიზაცია:

„როდესაც მასწავლებლები მექანიკურად აზეპირებდნენ მოსწავლეებს მთელ სტატიებს და სხვა საგნებს, ნორჩ მოსწავლეთა გონება ამით კი არ იხსნებოდა, პირიქით ჩლოუნგდებოდა. უსარგებლოა აგრეთვე სწავლების ის წესიც, რომელი წესითაც მოსწავლენი ჯარისკაცებივით არიან გაქვავებულნი და ისმენენ მხოლოდ მას, რასაც მასწავლებელი ეუბნება მათ. ასეთი სწავლების დროს, მართალია, ითვისებენ რამდენიმე სიტყვას მასწავლებლისას, მაგრამ უაზროდ და გაუგებრად“ („მწყემსი“, 1898, #14).

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკისთვის დამახასიათებელი იყო არაკვალიფიციური მასწავლებლებისთვის მიზანმიმართულად პრიორიტეტის მინიჭება: „მთავრობას სავაჟო გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლად ერთი ქალი დაუყენებია, რომელიც საქალბო გიმნაზიაშიც მასწავლებლობდა. მთავრობის ეს ქმედება კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან ჩვენს სასწავლებლებში უცხო ენებისა და დედა ენის სწავლება ერთობ კოჭლობდა და ეხლაც ვგონებთ ამ მდგომარეობაში არის და ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც იყო,



რომ მასწავლებლად აყენებდნენ ხშირად სხვა და სხვა წრის ინვალიდებს და ან იმისთანაებს, რომლითაც პურების გამოცხობისა, ტანისამოსის და წაღების კერვის მეტი არაფერი სცოდნიათ, მაგრამ აძლევდნენ ამ თანამდებობას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფრანცუზიაო, ან ქართველი, რადგანაც პირველი ფრანცუზია ჩვენებურს ნასწავლს ემჯობინებაო, კარგი ფრანცუზული გამოთქმა ექნებაო და მეორე ქართველია და იქნება ღმერთმა იპრიანოს და ვერაფერი ასწავლოსო“ („შრომა“, 1882, #49).

ამრიგად, XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქუთაისის პრესაზე დაკვირვება ნათლად აჩვენებს იმას, რომ ქართულ ენაზე თითქმის მთლიანად ზემოქმედებს რუსეთის ენობრივი პოლიტიკა. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ზრუნვა ქართული ენის ბედზე განსაკუთრებით საგანმანათლებლო სფეროს შეეხო, რომელშიც შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ძირითადი საკითხები: ქართულ ენაზე სწავლების, ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებისა და ე.წ. მუნჯური მეთოდის ვარგისიანობის საკითხი.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში რუსეთის ასიმილაციური პოლიტიკა სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა. XIX საუკუნის ბოლოსთვის ამიერკავკასიაში უკვე შექმნილი იყო 10 სამხედრო კოლონია. 1830 წლის კანონით საქართველოში იძულებით, სასამართლო დადგენილების ძალით (და ხშირად საკუთარი ნებითაც) ე. წ. „რასკოლნიკები“ შემოვიდნენ. 60-იანი წლების დასაწყისისთვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში აღრიცხული იყო 21 რუსული სოფელი, რომლებშიც დაახლოებით 6000 ადამიანი ცხოვრობდა.

საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდგომ ამ უკანასკნელის პოლიტიკა ქართული ეროვნულობის განსაზღვრელი ფაქტორების დასუსტებას ისახავდა მიზნად. 1883 წელს განათლების მინისტრის დელიანოვის ინსტრუქციით და სეპარატიზმის ბრალდებით, ქართველებსა და სომხებს სამხედრო სამსახურიც აეკრძალათ (ტაბიძე 2005).

მეფის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა სკოლებში სასწავლო საგნებიდან ამოეღო ქართული ენა, იგონებდა ახალ-ახალ მეთოდ-

დებს, რათა დაემტკიცებინა მისი არასაჭიროება: „უსამართლობა და პედაგოგიური მოთხოვნილებათა საწინააღმდეგოა მეგრელების, სვანების, აფხაზებისა და ოსებისათვის სალიტერატურო ქართული ენის სწავლება. თუ ერს არა აქვს მწერლობა და ღვთისმსახურების ენა, უნდა ასწავლო რუსული და სლავიანური!“ („მწყემსი“ 1905, #8). „ერთი ჩვენი სწავლა-განათლების შემაფერხებელი საგანი, რომელთანაც არავითარი ცდა და შრომა არ გადის. ეს იმიტომ, რომ ეს საგანი გარედან მოგვდგომია კარზე და ჩვენგან დამოუკიდებლად არის. ჩვენ მოგახსენებთ რუსულს ენაზე. ეს დაბრკოლება უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ამ საგნის შესწავლა ძლიერ აფერხებს ჩვენი მოზარდი ყმაწვილების ჭკუა-გონების წრთვნას“ („მწყემსი“, 1889, #2).

## სკოლებში ქართული ენის სტატუსის შესახებ (მე-20 საუკუნის დასაწყისის იმერეთის პრესის მიხედვით)

საქართველოს ისტორიაში დადასტურებულ სხვა მრავალ შემთხვევასთან ერთად, ენობრივი საკითხი ბევრად უფრო აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენების შემდეგ. ამ მოვლენებში ენობრივი კომპონენტი უდიდესი მასშტაბით იყო და არის წარმოდგენილი. ამ მასშტაბურობის მიზეზი ხსენებული პერიპეტიების შედეგად დაწყებული პოლიტიკური პროცესები გახლდათ, როცა განვითარდა ისეთი პოლიტიკური და სოციალური მოვლენები, რომელთაც თან სდევდა ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა. საქართველოში მრავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პრობლემა იყო მოსაგვარებელი; მათ შორის ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებდა ენობრივი საკითხები, რომელთა გადასაჭრელად აუცილებელი იყო იქ არსებული ენობრივი სიტუაციის შესწავლა და შესაბამისი შედეგების საფუძველზე სათანადო ენობრივი პოლიტიკის გატარება. ჩვენი აზრით, საკითხის აქტუალურობამ თავისთავად მიიყვანა პოლიტიკოსებიცა და მეცნიერებიც მისი შესწავლის აუცილებლობის გაცნობიერებამდე. მიუხედავად ამისა, სოციოლინგვისტიკის, როგორც ენისა და საზოგადოების ურთიერთობაზე ორიენტირებული სპეციალიზებული საენათმეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბებამდე ენობრივი სიტუაციისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა მოკლებული იყო სისტემურობასა და თანამიმდევრულობას, რაც გამოიხატებოდა ადეკვატური მეთოდების უქონლობაში, ერთიანი კრიტერიუმების დაუდგენლობაში, ტერმინოლოგიურ ბუნდოვანებაში; ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, მეცნიერული თვალსაზრისით, არაობიექტურ შედეგამდე მივყავდით. ძნელი სათქმელია, რომ თანამედროვე სოციოლინგვისტიკამ ყველა ეს შიდადარგობრივი მეთოდური პრობლემა გადაჭრა, თუმცა ის კი ფაქტია, რომ უკვე მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სათანადო ცნებითი აპარატი და შესაბამის ტერმინთა სისტემა, არსებობს რამ-

დენიმე, ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთის შემავსებელი მიდგომა და ა. შ.

სამეცნიერო (და არა მარტო სამეცნიერო) ინტერესის ზრდა ენობრივი სიტუაციის პრობლემის მიმართ გამოიწვია იმის გაცნობიერებამ, რომ ენის ფაქტორი ძალიან დიდ როლს ასრულებს როგორც ცალკე აღებული რომელიმე სახელმწიფოს ცხოვრებაში, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში. ენობრივი პოლიტიკა თითოეული ქვეყნის საერთო პოლიტიკის უშუალო შემადგენელი ნაწილი გახდა. იმისათვის, რომ მართებულად განისაზღვროს ენობრივი პოლიტიკის მიმართულებები მოცემული ქვეყნისათვის, სწორედ იქ არსებული, კერძოდ, საქართველოს ენობრივი სიტუაციის ადეკვატური შესწავლაა აუცილებელი (ჩაჩანიძე 2005: 3).

მ. ტაბიძე აღნიშნავს, რომ „ენობრივი პოლიტიკის ძირითად ტენდენციებზე გავლენას ახდენდა შემდეგი ფაქტორები:

1. როდის მოხდა განსხვავებულ ენათა შეხვედრა არეალში;
2. რამდენად განსხვავებული ან მონათესავე ენები ხვდება ერთმანეთს;
3. რომელი ჭარბობდა: ავტოქტონური თუ „მოსული“;
4. რა თანაფარდობა იყო და არის „მოსულისა“ და „დამხვედურის“ კულტურათა შორის;
5. რა ეტაპებს გადიოდა ავტოქტონური მოსახლეობა სახელმწიფოებრივი მოწყობის გზაზე და რამდენად ერეოდა მის პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში სხვა სახელმწიფო;
6. რამდენად შეეხო დამხვედურის ეთნოკულტურული გავლენა მოსულ მოსახლეობას და მისი „ენობრივი ცნობიერებისათვის“ რამდენად მისაღებია ავტოქტონური მოსახლეობის ენის მოხმარება და, პირიქით, რამდენად იმოქმედა „მოსულის“ ენამ დამხვედურზე;
7. ბილინგვიზმის რა ხარისხთან გვაქვს საქმე არეალში;
8. ენობრივი კონტაქტები მშვიდობიანად მიმდინარეობს, თუ ენობრივ კონფლიქტშია გადაზრდილი;

9. რამდენად არის მზად მოსახლეობა მიიღოს და ფუნქციური მრავალფეროვნებით მოიხმაროს (სახელმწიფო ყოფის ყველა სფეროში) საკუთარი ან სხვისი ენა“ (ტაბიძე 2005: 31).

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში სამ პერიოდს გამოყოფენ: ძველი ქართული ენა (V-XI სს.); საშუალო ქართული ენა XII-XVIII სს.); ახალი ქართული ენა (XIX-XX სს.) (შანიძე, ა. ქართული გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბილისი, 1953). ქართული სალიტერატურო ენის ნორმების საკითხში ყველა ეპოქა თავის სიტყვას ამბობს, უფრო მეტიც, ეპოქა სოციალური და პოლიტიკური ხასიათით წარმართავს იმ პერიოდის ენობრივი სიტუაციის ამა თუ იმ მხარეს. XX საუკუნის 10-20-იანი წლების სოციოლინგვისტური სურათი ერთ-ერთი მწვავე პერიოდია, რომელსაც თან სდევდა დაუსრულებელი პაექრობანი და ამიტომაც, შეიძლება მას ერთი „მიკროეპოქაც“ ეწოდოს.

ქართული სალიტერატურო ენის აღორძინება XX საუკუნის დასაწყისში დაკავშირებულია ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქართული ენის ფუნქციონირების დიაპაზონის გაფართოება იყო. ამ მოვლენას ასეთ შეფასებას აძლევს ბესარიონ ჯორბენაძე: „XX საუკუნის 10-20-იან წლებში ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას. უკვე გეგმაზომიერი, მეცნიერულად გააზრებული ენობრივი პოლიტიკის სახეს ატარებს ის, რაც ადრე მეტ-ნაკლებად სტიქიური ხასიათისა იყო“ (ჯორბენაძე 1989: 166).

XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისის ეკონომიკური განვითარება, შემოქმედებით ძალთა აღმავლობა ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა ქართული პერიოდიკის წარმოშობისა და აღორძინებისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, რუსეთის ცარიზმი და ადგილობრივი ხელისუფლება ნაკლებ დაინტერესებას იჩენდნენ ან ყოველმხრივ აფერხებდნენ სა-

გამომცემლო საქმიანობას. პროგრესულ აზრს მკითხველისკენ გზას უღობავდა ცენზურა. ხშირად ესა თუ ის პერიოდული ორგანო პოლიციური ზედამხედველობის ქვეშ გამოდიოდა. იყო მესტამბეთა დაპატიმრების, ადგილობრივ ხელისუფალთა კანკარგულებით პერიოდული გამოცემის შეწყვეტის შემთხვევებიც... ასეთ რთულ პირობებში საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, ცალკეული პიროვნებები, ორგანიზაციები ახერხებდნენ სტამბის დაარსებასა და წიგნების, ჟურნალ-გაზეთების გამოცემას (საღინაძე 2011: 11).

ქუთაისის პრესა სისტემატურად აშუქებდა ქართული ენის ფუნქციონირების საკითხებისადმი მიძღვნილ საინფორმაციო და პოლემიკური ხასიათის წერილებს იმის შესახებ, თუ როგორ იჩაგრებოდა ქართული ენა რუსულის ხარჯზე. ამ ფაქტის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიხმოთ ერთ-ერთი წერილი, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი:

*„აქ რუსის კულტურას ქართულის ადგილი დაუჭერია, მის მაგივრობას ეწევა: - რუსული წიგნი ქართულის მაგიერ, რუსული გაზეთი ქართულის ნაცვლად, რუსული თეატრი, რუსული ლაპარაკი ქართულის წილ!“* („იმერეთი“, 1913, #116).

გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, მწერლები და პუბლიცისტები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ რუსული ენის ძალისმიერ დამკვიდრებას საქართველოში, ეროვნული კულტურის უგულვებელყოფასა და ცარისტული ჩინოვნიკების სისასტიკეს. ისინი ცდილობდნენ განათლების ახალი შეხედულებების შემუშავებას საზოგადოებაში, ფინანსურად და მორალურად ეხმარებოდნენ სკოლებს. მათი ინიციატივით 1879 წელს დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც მიზნად ისახავდა დედა ენაზე სწავლა-განათლების მიღებას დაწყებით სკოლებში. ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე იყო გრამატიკოსი და პუბლიცისტი სილოვან ხუნდაძე, რომელიც მედგრად იცავდა იმერეთის პრესის ფურცლებზე ქართულ დედა ენას და მკვეთრად აკრიტიკებდა

ცარისტული რეჟიმის ჩინოვნიკებს:

„ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის. ბატონი გროზდოვის ბრძანებით, იქ, საცა ქართველი ბავშვები პირველათ იწყებენ სწავლას, სექტემბრიდანვე შეტანილია რუსული ენის გაკვეთილები; ბ. გროზდოვს, როგორც პედაგოგს, ალბათ ძალიან კარგათ ესმის, რომ, სანამ ყმაწვილს სამშობლო ენაზე წერა-კითხვა არ უსწავლია და გასაგები ენის საშვალეებით მასწავლებელს რამდენათმე მაინც არ დაახლოვებია, პირველი დღიდანვე უცხო ენაზე ფიქრი და უცხო სიტყვების შეთვისება მისთვის ყოვლად ანტიპედაგოგიურია. მაგრამ, როგორც მოხელეს, ბ. გროზდოვს ალბათ არა სურს ამის გაგება და სწადია - მთავრობას სამსახური გაუწიოს მით, რომ კანონსაც კი აჭარბებს“ („იმერეთი“, 1912, #47).

სასულიერო ორკვირეული ჟურნალი „მწყემსის“ რედაქტორი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე გამუდმებით იბრძოდა რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ. იგი ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში აღნიშნავს: „ერთია ჩვენი სწავლა-განათლების შემაფერხებელი საგანი, რომელთანაც არავითარი ცდა და შრომა არ გადის. ეს იმიტომ, რომ ეს საგანი გარედან მოგვდგომია კარზე და ჩვენგან დამოუკიდებლად არის. ჩვენ მოგახსენებთ რუსულს ენაზე. ეს დაბრკოლება უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ამ საგნის შესწავლა ძლიერ აფერხებს ჩვენი მოზარდი ყმაწვილების ჭკუა-გონების წრთვნას.“ („მწყემსი“, 1906, #2).

მუნჯური მეთოდის თვისობრივ ხასიათზე ვრცლადაა საუბრები გაზეთ „იმერეთში“: „იმ დროს, როდესაც სოფლის პირველდაწყებით შკოლაში ვსწავლობდი, გამეფებული იყო ლევიტსკის მუნჯური მეთოდი. მოწაფეებს სასტიკათ გვქონდა აკრძალული ქართულ ენაზე დალაპარაკება. მასწავლებელს შეცდომით თუ არა, არ წამოსცდებოდა ქართულად ერთი სიტყვაც. „მარკაც“ კი შემოიღეს ერთჯერ. „მარკას“ ერთ გვერდზე ეწერა: „Передай тому, кто будет говорить по-грузински“. რომელ მოწაფესაც „მარკა“ აღმოაჩნდებოდა, უსათუოდ დაისჯებოდა. ხშირათ რუსულ სიტყვებს სრულიად გაუგებრათ,

უსულგულო მანქანასავით ვიმეორებდით; ანდა სიტყვას ვაძლევდით სრულიად სხვა მნიშვნელობას. აი, მაგალითად; გვასწავლიდენ: "У меня есть сестра; у меня есть братъ; у меня есть отецъ. ამ სიტყვების მნიშვნელობა, რასაკვირველია, არ გვესმოდა. ცნობის მოყვარეობა კი ძლიერი გვექონდა; ბევრ ფიქრსა და საცდელს შემდეგ მხოლოდ ერთი ამ სიტყვებთაგან - отецъ - გავიგე ჩემით, მაგრამ ვაი, მისთანა გაგებას: თურმე სასტიკათ ვსტყუვდებოდი: აი, როგორ მესმოდა სიტყვა - отецъ - მე მყავს ესტატე. ეს ესტატე ფრიად გულკეთილი, პურ-მარილიანი და სტუმარ-მოყვარე კაცია. მასწავლებელი რომ გვამეორებებდა: У меня (ეს ორი სიტყვა, რასაკვირველია, არ მესმოდა) есть отецъ - მე დავრწმუნდი: სტუმარ-მოყვარე ბიძაჩემს, ესტატეს ჩვენი მასწავლებელი დაუპატიჟია, ჩვეულებრივით კარგი პატივი უცია, მასწავლებელს ეს გახარებია და ახლა მიტომ გვამეორებებოდა: У меня есть отецъ - ვითომდა ესტატეც კარგი კაცია, პურ-მარილი უყვარსო - ამნაირათ გავიგეთ თუ რას ნიშნავდა: "есть отуць", რაც ძლიერ მეხალისებოდა, მაგრამ ჩემი სიხარული მალე დარდათ გადამექცა. ერჯერ ბიძა-ჩემს, ესტატეს, ვკითხუ: „ბიძია, ჩვენი მასწავლებელი რამდენჯერ გყავდა დაპატიჟებული, რომ კარგი პატივი გიცია, და ამიტომ სული შენს სახელს გვახსენებებოდა კლასშითქო? - „არც ერთჯერ ბიძიაო" - მიპასუხა მან. მაშინ დავრწმუნდი, რომ სიტყვების მნიშვნელობა ვერ გამიგია. ასე ვმახინჯდებოდი მუნჯური მეთოდით“ („იმერეთი“, 1913, #164).

ქართული პრესა არ ცვლიდა თავის დამოკიდებულებას ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ და ერთგულად იცავდა ქართველი ერის პოზიციას, რომ ერის ცნობიერების განვითარებისათვის საჭიროა სწავლა-განათლებას მშობლიურ ენაზე მიღება: „ხალხს რომ დედა ენა არ ვასწავლოთ, ეს იქნება აღკრძალვა ხალხის აზრის გახსნისა, მისი სულიერი ნიჭიერების განვითარებისა, ეს იქნება ხალხის დატოვება ბავშვურს მდგომარეობაში და თუ ხალხს თავისა ენის მაგივრად სხვა ენის სწავლაზე დავაყენებთ, თუნდაც ეს ახლო ნათესავიც იყოს მისი დედა ენისა, უფრო უარესს



*ვუზამთ: ჩვენ დავამახინჯებთ ბუნებითს, თავისებურს გონებითს გახსნასა. ჩვენ დავასახინჯებთ მთელს მის სულიერს ბუნებას...ენაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო“ („მწყემსი“, 1903, #12).*

ქართული ენის მდგომარეობის საკითხისადმი მეტად საგულისხმო და საინტერესოა რუსი ლინგვისტისა და პუბლიცისტის, ნიკოლოზ დურნოვოს (1876-1936) მიდგომა, რომელიც ქართული ეკლესიისა და ენის დასაცავად იმაღლებს ხმას თავის ცნობილ ნაშრომში სახელწოდებით „ქართული საეკლესიო ავტოკეფალიის საკითხისა გამო“ (По вопросу о Грузинской церковной автокефалии). ნაშრომში იგი აღნიშნავს: „ქართული სკოლა ბიუროკრატის ხელში ხალხის ინტერესების დევნის იარაღად გადაიქცა. ბიუროკრატია სკოლას, ამ წმინდა დაწესებულებას, თავს ახვევდა უმნიშვნელო და მეორეხარისხოვან მიზნებს, რომლებიც სულაც ვერ პასუხობდა საყოველთაო სახელმწიფოებრივ სერიოზულ ამოცანებს რუსული სახელმწიფოს ერთიანობა და კეთილდღეობა ყოველ შემთხვევაში მაშინ უფროა უზრუნველყოფილი, როცა ქართველი ნამდვილ ქართველად დარჩება, რომელიც აზროვნებს და ლაპარაკობს თავის მშობლიურ ენაზე და არა იმ შემთხვევაში, როცა მასში არავითარ კეთილ საწყისებს არ განავითარებენ და მხოლოდ რუსულ ანბანს შეასწავლიან“ (დურნოვო 1907: 103).

საქართველოში ყველა ძალისხმევა იქნა გამოყენებული იმისთვის, რომ ქართულ ეკლესიებში ღვთისმსახურება რუსულ ენაზე შესრულებულიყო. თავდაპირველად, შაბათ-კვირას და საეკლესიო დღესასწაულებზე, შემდეგ კი, დასვენების დღეებში, დიდ ქალაქებში, მათ შორის ქუთაისში, ღვთისმსახურება სრულდებოდა რუსულ ენაზე, რის შედეგადაც ქართველი სასულიერო პირები, რომლებმაც რუსული არ იცოდნენ, სამუშაოს გარეშე დარჩნენ.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ამერიკაში გატარებულ იქნა უცხოური ენების სწავლების რეფორმა, რომლის ერთ-ერთ მეთოდს პირდაპირი ანუ ბუნებრივი მეთოდი წარმოადგენდა. პირდაპირი მეთოდი დაუპირისპირდა გრამატიკულ-მთარგმენლობით მეთოდს, რო-

მელიც გრამატიკული წესების ათვისების სრულ იგნორირებას ქადაგებდა და აბსოლუტურ უპირატესობას ანიჭებდა სალაპარაკო ენას. ტერმინი „პირდაპირი“ გულისხმობს უცხო ენის ათვისებას მშობლიური ენის, როგორც შუამავლი ენის გარეშე, რადგან ამ კონცეფციით მშობლიური ენა უცხო ენის ათვისებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად აღიქმება. ამ მეთოდის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა ამერიკელი ლინგვისტი მაქსიმილიანე ბერლიცი (1852-1921) და ის „ბერლიცის მეთოდის“ სახელითაც არის ცნობილი (Berlitz 1921). მოგვიანებით, აღნიშნულმა მეთოდმა რუსეთშიაც შემოაღწია და ცარისტული რეჟიმის „წყალობით“, ქართული ენის განდევნის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა ტიპის სკოლებში დაინერგა ე. წ. „მუნჯური მეთოდი“.

მუნჯური მეთოდის სწავლებას გამოეხმაურა გაზეთი „იმერეთი“, რომლის მიხედვით იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლის მასწავლებლებმა საპროტესტო წერილი გამოაქვეყნეს: *„ვაცხადებთ პროტესტს საზოგადოთ მუნჯური მეთოდის წინააღმდეგ და ზიზღს ვუცხადებთ ყველა იმ პირს, რომელნიც ცდილობენ ჩვენი სახალხო სკოლებიდან გააძევიონ სამშობლო ენა, ამასთანავე ერთმანეთ შორის, ვსდებთ მტკიცე პირობას დავიცვათ 81 წლის გეგმა, მტკიცედ დავიცვათ სამშობლო ენა სკოლებში და საჯაროთ გავკიცხოთ ის სულიერად დამახინჯებული ამხანაგები, რომელნიც შეეცდებიან მუნჯური მეთოდი გაატარონ თავის სკოლებში“* („იმერეთი“, 1914, #94).

მუნჯურ მეთოდთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა კვლავ დურნოვოს მოსაზრება, რომელიც თავის ნაშრომში წერს: *„დაგმობილი მუნჯური მეთოდი სამუდამოდ უნდა დაიმარხოს მის აწ გარდაცვლილ შემქმნელთან ერთად, ხოლო დაწყებითი სკოლის პროგრამა სრულიად ახალი უნდა შეიქმნას, მაგრამ იგი ადგილზევე, თვით საქართველოში უნდა გამომუშავდეს და არა პეტერბურგში. დაწყებითი სკოლა, მხოლოდ მაშინ მოემსახურება საქართველოში საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს და არა ბიუროკრატიის პა-*

ტივმოყვარულ ოცნებებს“ (დურნოვო 1907:103).

ამერიკელი სოციოლინგვისტის ჯოშუა ფიშმანის ნაშრომში „ენობრივი დაგეგმვის ადრეული საფეხური“ (Fishman 1993 : 351) განხილულია ენობრივი კონფლიქტებისა და მათი საფრთხის შემცველი სიტუაციების ანალიზი სხვადასხვა ქვეყანაში (მაკედონიური, პოლონური, ჰოლანდიური, ებრაული, კორეული, ბელორუსული, უკრაინული და სხვ.). მასში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და სხვადასხვა ტიპის შინაგან წინააღმდეგობათა მქონე ენობრივი სიტუაციები სხვადასხვა ქვეყნებში, რომლის საფუძველზე პოლიტიკური კრიზისის ვითარებებში თავს იჩენს შემდეგი ტენდენციები:

ა) პოლიტიკური ზეგავლენის მქონე ქვეყნის კულტურული და ენობრივი უპირატესობის ქვეცნობიერი აღიარებისა;

ბ) ეროვნული თვითდამკვიდრებისა და ეროვნული ენის დაცვის გრძნობის გამახვილებისა საზოგადოების გაცილებით მრავალრიცხოვან ნაწილში, რაც ენის ნორმალიზაციის სრულყოფისა და ფუნქციონირების არეთა გაფართოებისაკენ მისწრაფებაში გამოხატება.

ნიშანდობლივია, რომ ჯოშუა ფიშმანის მიერ შემოთავაზებული მოდელები XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში არსებული ენობრივი სიტუაციის აღსაწერი უნივერსალური საშუალებაა. ქართული ენის სიწმინდის დაცვის სახელით გაშლილი დისკუსიები აშკარად იკვეთება იმდროინდელ ქუთაისის პრესაში, კერძოდ, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, პედაგოგთა, პუბლიცისტთა და გრამატიკოსთა პუბლიკაციებსა და კორესპონდენციებში.

აი, რას წერს გაზეთ „იმერეთში“ ამის თაობაზე პუბლიცისტი, პედაგოგი და ქართული სალიტერატურო ენის დამცველი სილოვან ხუნდაძე (1860-1928): „*ჯერ თვით ეს 1881 წლის ინსტრუქციაც იმგვარი შინაარსისაა, რომ საღ პედაგოგიურ მოთხოვნილებასთან ძალიან შორსაა...ნუ დაივიწყებენ, რომ დედაენის მნიშვნელობა ყოველი ადამიანისა და ყოველი ერისთვის განუსაზღვრელია და მისი ინტერესების ჩაგვრასა და შეფერხებას ერის შეგნებული ნაწილი ადვილათ ვერ შეურიგდება*“ („იმერეთი“, 1912, #47).

გაზეთი „იმერეთი“ სისტემატურად აქვეყნებდა ამ საკითხები-სადმი მიძღვნილ ინფორმაციულსა თუ საპოლემიკო ხასიათის წერი-ლებს (ჩაჩანიძე, წულეისკირი, გუჩუა 2018: 255). ამ ფაქტის დასადას-ტურებლად, გაზეთის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული წერილი-დან ვიგებთ, ქართველებისავე წყალობითა და ხელშეწყობით როგორ იჩაგრება ქართული ენა რუსულის ხარჯზე: *„ჩვენ კარგა ხანია გვეს-მის ჩვენი ენის ასეთი მძიმე შეურაცხყოფა და მაინდამაინც ბევრს ჩვენგანს ძალიან არ აშფოთებს ეს გარემოება! სამწუხარო და სავალა-ლო ის უფროა, რომ თვით ჩვენ შორის არა ერთი და ორი „თანამ-გრძნობელი ყავს „მოდვაწეებს, რაღაც საშინელი გულცივობა, ინდი-ფერენტიზმი ისე მოედვა ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს, რომ თვით ზოგიერთი ქართული შკოლის მასწავლებლებიც კი თაკილო-ბენ ქართულსა დაქართულ გაზეთის წაკითხვას: „რა ყრია შიგაო! სა-შინელი და ამაშფოთებელი ფაკტია!“ („იმერეთი“, 1912, #44).*

ზემოთქმულის ანალოგიურად, გაზეთ „იმერეთის“ 1914 წლის 55-ე ნომერი მკაცრად აკრიტიკებს იმერეთში მიმდინარე ცარიზმის პოლიტიკით გამოწვეულ სწავლებისა და საგანმანათლებლო საკი-თხებს: *„გულსაკლავი მოვლენაა, როცა სოფლის შკოლის მოწაფე, თუნდა მეოთხე-მეხუთე განყოფილებისა – მარტინოვსკის „რუსკიე პისატელის აბულბულებს და თუთიყუშით პუშკინისა და კრი-ლოვის ლექსებს ჩაარაკრაკებს. მათი ბიოგრაფიებიც კი „იცით იცის, თუ გნებავთ, ის გარემოებაც, თუ რისგამო დასწერა კრილოვმა არაკი „ვოლკ ნა პსარნე, ან „დემიანის უხა. დიახ, ასეთ რამეებს არა იშვია-თად გაიგონებთ აქ. სამაგიეროთ იგივე თითქმის ვერაფერს გეტყვის სამშობლო ლიტერატურიდან, სოფლად თუ სადმე გაუგონია აკაკის და ილიას სახელი, თვარა შკოლას აქ წილი არ უდევს“ („იმერეთი“, 1914, #55).*

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ. იანოვსკის მიერ გა-მოქვეყნებული ცირკულარის მიხედვით, ყველა ტიპის სკოლაში და-წყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავ-ლება, ხოლო დედაენა არასავალდებულოდ გამოცხადდა. ამ გადაწყ-

ვეტილების შედეგებს ეხმიანება გაზეთ „იმერეთის“ ფურცლებზე ერთ-ერთი კორესპონდენტის ავტორი: „ევროპის პატარა ერების საშვალო საუკუნოების ისტორიას რო თვალი გადავაავლოთ - ვნახავთ: გაბატონებულ ერებს დამონებული ერების ეროვნული სახის გასაქარწყლებათ უმთავრესი იერიში „დედა-ენაზე“ მიუტანიათ ხოლმე. და თუ ერს თავისი ენა დაუკარგავს სახეც გაქრობია, გადაგვარებულა... სწორეთ ამ პატარა ერების ბედ-იღბალს განიცდის დღეს ქართველი ერი. ქართული ენა საქართველოს ყველა დაწესებულებიდან გაძევებულია; გადამთიელნი მას პირუტყვის ენას უწოდებენ, მხოლოდ სახალხო შკოლებში შერჩა მას ცოტა უფლება და უფლების წართმევა-დაკარგვასაც ვესწრებით დღეს. მე მოგახსენებთ ქუთაისის სახალხო შკოლების დირექცია-ინსპექციასა და ადგილობრივი ქალაქის თვითმართველობის შორის ატეხილი ომის შესახებ, რომელიც უკანასკნელმა სასტიკათ წააგო. შედეგი კი — თვითმართველობის დამარცხებისა არის ის, რომ ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქის სახალხო და ქალაქის შკოლებში ქართულმა ენამ ადგილი დაკარგა“ („იმერეთი“, 1913, #97).

1885 წელს გამოქვეყნებული მეორე ცირკულარით, ქართული ენა სრულიად განიდევნა სკოლიდან. სასულიერო სემინარიაში აიკრძალა ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება, ეგზარქოსის განკარგულებით, სასულიერო სასწავლებლებიდან დაითხოვეს ეროვნებით ქართველი მასწავლებლები. სწავლებაში დამკვიდრდა ე. წ. „მუნჯური მეთოდი“, რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ ქართველმა ბავშვებმა არ იცოდნენ რუსული, ხოლო რუსმა მასწავლებლებმა - ქართული.

მშობლიური ენის საკითხებს გაზეთ „იმერეთში“ სპეციალურ წერილებს უძღვნიდა ქუთაისის საისტორიო საზოგადოებისა და მუზეუმის დამაარსებელი, პუბლიცისტი ტრიფონ ჯაფარიძე. მისი დამოკიდებულება ენის სიწმინდის დაცვისადმი კარგად ჩანს 1912 წლის 28-ე ნომრის წერილში სათაურით „ჩვენი ავ-კარგი“: „ქართული ენა რომ დიდ პატივცემამში არ არის ჩვენს შორის ამის შესახებ

შარშან ბევრი სჯა-ბაასი იყო და საზოგადო გოდება გამოიხატა „კოლხიდის“ ფურცლებზე. ჩემი ხმაც იყო ამ გოდებაში... და დღეს მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ თუ ცნობილი მიმართულების მოღვაწეებმა იგდეს ხელში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების საქმეების გამგეობა, ხონის ისტორია ბევრგან გამეორდება. ქართული ენის ინტერესები ბევრგან ჩაიწიხლება და შეასრულებენ „ცნობილი“ ჰეროსტრატეს მცნებას და, რაც აქ დააკლდებათ, მათი ჯგუფის დეპუტატები სახელმწიფო სათათფიროში მოათავებენ. მსოფლიო პოლიტიკაზე ილაპარაკებენ, და თუ ვინმემ გაახსენა, თქვენ საქართველოდან ხართო, ან აქედან დეპუტატი მიმართეს, - მაშინ ზერელეთ ახსენებენ სამშობლო ერს, შკოლას, ეკლესიას და ტერიტორიას. დედა-ენის დაფასება არ ვიცით, და თუ ცოცხალი გვეყოლა ზოგიერთი გადაგვარებული „მოღვაწე“, კიდევ უკეთ შევისწავლით!!!“ („იმერეთი“. 1912, #28).

ზემოაღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სამართლიანად დავეთანხმოთ არნოლდ ჩიქობავას სიტყვებს: „ქართული ენა მიუსაფარი იყო, ქართულ ენას იმპერია მტრობდა, მას ქართველი დიდგვარიანები ადვილად თმობდნენ, ინტელიგენციის „ჩინოვნიკური ნაწილი მასზე გულარეული იყო“ (ჩიქობავა 2011: 182).

მშობლიური ენის საკითხებს შეუწინააღმდეგებელი ინტერესით ადევნებდა თვალს სასულიერო გაზეთი „შინაური საქმეები“. რედაქცია მოითხოვდა და ასაბუთებდა პირველდაწყებით სკოლებში საღვთო სჯულის, სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების ქართულ ენაზე სწავლების შემოღების აუცილებლობას, ამისთვის საჭირო სახელმძღვანელოების თარგმნას, აკრიტიკებდა სასულიერო პირებს, რომელთა ცოლებმა ქართული ენა კარგად არ იცოდნენ.

„გულკეთილის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „შინაური მიმოხილვა“ გაკრიტიკებულია ქართული ენის უცოდინრობის საკითხი, რომელშიაც ვკითხულობთ: „ყველამ იცის, რომ ჩვენებურ სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენას საძაგლათ ასწავლიან.

ამიტომაც ჩვენი ნასწავლი ღვდლები ვერ არიან მომზადებული ქართველი ხალხის სამოდღვროდ. ეს არის მიზეზი, რომ დღეინდელ მოძღვარს ათასი დაბრკოლება ეღობება წინ და მისი გავლენაც ჩვენ ხალხზე ასე დაცემულია. მაინც ეს ერთი სემინარია, რომელიც თფილისშია, როგორ უნდა გასწვდეს მთელს საქართველოს და ეს ერთი სემინარიაც, თურმე, დღეს ნახევრად რუსებითა და ბერძნებით არის სავსე. მართალია, იყო ქუთაისში სასულიერო სემინარია, რომლის დაარსებას გადაყვა ნეტარხსენებული ეპისკოპოსი გაბრიელი, და იგიც გახსნისთანავე მიკეტეს. მიზეზად ის დაიდვეს, რომ შეგირდებმა უწესოება მოახდინესო..აბა, გაგონილა? სად არ მოუხდენიათ შეგირდებს უწესოება: რუსეთშიაც და ჩვენშიაც, უნივერსიტეტებშიაც და სემინარიებშიაც. ის კი არა აგერ შემოდგომაზე ქუთაისში ორი დირექტორი ერთ საღამოს ერთად მოჰკლეს კინალამ, მაგრამ სასწავლებელი არ დაუკეტიათ“ („შინაური საქმეები“, 1912, #9).

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ სკოლებში არსებულ პრობლემებს ეხმიანება გაზეთ „გრდემლში“ 1907 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნებული წერილი „სკოლის რეორგანიზაციის შესახებ“. ავტორი სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ რა იყო სკოლის უმთავრესი პრობლემები და მიზეზები: „სკოლა, ასე ვსთქვათ, სარკეა ცხოვრებისა და მაშასადამე, თუ კარგათ არის დაყენებული სკოლის საქმე, პირიქით კარგი არის საზოგადოების ურთიერთობრივი განწყობილება. აქედან ცხადია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სკოლა განათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამდე. მაგრამ დაიწყო თუ არა განმათავისუფლებელი მოძრაობა, სკოლებს სხვა ელფერი მიეცა. მოსწავლე ახალგაზრდობა გაფაციცებით ადევნებდა თავლ-ყურს მჩქეფარე ცხოვრების გაძალებულ მაჯის ცემას... რეაქციის წლებმა თავისი გავლენა კვლავ იქონია სკოლებზე და მაშინ ისევ ძველი რეჟიმი გამეფდა. სკოლა ისევ დაეცა როგორც გონივრულად ისე ზნეობრივათაც. ავიღოთ თუნდაც გიმნაზია. რას ასწავლიან იქ? არაფერს. ძველი ენებიდან მოსწავლეები მხოლოდ ბრმად სწავლობენ და არაფერი გაეგებათ. ზნეობრივი აღზრდის მხრივ სკოლა არარაო-

ბაა... მოსწავლეთა გონებრივ მოთხოვნილებებს ის ვერ აკმაყოფილებს, ზნეობრივ აღზრდას ყურადღებას არ აქცევს. მაშ, რას წარმოადგენს დღევანდელი სკოლა? ის მხოლოდ პოლიციულ-ბიუროკრატიული დაწესებულებაა, მასში არ ბჟუტავს წმინდა ლამპარი განათლებისა, ის არ არის ტაძარი მეცნიერებისა, რომელსაც ხარბათ უნდა დაეწაფოს მოსწავლე ახალგაზრდობა“ („გრდემლი“, 1907, #2).

ქუთაისის პრესა თვალყურს ადევნებდა მწერალთა და ხელოვანთა, განსაკუთრებით, მსახიობთა მეტყველებას. როგორც „იმერეთის“ ფურცლები იუწყება, ამ კუთხით, სავალალო მდგომარეობა შეიქმნა თეატრებშიც: „სხვა დანიშნულების გარდა, რომელნიც ყოველგან აქვს თეატრს, ჩვენში იგი უნდა ემსახუროს ქართულის გამშვენიერებას, მისი კანონიერათ ხმარების შეთვისებას. პიესა ენის მხრივ გახვეწილი და გასწორებული უნდა იდგმებოდეს. ორიგინალურ პიესებსაც ატყვია ენის უცოდინრობა და ზოგიერთი თარგმანი ყოვლად შეუწყნარებელია... ზოგიერთ მსახიობს ეტყობა რომ ცხოვრებაში ქართულს არ ხმარობს ქართულათ არ აზროვნებს და ამიტომ სუფლიორის მიერ მოწოდებულ სიტყვებსაც რუსულს უნარზე ჩამოაყალიბებს, გადააკეთებს“ ( გაზეთი „იმერეთი“, 1912, #54).

რუსეთის ასიმილაციური პოლიტიკა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ქართული ეროვნულობის განმსაზღვრელი ფაქტორების დასუსტებასა და გარუსებას ისახავდა მიზნად, სავალალო პროცესებით წარიმართა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა „იმერეთში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით „სამშობლო, ენა, პედაგოგია და ჩვენი მასწავლებლები“, რომელიც მიმდინარე მოვლენებსა და პერიპეტიებზე ამახვილებს ყურადღებას: „პედაგოგიკის ისტორიის ფურცლებზე აღბეჭდილია ბრძოლა საუკეთესო პედაგოგებისა სამშობლო ენის უფლებისათვის. კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ ყოველთვის იჩაგრებოდნენ დიდის სახელმწიფოების მიერ პატარა შემოერთებული სახელმწიფოების მკვიდრნი. დიდი სახელმწიფოს მთავრობა ყოველთვის ცდილობდა - დაეკარგა დამორჩილებული ერებისთვის მათი სულიერი ფიზიონომია. ამისთვის ის საჭი-



როდ თვლიდა - მოესპო მათთვის სამშობლო ენა, რომელიც ერთი უმთავრესი ბურჟუაზიანია ეროვნებისა. დამორჩილებული ერების ენის მოსასპობ იარაღათ ის ხმარობდა შკოლას, სადაც მას უკარგავდა უფლებას - ყოფილიყო არამც თუ სხვა საგნების გადასაცემ ენათ, არამედ სასწავლო საგნათაც კი. მაგრამ ისტორია იმასაც მოწმობს, რომ ხშირათ, დამორჩილებული ერი მონურათ ქედს არ უხრიდა გაბატონებულ ერს; არამც თუ ხელს არ უწყობდა გაბატონებული ერის საზიზღარ განზრახვის შესრულებას, როგორც ჩვენ, არამედ - უკანასკნელ სისხლის წვეთამდი ებრძოდა მას სამშობლო ენის უფლებებისათვის და თვით არსებისთვის, რადგანაც მას ღრმათ ქონდა შეგნებული ის აზრი, რომ სამშობლო ენა არის საძირკველი სწავლა-განათლებისა“ („იმერეთი, 1912, #74).

ქუთაისის პრესას სადისკუსიო ხასიათი ჰქონდა ენობრივ-გენდერულ პრობლემატიკას, კერძოდ, ქართველ ქალთა განათლებისა და მათ სალიტერატურო ენისადმი დამოკიდებულების საკითხებს. 1913 წლის 7 თებერვლის „იმერეთში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში წამოყენებულია ქალთათვის საგანმანათლებლო წრეების გახსნის საკითხი. არსებული ვითარების გამოსასწორებლად, ავტორი მიესალმება ქალთა განათლების თვალსაზრისით გადადგმულ ნაბიჯებს: „გასულ 1912 წელში, ჩვენში ქალთა წრეებმა შესამჩნევად იზარტყა და გამრავლდა. დასავლეთ საქართველოში თითქმის ყოველ დაბაში შეეცადენ ასეთი წრეების დაარსებას. თვალსაჩინო მხნეობა და შრომის უნარი გამოიჩინეს განსაკუთრებით ქუთაისისა და ხონის ქალთა წრეებმა. ამ წრეებში სჯა-ბაასი წარმოებს და აქ ეცნობიან სამშობლო ლიტერატურასა, ისტორიას, ქალთა საკითხს და სხვა. ქუთაისის ქალთა წრის მეთაურთ განზრახულ აქვთ რამდენათაც შესაძლებელი იქნება ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის ასეთ წრეების ბადეებით მოფენას, რომლის შემდეგ შესაძლებლათ მიაჩნიათ ჩვენებურ ქალთა საერთო კრების, სიეზდის მოხთენა. ამ სიეზდს მრავალმხრით ექნება ჩვენთვის მნიშვნელობა. აქ საქართველოს ყოველი კუთხიდან შეკრებილნი ქალთა წრეების წარმომადგენელნი ქალები ერ-

თმანეთს გაეცნობიან, თავიანთ აზრსა და შეხედულებას გაუზიარებენ, გაიგებენ თითოეულის მრწამსსა და მისწრაფებას, ურთიერთზე ნაყოფიერ ზეგავლენას მოახთენენ და ამნაირათ დაახლოვებენ ყველასთვის სანატრელ ქართველ დედის თანამედროვე სახითა და ელფერით წარმოშობის დროს” („იმერეთი“, 1913, #30).

ქალთა ენობრივ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, გაზეთის ერთ-ერთი პუბლიკაციის ავტორი შემდეგნაირად მიმართავს საზოგადოებას: „ქართველ ქალებს დღეს ქართული ენის უცადინარობას ვუკვირებთ, მაგრამ ცარიელი სიტყვებით შორს ვერ წავალთ. ჩვენი საზოგადოება უნდა ეცადოს პირობები შეძლებისდაგვარათ გააუმჯობესოს და შემთხვევით ისარგებლოს. იმას მაინც ნუ გადავყრით წყალში, რაც ხელთა გვაქვს დღეს მოპოებული. წარმოიდგინეთ, რომ ასეთ რჩევა-დარიგებას პირველათ არ ვაძლევთ ერთმანეთს, მაგრამ საქმეზე მაინც ვერ ვახორციელებთ” („იმერეთი“, 1913, #102).

დისკუსიამ, რომელიც სასწავლო რეფორმასთან დაკავშირებით გაიმართა და ქართულის სწავლების აუცილებლობის საკითხები მოიცვა, ფართო ხასიათი მიიღო და საქართველოში ენობრივი სიტუაციისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა საკითხი შემოიკრიბა, კერძოდ, ბილინგვიზმი, რომელიც ჩ. ფერგიუსონის განმარტებით, გულისხმობს სტანდარტიზაციის იმ ტიპს, რომლის დროსაც ენობრივ კოლექტივში ორ ენას აქვს საკუთარი საზოგადოებრივი ფუნქცია (Ferguson, Ch. A. 1959: 325-340). წინამდებარე ნაშრომში განსახილველი პრობლემის კვლევის დროს ზემოხსენებულ მოვლენას გვერდს ვერ ავუვლით და ამიტომ, აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით საინტერესოა ბესარიონ ჯორბენაძის მიდგომა: „ბილინგვიზმი შესაძლოა იყოს ძალით თავს მოხვეული. მაგალითად, რუსეთის იმპერიაში უკიდურესად იზღუდებოდა სწავლა-განათლების მიღება მშობლიურ ენაზე. იმ შემთხვევაში, როცა იძულებული იყვნენ, გაეხსნათ სკოლები, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზე ხდებოდა, ყველაფერი იქითკენ იყო მიმართული, რომ ამგვარ სკოლადამთავ-

*რებულები არსებითად გაუნათლებლები დარჩენილიყვნენ. იქმნებოდა ხელოვნური ბარიერი“ (ჯორბენაძე 1997: 28-29).*

სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოცემული ენობრივი სიტუაციის აღსაწერი ადეკვატური მოდელის შემუშავება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემუშავებული მოდელი მაქსიმალურად რეალურად უნდა ასახავდეს არსებულ მდგომარეობას. სპეციალურ ლიტერატურაში ენობრივი სიტუაციისა და ენათა ფუნქციური კლასიფიკაციის რამდენიმე ცდაა მოცემული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ განზრახული გვაქვს, დავეყრდნოთ ჩარლზ ფერგიუსონის (Ferguson 1966: 309-324) ეროვნული სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულას (National Sociolinguistic Profile Formula).

თავდაპირველად ჩ. ფერგიუსონმა ენები დაყო მათი საკომუნიკაციო ღირებულების მიხედვით: ა) ძირითადი (L maj), ბ) მეორეხარისხოვანი (L min), გ) სპეციალური (L spec). უნდა ვაღიაროთ, რომ მისი კრიტერიუმები მაინცდამაინც დიდი სიმკაცრით ვერ გამოირჩევა. ამ ხარვეზის აღმოფხვრა ნაწილობრივ შესაძლებელია მეორე საფეხურის გათვალისწინების საფუძველზე. აქ გამოყოფილია ენათა ხუთი ტიპი: 1) მშობლიური არასალიტერატურო (V), 2) მშობლიური სალიტერატურო (S) , 3) არამშობლიური სალიტერატურო (C), 4) პიჯინი (ჰიბრიდული ენა, რომელსაც აქვს ერთი ენის ლექსიკა და მეორე ენის გრამატიკა (P), 5) კრეოლური (ჰიბრიდული ენა, რომელიც მშობლიურად გადაიქცა) (K). ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ამგვარი მოდელი მხოლოდ გარკვეული საზოგადოებებისათვის შეიძლება იყოს გამოსადეგი. მესამე, ბოლო ეტაპზე ავტორი გამოყოფს ენათა გამოყენების შვიდ ტიპიზებულ სფეროს: 1) შიგაენობრივი ყოველდღიური ურთიერთობა (g), 2) ოფიციალურ საქმიანი ურთიერთობა (o), 3) შიგასახელმწიფოებრივი ერთაშორისი ურთიერთობა (w), 4) საშუალო სკოლაში სწავლების ენა (e), 5) რელიგიური მსახურების ენა (r), 6) სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა (i), 7) სპეციალური საგანი სკოლაში (s).

თუკი გავითვალისწინებთ ფერგიუსონის აღნიშნულ გამოცდი-

ლებას, ეროვნული სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საქართველოში შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:

1 L maj ( Sg, So, Sr, Ss) + 1 L min (Co, Ce, Cr, Ci, Cs)

სადაც L არის ზოგადად ენა, maj — ქართული ენა, min — რუსული ენა, S — მშობლიური ანუ ქართული ენა, C — არამშობლიური სალიტერატურო ენა, g — ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოყენებული ქართული ენა, o — ოფიციალურ-საქმიან ურთიერთობაში გამოყენებული რუსული ენა, r — ღვთისმსახურებაში გამოყენებული ენა. უნდა ვაღიაროთ, რომ ფერგიუსონის მოდელი საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ენობრივი სიტუაციის მოდელთა უნივერსალიზაცია იშვიათად გვამღევს მიახლოებით ზუსტ სურათსაც კი ასეთ კონკრეტულ შემთხვევებში. ამიტომაც, ფერგიუსონის მოდელის თანახმად, ენათა გამოყენების ტიპიზებული სფეროდან ერთ-ერთი — რელიგიური მსახურების ენა (r) საჭიროებს გამოიყოს მისი ორი ვარიანტი Sr და Cr შემთხვევების სახით, ვინაიდან ქართული ისტორიული წყაროებისა და პრესის მასალების თანახმად, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ღვთისმსახურებაში თანაბრად გამოიყენებოდა როგორც ქართული, ასევე რუსული ენები (ჩაჩანიძე; წულეისკირი; გუჩუა 2019: 36-47).

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ვ. ავრორინის პოზიციაც, რომელიც გამოიხატება შემდეგში: „თუ არ გავარკვევთ, არსებობს რა ფორმებითაა წარმოდგენილი ესა თუ ის ენა და არ განვიხილავთ თითოეული ენის ფუნქციონირებას მათი ურთიერთქმედების ჭრილში, თუ არ დავადგენთ ენის გამოყენების სფეროებსა და საშუალებებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ სოციალურ პირობებს, რომლებშიც ფუნქციონირებს ენა, ჩვენ ვერ შევძლებთ ოდნავ სრულადაც კი წარმოვიდგინოთ ენობრივი სიტუაცია“ (ავრორინი 1975: 51).

ვ. ავრორინი საბჭოური პერიოდის იმ იშვიათ რუს სოციოლინ-

გვისტოა შორის იყო, რომლებიც ცდილობდნენ, დაეფიქსირებინათ არანომენკლატურული მიდგომა განსახილველ საკითხთა მიმართ. ამიტომაც, მისი ხედვა ღირებულად მიგვაჩნია და მის მიერ შემოთავაზებული პარამეტრები უფრო სრულყოფილი სურათის დანახვის საშუალებას გვაძლევს. ენათმეცნიერის აზრით, ენობრივი სიტუაცია გულისხმობს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს:

- 1) ენის ფუნქციონირების სოციალური პირობები;
- 2) მისი მოხმარების სფეროები და გარემო
- 3) ენის არსებობის ფორმები

ავრორინი ასკვნის, რომ ენის ფუნქციები, ენის არსებობის ფორმები, ფუნქციონირების სფეროები და გარემო, ენათა ურთიერთქმედების ხასიათი სოციოლინგვისტიკის ძირითად ცნებებს წარმოადგენენ და ურთიერთდაკავშირებული არიან: „ფუნქცია მიზანია; არსებობის ფორმა იარაღის სახეა; გარემო პირობაა, ხოლო სფერო ამ იარაღის მოხმარების არეალია“ ( ავრორინი 1975: 83).

მაშასადამე, მე-20 საუკუნის დასაწყისის იმერეთის პრესის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ენობრივი სიტუაციის შემუშავებულ მოდელებზე დაყრდნობით, ქართული ენის ბედი ყველაზე მეტად საგანმანათლებლო სფეროს შეეხო, სადაც რამდენიმე ძირითადი საკითხი გამოიყო: ა) რუსულისა და ქართულის მიმართების საკითხი, ბ) ქართულ სასწავლებლებში გაბატონებული მუნჯური მეთოდის ვარგისიანობის საკითხი, გ) რუსული და ქართული ენების სტატუსის თაობაზე ამსახველი საზოგადო მოღვაწეთა მსჯელობანი და გამონათქვამები, რომლებიც იმდროინდელი გამიზნული ენობრივი პოლიტიკის არსებობაზე მიუთითებენ. და, ის მასალები, რომლებიც მე-20 საუკუნის დასაწყისის იმერეთის პრესაშია ასახული, დღეს მარტო სამუზეუმო მნიშვნელობისა კი არ არის, არამედ პრაქტიკული ღირებულებისა და გლობალურ ენობრივ პოლიტიკასთან შეხვედრისა და მასში მანევრირების ფასეულ დაკვირვებებსა და დასკვნებს შეიცავს.

## დამოწმებული წყაროები

- გაზეთი „შრომა“, 1882, #49.  
გაზეთი „შრომა“, 1883, #42  
ჟურნალი „მწყემსი“, 1886, #19  
ჟურნალი „მწყემსი“, 1892, #11  
ჟურნალი „მწყემსი“, 1886, #19  
ჟურნალი „მწყემსი“, 1888, #7  
გაზეთი „მწყემსი“, 1885, #7  
გაზეთი „მწყემსი“, 1889, #2  
გაზეთი „მწყემსი“, 1906, #2  
გაზეთი „მწყემსი“, 1893, #7  
გაზეთი „მწყემსი“, 1903, #12  
გაზეთი „მწყემსი“, 1898, #14  
გაზეთი „იმერეთი“, 1913, #116  
გაზეთი „იმერეთი“, 1912, #47  
გაზეთი „იმერეთი“, 1912, #44  
გაზეთი „იმერეთი“, 1912, #47  
გაზეთი „იმერეთი“, 1914, #55  
გაზეთი „იმერეთი“, 1914, #94  
გაზეთი „იმერეთი“, 1912, #54  
გაზეთი „იმერეთი“, 1912, #74  
გაზეთი „იმერეთი“, 1913, #97  
გაზეთი „იმერეთი“, 1914, #94  
გაზეთი „იმერეთი“, 1913, #164  
გაზეთი „შინაური საქმეები“, 1912, #9  
გაზეთი „შინაური საქმეები“, 1912, #13  
გაზეთი „გრდემლი“, 1907, #2

## გამოყენებული ლიტერატურა

**ავრორინი 1975** - Аврорин, В., Проблема изучения функциональной стороны языка. К вопросу о предмете социолингвистики, Ленинград.

**ბერლიცი 1921** - Berlitz, M. Method For Teaching Modern Languages, Berlin, Siegfried Gronbach.

**გოგებაშვილი 1989** - იაკობ გოგებაშვილი, შინაური მიმოხილვა, რჩეული თხზულებანი I, თბილისი.

**დურნოვო 1907** - ნ. დურნოვო, ბედი ქართული ეკლესიისა (ქართული საეკლესიო ავტოკეფალიის საკითხისა გამო), თბილისი, თარგმნილია გაზეთ „რუსსკიი სტიაგ“-ის რედაქციის გამოცემიდან, მოსკოვი, 1907 წელი.

**თავზიშვილი 1948** - გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბილისი.

**პრისტლი 1999** - Priestly T., Linguistic propaganda against perceived irredentism, International Journal of Applied Linguistics, volume 9, Issue 1, 1999, p. 37-75.

**საღინაძე 2011** - საღინაძე, ქართული პერიოდიკისა და პრესის ისტორიიდან. თბილისი, გაზეთ საქართველოს მაცნე, 2011 წელი, 160.

**ტაბიძე 2005** - მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი.

**ფერგიუსონი 1959** - Ferguson, Ch. A. Diglossia. Word 15: 325-340.

**ფერგიუსონი 1966** - Ferguson, Ch., National sociolinguistic profile formulas. In W. Bright (ed.), Sociolinguistics.

**ფიშმანი 1993** - Fishman J. A. The Earliest Stage of Language Planning, Edited by Joshua A. Fishman, Mouton de Gruyter, Berlin-New York.

**ქიქოძე 1956** - გ. ქიქოძე, მოგონებები, თბილისი.

**ჩაჩანიძე 2005** - ი. ჩაჩანიძე, ენობრივი სიტუაციის პრობლემა მე-20 საუკუნის სოციოლინგვისტიკაში, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი.

**ჩაჩანიძე; წულეისკირი; გუჩუა 2018** – ი.ჩაჩანიძე, ნ. წულეისკირი, თ. გუჩუა, ენობრივი პოლიტიკა იმერეთში XX საუკუნის 10-იან წლებში (გა-

ზეთ „იმერეთის“ მიხედვით), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, XIV, 352-363, თბილისი.

**ჩაჩანიძე; წულეისკირი; გუჩუა 2019** - I.Chachanidze, N. Tsuleiskiri, T. Guchua, The Discussion on the Status of the Russian Language in Georgian Schools, International Journal of Multilingual Education, pp. 36-47.

**ჩიქობავა 2011** - ა. ჩიქობავა, „ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ საიმედო ფარ-ხმალს წარმოადგენდა“, შრომები, V, თბილისი.

**ჯორბენაძე 1989** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბილისი.

**ჯორბენაძე 1997** - ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა. თბილისი

**ჰოდსონი 1994** - Hudson A., Diglossia as a special case of register variation. In Sociolinguistic Perspectives on Register, D. Biber and E. Finegan (eds.), p. 294 –314, 1994, Oxford: Oxford University Press.)



## განათლებისა და ქართული ენის საკითხები XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქუთაისის პრესაში

1801 წელს რუსეთმა დაიპყრო რა საქართველო, დაიწყო ბრძოლა ქართველთა ეროვნული ცნობიერების ჩასახშობად. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ქართული ენის დასამარება. სწორედ ამ მიზნით სკოლებიდან მეთოდურად იდევენებოდა ქართული ენა, საერთოდ არ ისწავლებოდა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, ილახებოდა მწიგნობრობის, კულტურის უძველესი ეროვნული ტრადიციები. ამ გზით მეფის რუსეთს სურდა პოლიტიკურად დამორჩილებული ერი სულიერადაც გაეტეხა და გადაეგვარებინა.

აქტიური ჩაგვრა მშობლიური ენისა და კულტურის წინააღმდეგ მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო, როცა „კავკასიის მეფისნაცვლის 1873 წლის 21 დეკემბრის განკარგულებით გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში ადგილობრივი ენების და სხვა საეკლესიო აღმსარებლობის მასწავლებლები ამოღებულ იქნენ შტატიდან და მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით იქნენ დატოვებულნი. ბრძანების IV პუნქტი ითვალისწინებდა ადგილობრივი ენების სწავლებას მხოლოდ მოსწავლეთა სურვილით“ ( ხუნდაძე 1940: 25).

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის სიმძიმეს განიცდიდა დასავლეთ საქართველოში მოქმედი სკოლები. არსებული მდგომარეობის შესახებ ბევრი საყურადღებო ცნობაა დაბეჭდილი მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც ქუთაისში გამოდიოდა. აქ შევხვდებით ისეთი ხასიათის ცნობებს, როგორცაა მშობლიურ ენის აკრძალვა და ქართველთა შვილების სწავლის შეზღუდვა. სკოლებს ხელმძღვანელობენ რუსები, ამის პარალელურად არის გამოსვლები, პროტესტი, იკეტება სკოლები, მოითხოვენ სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის შეცვლას და სხვა. მთლიანობაში ეს ყოველივე ემსახურებოდა ქართული ენის დაცვას და მისი პოზიციების განმტკიცებას.

ამრიგად, შეიძლება ვქვათ, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებამ-

დე და მის შემდგომ პერიოდში რუსეთის პოლიტიკა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის წინააღმდეგ საუკუნეებს ითვლის. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სახალხო განათლების წინააღმდეგ ბრძოლა, ქართული ენის შეზღუდვა, მისი გაუქმება და ამოღება სკოლებიდან. თუ ამ მოთხოვნებს არ დათანხმდებოდა ქართული საზოგადოება, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსი მოხელეები არ გასცემდნენ სკოლების გახსნის ნებართვას. მისი მიზანი იყო ეროვნული სულის ჩახშობა ახალგაზრდა თაობაში. რუსეთის ამ პოლიტიკას წინ აღუდგა მოწინავე ქართველი საზოგადოება, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობა მიუძღვნეს რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას. პირველი რიგის ამოცანას ქართველი საზოგადოებისათვის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება წარმოადგენდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კირილე პეტრეს ძე იანოვსკი დაინიშნა, რომელმაც თავდაპირველად თვალთმაქცურად და მლიქვნელურად დაიწყო ანტიქართული პოლიტიკა საქართველოში. ის ცდილობდა მოეპოვებინა მოწინავე ინტელიგენციის და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურების ნდობა და სხვათა შორის, პირველ ხანებში ეს შეძლო კიდეც, მან მხარი „დაუჭირა“ თბილისში უმაღლესი სპეცტექნიკური სასწავლებლის გახსნას, რაც მთელი ქართველობის და ქართული ინტელიგენციის, ასევე ქართველი ახალგაზრდობის სურვილს გამოხატავდა. მაგრამ მას ეს სჭირდებოდა მხოლოდ ნდობის და სიმპათიის მოსაპოვებლად, სინამდვილეში იგი ამის სასტიკი წინააღმეგი იყო.

1880-იანი წლების დასაწყისიდან, რეაქციის გაძლიერების ვითარებაში, სულ უფრო აშკარად იგრძნობოდა ქართველი ხალხის ინდივიდუალურობის განმაპირობებელი ნიშნების, მშობლიური ენის, კულტურისა და ეკლესიის განადგურების საშიშროება. ხელისუფლების გამთიშველი პოლიტიკა ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობას. ამ მხრივ, განსაკუთ-

რებით აღსანიშნავია მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში გაზეთ „მწყემსის“ ღვაწლი ქართული ენის შენარჩუნებასა და დაცვაში. „დიდ იმპერიას მივეკედლეთ იმისათვის, რომ დაქსასული ერი ივერიისა შეკრებილიყო, გაერთიანებულიყო და შეერთებული ძალით შედგომოდა ეროვნულ საქმეს... მაგრამ [რუსები] იღწვიან, რათა ეს ერთობა არ ჩამოვარდეს ჩვენთა შორის. ჩვენი დაქსასვა, დანაწილება და დაქუცმაცება - აი, მათი ჯოჯოხეთური იდეალი“ (დამბაშიძე 1889ე: 6).

1881 წელს სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ მეფის ნაცვალს კავკასიაში მიხეილ რომანოვს დაამტკიცებინა ახალი სასწავლო გეგმა *„Об учебном плане школы в среде туземного населения по постановке в ней русского языка“* (ხუნდაძე 1960: 35). ამ გეგმით რუსული ენა დაწყებით სკოლაში სწავლების პირველი წლის მეორე ნახევრიდან უნდა დაწყებულიყო და საგნების სწავლებაც ნელ-ნელა იმავე წლიდან რუსულ ენაზე უნდა გადასულიყო. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, მოწინავე პედაგოგები და ქართული ინტელიგენცია მიზანშეუწონლად მიიჩნევდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ ამ ფაქტს, მაგრამ რუსეთის მთავრობა ამ დათმობაზე არ წავიდა.

1890 წელს ჟურნალ „მწყემსის“ ერთ-ერთ ნომერში იაკობ სვიმონიძე წერდა: *„უდიდესი მნიშვნელობა დედა-ენისა და ეროვნებისა ხალხის სიცოცხლისა და წარმატებისათვის კარგად შეიგნეს ევროპაში მეტადრე ბოლო ხანებში, და ყველა პატარა ერი, დიდს სახელმწიფოსთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ ღირსია დაცულ იქმნას თავისი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო ღონის ძიებათ ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსების, ღვაწლისა, თავისებურებებისა.“*

დასავლეთ საქართველო, მათ შორის იმერეთი, ყოველთვის გამოირჩეოდა განათლებისაკენ სწრაფვით. მოიპოვებოდა გარკვეული ძალა ინტელიგენციის სახით, რომელიც თავის თავზე აიღებდა სკო-

ლების დაარსებას, წერა-კითხვის გავრცელებას და პროპაგანდას გაუწევდა მათ საქმიანობას ქართული ეროვნული ცნობიერების განვითარების საქმეში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი შეასრულა იმერეთში გამომავალმა ქართულმა პრესამ. მათ გარშემო პროგრესულ მოაზროვნეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბირთვი შეიკრიბა. ისინი რეგიონის მასშტაბით აქტიურად ავრცელებდნენ ცხოვრების მიერ განათლების კუთხით წამოჭრილი მტკივნეული საკითხების საფუძვლიან განხილვას, განათლებაში მიმდინარე მოვლენების ანალიზსა და შეფასებას.

1880-იანი წლების დასაწყისიდან, რეაქციის გაძლიერების ვითარებაში, სულ უფრო აშკარად იგრძნობოდა ქართველი ხალხის ინდივიდუალურობის განმაპირობებელი ნიშნები: მშობლიური ენის, კულტურისა და ეკლესიის განადგურების საშიშროება. ხელისუფლების გამთიშველი პოლიტიკა ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობას.

ჟურნალი „მწყემსი“ არა მხოლოდ საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და სასულიერო სასწავლებლების პრობლემებს განიხილავდა, არამედ მტკივნეულად განიცდიდა სხვა სახალხო სასწავლებლების პრობლემებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პუბლიკაცია, რომელიც ქუთაისის ქართულ გიმნაზიას ეხება. ჟურნალი წერდა: *„საყურადღებოა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მაგალითი 1880 წლის სასწავლო გეგმით. აქ სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე უნდა აგებულიყო. ვითარება მალე შეიცვალა. 1881 წლის ცირკულარის შესაბამისად, დირექცია იძულებული შეიქმნა პირველივე კლასიდან დაეწყო რუსულის გაძლიერებული სწავლება, რა თქმა უნდა, მშობლიური ენისათვის განსაზღვრული გაკვეთილების ხარჯზე, ხოლო ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა ხელმძღვანელობის (ლევიტსკის) ბრძანებით, 1890 წლიდან საგიმნაზიო სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო“* (სარედაქციო წერილი 1893: 7).

პრესის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა სტატიები „ქარ-

თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობაზე და მის როლზე ქართველთა შორის განათლების კერების დაარსებისა და სახელმძღვანელო წიგნებით მომარაგების საქმეში. ამ კუთხით საზოგადოების საქმიანობას იწონებს ქ. გელოვანი ჟურნალ „მწყემსის“ პუბლიკაციაში „სიტყვა“. იგი წერს: „*უმთავრესი საგანი და თვით არსებობითი დანიშნულება საზოგადოებისა ყოფილა ჩვენ ქართველებში წერა-კითხვის და დაწყებითი სწავლის მოფენა და გავრცელება... ხსნის თავიანთ საკუთარს ხარჯით სკოლებს იქ, სადაც ეს უკანასკნელნი არ არსებობენ. გზავნის სპეციალურად მომზადებულს მასწავლებლებს, უგზავნის სკოლას ყოველგვარ მისთვის საჭირო ნივთიულობას და ამ ნაირად უხსნის ხალხს გზას სწავლის მიღებისას. იქ, სადაც არსებობენ სკოლები და ეჭირვებათ მატერიალურის მხრით დახმარება, ეხმარება, ხელს უწყობს, აწოდებს მისთვის საჭირო მასალას. ბეჭდავს ქართულს სახელმძღვანელოებს და ურიგებს სკოლებს. ადგენს ქართულ ბიბლიოთეკებს, მართავს საკითხავ საღამოებს ქართულ ენაზედ. ხსნის საკვირაო სკოლებს...“.*

ჟურნალი „მწყემსის“ რედაქტორი დეკანოზი დავით ღამბაშიძე ხშირად განიხილავდა საკითხს, თუ რა მდგომარეობა იყო სწავლა-აღზრდის კუთხით საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებში. იგი აღნიშნავს, რომ 1867 წლიდან 1893 წლამდე სასულიერო სასწავლებლებში მატერიალური და ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ სწავლა-აღზრდის საქმეში ასეთ მდგომარეობას ვერ ხედავს. დავით ღამბაშიძე აღწერს სასწავლებლიდან მოსწავლეთა განთესვის მიზეზებს და ძირითად მიზეზად ასახელებს შემდეგს:

- სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობა (ე.წ. მუნჯური მეთოდი);
- მოსწავლეთა არასტაბილური ნივთიერი და მატერიალური მდგომარეობა;
- მასწავლებელთა ცოდნის დაბალი დონე და ანაზღაურება;
- მასწავლებლების მიერ სწავლების თვალსაჩინო მეთოდების არას-

წორად გამოყენება;

- სახელმძღვანელო წიგნების არამეთოდურობა.

ამას თან დაერთო უწმინდესი სინოდის მიერ 1890 წელს დაამტკიცებული დირექტივები, რომლებიც ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებლისაგან მოითხოვდა: 1. ქართველი პედაგოგების დაუყოვნებელ შეცვლას რუსი მასწავლებლებით; 2. ქართული ენის სწავლებისათვის განკუთვნილი საათების სრულ ლიკვიდაციას; 3. ბიბლიოთეკებიდან ქართულენოვანი წიგნების გამოტანას.

ქართული პრესის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ რუსულ ენაზე სწავლება აფერხებდა განათლების ხარისხს ქართულ სკოლებში. მათი აზრით, სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სკოლებში დაინერგოს ქართულ ენაზე სწავლება. ამ საკითხთან დაკავშირებით დავით ღამბაშიძე წერდა: *„ერთი ჩვენი სწავლა-განათლების შემაფერხებელი საგანი, რომელთანაც არავითარი ცდა და შრომა არ გადის. ეს იმიტომ, რომ ეს საგანი გარედან მოგვდგომია კარზე და ჩვენგან დამოუკიდებლად არის. ჩვენ მოგახსენებთ რუსულს ენაზე. ეს დაბრკოლება უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ამ საგნის შესწავლა ძლიერ აფერხებს ჩვენი მოზარდი ყმაწვილების ჭკუა-გონების წრთვნას“.*

ჩვენში არსებულ სკოლებში მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მკვიდრდება ე. წ. თვალსაჩინო მეთოდი, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არარსებული საერთო ენის უქონლობის გამო იქცა ე. წ. მუნჯურ მეთოდად. *„სადმართო სჯული ექვსი და შვიდი წლის ბავშვებს მათ გასაგებ დედა-ენაზე უნდა ასწავლონ და არა მუნჯურად, მათთვის უცხო ენაზე“*, — წერდა ჟურნალი „მწყემსი“.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან საქართველოში რამდენიმე წიგნი თუ არსებობდა ქართულ ენაზე. პრესის წარმომადგენლები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს პირველდაწყებითი სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემას. ისინი შესაბამის შეფასებას აძლევდნენ მათ. საქართველოში გამომავალ სხვა გაზეთებს არ ჩამორჩა ჟურნალი „მწყემსი“. ასე მაგალითად, *„არითმეტიკა, ხალხის შექ-*

მნილი საუნჯეა, ყველა ხალხს და მათ შორის ქართველებსაც, უძველეს მიწათმოქმედ ერს, თავისი არითმეტიკა აქვს, და იგი არა თუ მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, არამედ სახელმძღვანელოში სავარჯიშოები, ამოცანები, ზომა-წონის ერთეულები - სწორედ ადგილობრივი ცხოვრებიდან უნდა იქნეს აღებული“.

მშობლიური ენის სწავლების შესახებ მეთოდური ლიტერატურის შექმნა ასევე პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანა იყო. ჟურნალ „მწყემსში“ გ. ელგონდაშვილი წერდა: „გვიდგენენ დალოცვილები მარტო დავითნისებურ სახელმძღვანელოებს და გვავალებენ, შეგნებით და გონივრულად ვასწავლოთ მცირეწლოვან ყრმებსა. ფსალმუნთა განმარტებას კიდევ ჰპოვებს სადმე კაცი და ქართული სამასწავლებლო სახელმძღვანელოებისას კი ვერასოდეს ვერსად. მაშინ როდესაც მეთოდურ სახელმძღვანელოებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ სწავლა-აღზრდის საქმეში, ვიდრე ზემორე დასახელებულ სახელმძღვანელოებსა. მარტო ძველი წლების „დედა-ენის“ შესახებ არსებობს ჩვენს პედაგოგიურს ლიტერატურაში მოკლე მეთოდური დარიგება და სხვების შესახებ სრულად არაფერია. ამ გარემოებით აიხსნება, სხვათა შორის, ის სამწუხარო მოვლენა, რომ ქართულ პირველ დაწყებით სკოლებში სასურველად ვერ მოდის სწავლა - აღზრდის საქმე“.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ფართოვდება საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელი. სკოლების რიცხვის ზრდა გამოიწვია ამ სკოლებისადმი მოსახლეობის კეთილგანწყობამ, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მათში სწავლება მშობლიურ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

1892 წელს ქუთაისში იყო 22 სასწავლებელი, რომელშიც 2962 მოსწავლე ირიცხებოდა. სკოლები, როგორც გიორგი მჭედლიძე აღნიშნავს, განსხვავდებოდა სწავლების ვადით, მოსწავლეთა კონტიგენტით, სწავლების შინაარსით, დანიშნულებით, მასწავლებელთა კადრებით და მატერიალური ბაზით (მჭედლიძე 1993: 60).

ქალთა სასულიერო განათლებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გაბრიელ ეპისკოპოსმა. მისი ძალისხმევით ქუთაისში გაიხ-

სნა ქალთა ეპარქიალური ოთხკლასიანი სასწავლებელი. მასში სასწავლო გეგმით ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა, არითმეტიკა მეთოდით, გეოგრაფია, ფრანგული ენა, დიდაქტიკა, ფიზიკა, გეომეტრია, რუსუნი ენის მეთოდით, ბუნებისმეტყველება, ხატვა და ხელსაქმე.

1894 ქუთაისში გაიხსნა სასულიერო სემინარია. სემინარიის გახსნას განსაკუთრებით აღფრთოვანებით გამოეხმაურა ჟურნალი „მწყემსი“. ჟურნალის რუბრიკაში „ახალი ამბები“ და „შენიშვნები“ აღნიშნული იყო, რომ უწმინდესი სინოდის ბრძანებით ქუთაისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში უნდა მიეღოთ 40 მოსწავლე. იმავე რუბრიკაში აღნიშნულია, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა 4 კლასიან სასწავლებელში შემოღებული იქნა ბერძნული ენა“ (ახალი ამბები 1894: 1).

ახალგახსნილ სემინარიაში რუსული ენის მასწავლებლად დაინიშნა როჟდესტვენსკი, ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლად – მელიტონ კელენჯერიძე. იგი შეთავსებით საქართველოს ისტორიასა და საღვთო სჯულსაც ასწავლიდა, ქართულ საეკლესიო გალობას გადასცემდა დიაკონი რაჟდენ ხუნდაძე, საეკლესიო სლავურს – კ. მაღრაძე.

„სასწავლო წელი 1894 წლის 23 სექტემბერს დაიწყო, საღვთო სჯულს კვირაში დათმობილი ჰქონდა 4 საათი, რუსულს – 6 გაკვეთილი, სამოქალაქო ისტორიას – 3, ლათინურს – 4, საეკლესიო ქართულს – 2, მათემატიკას – 3, ქართულს – 1, სულ კვირაში – 23 გაკვეთილი“ (ახალი ამბები 1894:2). ქუთაისის სასულიერო სემინარია ემორჩილებოდა სასულიერო უწყებას, უწმინდეს სინოდს, ადგილზე კი–იმერეთის ეპისკოპოსს. ეპარქიის არქიერი უმაღლესი ზედამხედველი იყო სემინარიაში სწავლების მიმართულებასა და სწავლა–აღზრდის პროცესზე.

ამრიგად XIX საუკუნის 80-90-იან წლებში გამომავალმა ქართულმა პრესამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მშობლიური ენის შენარჩუნების, სწავლა–აღზრდის პროპაგანდის, ქართული ეროვნული სასკოლო სისტემის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.



## განათლება და პედაგოგიური აზროვნება მე-20 საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში

მეოცე საუკუნის დასაწყისი მეტად საინტერესო პერიოდია განათლების საკითხებისადმი მიდგომების თვალსაზრისით. ეს არის ეპოქა, როცა საზოგადოების პროგრესული ნაწილი აცნობიერებს ფართო მასების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების აუცილებლობას, სწავლების ფორმებისა და შინაარსის მოდიფიცირების საჭიროებას, იზრდება დაწყებითი და საშუალო სასწავლებლების რიცხვი, სულ უფრო და უფრო მეტი დაბალი წოდების წარმომადგენელი იღებს ფორმალურ განათლებას, დღის წესრიგში დგება ახალი სახელმძღვანელოების შექმნისა და სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწის საკითხები. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, კოლონიური მდგომარეობის მიუხედავად, ქართული საზოგადოება თანდათანობით ახერხებს მშობლიურ ენაზე სწავლების მოცულობის გაფართოებას (ახვლედიანი 2008).

მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაიწყო „ახალი სკოლის“ იდეის განვითარება. საუკუნე რევოლუციური ქარტეხილებით დაიწყო, რომელმაც გავლენა მოახდინა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ორგანიზებულმა გამოსვლებმა თვითმპყრობელობის და სასწავლო ადმინისტრაციის წინააღმდეგ, საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო 900-იანი წლების დასაწყისში. ამ მხრივ აღსანიშნავია ქუთაისის სასულიერო სემინარიაში დაწყებული გამოსვლები.

1902 წლის ნოემბერში ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებმა მოაწყვეს საერთო გაფიცვა და გამოუშვეს პროკლამაცია. მათ მოითხოვეს მასწავლებელთა დათხოვნა და სასწავლო-სააღმზრდელო სისტემის შეცვლა. ადმინისტრაციამ მკაცრი ზომები გაატარა მოსწავლეთა მიმართ. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, 1904 წლის თებერვალში კვლავ გაიფიცნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეები.

1905 წლის თებერვალში გაიფიცნენ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის მოწავლეები. მოსწავლეთა მოძრაობაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი აკადემიურ საკითხებს. იბრძოდნენ სასწავლებლებში დამკვიდრებული რეჟიმისა და უვარგისი სწავლა-აღზრდის სისტემის წინააღმდეგ. მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო ყველა საგნის სწავლება მშობლიურ ენაზე (სიხარულიძე 1974: 203).

1904 წელს ქუთაისში დაარსდა ორი დაწყებითი სკოლა, ერთი ვაჟებისათვის, ხოლო მეორე ქალებისათვის. ორივე სასწავლებელში სწავლის ხანგრძლივობა იყო ორი წელი. *„პირველ წელს ისწავლებოდა: ქართული ენა, თვალსაჩინოება, სასაუბრო რუსული ენა, არითმეტიკა, საღმრთო რჯული, სიმღერა, ხაზვა, წერითი სავარჯიშოები. ხარჯთაღრიცხვით ერთი სკოლა წელიწადში ჯდება 2170 მან“* (მჭედლიძე 1993: 62).

მიუხედავად ასეთი რეფორმატორული საქმიანობისა განათლების სისტემაში, ცარიზმი კვლავ ცდილობდა თავისი რეაქციული პოლიტიკის გაგრძელებას საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სივრცეში. იგი მკაცრად იბრძოდა ქართული ენის წინააღმდეგ. ბრძოლის ეტაპები თავისთავად არ გამორჩენია ქუთაისში გამოძვალ ქართულ გაზეთებს და მათი სათანადო ასახვა მოხდა პრესის ფურცლებზე. ამ კუთხით, კვლავ აქტიურობდა ჟურნალი „მწყემსი“ და მისი რედაქტორ-გამომცემელი დავით ღამბაშიძე. მას მიაჩნდა, რომ *„სარწმუნოება ზნეობის საფუძველია. სარწმუნოება კი, თავის მხრივ, მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება გაძლიერდეს“* (ღამბაშიძე 1905: 22). ამიტომაც დავით ღამბაშიძე პრინციპულად არ დაემორჩილა ზემდგომთა მოთხოვნას ყვირილას „ნორმალურ სკოლაში“ რუსულ ენაზე ესწავლებინათ საღვთო სჯული და სამსახური დატოვა.

ნიშანდობლივია, რომ 1905 წელს ქუთაისში 39 სასწავლებელი იყო, სადაც 5799 მოსწავლე სწავლობდა. მათ შორის ქართველი - 5234, რუსი - 261, სომეხი - 148, ებრაელი - 115“ (მჭედლიძე 1993: 62).

1905 წლიდან ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელი გადა-

კეთდა გიმნაზიად, რომელიც ერთადერთ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენდა. ის ქუთაისის სკოლებს შორის გამოირჩეოდა მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი კონტიგენტით. აღსანიშნავია, რომ გიმნაზიის პედაგოგების თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად, ისწავლებოდა ქართული ენა და საქართველოს ისტორია.

1909 წელს დაარსდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი. მისი საქმიანობა ვრცელდებოდა მთელი ქუთაისის გუბერნიის მასშტაბით. წესდების მიხედვით სახალხო უნივერსიტეტი არ იფარგლებოდა მხოლოდ სალექციო მუშაობით. შეეძლო გაეხსნა თავისი განყოფილებები, მუზეუმები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა. ეს იყო რუსიფიკაციის მძლავრი ტენდენციების პირობებში ქართულ ენაზე სწავლების უფლების მოპოვებისათვის ორგანიზაცია, რომელიც კიდევ ერთი მონაპოვარი იყო ეროვნული სულისკვეთების გაძლიერების თვალსაზრისით.

ქუთაისში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1909 წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილების გახსნა. მისი კომპეტენციები ვრცელდებოდა ქუთაისის, რაჭის, ლეჩხუმისა და შორაპნის მაზრებზე. განყოფილების თაოსნობითა და ინიციატივით გაიხსნა მრავალი სკოლა და ბიბლიოთეკა - სამკითხველო დარბაზი. მეოცე საუკუნის ათიან წლებში იმერეთში არსებობდა სხვადასხვა სახის სკოლები. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ე. წ. საეკლესიო-სამრევლო სკოლები. ისინი ელემენტარულ დაწყებით განათლებას აძლევდნენ ბავშვებს. ძირითად საგანმანათლებლო რგოლს კი საშუალო ტიპის სასწავლებლები წარმოადგენდა, რომელთაც სხვადასხვა მიმართულება ჰქონდათ: სასულიერო სასწავლებლები, რეალური სასწავლებელი, კლასიკური და სათავადაზნაურო გიმნაზიები, ქალთა გიმნაზია, ეპარქიული და წმ. ნინოს სასწავლებლები, სასოფლო-სამეურნეო სკოლა, კერძო სასწავლებლები და სხვ.

ქუთაისში გამომავალი გაზეთები კვლავ აქტიურად განაგრძობენ ბრძოლას ქართული ენისა და ქართულ ენაზე სწავლების დაცვის

მიზნით. „ვის არ ახსოვს რამდენი ტანჯვა, წვალება და უსამართლობა, დევნა-წამება გამოიარა ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელმა. დღეს ქუთაისის ქართული გიმნაზია არცერთ სხვა გიმნაზიას არ ჩამორჩება. თუმცა ის მოკლებულია იმ უფლებებს, რომელიც მთავრობის გიმნაზიაებს უმაღლესი სასწავლებლის კარს უღებს, მაგრამ გამგისა და მასწავლებელთა დაულალავი ენერგია და მოსწავლეთა მუყაითი შრომა ავსებს ამ ნაკლოვანებას. დასავლეთ საქართველოში ერთადერთი სასწავლებელია, სადაც ქართული ენა აბუჩად არ არის აგდებული. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში 1200 მოწაფეზე მეტი ითვლებოდა იმ დროს, როდესაც მთავრობის გიმნაზიაში 700 მოსწავლევ არ არის“ (მწვავე საკითხები 191: 1-2).

ქალაქ ქუთაისში არსებობდა თვითმართველობის სასწავლო კომისია. კომისიამ ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პერიოდში გააკრიტიკა ქუთაისის სკოლებში დამკვიდრებული სწავლების მეთოდები, ე. წ. ბუნებრივი (მუნჯური მეთოდი) მეთოდი რუსული ენის შესწავლისა. მისი შესწავლის დროს სრულიად უგულვებელყოფილი იყო მშობლიური ქართული ენა. მათ იმერეთის ეპარქიის სასკოლო საბჭოსთან ერთად წინააღმდეგობა გაუწიეს ლევიცკისა და ვოსტოროვის მოსაზრებას, რომელიც გამორიცხავდა სწავლების პროცესში ცნობიერებისა და აზროვნების მონაწილეობას რუსული ენის შესწავლის პროცესში. ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციამ მოითხოვა, რომ რუსული ენის შესწავლა დაეწყოთ პირველი კლასის პირველსავე სემესტრში და არა მეორეში, როგორც აქამდე იყო განსაზღვრული.

ე.წ. მუნჯური მეთოდის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა გაზეთმა „შინაური საქმეები“. გაზეთის რედაქციას მიაჩნია, რომ სკოლები „საპოლიტიკანო სარბიელად“ გადაიქცა, რადგან არ ემსახურება გონების ზნეობრივ სრულყოფას და მიისწრაფვის მხოლოდ განაპირა ხალხების გარუსებისაკენ: „ქუთაისის დირექციათა სკოლებში, სადაც ნებადაურთველად და უფროსების დაუკითხავად, ბატონმა ქუთაისის

შკოლების დირექტორმა უარყო 1881 წლის სასწავლო გეგმა, რომელიც 1905 წლიდან მოქმედებაში იყო და შემოიღო მთავრობის მიერ უარყოფილი გეგმა, რომლის მიზანი დედა-ენის დაწიხვლა და მუნჯური მეთოდით რუსულის წავლებაა. ბ. დირექტორი შეგნებულ და განათლებულ მასწავლებლებს ნელ-ნელა ადგილს ჰკარგავენ. ამ საქციელით დირექტორი ნიადაგს უმზადებს თავის პროგრამას, რომ ბაიყუმ და უვიც მასწავლებლებს ხელში ადვილად დაუბრკოლებლად გაატაროს თავისი მისწრაფება. გასაკვირი არ არის, რომ დღევანდელმა შეგირდებმა სრულად შეიძულებს დღევანდელი შკოლა, რომელიც არ ელაპარაკება, არ ასწავლის მას გასაგებ ენაზე („ჩვენი სახალხო შკოლები“ 1913: 1).

1914 წელს მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლითაც კერძო სასწავლებლებს მიეცათ უფლება სასწავლო კურსების სწავლება წარმართა არარუსულ ენაზე. აღნიშნულმა კანონმა ქუთაისის ქართული გიმნაზიის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა შემოეღო ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლება და დაეწყო ქართულ ენაზე სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენა.

გაზეთ „კოლხიდას“ მე-6 ნომრიდან (1911წ.) ფელეტონად იბეჭდება ვასილ წერეთლის სტატია „დედაენა“, რომელშიაც ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ბევრი საკითხი და მშობლიური ენის სწავლების აუცილებლობის თეორიაა ჩამოყალიბებული. მეტად საგულისხმოა იდეა იმის შესახებ, რომ „*ნორჩმა ჯერ დედაენა უნდა შეითვისოს, შეიტკბოს, და, როცა კარგად გაიგებს მის სისტემას, მერე უნდა დავაწყებინოთ უცხო ენები*“. „კოლხიდას“ ფურცლებზე მსგავსი იდეა ხშირად გაუტარებიათ სხვა ავტორებსაც. გაზეთი სათანადო ყურადღებას აქცევდა იმხანად აქტუალურ ქალთა განათლების საკითხს. „*ქალ-ვაჟი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება და მათ აღზრდასაც სხვადასხვაგვარად უნდა მივუდგეთო*“ (წერეთელი 1911გ: 2). გაზეთის რედაქციას მხედველობიდან არ გამოპარვია ისეთი ვითარება, როდესაც სკოლაში ქართული ენა იზღუდებოდა რაიმე მიზეზით. სულთ ობოლი სტატიაში „დ/ ხონი“ წერს: „*თითქმის ყველგან*

იდევნება მშობლიური ქართული. თუ მოსწავლე გალობის გაკვეთილს გააცდენს, მკაცრად სჯიან, ხოლო, თუ ქართული ენის გაკვეთილს გააცდენს, არაო“ („დ/ ხონი“ 1911: 1-2).

როგორც აღვნიშნეთ, სასწავლებლებში იკრძალებოდა ქართულ ენაზე სწავლება და ნაკლები საათები ჰქონდა დათმობილი ქართულ ენას. სახალხო განათლების მუშაკთა კონსერვატორულად განწყობილმა ფრთამ ვერ შეძლო შეეჩერებინა სკოლების გაეროვნულების პროცესი.

1917 წლის 16 მაისს თბილისში გაიხსნა კავკასიის მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ყრილობის დელეგატი დიმიტრი უზნაძე. ყრილობაზე მან წაიკითხა მოხსენება ეროვნული სკოლის მნიშვნელობის შესახებ, სადაც მან ჩამოაყალიბა შემდეგი დებულებები: „1. სკოლის ცხოვრებაში გატარებული იქნას ნაციონალიზაციის პრინციპი; 2. ნაციონალური სკოლის პროგრამების შესაქმნელად ყველა ტიპის სკოლის ოლქთან შეიქმნას მუდმივი კომისია ამ საკითხების შესამუშავებლად; 3. სასწავლო ენად ყველა სკოლაში აღიარებული იქნას სამშობლო ენა; 4. ყველა სკოლაში შემოღებული იქნას გაძლიერებული სწავლება: სამშობლო ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის; 5. ნაციონალური სკოლის გარანტიისათვის მოეთხოვოს დროებით მთავრობას გამოსცეს დეკრეტი რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხის სკოლათა ნაციონალიზაციის შესახებ; 6. მომავალი სასწავლო წლის დაწყებიდან სწავლების ენად საპედაგოგო სასწავლებლებში შემოღებულ იქნას მოწაფეთა სამშობლო ენა“ (ახალი ამბები 1917ე: 3-4). მაშასადამე, ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომ ქართულ ენას სკოლებში ისეთი ადგილი დათმობოდა, როგორც მშობლიურ ენას ესაჭიროება ევროპის მოწინავე ქვეყნებში „ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში უნდა ესწავლებინათ ახალი საგანი „სამშობლოს აღწერა“ (ახალი ამბები 1917თ: 1-2).

ამ დადგენილების სარეალიზაციოდ კლასიკური გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის ქართველ მასწავლებელთა და მშობელთა

კრებამ დაადგინა: „შემოღებული იქნეს ქართულ ენაზე ყველა საგნის სწავლება პირველ ოთხ კლასში და მოსამზადებელ ჯგუფებში. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის სწავლებას უფროს კლასებში“ (ახალი ამბები 1917ი: 1-2).

1913 წლის 23 დეკემბერს პეტერბურგში გაიხსნა სრულიად რუსეთის სახალხო სკოლების მასწავლებელთა ყრილობა, რომელსაც 7 000–მდე პედაგოგი ესწრებოდა. ყრილობის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობას იღებდა 20 მასწავლებელი, მათ შორის, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და მეცნიერი დიმიტრი უზნაძე, რომელიც არჩეული იყო პრეზიდიუმის საპატიო კომისიაში. დიმიტრი უზნაძისა და მისი თანამოღვაწეების ენერგიული მონაწილეობით და ინიციატივით ყრილობამ მიიღო დადგენილება ცალკე ერების კულტურული განვითარების სასარგებლოდ, რომელშიც ნათლად ჩანს ქართველი მეცნიერის დამოკიდებულება მშობლიურ ენასთან დაკავშირებით. ეს დადგენილება შემდეგი შინაარსისაა:

1. *„ყველა კანონმდებლობითი და ადგილობრივი ნორმების გაუქმების შესახებ, რომელნიც ზღუდავენ მცხოვრებთა რომელიმე ჯგუფის ეროვნულ, სარწმუნოებრივ, სასწავლო–საგანმანათლებლო და სხვა უფლებებს;*
2. *უმცირესობის უფლებათა უზრუნველყოფა ნამდვილი საყოველთაო–სავალდებულო და უფასო სწავლა–განათლების განხორციელებით;*
3. *ადგილობრივ თვითმმართველობათა დემოკრატიზაცია და ყველა სკოლის მათ ხელში გადაცემა;*
4. *სკოლაში და სკოლის გარეთ დედაენაზე ლაპარაკი, მშობლიურ ენაზე საქმის მართვა–გამგეობა და დედაენაზე სწავლების შემოღება;*
5. *რუსული ენის გაკვეთილების დაწყება სწავლების მესამე წლიდან, ხოლო ადგილობრივი პირობების მიხედვით, უფრო ადრეც, საჭიროების გათვალისწინებით;*

6. კერძო პირთა და საზოგადოებათათვის სკოლების გახსნის უფლების მინიჭება დედაენაზე სწავლების შემოღებით;
7. მასწავლებელთა მოსამზადებლად სხვადასხვა კურსების (ეროვნებათა მიხედვით) მოწყობა და ენის შესწავლა;
8. სემინარიების, ინსტიტუტებსა და პედაგოგიური სასწავლებლების მასწავლებელთა მოსამზადებლად უმაღლეს სასწავლებლებში ადგილობრივი ხალხის ენის, ისტორიის და ლიტერატურის კათედრების გახსნა;
9. მასწავლებელთა რაიონული კრებების მოწვევა სწავლა-აღზრდის საკითხთა განსახილველად და ცხოვრებაში გასატარებლად;
10. რელიგიისა და მისიონერთაგან სასწავლებელთა განთავისუფლება“ („განათლება“ 1914:142–148).

გარკვეულ შეზღუდულობათა მიუხედავად, ამ დადგენილების მიღებამ საქართველოში, დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით ბიძგი მისცა სახალხო მასწავლებელთა ბრძოლას საყოველთაო-სავალდებულო განათლების შემოღების აუცილებლად მოთხოვნისა და მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებისათვის. დიმიტრი უზნაძე საქართველოს მასშტაბით, განასაკუთრებით დასავლეთ საქართველოში და ქუთაისში სისტემატურად კითხულობდა ლექციებს სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით, რასაც მოწმობს იმდროინდელი ქართული პრესა.

ამ ყრილობაზე, საქართველოს სკოლების შესახებ, უზნაძის ინიციატივით მიღებული იქნა ცალკე რეზოლუცია, „სადაც მოთხოვნილი იყო ქართულ სკოლებში ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლება, სკოლის მმართველობის დემოკრატიულ პრინციპებზე აგება და თბილისში უნივერსიტეტის გახსნა“.

ნიშანდობლივია, რომ ქართული ენის დასაცავად და მისი გაუმჯობესების მიზნით, ქუთაისის სასწავლებლების მასწავლებლებმა და მშობლებმა დაიწყეს ბრძოლა. 1915 წლის ოქტომბერში აირჩიეს კლასიკური გიმნაზიის მშობელთა წრე. მისი თავჯდომარე იყო ექიმი დავით ლორთქიფანიძე. მშობლებმა და მასწავლებლებმა დასვეს



ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისა და საღვთო სჯულის ამ ენაზე სწავლების საკითხი. („გრდემლი“, 1915:1-2).

კლასიკური გიმნაზიის ახალმა გამგემ ნიკოლოზ ტიმოთეს ძე გორბუნოვმა სავალდებულო საგნად გამოაცხადა ქართული ენა, ხელი შეუწყო გიმნაზიაში ქართული და რუსული ლიტერატურის წრეების დაარსებას, გიმნაზიის ბიბლიოთეკისათვის შეიძინა ქართული ლიტერატურა. ნ. ტ. გორბუნოვის საქმიანობას მტრულად შეხვდა ქუთაისის რუსულენოვანი გაზეთი „კუტაისკიე ვესტი“. მან გააკრიტიკა გიმნაზიის დირექტორი. სამაგიეროდ მისი ღონისძიებები მოიწონა და დაიცვა გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ კორესპონდენტმა „უცხოელმა“. იგი წერდა: *„რა იმალება გორბუნოვის მოღვაწეობის უკან ჩვენ არ ვიცით, მაგრამ იგი, რომ დადებითად განსხვავდება მისი წინამორბედი ხელმძღვანელობისაგან ეს აშკარა“* (მჭედლიძე 1993: 316-317).

1914 წლის 2 ივნისიდან 5 ივლისამდე სასულიერო სასწავლებელში მოიწვიეს იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების 50 და გურია-სამეგრელოს ეპარქიის 30 მასწავლებელი. პედაგოგიური კურსების ხელმძღვანელი იყო გურია-სამეგრელოს სკოლების მეთვალყურე, ლევიცკის „მუნჯური მეთოდის“ ყველაზე უფრო თავგამოდებული დამცველი - კონსტანტინე მკურნალი (ფსევდ. კორნარი). ამ უკანასკნელს მიენდო რუსული ენის სანიმუშო გაკვეთილების ჩატრება („იმერეთი“, 1914: 1-3). კ. მკურნალი ამ სანიმუშო გაკვეთილებზე მთლიანად უარყოფდა მშობლიური ენისა და თარგმანის მნიშვნელობას ქართველი ბავშვებისათვის რუსული ენის სწავლების დროს. ამასთან ერთად, უდიერად იხსენიებდა და აკრიტიკებდა იაკობ გოგებაშვილს. როცა ეს ყველაფერი გახმაურდა, ცნობილი პედაგოგი და პუბლიცისტი ლ. ბზვანელი გამოცხადდა პედაგოგიურ კურსებზე და მოინდომა რუსული ენის გაკვეთილზე დასწრება. მაგრამ იგი სირსკიმ არა თუ მოსმენაზე არ დაუშვა, არამედ გამოაძევა სასულიერო სასწავლებლის შენობიდან. მიუხედავად ამისა კ. მკურნალი და მისი მუნჯური მეთოდი მაინც ამხილეს. საბოლოოდ, სამ-

რევლო სკოლების ოთხმოცდაათმა მასწავლებელმა ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, პროტესტი გამოუცხადეს „მუნჯურ“ მეთოდს. ამ საქმის მესვეური, ქართული ენისა და იაკობ გოგებაშვილის მეთოდის თავგამოდებული დამცველი იყო ლ. ნაცვლიშვილი („იმერეთი“ 1914: 1-3).

პრესა აქტიურად იცავდა ქართველ ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს. მოითხოვდნენ ქალთა სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებას, ქალთა და ვაჟთა შერეული სკოლების შემოღებას. გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ წერდა: *„ქართველ ქალთა სწორუფლებიანობა და ეროვნული სკოლა - ადამიანის განვითარებისათვის აუცილებელია მშობლიურ ენაზე ცოდნის შეძენა. საინტერესოა ქართველი ქალებისათვის როგორი და რა მიმართულებისა იქნება ჩვენი სკოლები? აუცილებელია, რომ იქ ჩვენი ჩვილები უცხო ენის მაგივრად ქართულ ენაზე უნდა შეისწავლონ სავალდებულო საგნები. საინტერესოა აგრეთვე რა დამოკიდებულება ექნება ეროვნულ სკოლას ქალთა სწორუფლებიანობასთან. ალაგალაგ შემოიღეს შერეული სკოლები. როგორც მშობლებისგან, ისე მასწავლებლებისგან მოვითხოვთ, როგორც მშობლების, ისე მასწავლებელთა მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს აღზრდის მხრივ ოჯახში და სკოლაში მოსწავლეთა შორის ქალ-ვაჟთა სწორუფლებიანობის შეგნებას“* (ახალი ამბავი 1917ა: 2).

ამრიგად საკვლევ პერიოდში პრესის ფურცლებზე მოპოვებული მასალების საფუძველზე მოგვეცა საშუალება წარმოგვეჩინა და გაგვეანალიზებია ისეთი საკითხები, როგორებიცაა ქართულ ენაზე სწავლების დამკვიდრება, სასკოლო ქსელის გაფართოება, პედაგოგიური კადრების მომზადება, ქალთა განათლების განვითარება, მოსწავლეთა გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური, ფიზიკური, შრომითი აღზრდა, განათლების მიზნებისა და შინაარსის სრულყოფა და სხვა.

ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული XIX საუკუნის 80-90-იანი წლების და XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქუთაისის

პრესის მასალებზე დაყრდნობით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ:

- XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქუთაისში გამოშვებული ქართული პრესის ფურცლებზე საყურადღებო პუბლიკაციები იბეჭდებოდა, სწავლა-აღზრდის შინაარსთან და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. პუბლიკაციის ავტორები მხარს უჭერენ სწავლების პედაგოგიურ ორგანიზაციას, პროგრესული სწავლების მეთოდების გამოყენებას ცოდნის გადაცემისა და ათვისების პროცესში;
- როგორც პრესის ფურცლებიდან ირკვევა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქუთაისში განათლების დარგში კლასიკური და ქართული გიმნაზიის, რეალური, წმინდა ნინოს სახელობის, გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის, სასულიერო სასწავლებლის, სასულიერო სემინარიის, ხონის სამასწავლებლო სემინარიის და სასოფლო-სამეურნეო სკოლის პედაგოგიური კოლექტივების მიერ დამკვიდრებულმა ტრადიციებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს დასავლეთ საქართველოში და იმერეთში სასწავლო სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად წარმართვა;
- ნაჩვენებია ცარიზმის მოხელეთა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების საქმეში ის დიდი როლი, რომელიც შეასრულა ქართულმა პრესამ და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დაუცხრომელმა ზრუნვამ. მათ განსაკუთრებული პროპაგანდა გაუწიეს განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების გავრცელება--განვითარების საქმეებს მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების იმერეთში.
- ჟურნალ „მწყემსის“ ფურცლებზე ნაჩვენებია, რომ მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების დასავლეთ საქართველოში (იმერეთი) ქართული ეკლესია იყო განსაკუთრებული პოტენციის მქონე სულიერი ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველ ხალხს, შეენარჩუნებინათ თავისი ენა, ეროვნული სახე და დამოუკიდებლობა;
- პრესის ფურცლებზე ასახულია მეფის რუსეთის საგანმანათლებ-

ლო პოლიტიკის რეაქციული არსი, რომელიც სულ უფრო აუტანელი ხდებოდა ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის. საუბარია რუსული კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ, რომელიც ქართველ მოზარდთა სწავლებას ცარისტული რეჟიმის ამოცანებს უქვემდებარებდა. მომავალ თაობას ავიწყებდა ყოველგვარ ეროვნულს, თვით მშობლიურ ენასაც კი, რითაც ძირს უთხრიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. ქართული საზოგადოების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა რუსულ მჩაგვრელ ძალისხმევას დაუპირისპირა ქართული სკოლების დაარსება და მშობლიურ ენაზე სწავლება;

- პრესა ცდილობდა შეემუშავებინა საერთო პროგრამა როგორც დაბალი, ისე საშუალო სასწავლებლებისათვის, რომლითაც ასწავლიდნენ ქართულ ენას და ქართული ენისათვის მიენიჭებინათ სავალდებულო სტატუსი. გაზეთი იმერეთი მოითხოვდა, რომ სახელმწიფო ენად რუსულთან ერთად გამოცხადებულიყო ქართული ენა (გაზეთი „იმერეთი“ 1914, #89);
- პრესა ქართული ენის დაცვის საქმეში განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქართულ ოჯახს და მის ბურჯს ქართველ ქალს. სწორედ (გაზეთი „კოლხიდა“, #11). პრესა ცდილობდა, რომ ქართველი ქალები გამოეყვანათ საზოგადოებრივ ასპარეზზე, რათა ისინი სათავეში ჩადგომოდნენ შვილების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდას, დაეარსებინათ ქალთა წრეები, სადაც განიხილავდნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ საკითხებს;
- ქუთაისში გამომავალი ქართული პრესა იბრძოდა ე. წ. მუნჯური (ნატურალური) მეთოდის წინააღმდეგ საქართველოს დაწყებით სკოლებში;
- ჩვენ მიერ ქუთაისის პრესაში გამოქვეყნებული მასალების შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქუთაისი და იმერეთი წარმოადგენდა დიდ საგანმანათლებლო კერას, სადაც ცოცხლობდა ქართული ეროვნული ცნობიერება, გრძელდებოდა ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები, წარმოებდა ბრძოლა

ქართული ენის გადასარჩენად და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც სარედაქციო პოლიტიკას წარმოადგენდა. ქართველი განმანათლებლები ქადაგებდნენ სამშობლოს სიყვარულს, ქართული ენის დაცვისკენ მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას, ცდილობდნენ მათ პატრიოტული სულით აღზრდას და ებრძოდნენ გამარუსებელ პოლიტიკას;

- გაზეთმა ფართო გზა მისცა დებულებას - „ყმაწვილმა ჯერ დედაენა უნდა ისწავლოს, შეიტკბოს და, როცა კარგად ჩაწვდება მის სისტემას, მერე უნდა დავაწყებინოთ უცხო ენების შესწავლა“;
- მე-20 საუკუნის 10-20-იან წლებში იმერეთში გამოძავალი ქართული პრესა იყო განსაკუთრებული პოტენციის მქონე სულიერი ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველ ხალხს, შეენარჩუნებინათ თავისი ენა, ეროვნული სახე და დამოუკიდებლობა. ამასთან მე-20 საუკუნის დასაწყისში ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლით მან შეძლო ცარიზმისადმი დაპირისპირებული არაოფიციალურად არსებული სახალხო განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება, რამაც ხელი შეუწყო სწავლა-აღზრდის შესატყვისი ეროვნული თეორიის დამუშავებას და ქართული დემოკრატიული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერული სისტემის ჩამოყალიბებას.

#### გამოყენებული წყაროები

- ჟურნალი „მწყემსი“, 1894, #4.
- ჟურნალი „მწყემსი“, 1886, #2.
- ჟურნალი „მწყემსი“, 1897, #20.
- ჟურნალი „მწყემსი“, 1893, #7.
- ჟურნალი „მწყემსი“, 1889, #2.
- ჟურნალი „განათლება“, 1914, #2.
- გაზეთი „ერი“, 1914, #15.
- გაზეთი „ჩვენი მეგობარი“, 1916, #260.
- გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1917, #58.
- გაზეთი „მეგობარი“, 1915, #44.

გაზეთი „კოლხიდა“, 1911, #98.  
გაზეთი „კოლხიდა“, 1911, #33.  
გაზეთი „იმერეთი“, 1914, #8.  
გაზეთი „იმერეთი“, 1914, #88.  
გაზეთი „ფონი“, 1910, #2.  
ჟურნალი „მწყემსი“, 1893, #7.  
ჟურნალი „მწყემსი“, 1890, #20.  
გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1917, #58.

### გამოყენებული ლიტერატურა

**ახვლედიანი 2008** — მ. ახვლედიანი., ი. ბასილაძე., ნ. სოხაძე., ნარკვევები განათლების ისტორიიდან ქუთაისში (XIX საუკუნის და XX საუკუნის 20-იანი წლები) , ქუთაისი.

**ახვლედიანი 2011** — ახვლედიანი მ. ქუთაისის ქართული სკოლა--გიმნაზია (XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე), ქუთაისი.

**ბასილაძე 2013** — ი. ბასილაძე, „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის პრობლემა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე #1, ქუთაისი.

**ბასილაძე 2006** — ი. ბასილაძე., ქ. ძოწენიძე., ს. კუპრაშვილი., სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, ქუთაისი.

**ბლიაძე 2014** — ნ. ბლიაძე, სასულიერო განათლება მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების დასავლეთ საქართველოში, ქუთაისი.

**გაგუა 1974** — ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი.

**მჭედლიძე 1993** — გ. მჭედლიძე, ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921), ქუთაისი.

**სარიშვილი 1956** — ტ. სარიშვილი, სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში, თბილისი.

**სიხარულიძე 1974** — გ. სიხარულიძე, ქართული პედაგოგიკის ისტორია, თბილისი.

**ხუნდაძე 1940** — ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბილისი.

**ხუნდაძე 1960** — ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879-1927), თბილისი.

**გენდერული თანასწორობის პრობლემა**  
**XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქუთაისის პრესაში:**  
**ე.წ. „ქალთა საშინაო სკოლები“**

XIX საუკუნე თავისუფლების წყურვილმა მოიცვა. თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ სწრაფვა მოითხოვდა ახალ ენერგიას, ვნებების, გრძნობების, იდეების მაქსიმალურ კონცენტრირებასა და გამოვლენას, რაც საუკუნის ბოლო პერიოდში ნათლად გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა. განმანათლებლობის იდეების შემოსვლას დასავლეთიდან თანასწორობის იდეაც თან მოჰყვა, რომელიც ქალთა მოძრაობისთვის ცენტრალური იდეა გახლდათ. ქართველ ქალებს ამ მიმართულებით ბევრი ჰქონდათ სამუშაო. მათ, უპირველესად, ჯერ კონსერვატიული რწმენის, კარ-ჩაკეტილობის, ობივატელური შეხედულებების ტყვეობაში მყოფი უფლებების წინააღმდეგ გაილაშქრეს, რათა პირადი თავისუფლება მოეპოვებინათ. მათვე აიმაღლეს ხმა ასევე ცარიზმის, ჩამორჩენილობისა და ქალთა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ქალთა უფლებებისა და თანასწორუფლებიანობის შესახებ მწერალი, მთარგმნელი და ჟურნალისტი დომინიკა ერისთავი (განდებილი) წერდა: *„დედაკაცი საფუძველია მეცნიერებისა. იგი ბურჟიაოჯახის, ერისა და საზოგადოებისა. დედაკაცი ერთადერთი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერებისა. რამდენად მთლიანი და თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია საზოგადოება“.*

ქვეყნის ეროვნული მთლიანობისათვის სიტყვითა და კალმით შეუპოვრად იბრძოდნენ ქართველი ქალები. მათი შემოქმედებითი მოღვაწეობა მიმართული იყო ნაციონალური ჩაგვრის, ექსპლუატაციის, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მავნე შედეგების აღმოსაფხვრელად და ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისაკენ. მათ დაკვირვებულ თვალებს არ გამოპარვიათ არც ის შინაგანი ჭიდილი, ის ახალი სოციალური ძვრები, რომელიც ახალ საუკუნეს

მოჰყვა.

და, აი, უკვე XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოჯახური მყუდროებიდან გამოსულ ქალთა პირველი და გაბედული მოძრაობა დაიწყო.

დიდი სამოციანელებიდან ქალის უფლებებს პრინციპულად იცავდა და მათი პირველი ნაბიჯები შეუმჩნეველი არ დარჩენია გაზეთ „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს: *„ყველასათვის, ვისაც კი გონება მამა-პაპური აზრებითა და ცრუ მორწმუნოებით არა აქვს დახშული, ცხადათ დამტკიცებულია, რომ ქალი კაცის თანასწორად არის გაჩენილი, იმის დამონება, სხვა-და-სხვა უფლებების წართმევა, სიკეთის მაგივრად ვნებს კაცობრიობას...*

*ქალი მარტო შვილოსნობისთვის, ტკბილი გრძნობებისათვის და ქვეყნიერების დასამშვენებლათ კი არ არის გაჩენილი; დამტკიცებულია ათასი მაგალითებით, რომ ქალის ტვინსა და ხელსაც ისეთნაირათ შეუძლიათ კაცობრიობის სასიკეთო მოქმედება და მუშაობა, როგორც კაცებისას... მაშ, თუ ეს ასეა, რატომ ყოველგვარი უფლება, ყოველი საქმე მარტო კაცებსა აქვთ მინდობილი? რატომ არიან იმათ მოკლებული ქალები?“* (ფირცხალავა 1903: 18).

სწორედ ამ რიტორიკულ შეკითხვაზე პასუხს წარმოადგენს სერგეი მესხის მიერ აღწერილი ქალთა მოძრაობები ევროპასა და ამერიკაში. იგი (დასავლური გამოცდილებისა და ქალთა საკითხების აქტუალიზაციის ისტორიული, თანამედროვე სურათის აღწერის შემდეგ) ქართველ ქალებს სამი ფუნდამენტალური უფლების: განათლების, შრომისა და არჩევნებში მონაწილეობისაკენ მიუთითებდა, როგორც ბაზისისკენ, რომელზედაც უნდა დაშენდეს ქვეყნის მომავალი (ფირცხალავა 1903: 17).

ილიასა და მის თანამებრძოლებს კარგად ესმოდათ, რომ თავისუფლების ნების გამომჟღავნება ცოდნაშია. ქართველმა ქალებმაც თავისუფლების მოპოვებისათვის სამუშაო სფეროდ საზოგადოებრივი არენა და პუბლიცისტიკა გამოძებნეს. ქუთაისელი ქალების ინიციატივით 1883 წელს გამოიცა ყოველთვიური ლიტერატურული



ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“, რომელმაც განსხვავებული კონცეფცია დაამკვიდრა ქართველ ქალთა მთარგმნელობით მუშაობის პროცესში („ქართული ბიბლიოთეკა“, #1, იანვარი, 1883): „ამ საქმეს შეუდექით იმ აზრით, რომ იმ საზოგადოებას, რომელმაც უცხოენები არ იცის, უძღვნათ რამოდენიმე რიგიანი წიგნი. ჩვენ და სასიამოვნოდ, ჩვენში თან- და -თან ვრცელდება კითხვის ხალისი, არამც თუ იმ წარჩინებულს ოჯახებში, რომელთაც მამა პაპიდგან, შთამომავლობიდან შთამომავლობაზედ შეუცვლელ ანდერძათ გადადის ქართულს ლიტერატურაში ჯეროვნად განვითარება“.

ნიშანდობლივია, რომ „ქართული ბიბლიოთეკის“ ფურცლებზე ქუთათურ მთარგმნელ ქალთა გვერდით იბეჭდებოდა მთარგმნელ მამაკაცთა ნაწარმოებები, რომელთა ავტორები გახლდნენ ბაქარ ქართლელი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, კოტე ყიფიანი და სხვა. რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ თავად ქალები გახლდნენ ემანსიპაციისა და გენდერული თანასწორობის პროცესების დაწყების ინიციატორები.

თავისუფლების იდეის ფრთაშესასხმელად ქართველმა ქალებმა სწავლა-განათლება დაისახეს მიზნად, რადგან თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში იმთავითვე გააცნობიერეს ქალის წიგნიერებისა და განათლების დიდი როლი. სხვას რომ თავი დავანებოთ, განათლებული დედის როლი ფასდაუდებელი იყო ბავშვების აღზრდაში. გარდა ამისა, ქალებს განათლებისა და საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლის აკრძალვის გამო, არ ეძლეოდათ თავისი პიროვნებისა და სათქმელის პირდაპირი გზით, სიტყვიერად გადმოცემის საშუალება. ამიტომაც ბრძოლა განათლებისათვის იყო ბრძოლა დემოკრატიისათვის. დემოკრატია კი თავისთავად მოითხოვდა განათლების სისტემის ტრანსფორმაციას.

ქართველ ქალთა ამ რეფორმატორული იდეით აღფრთოვანებული სერგეი მესხი მხარს უჭერდა განათლების სფეროში მათ პირველ ნაბიჯებს და ამერიკელი ქალების ქმედებით ამხნევებდა:

*„არც ერთ ქვეყანაში ქალები ისე ენერგიულად და ისე ჭკუით არ*

*მოკვიდებიან თავიანთ საქმეს, როგორც ამერიკაში. ამიტომაც მათ ბევრი უფლება ძალით წაართვეს კაცებს. ნიუ-იორკის სასოფლო სკოლებში სულ 26000 მასწავლებელია და იმათში 21000 ქალი. მასაჩუსეტსში 4000 მასწავლებელში 2500 ქალია. ასე რომ, მთელი სახალხო განათლება თითქმის მარტო ქალების ხელშია“ (ფირცხალავა 1903: 17).*

ქალის საზოგადოებრივი როლის დიდი მნიშვნელობა ღრმად სწამდა პოეტ ქალს დომინიკა ერისთავს, რომელსაც ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის უდიდესი ფაქტი გახდებოდა: „რამდენად თავისუფალია აზროვნებისა და უფლებების მხრივ ქალი და ფართოდაა ჩაბმული საზოგადოებრივ ურთიერთობაში, იმდენად ძლიერია სახელმწიფოს კულტურის დონე, იქ კი, სადაც ქალი დაჩაგრულია და მონაა საზოგადოებრივ წყობილებისა, იმდენად უსუსურია სახელმწიფო და მისი სტრუქტურა“ (მარჯანიშვილი 2011: 139).

საგანმანათლებლო სისტემაში პირველებმა ქალებმა გამოიჩინეს ინიციატივა და მთელს საქართველოში დააარსეს საშინაო სკოლები ქალებისათვის. ცნობილი იყო ანა წერეთლის მიერ დაარსებული საშინაო სკოლა საჩხერეში.

70-იან წლებში ქალებისათვის უკვე არსებობდა სკოლები იმერეთში. ქუთაისის გუბერნატორის მეუღლის, ს. მირსკაიას მზრუნველობით დაარსდა ქალთა ელემენტარული სკოლა. 1846 წლიდან იგივე ფუნქცია შეითავსეს ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელმა და ქალთა ერთწლიანმა სასწავლებელმა.

ქალთა განათლების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ჩატარებულ ამ სამუშაოებს დიდი ცვლილებები არ მოუხდენია. თუმცა, გაჩნდა იმედის მომცემი ტენდენცია - სწრაფვა განათლებისაკენ.

პირველი საგანმანათლებლო ტალღის გაგრძელებად იქცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის ფუნქციონირებისა და წარმატების საქმეში სწორედ ქალებმა ითამაშეს უმნიშვნელოვანესი როლი.

სწორედ, საგანმანათლებლო რეფორმების მხრივ ქალთა მოძრაობის შესახებ მოგვითხრობს ქუთაისში დაარსებული პირველი ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი გაზეთი „შრომა“, რომელიც 1881-1883 წლებში გამოდიოდა.

გაზეთ „შრომის“ ფურცლებზე ქალთა განათლების შესახებ ბევრ საპოლემიკო და სადისკურსიო წერილებს შევხვდებით. მასში ნათლად იკვეთებოდა ის აზრი, რომ ქალები განწირულნი იყვნენ არასრულფასოვანი განათლების მიღებისათვის. ასეთი განათლება კი არ ამღევდა ქალებს ხელს, რომ გამხდარიყვნენ საქართველოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ამასთან, ქალთა სამსახური უკეთ განათლებული მამაკაცების ქვეშევრდომობით იზღუდებოდა.

მაშინ, როცა სერგეი მესხი თავის სტატიაში „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი“ მკითხველს აცნობებდა: *„ამერიკაში ძალიან ბევრი ისეთი საშუალო სასწავლებელი და შკოლაა, სადაც ქალები და ვაჟები ერთად სწავლობენ; ხშირათ 15-16 წლის ახალგაზრდა ქალი და 18-20 წლის ყმაწვილი კაცი ერთად სხედან... საქალ-ვაჟო სასწავლებელში არასოდეს არც ზნეობის დამრღვევი და არც საზოგადოთ გასაკიცხი რამ შემთხვევა არ მომხდარა“* (ფირცხალავა 1903: 15).

ასეთი გენდერული თანასწორობა საქართველოს სასწავლებლებში ჯერ კიდევ ნაადრევი რეფორმა გახლდათ. ხოლო რაც შეეხება ქალთა მოღვაწეობას სკოლებში, პირდაპირ თუ ირიბად, გამოკვეთილად არაა წარმოდგენილი მათი როლი.

სერგეი მესხის მსგავსად ქალებისადმი თანაგრძნობას გამოხატავს გაზეთ „შრომის“ ფურცლებზე დაბეჭდილი უცნობი ავტორის წერილი „ქალების წარმატება“ (#3, 16 სექტემბერი, 1881, გვ.2): *„კარგა ხანია, რაც ქალებმა როგორც საკუთრად თავიანთის, აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობისათვის, საჭიროდ დაინახეს, მიიღონ ისეთი სწავლა და განათლება, რომლის საშუალებითაც შეეძლოთ არა თუ მარტო თავიანთი თავის შენახვა, არამედ სხვების შეწევნაც და ამასთანავე ისურვეს, რომ კაცებს გვერდით ამოუდგნენ და უღელი*

გაუწიონ თუ ოჯახის და თუ საზოგადოების დასაწინაურებლათ. ეს ქალების სანაქებო სურვილი მეტად გაძლიერდა ამ უკანასკნელ დროს. თუმცა მათ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდათ, მაგრამ ცოტ-ცოტად თავიანთის ენერგიულის მოქმედებით ქალები ცხადით უმ-ტკიცებენ ჯიუტ კაცებს, რომ საზოგადოების კეთილ დღეობისათვის არა თუ სასარგებლოა, არამედ მოუცილებელი საჭიროა, რომ ქალები იყვნენ სწავლულნი და განათლებულნი“.

ქალების მოღვაწეობა საგანმანათლებლო კამპანიაში, ზოგან ცოდნის კერების დაფუძნებითა და ზოგან საქველმოქმედო საქმიანობით შემოიფარგლებოდა.

ამის მაგალითია ინფორმაცია „ადგილობრივი ამბები“-დან: „გორში გაიხსნა ქალების პროგიმნაზია ანასტასიისა. ეს სახელი ამ პროგიმნაზიას დიდის მთავრის მიხაილ ნიკოლოზის ძის ქალიშვილის ანასტასიას სახსოვრად დაერქვა. მოვლენის შემდეგ სხვათა შორის გორის საოსტატო სემინარიის დირექტორმა, ბ. სემიონოვმა, წარმოსთქვა სიტყვა. მსმენელთა ყურადღება მან იმ საგანზედ მიაქცია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლებისა და კეთილდღეობისთვის ქალების განათლებას“ (გაზეთი „შრომა“, 1881, #4).

ქალების სწრაფვა და გარჯა სამოქალაქო, პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად, განათლებისა თუ დასაქმების ხელმისაწვდომობის მისაღწევად გახდა აკაკი წერეთლის წერილის საბაზი, სადაც იგი ქალების გადაგვარებაზე საუბრობს და „თავში ხელების ცემით“, რა გვეშველებაო გაიძახოდა. პოეტის კრიტიკულ წერილს მალევე გამოეხმაურა ქუთაისის ქალთა წრის ერთ-ერთი წევრი „ქალის წერილით“: „ქალები თუ დღეს ცუდს მდგომარეობაში არიან, ცუდათ იქცევიან, მათზედ მეტის ყურადღების მიქცევა ვალია იმ მოწინავე კაცებისაგან, რომელნიც ჩვენის საზოგადოების სენების მკურნალებად უწოდებენ თავიანთს თავს და დიდი შეცდომა იქნებოდა ვისმეს ეთქვა „არ ღირს მათზედ ლაპარაკი“, რადგანაც ქალები კაცობრიობის ნახევარს ნაწილს შეადგენენ და მათი მნიშვნელობა ცხოვრებაში დიდია. გაასწორეთ მიზეზი, და შედეგი უთუოდ მისით გასწორდება

*მეთქი. ეს გახლავსთ ის დიდი ლიბერალობა, რომლისაგანაც გამო-  
ყავსთ, ვითომ მე ქალებისათვის ვთხოულობდე კვარტლებისა და  
სტოროჟების თანამდებობას“ (გაზეთი „შრომა“, 1882, #5).*

საყურადღებოა, 1883 წლის 9 თებერვლის ნომერში გამოქვეყნე-  
ბული კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილი „ქუთაისი, 9 თებერ-  
ვალს“, სადაც ავტორი ცდილობს ახსნას ქალების ემანსიპაციის არსი.  
ნატრობს იმ დღეს, როცა ქალი გამოვა საზოგადოებრივ ასპარეზზე:  
*„იგი სწავლითა და განათლებით აღჭურვილი შეებრძოლება ჩვენი  
ქვეყნის პოლიტიკური პროგრესის შემაფერხებელ დაბრკოლებებს.  
ქუთაისის გუბერნიაში ერთადერთი საქალებო გიმნაზიაა და ისიც  
დახურვის საფრთხის წინაშეა. მაშინ, როცა ვაჟთა გიმნაზიის დახურ-  
ვის შემდეგ ჩვენმა საზოგადოებამ ყველაფერი გააკეთა ამ გიმნაზიის  
ხელმეორედ გახსნისათვის. ანალოგიური პროცესი, რომ საქალებო  
გიმნაზიაში მოხდეს, ბევრი სიხარულით შეეგებება ამ ამბავს“ (გაზე-  
თი „შრომა“, 1883, #6).*

წერილში ასევე დასმულია საკითხი, რომ ქალთა გიმნაზიაში ას-  
წავლონ ცოდნითა და ზნეობით გამორჩეულმა და რიგიანმა მასწავ-  
ლებლებმა.

გაზეთ „შრომის“ ფურცლებზე დაბეჭდილ პუბლიკაციებს გა-  
ნათლების სფეროში ქალების ჩართულობისა თუ სწავლების პროცე-  
სების შესახებ, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ვიდრე ქვეყანაში მარ-  
თვის ეკონომიკური თუ პოლიტიკური სადავეები მხოლოდ მამაკა-  
ცების ხელშია კონცენტრირებული, ყოველთვის იქნება ქალთა სკო-  
ლებში მოუგვარებელი პრობლემები, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშ-  
ნებს მამაკაცის გაბატონებულ მდგომარეობაზე საზოგადოებაში.

სასულიერო ორკვირეული ჟურნალი „მწყემსი“ (1883-1910 წწ.)  
აშუქებდა სასულიერო, ქართული სკოლისა და საქართველოს ისტო-  
რიის საკითხებს. 1903 წლამდე დავით ღამბაშიძე „მწყემსის“ რუსულ  
ვერსიასაც გამოსცემდა სახელწოდებით „пастырь“.

„მწყემსში“ გაშუქებულია ქალთა სასულიერო სემინარიების და-  
არსებისა და სასულიერო პირების მხრიდან ქალთა მორჩილების

მცდელობის საკითხები: „წესის შესახებ ქალების მიღებისა თბილისის ეპარქიალურ საქალებო სასწავლებელში მისი მაღალ ყოველ უსამღვდელოებისთანავეს, მოსკოვის მიტროპოლიტისაგან კურსების სტიპენდიებზე. მოსკოვის მიტროპოლიტის დაარსებული სტიპენდიები მიეცემოდა მხოლოდ თითოეული ეპარქიიდან ოთხ-ოთხ ქალს. იმერეთის ეპარქიიდან ოთხი, სამეგრელოსაგან ოთხი, გურიისაგან ოთხი და ქართლის ეპარქიის თითოეული სამასწავლებლო ოლქის სამღვდელოებისაგან - თბილისის, გორის და თელავისაგან ოთხ-ოთხი იმ პირობით, რომ სამის სტიპენდია უსათუოდ უნდა ეძლეოდეს ხოლმე მღვდლის შვილებს და ერთი ეკლესიის მოსამსახურეთ შვილებს“ („მწყემსი“, 1885, #12).

აღსანიშნავია, რომ არამარტო წერა-კითხვის საზოგადოება ხსნიდა სკოლებს, არამედ სასულიერო პირებიც თავის მხრივ მრავალ სასულიერო სასწავლებლებს აარსებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: „წარსული აგვისტოს ოცდა რვა რიცხვსა ჩვენ ვიყავით თბილისის ეპარქიალურ ექვს - კლასიან საქალო სასწავლებელში, რომლის დახედვამ და დათვალიერებამ მეტის-მეტად სასიამოვნოო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ვისწრაფით ეს შთაბეჭდილება განუზიაროთ ჩვენ სამღვდელოებას და ყველა იმათ, რომელთაც გული შესტკივათ ჩვენი მოზარდი ქალების აღზრდისათვის“ („მწყემსი“, 1885, #18).

„აკაკის თვითურ კრებულში“ ყურადღებაა გამახვილებული იმ ქართველ ქალთა ფასდაუდებელ ღვაწლზე, რომლებიც სანთლებად ენთენენ მშობლიური ენის სიყვარულს. ვინაიდან სწორედ ენის სიმინდის დაცვით და განვითარებით მტკიცდებოდა ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა. იმდროინდელ საქართველოში ე.წ. მაღალ საზოგადოებას ეთაჰკილებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. სწორედ, ასეთ ქალებზე ჰქონდა საუბარი პოეტს, როცა აკრიტიკებდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მიმდევრებს, რომლებიც თავისი მოქმედებით ხელს უწყობდნენ მშობლიური ენის დაკნინებას, საგანმანათლებლო

სისტემიდან მის სრულიად განდევნას.

საყურადღებოა „აკაკის თვიურ კრებულში“ (1899, #3) დაბეჭდილი წერილი სახელწოდებით „სასიქადულო ქალის ხსოვნას“: „მართალია, დარია ფალავას არ მიელო ჩვენი დროინდელი განათლება, მაგრამ ამოდენად ნაკითხი იყო ქართულს ენაზედ, რომ გონების განვითარება ნებას აძლევდა მას შეგნებულად ეყურებინა სარწმუნოებისათვის და ცხოვრების დედა-ბოძად გაეხადა იგი.

ყველგან და, განსაკუთრებით ჩვენში, ქალის მოღვაწეობის ასპარეზი ერთობ ვიწროდ არის შემოფარგლული. რად უნდა დავემდუროთ ჩვენს ქალებს, როდესაც კაცებს უფრო ფართო სარბიელი აქვთ ცხოვრებაში და მაინც ბევრი ვერაფერი გაუკეთებიათ! მე დიდად ვაფასებ ქალის ზნეობრივს გავლენას კაცის ცხოვრებაზედ და ისიც საკმარისად მიმაჩნია ჩვენს დროში, თუ ქალი თავის ღვთიურს დანიშნულებას ერთგულად და პირნათლად ემსახურება. ეგ ღვთიური დანიშნულება გამოიხატება მეუღლეობითა და დედობით. ის ქალი, რომელიც ამ დანიშნულებას არ გაურბის და ზნეობრივ საფუძველად გახდომია ოჯახს, თაყვანისცემის ღირსია. დარია ფალავაც ამგვარი ქალი იყო და საზოგადოებამ მისი ღვაწლი დიდ ღვაწლად მიიჩნია.

დარია ფალავას წილი ჰქონდა სხვაგვარ მოღვაწეობაშიც: მან წიგნთ-საცავი დააფუძნა თავისს სოფელში და ამით მდაბიო ხალხის განათლებას ხელს უწყობდა; ღარიბ სტუდენტებისა და მოწაფეების სასარგებლოდ წარმოდგენებს მართავდა; თავს არ იზოგავდა საქვეყნო საქმისათვის; გულმხურვალე მოტრფიალე სამშობლოსი ნამდვილ შვილებს უზრდიდა მამულს. თუ ყველაფერს ამას გაითვალისწინებთ, დარია ფალავას ხსენებისთანავე წარმოგიდგებათ ბრწყინვალე სახე „მატრონასი“, იმ რომაელის ოჯახის დედისა, რომელსაც ისტორიკოსები ისეთი ქებით იხსენიებენ“.

## ქალთა განათლების საკითხი XX საუკუნის 10-20-იანი წლების პრესაში

XX საუკუნის დასაწყისში გენდერული თანასწორობის იდეას ისევ გამოეხმაურენ ქალები და 1904 წელს მათ „ქართველ ქალთა საზოგადოება“ დააარსეს. ეს იყო ქართველ ქალთა პირველი ორგანიზაცია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში. ეჭვგარეშეა, რომ ქალთა დამაკაცთა თანასწორობა საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის ქვაკუთხედი გახდა.

ქართველმა ქალებმა გადადგეს პირველი ნაბიჯები ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლაში, გამოიყენეს საგანმანათლებლო სისტემა, რომლის დოქტრინა ილია ჭავჭავაძემ კარგად ჩამოაყალიბა თავის წერილებში განათლების შესახებ: *„ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რაიმე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბლერტია... ცოდნა, სწავლა-განათლება და უშრეტელი წყაროა“* (ჭავჭავაძე 1987: 268).

დიდ 60-იანელთა იდეების თავისუფლების, თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის გათვალისწინებით, ქართველი ქალები არა მარტო სწავლა-განათლებას დაეწაფნენ, არამედ მალე თვითონაც ჩაებნენ როგორც მასწავლებლები საგანმანათლებლო სისტემის მართონში.

ქალ მასწავლებელთა როლს დადებითად აფასებდა ილია ჭავჭავაძე: *„პატიოსანი და ყოვლად მაღალ-ზნეობიანი ჯაფა და გამრჯე-*



ლობა ოსტატისა, მასწავლებლისა, გამზრდელისა, ქალია თუ მამაკაცი, იმოდენად პატივდებული არ არის, რამოდენადაც ღირსია...

ამ მხრით უფრო უარესს ყოფაში არიან ქალები მასწავლებელნი, ნამეტნავად თუ ბედს არ ურგუნებია მათთვის სახელმწიფო სასწავლებელში სადმე რაიმე თანამდებობა. ამათი ჯაფა, იმავე თავგანწირულობით და სიმძიმით დატვირთული, უფრო ნაკლებ პატივცემულია, უფრო ნაკლებ დაზღვეულია გასამრჯელოთი და სასყიდლითა. გარდა ამისა, რაც უნდა უკეთ მომზადებული იყოს, რაც უნდა თავგამომეტებული თავისის თანამდებობის აღსრულებისათვის, რაკი ქალია, იშვიათად უპირატესობა მიეცემა ხოლმე მამაკაცის წინაშე, როცა ორივენი ერთს დროს წარსდგებიან ადგილის საშოვნელად. ეს გარემოება დაცილება ხშირად კარგად მომზადებულ ქალს ულუკმაპუროდ სტოვებს და საწყალი ქალი, რომელმაც უკეთესი თვისი დრო მასწავლებლად მომზადებას მოახმარა და შესწირა იმ პატიოსანის ფიქრით გულდაწყვეტილი ემორჩილება უმართლოებას და გარემოების სისასტიკეს“ (ჭავჭავაძე 1987: 242).

მოაზროვნე საზოგადოებამ კარგად გაითავისა დიდი ილიას სამართლებრივი შეფასება ქალი მასწავლებლის ჩაგრულობის შესახებ. ამ გამოხმაურებამ გამოაფხიზლა ქალები და სულ მალე „ქალ მასწავლებელთა საზოგადოებაც“ ჩამოყალიბდა, რომლის მმართველებად და გამგებელად მხოლოდ ქალები იყვნენ არჩეულნი. ქართველ ქალთა ამ ინიციატივას დიდ 60-იანელთა სახელით აღფრთოვანებით მიეგება ილია ჭავჭავაძე: „ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში ქალების მხრით თავისის საკუთარის ძალ-ღონით ბურთის გატანისა ცხოვრების მოედნიდამ. პირველი მაგალითია, რომ ქალებს თავისი საქმე დაუწყიათ უსარგებლო ჩივილით და ხვეწნით კი არა, არამედ თვისი საკუთარი მხნეობით. საკუთარი თვითმოქმედება ფარხმალად აუღლიათ, რომ თავის საკუთარის ძალ-ღონით წინ აღუდგნენ ქალთა დამჩაგრავს და ბედი, შეძლებისამებრ, თავისაკენ მოატრიალონ“ (ჭავჭავაძე 1987: 243).

60-იანელთა თაობის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, აკაკი წე-

რეთელმა, XX საუკუნე „ქალთა წლად“ გამოაცხადა, რომელიც ასე გააჟღერა ქუთაისში გამართულ შეკრებაზე: *„ქუთაისში, სალორიის ტყეში მზით განათებულ მდელოზე შეიკრიბნენ იმისათვის, რომ აღენიშნათ XX საუკუნის დაწყება“*.

XX საუკუნემ საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების ცხოვრების ყველა სფეროსათუ დარგში, მათ შორის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაშიც, სოციალისტური იდეები შემოიჭრა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის ევროპაში ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები საქართველოში ძირითადად ევროპაში განათლებამიღებულ ქალებს შემოჰქონდათ. იმ ქალებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრებისა და ბრძოლის მთავარ მიზანს ქალთა ემანსიპაციაში ხედავდნენ. სწორედ ეს ახალი გამოწვევებია ასახული იმერეთში გამოძვალა პრესის ფურცლებზე.

XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში გამომავალი გაზეთები გამოირჩეოდნენ თავისი სიმრავლითა და თემატიკის მრავალფეროვნებით. ახალი საუკუნის დასაწყისში, 1907 წელს, პირველად ქუთაისში ყოველკვირეული გაზეთი „გრდემლი“ გამოდიოდა.

ბუნებრივია, სკოლაც მშრომელ ხალხთან ერთად იღებდა მონაწილეობას საერთო პრობლემის გადაწყვეტაში: *„დადგა თუ არა 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ღირს შესანიშნავი დღეები და შეიქმნა გაცხარებული მუშაობა სკოლების რეორგანიზაციის შესახებ. აქ შესდგა კომისია სამოსწავლო საგნების შესამუშავებლათ. იქ სკოლების ავტონომიის საკითხს სწვეტდენ, აქ პოლიტიკანობასა და რუსიფიკაციის აკვეცდენ ფრთებს, იქ საფუძველს უყრიდენ დედა-ენაზე საგნების სწავლებას“* („გრდემლი“, 1907: 4).

1911-1913 წლებში ქუთაისში გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი „კოლხიდა“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ ა. ჭუმბაძე. „კოლხიდას“ გამოსვლისთანავე ფართო დისკუსია გაიმართა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებშიც ჩართული იყვნენ ქუთაისში მოღვაწე მწერლები და საზოგადოების თვალსაჩი-

ნო წარმომადგენლები.

გაზეთში გაშუქებული წერილები, რომელთა ავტორებიც მამაკაცები არიან, გამოირჩევიან თავიანთი რადიკალურობით და ისინი სქესთა შორის არსებულ უთანასწორობას დისკრიმინაციული მსჯელობებით კიდევ უფრო ამძაფრებენ. ისინი ქალებს უწუნებენ ენის არცოდნას, რაც რუსოფილობის გავლენის შედეგი იყო. მათ შეხედულებას ბევრი მომხრეც ჰყავდა და ბევრი მოწინააღმდეგეც.

მშობლიური ენის სტატუსის შესუსტების მიზეზი გახლდათ რუსეთის იპერიალისტური ზრახვები, რომ იმპერიაში შემავალი ერებისთვის მშობლიური ენა აღმოეფხვრათ არა მარტო სკოლაში, სასწავლო პროცესიდან, არამედ ოჯახშიც. რასაკვირველია, აღნიშნული ფაქტი დიდ ზეგავლენას ახდენდა ახალგაზრდა ქალთა ცნობიერებაზე, რადგან ზოგიერთ ავტორთა აზრით, ქალები ბუნებით უფრო ლმობიერები არიან და სკოლაში არსებულ რეჟიმს სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ. მსგავსი კრიტიკიდან დაზღვეულნი არც მამაკაცები იყვნენ. ისიც ცნობილია, რომ დავით კლდიაშვილმა პირველი მისი ნაწარმოები რუსულ ენაზე დაწერა.

საერთოდ, მშობლიური ენისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების სათავე, როგორც გაზეთში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილშია აღნიშნული, განათლების მიღების პრობლემაში უნდა ვეძებოთ: „ქალთა განათლების საკითხი ძალზე უნუგეშო მდგომარეობაშია. ამ საკითხის გარკვევას, მის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას, ქართველი ერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

*„დღეს თუ ოჯახი არ გვივარგა და ოჯახში ქართული ენა დევნას განიცდის, ამის ბრალი უმთავრესათ იმ „კარტველ კალებს“ მიუძღვის, რომელთაც განათლება დღეს ჩვენში არსებული შკოლებისაგან მიუღიათ.*

*თანამედროვე ქალებს დღეს რომ სამშობლოს სიყვარული მოთხოვო, ძალზე უსამართლობა იქნება. ისინი როგორც აუზრდიათ, სწორეთ ისეთნი არიან.*

*მათში 9-10 წლის განმავლობაში სთესდენ ყოველივე მშობლიუ-*

რისადმი მძულვარებას, ცდილობდენ, რომ მათგან ამოეფხვრათ ნაციონალური გრძნობა. ამ მიზნის მისაღწევათ შკოლის ბატონ-პატრონნი სდევნიდენ და ავიწროებდენ სამშობლო ენას შკოლებში, უკრძალავდენ სამშობლო ენაზე ლაპარაკს ოჯახსა და საზოგადოებაში, ჩასჩიჩინებდენ გამუდმებით უცხო ენის სწავლის სარგებლობას.

შკოლის ბატონ-პატრონებს ამგვარი პოლიტიკის გატარებაში მხარს უჭერდა და ახლაც ეხმარებათ ოჯახი. ოჯახი ამგვარი მოქმედებით სჭრიდა სწორედ იმ ხის ტოტს, რომელზედაც თვითონ ზის“ („კოლხიდა“, 1911, #220).

ამ დისკურსიაში მკაცრი კრიტიკით გამოირჩეოდა ქუთაისის თავად-აზნაურთა გიმნაზიის დირექტორის მოადგილე და ქართული ენის მასწავლებელი სილოვან ხუნდაძე. გაზეთის ფურცლებზე „კარტველი კალის“ სათაურის ქვეშ სილოვან ხუნდაძე ამათრახებდა ქართველ ქალებს და მათ უწინდელ დედათა სამაგალითო საქციელისკენ მოუწოდებდა: „სატირა, იუმორი, სარკაზმი და საზოგადოთ დაცინვითი კილო მწერლობაში სილოვანის მოგონილი არ არის - და ისეთ გონება დახშულთა და ფუქსავატ არსებათათვის, როგორც დღევანდელი ქართველი ქალების უმრავლესობაა, სილოვანის წერილის კილო სრულიად სამართლიანი და მნიშვნელოვანი გახლდათ, სამართლიანი - რადგან ფუქსავატი ყოფაქცევა მხოლოდ დაცინვის ღირსია, და მნიშვნელოვანი - რადგან ბნელ - გონებიანი ადამიანი მხოლოდ საგრძნობელი ჩხვლეტით შეიძლება გამოვალვიძოთ“ („კოლხიდა“, 1911, #82).

გაზეთის მომდევნო ნომერში კი ვკითხულობთ: „ენის მხრითაც, უკაცრავათ, ქალებო, ნუ გავჯავრდებით - და ვიცნობ უმეტესობას ჩვენს აქაურ ქართველ ქალებს, მათის ქართულის ცოდნას, მათი წერის უნარს... დამწერი ქართველი ქალი თითებზე ჩამოსათვლელია, და რომელიც არის, მოაწერდა თავის საკუთარ სახელს ან და დარბაისელი - სამართლიანი სულაც არაფერს დასწერდა, რადგან მართლაც საპასუხო არაფერი იყო. უნდა გვესმინა და შეგვესმინა, ვინც „კარტველებად“ ვგრძნობდით თავს.

თუ გაუჩუმდება ქართველი ქალი სილოვანის შენიშვნას, ეს იმის ნიშანია, რომ მისი შენიშვნა არის სამართლიანი და იგი ეხება იმ ქალების ნაწილს, რომელსაც სილოვანმა „კარტველი კალები“ უწოდა. სილოვანის წერილი საყოველთაოდ ქართველ ქალებზე რომ დაწერილიყო, მაშინ, აუცილებლად ვიტყვით, დავწერდით და ვუკიყინებდით ავტორს „შემცთარი აზრისათვის“. ყველა ქალი არ „გაკარტველებულა“ უმრავლესობა საქართველოში ჯერ ქართველობს და თუ რამდენიმე „გაკარტველდა“ - ეს ნუ შეგაშინებთ, ბატონო სილოვან“ („კოლხიდა“, 1911, #83).

სილოვან ხუნდაძე და სხვა ავტორებიც გამართულ ქართულად მეტყველების უცოდინარობასთან ერთად, ქართველ ქალებს ჩაცმულობის გამოც აკრიტიკებდნენ, არ მოსწონდათ შარვლები, შლიაპები, ღრმად ამოჭრილი კაბები მაშინ, როცა თავად ეროვნული სამოსის გარდა სამოქალაქო ტანსაცმელსაც ატარებდნენ.

ცნობილია, რომ თავდაპირველად საგანმანათლებლო მართონში აქტიურად ჩაებნენ ქალები და მათ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა მასწავლებლობით დაიწყეს. იმ დროისათვის, როცა ქართული თეატრი ფეხს იდგამდა, იგი ქალებისაგან მხარდაჭერასაც მოითხოვდა.

ქართული სასცენო ხელოვნების უმაღლეს მწვერვალზე მიღწევაში ფასდაუდებელი იყო ქალი მსახიობების როლი, სადაც ფემინისტური პროცესები, ფართო წინააღმდეგობის მიუხედავად ჯანსაღ გარემოში ვითარდებოდა, ფრთებს ისხამდა და მასში უკვე მკვეთრად შეინიშნებოდა გენდერული პროცესების ნიშნები.

„ქართული თეატრი დიდი სკოლაა ქართველებისათვის. ჩვენს ყოფაში უაღრესად მნიშვნელობის გახდა იგი. როცა მეფის რუსეთის პოლიტიკა მწვავედ შეიჭრა სკოლაში და ქართულ ენას განზე ცქერა დაუწყეს, აბუჩად აიგდეს და სასწავლებლიდან თითქმის განდევნეს იგი. ამ ენის სარალოდ ასპარეზად და საუნჯედ ქართული თეატრი შეიქმნა. სკოლიდან ექსორიაქმნილმა ქართულმა ენამ ბინა თეატრში მოიძია,“ - ჟურნალისტ დავით მესხის ეს სიტყვები დიდ სამოცი-

ნელთა მოღვაწეობის მთავარი პოსტულატი გახლდათ (მარჯანიშვილი 2010: 64).

ასევე აღსანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქალთა ორგანიზაციების ჩამოყალიბება საქართველოში. ამ მხრივ ნიშანდობლივია გაზეთ „კოლხიდას“ 1913 წლის ნომრები, რომლებშიც უხვადაა გადმოცემული ინფორმაციები ქუთაისში ქალთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და დანიშნულებაზე: „აღბათ, ბევრს ემახსოვრება, რომ ქუთაისში ოფიციალურად ორ თუ სამ ოჯახში ცნობილი ქალბატონები მცირე წრეებში იკრიბებოდნენ და ქალთა უფლებებზე საუბრობდნენ. მათ კრებებზე ხშირად გვინახავს თვალსაჩინო მოღვაწეები: აკაკი და გიორგი წერეთლები, გიორგი ზდანოვიჩი, კ. ლორთქიფანიძე, ალ. ჭიჭინაძე, ა. ჭყონია და სხვა მრავალი ინტელიგენტი“ („კოლხიდა“, 1912, #71).

ქალები იკრიბებოდნენ ყოველ პარასკევობით და ისმენდნენ რეფერატებს, რომლის შემდეგ იმართებოდა კამათი. ქალები ეცნობოდნენ უმთავრესად საქართველოს წარსულს, ისტორიას, ქართულ ლიტერატურას და ქალთა საკითხს.

*ამ საზოგადოებამ დააახლოვა, გააცნო და შეაერთა დაბნეულ-დაქსაქსული ქუთაისში მყოფი ქართველი ქალები, მისცა მათ საერთო მიზანი, გაულვიდა სოლიდარობის ალლო და აღძრა მათში სწავლის, შეგნების, თვითმოქმედების და საზოგადო მოღვაწეობის სურვილი. წესდების ძალით ქალთა საზოგადოების მიზანია, გაავრცელოს განათლება დასავლეთ საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ ქალთა შორის და საჭირო შემთხვევაში დაეხმაროს მათ ნივთიერათ.*

*საზოგადოების მოქმედება გამოიხატება შემდეგით: ქალთა საზოგადოება აარსებს შკოლებს, კურსებს, წიგნსაცავებს, სამკითხველოებს, კლუბებს, ბეჭდავს წიგნებს, მართავს ლექციებს და რეფერატებს, აგრეთვე არტელებს და დამხმარებელ კლასებს. ქუთაისის ქალთა საზოგადოების მიზანძვით უკვე დაარსდა და არსდება 12-მდი ქალთა საზოგადოება დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მაგალითად: ხონში, ფოთში, ბათომში, ოზურგეთში და სხვა.*

*ქუთაისის ქალთა საზოგადოება დასავლეთ საქართველოში პირველი პიონერია ამ დიადი მოძრაობის. იგი ცდილობს დღეს სხვადასხვა პრაქტიკულ დარგებშიც გამოიჩინოს თავის უნარი და საქმიანობა. ჩვენ, მამაკაცები, ზნეობრივად ვალდებული ვართ ხელი შევუწყოთ და ყოველმხრივი დახმარება აღმოვუჩინოთ ამ ნორჩსა და ფრიად სიმპატიურ საზოგადოებას“ („კოლხიდა“, 1913, #40).*

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დილა“ 1912-1913 წლებში გამოდიოდა ქუთაისში. მისი რედაქტორ-გამომცემელი ი. რუხაძე გახლდათ. გაზეთი თემატურად მრავალფეროვანი იყო. მის ფურცლებზე ვხვდებით ინფორმაციებს, ქრონიკებს და სტატიებს, რომელთა უმრავლესობა უცხოეთის ამბებზე მოგვითხრობს. მათ შორის ფართო ადგილი უჭირავს რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ თუ სხვადასხვა ყოფის ამსახველ ახალ ამბებს.

XX საუკუნე საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებებით დაიწყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების მხრივ.

„ქალები წარსულიდან - მაგალითია მომავლისათვის“ - ამ რუბრიკის ქვეშ შეიძლება გავაერთიანოთ სხვადასხვა ეპოქაში ქუთაისში მოღვაწე ქალები. ამ მხრივ გამოირჩეოდა გაზეთი „იმერეთი“. მის ფურცლებზე 1913 წლიდან თითქმის ყოველ მეორე ნომერში იბეჭდებოდა სტატიები, რომელიც საზოგადოებას აწვდიდა სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციას. ამ კორესპონდენციებიდან მნიშვნელოვანია: „ქალთა წრე“ (8 თებერვლის კრება); „ქალთა წრეში“ (15 თებერვლის კრება); „ქუთაისის ქალთა საზოგადოება“; „ქალთა ინტერნაციონალური კონგრესი პარიზში“; „მუშათა, ქალთა და ეროვნული საკითხი“; „ქალთა საზოგადოება“; „ქუთაისელ ქალებს“ და სხვა.

ყურადსაღებია XX საუკუნის 10-იან წლებში ქუთაისში გამოშვებული კიდევ ერთი გაზეთი „სიტყვა“, რომელიც 1913 წლიდან იბეჭდებოდა.

*„ქალების განათლება“ ჯერ კიდევ პრობლემურ საკითხად რჩე-*

ბოდა საქართველოში. განათლების სამინისტრო მოკლე ხანში დაამთავრებს საქალბო გიმნაზიების კანონპროექტის შემუშავებას. პროექტის თანახმად, საქალბო გიმნაზიების კურსი უნდა გაუთანასწორდეს სავაჟო გიმნაზიების კურსს და უნდა შემოიღონ ლათინური და ერთი უცხო ენის შესწავლა.“

კატო მიქელაძე თავის გამოსვლებში ყოველთვის ხაზს უსვამდა ქალის, როგორც მოქალაქის უფლებებს, მათ შორის განათლების საკითხებს: „ჩვენ ხშირად გვესმის ქალის „დანიშნულებაზე“ და მის უფლებებზე, ვითომც ისინი გამოყოფილი უნდა იყოს კაცის უფლებათა და დანიშნულებისაგან... უაზრობაა და უსამართლობაა ვიფიქროთ, რომ ვითომც ქალებს არ ჰქონდეთ რაიმე დამოკიდებულება ცოდნის უმაღლეს ფორმებთან, რომელნიც ზრდის და აწვითარებს კაცობრიობას ზნეობრივად და სულიერად. მითუმეტეს მძიმე ბოროტებაა, თუ მამაკაცები ფიქრობენ, რომ ქალი მხოლოდ მონურად უნდა ემორჩილებოდეს მას და მისი მოქმედება ისაზღვრებოდეს ოჯახური ცხოვრებით“ („ხმა ქართველი ქალისა“, 1917, #5).

კატო მიქელაძის ლექციები ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა: „ქალებზე უფრო დაჩაგრული დედამიწაზე არავინ არ ყოფილა და ქალებივით ხანგრძლივად არავინ არ დაუჩაგრავს მამაკაცთა მიერ გამოწვეულ უსამართლობასა და ძალმომრებას. დიახ, მამაკაცისა მიერ, რადგან მთელი ისტორია არის ისტორია მამაკაცებისა: მათი ომებისა და რევოლუციისა, მათი შუღლისა და ამბოხებისა, სადაც მდებარეობითი სქესი პოლიტიკურ და მოქალაქურ ცხოვრებაში უკანასკნელ ხანამდე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა... ასე ძალმომრეობას და დედაკაცების დაბეჩავებას ისე შეეჩვივნენ სხვადასხვა წრისა და წოდების მამაკაცთა უმრავლესობა, რომ დღესაც მათთვის სადაო ხდება, იცნონ თუ არა ქალები ადამიანური უფლებების ღირსად?“ („ხმა ქართველი ქალისა“, 1917, #17-31).

აქტივისტი ქალები დიდ იმედებს ამყარებდნენ ქუთაისში დაარსებულ საზოგადოების მუშაობაზე: „იმედი მქონდა, ერთი წლის



*წრის არსებობა სასურველ ნაყოფს მოიტანდა, გაულვიძებდა ქუთაისელ ქალებს სიყვარულს საზოგადო საქმისადმი, სიხარულით გულს აუძგერებდა მათი მომავლის გაუმჯობესების წინაგრძნობით, ძალას გაუასკვეცებდა და ფრთებს შეასხამდა თვით შეგნების სურვილს“ („იმერეთი“, 1913, #168).*

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის იმერეთში ჩამოყალიბებული ქალთა წრეები მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდნენ. ეს გახლდათ ქველმოქმედება, სკოლებისა და გიმნაზიების გახსნა, საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ეს მაშინ, როცა ქალთა წრის წევრი ქალები ჯერ კიდევ შორს იდგნენ პოლიტიკური ცხოვრებისგან.

ყურადსაღებია XX საუკუნის 10-იან წლებში ქუთაისში გამოძვალვი კიდევ ერთი გაზეთი — „სიტყვა“, რომელიც 1913 წლიდან იბეჭდებოდა.

*ახალი კანონპროექტის დამტკიცება თვალსაჩინო რეფორმებთან იქნება დაკავშირებული, კერძოდ, „ამ ახალი საქალებო გიმნაზიების კურს-დამთავრებულთ უფლება მიეცემა უნივერსიტეტში შესვლისა და საერთოდ უფლებრივათ ვაჟ-გიმნაზიელებს გაუთანასწორდებიან. საქალებო გიმნაზიის მასწავლებელთ ისეთივე უფლებები მიენიჭება, რითაც სავაჟო გიმნაზიების მასწავლებლები სარგებლობენ“ („სიტყვა“, 1913, #17).*

XX საუკუნის დასაწყისში, მიუხედავად დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და კულტურული ცვლილებებისა, მაინც პრობლემურ საკითხად რჩებოდა საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის ძალითაც ქალები საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდნენ. ისინი სწავლობდნენ და ასწავლიდნენ. დიდმა 60-იანელებმა იმთავითვე ჩართეს ქალები საგანმანათლებლო მოღვაწეობაში, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობაში მათ ლომის წილი ედოთ.

10-იან წლებში ქუთაისში შეიქმნა ქართველთა შორის წერა--კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება.

1913 წელს ამ განყოფილების წევრად ჩაეწერნენ როგორც მამაკაცები, ასევე თავადაზნაურთა წარმომადგენელი ქალბატონებიც: „თავ. მიხაკო ერისთავი, ვერა ერისთავის ასული, კ-ნ. ნინო ტარიელის ასული დადიანისა, თავ. ჯვეშე დადიანი, თ. მუშნი დადიანი, გრამიტონ სარჯველაძე, ირაკლი ჭყონია, მიხეილ ანთაძე... გამგეობის წევრი ქალებიდან უნდა გამოვყოთ: მარიამ გიორგობიანის ასული, ნინო ლომინაძის ასული, ევგენია დავითის ასული მიქელაძის, ქალ. რუხაძისა, თამარ მაჭავარიანის ასული, ვარინკა ბოკუჩავას ასული“ („იმერეთი“, 1914, #6).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისელი ქალები არამარტო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრები გახლდნენ, არამედ ქუთაისში უკვე არსებობდა ქალთა სახელობის გიმნაზიები და პროგიმნაზიები, სადაც თავად ქალები იყვნენ სასწავლებლების ხელმძღვანელები.

XX საუკუნის 10-იან წლებში ქუთაისში უკვე არსებობდა: „მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზია“, „ელისაბედ პავლეს ასულის ხოჯევანიშვილის კერძო პროგიმნაზია“, „წმინდა ნინოს სასწავლებელი“, „ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელი“, „ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი“, „ნინო ხოჭოლავას მესამე ხარისხის სკოლა“, „ქალთა წრის მესამე ხარისხის სასწავლებელი“, „ნინო ლაფერაშვილის მესამე ხარისხის სასწავლებელი“, რომლებსაც ათეულობით ქალი ამთავრებდა.

*„ამ წლის 1 სექტემბრიდან ქუთაისში იხსნება სამი მესამე ხარისხის სასწავლებელი. პირველს ხსნის ქალთა წრე, მეორეს ნინო ლაფერაშვილისა და მესამეს ნინო ხოჭოლავასი“* (იმერეთი“, 1914, #142).

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქუთაისში გამომავალი გაზეთები: „შრომა“, „მწყემსი“, „მეურნე“, „ცდა“, „აკაკის თვითური კრებული“ ცხადყოფენ, რომ ქალებმა შეძლეს გადაელახათ ფეოდალურ-პატრიარქალური შეხედულებები და მოეპოვებინათ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში.

ისინი ებმებიან რუსიფიკაციის საწინააღმდეგო მოძრაობაში,

რომელიც საგანმანათლებლო კამპანიის სახით ფორმდება. 1879 წელს ჩამოყალიბებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იყო ქალების, როგორც სოციალური ჯგუფის აქტივობის ნიმუში.

ამ პერიოდში იმერეთში მოღვაწე შემოქმედი ქალები უფრო შორს წავიდნენ და ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“ ჩამოაყალიბეს, რომლის პირველი რედაქტორი გახლდათ ეკატერინე ლორთქიფანიძე.

ჟურნალი წარმოადგენდა პირველ ბეჭდურ გამოცემას, სადაც იბეჭდებოდა როგორც მამაკაც, ასევე ქალ ავტორთა უცხო ენებიდან ნათარგმნი ბელეტრისტიკული ნაწარმოებები.

ამასთანავე, აქტიურად იმართებოდა პოლემიკა „დედათა კითხვაზე“, განხილვა ქალის როლისა და დანიშნულების შესახებ, ტრადიციული შეხედულებების გადასინჯვა, თანასწორობის იდეის ევროპული ისტორიის გაცნობა და ქალთა ჯგუფებს შორის სოლიდარობის გაძლიერება, რომელსაც უპირველესად განაპირობებდა იმერეთში გამომავალ გაზეთებში დეპეშების სახით შემოსული მსოფლიოს ამბების გამოქვეყნება, მცირე სტატიების, საინფორმაციო და სარეკლამო განცხადებების, თარგმანების, კრიტიკული თუ ანალიტიკური პუბლიკაციების სახით.

XX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან კი ქუთაისის პრესა უფრო მრავალფეროვანი და მრავალმხრივი გახდა, რაც სოციალ-დემოკრატიის იდეის გამოჩენას უკავშირდება, რომლის სამიზნესაც სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის იდეები წარმოადგენდა და ამიტომ ყველაზე აქტუალურად ქალის სამოქალაქო უფლებები გამოიკვეთა. ეს პერიოდი ქალთა მოძრაობის მეორე ტალღის დასაწყის წარმოადგენდა.

ამ პერიოდის გაზეთებში — „ცხოვრება“ 1912, „იმერეთი“ 1913, „განთიადი“ 1913, „სიტყვა“ 1913, „თანამედროვე ქვეყანა“ 1913, „აზრი“ 1914, „იმერეთი“ 1914, „ახალი ივერია“ 1914, „ახალი კვალი“ 1915-1916, „სამშობლო“ 1917, „ჩვენი ქვეყანა“ 1917-1918, „ხმა ქართვე-

ლი ქალისა“ 1917-1918 — ქალთა უფლებებზე არაერთი სტატია გვხვდება.

XX საუკუნის 10-20-იან წლების იმერეთის პრესაში განსაკუთრებით მრავლადაა ქალთა განათლებასთან დაკავშირებული სტატია. კერძოდ, პუბლიკაციები საქართველოში მოქმედი კერძო თუ სახელმწიფო საქალეო სკოლების შესახებ, ამ სკოლების დამაარსებლების, მმართველების, სკოლის პროგრამების, კურსდამთავრებულების, საპატიო სტუმრების, ჩატარებული ღონისძიებების, სტიპენდიებისა თუ ამავე სკოლებში არსებული პრობლემების შესახებ.

*„მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, ქართული ენის საქმეც რიგიანად მოეწყო ამ სასწავლებელში. ამ განახლებულ ცხოვრებისაგან ეს სასწავლებელი დიდ იმედებს მოელის. აწი მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წმინდა სასწავლებელი პირდაპირ ეროვნულ ქართულ სასწავლებლად გადაიქცევა“* („ჩვენი ქვეყანა“, 1917, #101).

პრესის ფურცლებზე ვხვდებით ინფორმაციებს იმერეთის სხვადასხვა რაიონში არსებული საქალეო სკოლების შესახებ.

*„ფრიად სიმპათიური და სასარგებლო დაწესებულებაა, ეგრეთ წოდებული ქალთა სახელოსნო სასწავლებელი. ასეთი სასწავლებლები განათლებულ ქვეყნებში ფრიად ხშირია, ხოლო ჩვენში კი იშვიათი მოვლენაა. ქუთაისის ქალთა წრემ, მიუხედავად მისი შედარებით ცოტა ხნის არსებობისა, შესძლო ასეთი დიადი საქმის დაწყება. ხუთშაბათს, დღით 12 საათზედ, როგორც გამოცხადებული იყო გაზეთებში აკურთხეს ეს სასწავლებელი“* („ახალი ივერია“ 1914, #5).

XX საუკუნის 10-20-იან წლებში ქუთაისში გამომავალ გაზეთებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „ხმა ქართველი ქალისა“ 1917-1918. ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი. ქუთაისი. რედ. კატო მიქელაძე; გამომცემელი: ქუთაისის ქალთა კლუბი.

პირველმა ქართველმა ფემინისტმა კატო მიქელაძემ ქალთა პოლიტიკური გააქტიურებისათვის კონკრეტული ნაბიჯი გადადგა, როცა ქუთაისში დააარსა „ქალთა კლუბი“. მალე იგი „ქალთა საერთო

პოლიტიკურ კლუბად”, ხოლო მოგვიანებით „ინტერპარტიულ ლიგად” გადაკეთდა.

XX საუკუნის 10-იანი წლებისა და 20-იანი წლების დასაწყისში მთელ საბჭოეთში პოლიტიკური გარემოდან გამომდინარე აქცენტი გადარჩენაზე იყო და არა განვითარებაზე, განათლება ბევრი ქალისთვის არ იყო ხელმისაწვდომი და ქალთა მობილიზაციისათვის შანსებიც მცირდებოდა, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებდა იმდროინდელ პრესაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ყოველკვირეული თუ ყოველდღიური პოლიტიკური, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთის სიმრავლით ქუთაისი განსაკუთრებით გამოირჩეოდა. ამ წლებში გამოდიოდა შემდეგი გაზეთები: „ჩვენი ქვეყანა“, „ხმა ქართველი ქალისა“, „ხალხის მეგობარი“, „სოციალისტ-რევოლუციონერი“, „მესამე ინტერნაციონალი“, „სოციალ-დემოკრატი“, „ჩვენი ბრძოლა“, „ხმა ებრაელისა“, „რევოლუციონური ნობათი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „შევარდენი“, „ქუთაისი“, „ერი“.

არანაკლებ იბეჭდებოდა ჟურნალებიც: „უქიმერიონი“, „პოეზიის დღე“, „განათლების მოამბე“, „კოლხეთი“, „პროლეტარული მწერლობა“, „წითელი აფრა“. ამ ჟურნალებიდან ზოგიერთი მათგანის მხოლოდ თითო-ოროლა ნომერი გამოვიდა.

ქალთა თანაბარ და თანასწორუფლებიანობის ბრძოლის შესახებ, აქ საგანგებოთ კიდევ ერთხელ უნდა დავიმოწმოთ ისტორიული რარიტეტები, რადგან საბოლოოდ ჩამოვაყალიბოთ ბრძოლის ის დიდი გზა, რომელიც ქალთა უფლებებისათვის მოძრაობით ჯერ ევროპაში დაიწყო, შემდეგ ამერიკაში და საბოლოოდ საქართველოშიც გადმოინაცვლა.

XIX საუკუნის საქართველოში ქალებმა შეძლეს გადაელახათ ფეოდალურ-პატრიარქალური შეხედულებები და მოეპოვებიათ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში. ქალთა მოძრაობას საფუძვლად დაედო საგანმანათლებლო კამპანია 1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახით, რომელიც

ქართველი ქალების, როგორც სოციალური ჯგუფის, პროვოკატორი გახდა. სწორედ ამ ჯგუფის მეცადინეობით შესაძლებელი გახდა ქალებისათვის განათლების უფლების მოპოვება. მან თავისთავად ნიადაგი მოამზადა ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან არ დარჩენილა არც ერთი პერიოდული გამოცემა, რომელშიც არ გამართულიყო პოლემიკა „დედათა კითხვაზე“. თავისუფლების, თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობისათვის ბრძოლაში ქალებმა მიზანმიმართულად გამოიყენეს იმერეთში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები.

ჩვენ მიერ დამოწმებულმა ჟურნალ-გაზეთებმა: „შრომა“, „მწყემსი“, „ქართული ბიბლიოთეკა“, „ცდა“, „აკაკის თვითური კრებული“ და XX საუკუნის 10-20-იანი წლების შემდეგმა გამოცემებმა: „გრდემლი“, „ცისკარი“, „შინაური საქმეები“, „კოლხიდა“, „დილა“, „სასოფლო გაზეთი“, „სიმართლის ხმა“, „ცხოვრება“, „იმერეთი“, „თანამედროვე ქვეყანა“, „განთიადი“, „სიტყვა“, „აზრი“, „ხმა ქართველი ქალისა“, „ახალი ივერია“, „სამშობლო“, „ახალი კვალი“, „ჩვენი ქვეყანა“, „ერი“, „სამშობლო“, „მუშა და გლეხი“, „წითელი ვარსკვლავი“ — საბოლოოდ ცხადყვეს, თუ რა დიდი როლი ითამაშა პრესამ ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა და მათ მიერ ეკონომიკური ბერკეტების დაუფლების საქმეში.

ძველის ნგრევისა და ახალი ურთიერთობის ე.ი. გენდერული თანასწორობის დამყარებისათვის ქალები იზიარებდნენ იმ სამოქმედო პროგრამებს, რომლებიც ევროპისა და ამერიკელი ფემინისტების გამოცდილებას ემყარებოდა.

ამას ზედ ერთვოდა XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქალთა ბრძოლის მაგალითები რუსეთის ცხოვრებდან და იქ მიმდინარე სოციალისტური იდეებისათვის ბრძოლის მრავალმხრივი მოვლენები. იმერეთში გამომავალი გაზეთებიდან განსაკუთრებით „ჩვენი ქვეყანა“, „ერი“, „მუშა და გლეხი“, „წითელი ვარსკვლავი“ გაჟღერებული იყო ბოლშევიკური იდეების დემონსტრირებითა და სოციალ-დემოკრატიულ ქალების აქტივობებით, რომლებიც ხსნას თანასწორობისა

და თანაბარუფლებიანობის განხორციელებასა და საბჭოურ იდეოლოგიაში ხედავდნენ. ტრაგედია კი ის იყო, რომ პარტია თავს კვლავ ადრეული სოციალისტური ხედვების გამგრძელებლად და მემკვიდრედ მიიჩნევდა მაშინ, როცა მთავრობის ქალთა ემანსიპაციის ცარიელ რიტორიკას თან ახლდა სწორხაზოვანი პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ ქალთა შრომის გამოყენებით შემოისაზღვრებოდა. ასე რომ, საბჭოთა ხელისუფლებამ დაივიწყა საშინაო საქმეების სოციალიზაციის — საზოგადოების სფეროში გადატანის, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორი ურთიერთობის დამყარების დაპირებები.

„ყველაზე ტრაგიკული კი მაინც ის იყო, რომ საბჭოთა ქალების შემდგომ თაობებს, რომლებიც მოწყვეტილი აღმოჩნდნენ რევოლუციის ადრეული წლების იდეებისაგან, ცრუ ემანსიპაციის პირობებში მოუხდათ ცხოვრება, რაც სინამდვილეში ადრეული სოციალისტური ხედვის დამახინჯებული და განუხორციელებელი ჩანაფიქრი გახლდათ“ (საბედაშვილი 2006: 30).

იმერეთის პრესა აძლევდა ქალებს საშუალებას ფართო დისკურსისა და გენდერული პროცესების განსავითარებლად. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ სწორედ იმერეთში გამომავალი პრესის საშუალებით ქალებმა დაარსეს „ქალთა კლუბები“ და „საქველმოქმედო ორგანიზაციები“. პირველად ქუთაისში ქალების ინიციატივითა და რედაქტორობით დაარსდა ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“, ხოლო 1917 წელს — გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 80-90-იანი წლებისა და XX საუკუნის 10-20-იანი წლების ყველა ის ძირითადი ტენდენცია, რაც ამ პერიოდებში ვლინდება, შემდეგია:

1. ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობის საკითხი;
2. ქალთა განათლების საკითხი;
3. სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში ქართულის სწავლების საკითხი;
4. ე. წ. „მუნჯური მეთოდის“ საკითხი;
5. სხვა ეროვნების წარმომადგენლებისთვის სწავლების ენის გარკვევის საკითხი.

## გამოყენებული წყაროები

- გაზეთი „შრომა“, 1881, #4  
გაზეთი „შრომა“, 1882, #5  
გაზეთი „შრომა“, 1883, #6  
ჟურნალი „მწყემსი“, 1885, #12  
ჟურნალი „მწყემსი“, 1885, #18  
გაზეთი „გრდემლი“, 1907, #2  
გაზეთი „კოლხიდა“, 1911, #82  
გაზეთი „კოლხიდა“, 1911, #83  
გაზეთი „კოლხიდა“, 1912, #71  
გაზეთი „კოლხიდა“, 1913, #40  
გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, #5  
გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, #17-31  
გაზეთი „იმერეთი“, 1913, #168  
გაზეთი „იმერეთი“, 1914, #6  
გაზეთი „იმერეთი“, 1914, #142  
გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1917, #101  
გაზეთი „სიტყვა“, 1913, #17  
გაზეთი „ახალი ივერია“, 1914, #5  
ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“, 1883, #1  
ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „აკაკის თვიური კრებუ-  
ლი“, 1899, #3.

## გამოყენებული ლიტერატურა

**მარჯანიშვილი 2008** — მ. მარჯანიშვილი, ფემინიზმი და პოლიტიკოსი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქუთაისი.

**მარჯანიშვილი 2011** — მ. მარჯანიშვილი, მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი, თბილისი.

**მელაშვილი 2013** — თ. მელაშვილი, კატო მიქელაძე, ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, თბილისი.



**საბედაშვილი 2006** — თ. საბედაშვილი, ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები, თბილისი.

**ფირცხალავა 1903** — ს. ფირცხალავა, ნაწერები სერგეი მესხისა, ტ. I. თბილისი.

„ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ“, თბილისი, 2001.

**ჩიხლაძე 1947** — ნ. ჩიხლაძე, ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები, თბილისი.

**ჭავჭავაძე 1987** — ილია ჭავჭავაძე, პუბლიცისტური წერილები“, ტ. IV. თბილისი.

**ჯერვალიძე 2012** — ც. ჯერვალიძე, პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით, წიგნი მეორე, თბილისი.

# საილუსტრაციო მასალა

### სასოფლო შკოლების მასწავლებელთა კრებაზედ

„სასოფლო შკოლები ვერ აკმაყოფილებენ ხალხის მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია მზვავსი შკოლების შემცირების სურვილი. ბუნებრივია, სკოლებში სათანადო სწავლა-განათლება რომ იყოს, მაშინ ხალხიც გულგრილი არ იქნებოდა მათდამი. საწყალი მშობლები ძაღლონეს არ ზოგავს და ლუკმას შუაზედ ყოფს, რათა შეიღებს ასწავლონ, მაგრამ ეს სასწავლებლები ვერ იმსახურებენ ნდობას სხვადასხვა მიზეზთა გამო. ნაყოფის მოტანის მაგიერათ ამ შკოლისადმი ხალხის გულგრილობის მიზეზი შეიქმნა. მართალია, სასოფლო შკოლებს ყოველგან ნაკლულოვანება აქვს, მაგრამ ჩვენი შკოლების მზვავს კაცი ვერსად ვერ იპოვის. ჯერ ერთი, რომ ჩვენში მასწავლებლები ძლიერ სუსტათ არიან მოძნადებულნი და მეორე, მასწავლებელსა და შავირდებსაც დიდ ძალი ღრო ეკარგებათ უცხო ენაზედ და ყოვლად უნაყოფოდ, მაშინ როდესაც შესაძლებელი იყო, ეს ძვირფასი ღრო იმისთანა საგნის სწავლისთვის მოეხმარათ, რაც ხალხში მიუცლებელს საჭიროებას შეადგენს. ერთი სიტყვით ჩვენს სასოფლო შკოლებში შემოდებული სისტემა მასწავლებელს უნაყოფ შრომას უმატებს, ხალხის თვალში მას ჯაფას და ცდას ამცირებს, შავირდებს კი უმიზნოთ ღაღავს და სწავლის ხალისს უკარგავს“.

„ხალხსა და საზოგადოებისათვის ბევრ საჭირობოროტო საკითხებს შორის უფრო მნიშვნელოვანია ახალი თაობის აღზრდა და მისი სწავლა. აქედან გამომდინარე ყურად საღებია საზოგადოების მოთხოვნილებისა და შეხედულების გათვალისწინება, რათა იგი თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილების შესაბამისად წარიმართოს. ჩვენს ღროში საზოგადოება

უფრო პროგრესიული გამოდის და უფრო მეტის სურვილს აცხადებს. დღეს ყოველი მხრიდან საჩივარი ისმის, რომ ლათინურმა და ბერძნულმა ენამ ნორჩი ახალ-გაზრდობა წელსში გაჰსწყვიტაო, რომ ამ ენებს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვსთ კაცის ცხოვრებაში. ეს ენები და უხეიროდ მათი სწავლება ხშირად ბევრს ახალგაზრდას აიძულებს მეორე, მესამე და მეოთხე კლასიდან გამოვიდნენ და საზოგადოების უსარგებლო და მავნებელი წევრები შეიქმნენ, რომ შკოლა აღზრდილისა და განათლებულის ყმაწვილების მაგიერ გაფუჭებულებს უბრუნებს საზოგადოებასო, და ეს საყვედური რჩება აქამოდღე ხმად ძღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

დღეს, თეორიულადაც და ზოგან პრაქტიკულადაც, პედაგოგებიც იმ აზრზე არიან, რომ აღმზრდელებსა და შავირდებს შორის კარგი განწყობილება უნდა სუფევდეს იმით, რომ აღმზრდელებს უყვარდეს მოწათყეები და ისინი პატივს სცემდნენ მათ. საერთოდ აღმზრდელი შავირდს დედამის მაგვირობას უნდა უწევდეს და ზრუნველობდეს მათ. სამწუხაროთ, ჩვენში სიყვარულის მაგვირათ შკოლებში ცემა-ტყეაა დამკვიდრებული. მამა-შვილურის დამოკიდებულების მაგიერ ჩვეულებად გარდაქცეულა წამ-და-უწუმ სასჯელი, ცემა-ტყეა, მუშტი, წიხლები, კაცის ღირსების დამამცირებელი ყვირილ-ჯღავილი და სხვა. ასეთი საქციელით მეგობრული ურთიერთობის მაგივრად ჩვენში მასწავლებელსა და შავირდს შორის დიდი უფსკრულია. ერთი მეორეს მეგლივით უყურებს. შავირდი, სამწუხაროდ, ჰფეიქრობს ვითომც აღმზრდელი და მასწავლებელი მისდა შესაწუნებლად და დამხავრელად იყოს დაყენებული. ეს და მზავსი ნაკლოვანებები დროულად არის ყურად საღები, რადგან საზოგადოება ცხვრების ფარა არაა და დამხმარე და ხელის შემწყობებია საჭირო, რათა პროგრესულმა აზრმა გაიმარჯვოს“.

### ქართველს ქალებს

„დიდი სჯაბაასი გაიმართა მწერლობასა, მეცნიერებასა და პუბლიცისტებს შორის იმ დროს, როდესაც ქალებმა გამოაცხადეს რომ ჩვენ მამაკაცებს არაფერში არ ჩამოვრჩებითო და ბუნებამ იმდენი ნიჭი მოგვცა, რომ სწავლა-განათლების მხრივ მათ ზე არანაკლებ აღვიღოს დავიჭერთ საზოგადოებაშიო და მივაღწევთ იმ წარმატებას, რაც მამაკაცებს მიუღწევიათო. ამასთან დაკავშირებით ბევრი სხვადასხვა ბაასი ჯერაც არ დასრულებულა, მაგრამ ვიდრე ეს ბაასი გაიმართებოდა ქალები დიდის ბეჯითობით და ენერჯით შეუდგნენ სწავლის საქმეს და მათი გონებისა და შრომის ნაყოფი საზოგადოებას უმტკიცებდა, რომ საფუძვლიანად ნასწავლი ქალი ისრე სასარგებლო რამ ყოფილა მისთვის, როგორც ნასწავლი მამაკაცი. ამის შემდეგ რასაკვირველია ქალებისათვის საკმარისი აღარ იყო მარტო წერა-კითხვის შესწავლა და საზოგადოებამ გამართა ქალების სასწავლებლად ინსტიტუტები, პროგიმნაზიები, გიმნაზიები. თავდაპირველად მათ შიშითა და კრძალვით გაუღეს მაღალი სასწავლებლის უნივერსიტეტის კარებიც, სადაც ქალები ერთმანეთს ეცილებოდნენ მწერლობაში, პედაგოგიაში, მხატვრობაში, მუსიკასა და ექიმობაში. ბევრი ამგვარი მაგალითები უმტკიცებს დღეს საზოგადოებას ქალების ნიჭიერებასა და ჭკუის ძალას, მაგრამ ნასწავლ ქალებს ყველა ზე უფრო დიდი სარგებლობა მაშინ მოაქვს, როდესაც ისინი პედაგოგობას კისრულობენ.

ჩვენის აზრით არც ერთი საქმე ისე არ შეჰფერის ნასწავლის ქალის დღევანდელს მდგომარეობასა ჩვენს საზოგადოებაში, არც ერთი საქმე ისე არ აშვენებს მის ქალობასა და არც ერთი საქმე ისე არ მოითხოვს მის დახმარებას, როგორც ყმაწვილების რიგიანად აღზრდა; და დიდად სასურველია, რომ ჩვენმა ქალებმა მიჰხადონ ევროპისა და ამერიკის განათლებულს ქალებს და დაეხმარონ საზოგადოებას ყმაწვილების აღზრდაში და სწავლებაში“.

### ქალები პედაგოგიურ სარბიელზე

„პედაგოგიაშიც, ესე იგი ყმაწვილების აღზრდაში და სწავლებაში, ქალებმა დიდი ნიჭი გამოიჩინეს და დიდი სარგებლობაც მოუტანეს საზოგადოებას... ნასწავლ ქალებს ყველაზე უფრო დიდი სარგებლობა საზოგადოებისათვის მაშინ მოაქვთ, როდესაც ისინი კისრულობენ პედაგოგიის ნაწილს, ესე იგი, ყმაწვილების აღზრდას“.

„საზოგადოდ გავრცელებული იყო აზრი, რომ ქართველი თავად-აზნაურობა საუკუნეების განმავლობაში განუწყვეტლად ებრძოდა ურიცხვ მტრებს მამულისა და სარწმუნოების დასაცველად. დღეს იმ ქვეყანაში, რომელიც კიდის-კიდემდე ძველის ქართველების სისხლითაა მორწყული მშვიდობიან ღროს უპირველეს მიზნად დაისახა გონებით სიბნელესთან ბრძოლა. ამ იმედით გაიხსნა ჯერ თბილისის, შემდეგ ქუთაისის თავად აზნაურთა გიმნაზიები. თბილისის გიმნაზიაში წარსულ ენკენისთვეში ბევრის მიღებისათვის უარი უთქვამთ. ქუთაისში სათავადაზნაურო სასწავლებლის გახსნა უმაგალითო საქმე არის. ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობამ უხვად დაუნიშნა ხარჯი 600 და 800 თუმანი გიმნაზიას, სადაც სწავლის მსურველთა რიცხვი დიდია, მაგრამ ერთი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ახლო მომავალში იმდენი შავირდები გაათავებენ ჩვენის სასწავლებლის კურსს, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში ვაკანსიებს ყველა ვერ იშოვნის და ნახევარიც ველარ განავრძობს სწავლას. წელს უფროს განყოფილებაში 20 და 12 შავირდი სწავლობს; ესენი ყველანი ვაკანსიების მძებარნი იქნებიან მომავალს ენკენის თვეში. სავაისოდ ამ განყოფილებაში

ერთი-ორად მეტი იქნება შავი რდების რიცხვი და მაშასადამე ერთი-ორად გადიდდება საშუალო სასწავლებლებში ვაკანსიების მძებართა რიცხვი. საჭიროა ჩვენმა წინამძღოლებმა და თავად-აზნაურობამ იკისრონ გიმნაზიის შესანახავი ხარჯი და საკუთარი გიმნაზია გახსნან, რადგან მარტო 10-11 წლამდის რომ ამზადო ემაწვილი, რა გამოვა, თუ შეძლებ მას ვნა დახშული ექნება“.

გახეთი „შრომა“

1882, №5

### ქალის წერილი

„დაბადებიდან ქალს და კაცს ერთნაირი უფლება უნდა ჰქონდესთ მინიჭებული. თავისუფლად განვიითარონ მისი ნიჭი, რომ გაურჩევლათ ორივეს შეეძლოს თანასწორად დაიკავოს ის ადგილი, რომლის მოხმარებაც შეუძლიანთ; რომ საჭიროა ქალსა და კაცს თანასწორი ზნეობითი და ფიზიკური აღზრდა მიესცეთ, მაშინ ქალებიც უთუოდ დაიმსახურებენ იმდენს, რომ მათ ზედ ლაპარაკი ღირდეს მეთქი.

დღეს კაცს კანონით ქალზე მეტი უფლება აქვს, როგორც განათლების სფეროში, ასევე პოლიტიკურსა და სოციალურ მდგომარეობაში. ღონე ნაკლებ ქალებს თუ ბრძოლაზე მიდგება საქმე მაშინ ბურთი კაცებს დარჩება. თუმცა თავდაპირველად კაცის ფიზიკური ძალის უპირატესობას ქალის დამონებასა და დამცირებაზე დიდი გავლენა ჰქონდა. გასაკვირია რა აქვთ ქალსა და კაცს ერთმანეთ შორის ისეთი წინააღმდეგობა, რომ იგი ძალას მოითხოვდეს?! განა ივინი ორივე განუშორებელი ადამიანები არ არიან? განა მათი ინტერესები რამეში განიყოფება, მათ სოციალურ მდგომარეობაში? კაცს განა არ უნდა ესია მოვებოდეს, რომ მისი ამხანავი - ქალი გონება და ზნეობა გახსნილი იყოს, რომ მის ოჯახში მაღალ სასწავლებელში გაზრდილი ქალი უვლიდეს და სწრთვნიდეს მის შვილებს, რომ მისი

ამხანაგი მკურნალობდეს, პროფესორობდეს, პედაგოგობდეს და სხვა. უფლება ყველასათვის ერთი უნდა იყოს და იგი არ უნდა იყოს სქესზე დამოკიდებული და მისით ყველამ ერთნაირად უნდა ისარგებლოს“.

გაზეთი „შრომა“

1882, №10

### ქართველ ქალებს

„გაზეთებში აკაკის სიტყვამ ქალებზე დიდი სჯა-ბაასი და ყაყანი გამოიწვია. მეცნიერულ ბაასში ხაბბა საჭიროთ მიმაჩნია ყველასათვის. თუ ჩვენი ქალები უწინ ზრდილნი, ქმრის მარჯვენა ხელი იყვნენ და ახლა შეიქმნენ: ქარათშუტანი, წინდაუხედავნი, ხეპრენი, მეტიხარანი, ოჯახის დამლუპველნი და... მაგრამ სჯობია აქ შევსდგე, თორემ დაუკრეფავში შევტოვავ. უმსგავსმა მოვლენებმა მიიქცია ამ ბოლო დროს ლიტერატურის ყურადღება, რადგან ქართველი ქალების გადასაკრავათ დრო სუსხიან მათ რახებს არ ზოგავს. აკაკის დაცინვაზე შემწყურალი ქალები ერთბაშად ალაპარაკდნენ კაცებისაგან მათ დამონებაზე, წართმეული უფლებების დაბრუნებასა და სხვადასხვა ამბებზე. ერთის სიტყვით განიძრახეს ჩვენში გააჩაღონ ცრუ ლიბერალური ლათიაობა, ესრეთ წოდებულს ემანსიპაცია ზედ, რომელიც განსვენებულის ბლალოსვეტლოვის, ნეკრასოვის, კრაევსკის ქურნალებში ფუთობით არის შენახული. ან კი რა დაუშლით, რა? თუ კი ფაცა-ფუცით გადმოიღებენ ხოლმე ახალ მოდეებს: ხაბარდას, აფხუწულ კაბებს, ხუთ ადლიანს ქუჩის საგველს კაბების კუდეებს, მერე ჩაღეადრის ცხენივით კუდ-ასაკრავებს, რატომ „ემანსიპაციას“ კი არ შემოიღებენ? ესეც ხომ მოდა გახლავთ? ეს განათლების ნისანი გახლავთ. ვაი ამისთანა განათლებას.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ჩვენებური ქალები არც დიდი ჭკუის კოლოფები და არც ლოლიკის პატრონები ყოფილან. ისინი ათასჯერ ნაცვეთ-



სა და ნაღვეჭ მოდურ აზრებს იმეორებენ და ყველა მათგანი ცალ-ცალკე ამას ატანს: „ეს ჩემი აზრია“ ან „მე ამაზედ მტკიცეთა ვდგევარ“. დაუჯერებელია ასეთი მდაბიო აზრები ქონდეთ „ემანსიპაციაზე“ ქალებს და აქვე ჩნდება კითხვა დაწვრილებით წარმოვადგინო აზრები ამ ვაზნადადებული ქალების ახირებულ ემანსიპაციაზე. ევროპაში ქალებს ბევრი თანამდგომი მამაკაცები გამოუჩნდნენ, რომლებიც მათთან ერთად მოითხოვენ ქალების თანასწორობას კაცებთან სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებების მობოვების საქმეში. იმის მაგივრათ, რომ ქალებს ებრძოლათ უსამართლო სოციალური წყობილების წინააღმდეგ მამაკაცებთან ერთად, მათ ძალა შუაზე გაყვეს რითაც ერთმანეთს ასუსტებენ. ქალთა ემანსიპაციის საკითხი მაშინ გადაწყდება, როცა სოციალური უსწორ-მასწორობა მოწყვრივდება. ჯერ-ჯერობით ქალების უფლებებზე ბრძოლა ევროპაშიც უდროოდ არის მიხნეული და მით უფრო საქართველოში, სადაც ქალს ჯეროვანი უფლებები ყოველთვის ქონდა და არავითარ უუფლებობაში ყოფილან. ჩვენი ციხე, როგორც სხვა ყველა ხალხებისა, არის ოჯახი. თუ ოჯახი მკვიდრს საფუძველზედ არის დამყარებული, მაშინ ხალხს არც შინაური და არც გარეული მტრებისა არ უნდა ეშინოდეს. ოჯახის ბურჯი და დედაბოდი არის ქალი.

ქართველი კაცი მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე ხმლით უძკლავდებოდა მოძნდურ მტერს მათ ამ საქმეში გვერდით ედგათ ღირსეული დედები. როდესაც მარადის ომში ცრა ძმა ხერხეულიძენი ერთი დროშის ქვეშ სათითაოდ დაიხოცნენ, დედამ აილო ეს დროსა. ასე რომ ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ამაცობდა ღირსეული ქალებით. ქართველ ქალებს ევროპელი და ამერიკელი ქალების წაბაძვა არაფერში გამოადგებათ. და არც ლერმონტოვის ლეჰილას მახინჯი აზრები: ყველგან ჩვენი სამშობლოა, სადაც უყვართ... სამშობლოს, მშობლებს და თქვენს ნამუსს ნუ სცვლით აფიცრის მუნდირზედ. თვალეში ნუ მოვიგროვებიათ ჭკუა და რაც ბრჭყვიალებს, ყველა ოქრო ნუ გონიათ. მერწმუნეთ, არც მუნდირი სჯობია ჩვენს ჩონხასა

და კაბას... ერთი სიტყვით, თქვენში ჯერ ქართველი ქალი იცანით და მერე ქალი საზოგადოთ! დაფიქრდით და მიხვდით, რომ თქვენს სამშობლოს განსხვავებული ჭირი სჭირს და განსხვავებული ღვაწლი და მოქმედება მოეთხოვებათ, როგორც კაცებს, ისე ქალებს“!

გაზეთი „შრომა“

1882, №35

### წერილები

„სახალხო განათლების მინისტრს სამასწავლებლო მაზრების ვზრუნველებსაგან მოუთხოვნია, რომ წარუდგინონ მას თავიანთი მოსაზრება და დასკვნა ქალებისათვის საქალაქო შკოლების დაფუძნების შესახებ. ამ შკოლების კურსი იქნება საქალო გიმნაზიის და პროგიმნაზიის კურსზედ ნაკლები. ამას გარდა ძზრუნველებმა უნდა წარუდგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად თანაუგრძობენ სამოქალაქო და საერო დაწესებულებანი ამგვარს შკოლებს. ან რა შემწეობას აღმოუჩენენ სამინისტროს ფულით. საქალაქო შკოლები იქნება ერთ-კლასიანი, ორ-კლასიანი, სამ-კლასიანი და ოთხ-კლასიანი, რომელთა შენახვა სხვადასხვა თანხებით განისაზღვრება“.

გაზეთი „შრომა“

1882, №42

### რამდენიმე სურათი ჩვენი შკოლების ძღვომაზრობიდან

„მასწავლებელი მოსწავლეს ისე უყურებს, როგორც მონას, რომელსაც კარგად არ ცნობილობს, არ აღიარებს მის კაცობრულს ბუნებას და მუდამ მუქარით ზედ მოქმედებს მასზედ. მოსწავლეებსაც თავისი შეხედულება აქვს შედგენილი. ის ცნობს მასწავლებელს დესპოტად, რომელიც

მოსწავლის მდგომარეობაში ერთ წამსაც არ შედის, ამიტომ მოსწავლე მუდამ ცდილობს მასწავლებლის წინააღმდეგობას, ეძებს შემთხვევას აწყენინოს მას რითიმე, მისი ჯავრი ამოიყაროს და ხშირად ეს შემთხვევა ცემა-ტყეპით თავდება ხოლმე და შკოლითგან სამსჯავროში გადადის“.

გახეთი „შრომა“

1882, №49

### ადგილობრივი ამბები

„მთავრობას საუაყო გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლად ერთი ქალი დაუყენებია, რომელიც საქლებო გიმნაზიაშიც მასწავლებლობდა. მთავრობის ეს ქმედება კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან ჩვენს სასწავლებლებში უცხო ენების და დედა ენის სწავლება ერთობ კოჭლობდა და ეხლაც ვგონებთ ამ მდგომარეობაში არის და ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც იყო, რომ მასწავლებლად აყენებდნენ ხშირად სხვა და სხვა წრის ინვალიდებს და ან იმისთანაებს, რომლითაც პურების გამოცხობისა, ტანისამოსის და წაღების კერვის მეტი არაფერი სცოდნიათ, მაგრამ აძლევდნენ ამ თანამდებობას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფრანგუზიაო, ან ქართველი, რადგანაც პირველი ფრანგუზია ჩვენებურს ნასწავლს ეძჯობინებო, კარგი ფრანგუზული გამოთქმა ექნებო და მეორე ქართველია და იქნება ღმერთმა იპრიანოს და ვერაფერი ასწავლოსო.

ამგვარი მასწავლებლები მოსწავლეებს ავღებული ჰყავდათ და აქედან გამომდინარე იყო, რომ ფრანგულისა და ქართულის სწავლება ფორმალურ ხასიათს ატარებდა გიმნაზიებში“.

**ადგილობრივი ამბები**

„ქუთაისის საქალებო გიმნაზიისათვის მომავალი სასწავლო წლისათვის მთავრობას შეძწეობა მოუსპია. ამის გამო ამ გიმნაზიაში ერთი უმაღლესი კლასი უნდა დაიხუროსო, ზოგი იმასაც ამბობს, რომ გიმნაზიის მთავრობას განზრახვა აქვს დაიხუროსო ყველა უმაღლესი კლასები. მთავრობის ეს გადაწყვეტილება გაუგებარია რა ეკონომიას გასწევს მთელი კავკასიის წლიურ შემოსავალ ვასავალში, მაშინ როცა კავკასიის მთავარმართებელმა აქაური სასწავლებლების გამრავლებისათვის უმაღლესი მთავრობისაგან ახალი ხარჯი გამოითხოვა.

საერთოდ ჩვენში საქალებო სასწავლებლები ერთობ ნაკლებია, მაშინ სრულიად გაუგებელი იქნება ჩვენთვის ახლის სასწავლებლების დაარსება და ძველების დახურვა, მეტადრე საქალებო სასწავლებლის“.

**სხვადასხვა ამბები**

„საექსარხოსო სამღვდელოებას ეცნო სასინხარულო ამბავი, რომელიც ვულისხმობს სასულიერო სასწავლებელში ბერძნული ენის სწავლების მოსპობასა და ქართული ენის კათედრის დაწესებას როგორც სასწავლებელში, ისე სემინარიაში, რომ 1883 წლის 10 აგვისტოს წმინდა სინოდმა გამოსცა ბრძანება №2436, რომლის საფუძველზე სასულიერო სასწავლებლის პროგრამიდან გამოირიცხა ბერძნული ენის სწავლება და ქართულ ენას მიენიჭა ის უფლება, რაც სხვა საგნებს ჰქონდათ მინიჭებული. შემოკლდა როგორც ბერძნული, ასევე ლათინური ენის გაკვეთილები და რაც მთავარია დედა ენას მიენიჭა ის უფლება, რაც დღემდე არ გააჩნდა. სა-

სურველი ვახდა ქართული ენის მასწავლებლებად დაინიშნონ ის პირები, რომელთაც კარგად აქვთ შესწავლილი ქართული ენა და ამ საგნის სწავლება ეხალისებათ.

დასავლეთის საქართველოს სამღვდულოებს მეორე სასიამოვნო ამბავი ეცნო იმის შესახებ, რომ, ხმებია თითქოს წმიდა სინოდის დათანხმებულა ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსებაზე და თავისი საშუალებიდან გამოყოფს ორასი ათას მანეთამდე სემინარიის სახლის ასაშენებლად.

ხოლო „დროება“ რამოდენიმეჯერ იუწყებოდა, რომ ბ. სტრუიციკი, რომელმაც ქუთაისში ადგილი შეიძინა და ეკლესია და კარგი სახლები ააგო, განიზრახა თავისი ყველა ქონება შეეწირა ეპარქიის სასარგებლოდ, რომელიც გამართლდა. მან ფორმალურად და შთაბარებითი ფურცლით გადასცა ქუთაისის სასულიერო მართველობას ის მამული, რომელიც მდებარეობს ქუთაისის ვაკე ზღის ქვემოთ და ღირს არანაკლებ სამოცი ათასი მანეთი.

შეწირვაც ამას ჰქვია! პიროვნებას რაც გააჩნდა ქუთაისში, შესწირა კეთილ საქმეს, მაგრამ სამწუხაროდ, არიან ისეთი მდიდარი პიროვნებები, რომელთაც არ ჰყავთ არც ცოლი, არც შვილი; რჩებათ აუარებელი მამული, მაგრამ კეთილ საქმეზე ერთ გროშს არ სწირავენ! მზად არიან ათასი მანეთი ბანქოს თამაშზედ წააგონ, მაგრამ ხალხის განათლების საქმეზე ერთ მანეთს არ გაიღებენ. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი ამისთანა პირები ქებით აყვანილ არიან ზეცამდე“.

გაზეთი „შრომა“

1883, №6

„ბევრმა წარჩინებულმა მწერალმა მოინდომა აეხსნა ქალების ემანსიპაციის არსი, მაგრამ ამ საქმეს სათანადო ახსნა-განმარტება ჯერაც არ მოჰყოლია. ვინ იცის როდის მოვესწრებით იმ ბედნიერ დროს, როდესაც

ქალი ვამოვა საზოგადო ასპარეზზე და საკმაო სწავლითა და განათლებით აღჭურვილი შეებრძვის იმ უმეცრებს, რომელიც არის ჩვენის ნორმალოზის პოლიტიკურის პროგრესის შემფერხებელი და ყოველსავე საქმეში ჩვენი დამბრკოლებელი.

ამ ბედნიერი დღის მოახლოებისათვის უპირველესად საჭიროა, რომ საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე ქალმა შეიძინოს სათანადო ცოდნა. ცოდნის უპირველესი წყაროა საქალებო გიმნაზიებში სწავლა, სადაც უნდა გამოიზარდოს დროის შესაფერისი დედები. დღეს საქართველომ ყველაზე უფრო ესაჭიროება განათლებული და განვითარებული ქალები. ყოველივე ამისათვის აუცილებელია ქალთა სასწავლებლებში მდგომარეობის გაუმჯობესება.

საჭიროა ვიცოდეთ დღევანდელი მდგომარეობა, სადაც მოძავალი დედები იზრდებიან. საუბედუროდ, დღემდის არც საზოგადოება და არც ისინი, ვინაც მისის ინტერესების დამცველებად ითვლებიან ხმას არ იღებენ და საქალებო გიმნაზიებს, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს საუკეთესო ჩვენი იმედი, სთვლიან იმგვარ დაწესებულებად, რომელსაც თითქო არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის.

მართველობამ როდესაც ჩვენი ვაჟების გიმნაზია დახურა, ჩვენმა საზოგადოებამ ყველაფერი ვაკეთა ამ გიმნაზიის ხელმოკრედ განხრისათვის. ანალოგიური პროცესი, რომ საქალებო გიმნაზიაში მოხდეს, ბევრი სინარულით შეეგებება ამ ამბავს. ეს იმის გამო წარმოიქმნება, რაც საქალებო გიმნაზია დაარსდა ჩვენში მისი ნაყოფი დღემდე არავის უნახავს. მაშინ, როცა ვაჟების გიმნაზიის სარგებელი ყველასათვის თვალსაჩინოა. ამის დასტურია ის ფაქტიც, როდესაც სააზნაურო ბანკს საქალებო გიმნაზიის მერვე კლასის განხრა თხოვეს, ზოგმა იმისთანამ თქვა უარი, რომელიც საზოგადოებაში გამორჩეულ პიროვნებებად ითვლებოდნენ.

ამის მიზეზი ცუდად გაგრცელებული ხმა იყო, რომ იქ გამოზრდილი ქალი ჩვენს ოჯახებში შემოსაშვები არააო, რადგან იქ გამოზრდილი ქალებ-

მა პრინციპობასა და კუდაბზიკობის ვარდა არაფერი არ იცინო.

ჩვენი მიზანია ამისთანა ცუდი ხმის გავრცელების აღმოფხვრა და ამიტომაცაა აუცილებელი შემოწმდეს გიმნაზიაში არსებული მდგომარეობა, რადგან უსათუძლო ჭორები შემდეგ ში არ გამართლდეს.

ქალთა გიმნაზიაში მდგომარეობის გამოსასწორებლად უპირველესად საჭიროა რიგიანი მასწავლებლის ყოფნა, რომელიც გამორჩეული იქნება ცოდნითა და ზნეობით. თავიდანვე, როცა ქუთაისში ეს სასწავლებელი დაარსდა, იქიდან მოყოლებული არ ყოფილა რიგიანად საქმის გამძლოლი, თუმცა მზრუნველები და თავმჯდომარეები ბევრი ჰყავდა.

სასწავლებლის ხელმძღვანელისათვის მთავარია მოსწავლეების გულში სწავლა განათლებისადმი სიყვარულის დანერგვა. საქალებო გიმნაზიაში დღეს იმისთანა სიღარიბეა, ვატალახიანებული ოთახები, საწოლები, მოუწესრიგებელია ისე, არც ერთ სასწავლებელში ასეთი ურიგო მდგომარეობა არა არის. თუ უყურადღებობით ცუდი რაღაცეა დაინერგება ჩვენი შვილების და დების ნორჩ გულში, სულ მათი ბრალი იქმნება, ვისთვისაც საზოგადოებას მიუხდვია მათ ზედ მზრუნველობა. კმარა, ჩვენი აზრით, ამდენი წაყრუება, დროა, გამოვიღვიძოთ და მოვიკიდოთ ხელი ამ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს“.

გაზეთი „შრომა“

1883, №9

### ს. კუხი (ქუთაისის მაზრა)

„კუხის სასოფლო სასწავლებელი მ თებერვალს გაიხსნა, მაგრამ დღემდე არ დაწყნარებულა ამ სასწავლებელში აყალ-მაყალი. საზოგადოებას ჰგონებია, როცა სასწავლებლისთვის ხარჯი გამოუღია, რომ ვისაც კი ეყოლებოდა ქალი ან ვაჟი, ყველას ამთავითვე ერგებოდა ადგილი სასწავლებელში. სასწავლებელში ლატარიის წესით წარმართა მოსწავლეთა მიღება. დილის რვა საათიდან ხუთ საათამდე ძლივს მოესწრო 60 ყმაწვილის

მიღება. ეს პროცესი სამხიარულო სანახავი იყო, როცა მამა, ან თითონ სწავლის მსურველი ამოიღებდა ლატარიის ქაღალდს, რომელზეც ეწერა ან „ერგოს“, ან ქაღალდი იყო ცარიელი.

ყმაწვილების მიღებისა და სასწავლებლის კურთხევის შემდეგ ინსპექტორმა მოკლედ აუხსნა ხალხს სანახავო სასწავლებლის მნიშვნელობა, მისი მიზანი და პროგრამა, მერმე ძღუ. ცაგარეიშვილმა, სასწავლებლის მზრუნველმა, ჯერ საზოგადოებისა და თავის მხრით მადლობა მოახსენა ბატ. ინსპექტორს და ბ. დირექტორს ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლებისას იმ შემწეობისათვის, რომელიც მათ კუხის სასწავლებელს აღმოუჩინეს“.

გაზეთი „შრომა“

1883, №10

### ქუთაისი 9 მარტს

„საზოგადოებაში, როცა აღზრდასა და სწავლაზე ჩამოვარდება საუბარი, მაშინვე მხოლოდ ვაჟების სწავლას გულისხმობენ და მათ განათლებას მიიხნევენ საჭიროთ, ხოლო ქალების განათლებაზე ნაკლებად ფიქრობენ და ზრუნავენ. უდავოთა ვსთვლით იმ აზრს, რომ მშობლები ისე უნდა ზრუნავდნენ თავიანთის ქალების განათლებისათვის, როგორც ვაჟებისათვის. როდესაც ამისთანა საზოგადო საქმეზედ ვლაპარაკობთ, როგორც არის ახალთაობის აღზრდა, მარტო იმისაც კი არა ვიგულისხმებთ, რაც ამჟამად თვალწინა გვაქვს; მარტო ჩვენის ღრმის ახალთაობის აღზრდაზედ კი არ ვფიქრობთ; ეს იქნებოდა ძლიერ ვიწრო შეხედულობა. ჩვენ ვფიქრობთ აგრეთვე მომავლისათვისაც, და როდესაც ამ მხრით შევხედავთ საქმეს, მაშინ უეჭველია ქალების როლი, დედების მნიშვნელობა ჩვენი ერის საზრუნველო საგნებს შორის ერთ უპირველესს ადვილთაგანს დაიჭერს.

ქალების განათლება ყველაზე აუცილებელია, ვინაიდან ყოველი დედა ვალდებულია სკოლის კარამდე მიიყვანოს შვილები, რომლებმაც სახლში



უნდა მისცეს სათანადო განათლება, აღზრდა, ჩამოუყალიბოს ზნეობა და დაიცვას შვილი გონებითი სიმანხვჯისგან. იმ დროსაც, როდესაც ყმაწვილი სკოლაში სწავლობს, მასწავლებელს ხელს უნდა უწყობდეს მშობელი, რათა სკოლაში ნასწავლს ისე უფრთხილდებოდეს, როგორც თვალის გუგას. ყოველივე შინაგანი და გარეგანი ცუდი გავლენა ააშოროს. რომელი ოჯახი შეჰძლებს ამას, თუ არა ის, რომლის დედა-ბოძად უნდა იყოს განათლებული და ნასწავლი ქალი? ვის უნდა მიჰბადონ ამ საქმეში ბევრმა იმისთანა დედებმა, რომელთაც არაფერი უსწავლიათ, მაგრამ დედობა კი მაინც არ ასცილდებათ. ვის უნდა მიჰბადონ ამათ, თუ არ განათლებულსა და ნასწავლს.

საერთოდ, კარგი შვილი, ნასწავლი, მცოდნე, ვაჟი იქნება ეს თუ ქალი ნუგეშია მშობლისთვის. ისმის კითხვა რატომ აქამდე არ მივიღეთ სათანადო ღონისძიება ქალების განათლებისათვის. სამწუხაროთ მთელს ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ ერთად ერთი საქალებო გიმნაზიის მეტი არაფერი მოიძებნება და იმის დახურვა ზეც საფრთხეა. საზოგადოებას ამ სასწავლებლის დაფუძნებაში არაფერი მონაწილეობა არ მიუღია და მხოლოდ ამ ბოლო დროს ბანკის დამფუძნებლებმა აღმოუჩინეს შემწეობა საქალებო გიმნაზიას. შარშან გიმნაზიის მერვე კლასიც გახსნეს, სადაც ქალები პედაგოგობისათვის ემზადებიან.

ქუთაისში არსებობს მხოლოდ ერთი უფასო საქალებო შკოლა ღარიბებისათვის, მაგრამ ესეც სხვისი დაფუძნებულია და არა საზოგადოების დახმარების საფუძველზე. დღეს ქუთაისში სომხებს აქვს საკუთარი შკოლა ქალებისათვის. კათოლიკე ქართველებსაც აქვთ საკუთარი საქალებო სასწავლებელი და მართლმადიდებელ ქართველობას ამაზე ყურიც არ გაუბარტყუნებია.

ქუთაისის თავადაზნაურობამ გახსნა გიმნაზია, რომელშიც მხოლოდ ვაჟები სწავლობენ. თავად-აზნაურობამვე უნდა იზრუნოს თავის ქალიშვილების სწავლისა და განათლებისთვის და რამდენადაც მატერიალური სა-

შუალეობა ნებას მისცემს, აღმოუჩინოს ამ საქმეს შემწეობა საქალებო გიმნაზიის ყურის-გდებით და განსაკუთრებით საქალებო მოსამზადებელის შკოლის დაფუძნებით იმ საზოგადოების შემწეობით, რომელიც ახლასდგება ქუთაისში და რომლის წეს-დებაც უკვე წარდგენილია მთავრობასთან დასამტკიცებლად. სავალდებულოა თავად-აზნაურთა გიმნაზია არსებობდეს ვაჟებისა და ქალების სწავლა აღზრდისათვის“.

ქურნალი „მწყემსი“  
1884, №3

### სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნობაზე

„ატარობიდანვე წმინდა ნინოს გულში დაიბადა რაღაც საიდუმლო მისწრაფება, სურვილი, რომ მოსულიყო საქართველოში და ექადაგნა აქ ქრისტეს სარწმუნოება, ის დარწმუნებული იყო, რომ ეს სურვილი იყო გაღვიძებული მასში ღვთისგან და ამიტომ ყოველივე დაბრკოლება მხნეთ დასძლია მან და იხმარა ყოველივე ღონე, რომ მოსულიყო ივერიაში და ქრისტეს სარწმუნოებით გაენათლებია ივერიელნი. აი ცხოველი მაგალითი, რომელსაც უნდა მიბადოს ყოველმა ქალმა, თუ უნდა, რომ ნამდვილი ქრისტიანე იყოს. წმინდა ნინას უყვარდა უბრალო და მშვიდი ცხოვრება, არაფერში არ უყვარდა გადაჭარბება, კმაყოფილდებოდა უბრალო საჭმელით და უბრალო ტანისამოსით. აი დიდი და მისაბაძი მაგალითი ყოველთა ქალთა, განსაკუთრებით ჩვენი ახალის დროის ქალთა!“

როცა თქვენ ამ სასწავლებელში სწავლას შეასრულებთ და შემდეგ შეუდგებით თავისუფალ ცხოვრებას, ერიდეთ ძვირფას მორთულობას, ნუ გაერთობით უბრალო ქვეყნიერს სიამოვნებასა და გაფანტულს ცხოვრებასა, რადგან ამისთანა ცხოვრება მავნებელი იქნება თქვენთვის, საუბედუროდ და მრავალთა სამწუხაროდ, შენიშნულია, რომ განათლებული ქალები

ბი უფრო ეტრფიან ამისთანა ცხოვრებას. ამიტომ თქვენ ყოველთვის თვალწინ უნდა გქონდესთ წმიდა ნინა, იმასაც შეეძლო მდიდრულათ ჩაცმა და ცხოვრება, რადგან მასაც ჰქონდა შეძლება“.

ქურნალი „მწყემსი“  
1884, №16

„ამა წლის 13 ივნისს ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა ახალი საეკლესიო სამრევლო სკოლების წესდება. ამ წესდებით სამღვდელოებას დაეკისრა დიდი მოვალეობა ხალხში გაავრცელოს პირველი დაწყებითი რელიგიური და კეთილ ზნეობრივი სწავლა. ამ ახალი კანონის გამოცემას დიდი სინარულით მიეგება მთელი სამღვდელოება, მაგრამ აქ ყურადსაღებია ის, რომ საქართველოს სამღვდელოებას საეკლესიო სამრევლო სკოლების საქმის რიგიანად წაყვანაში დააბრკოლებს გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა. სანამ მღვდელს ოჯახის ლუკმა-პურით დაკმაყოფილება აღარდებს, ის სკოლების საქმეს ვერ წაიყვანს რიგიანად. ამიტომ მართველობამ უნდა გააუმჯობესოს სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა. ამასთანავე საქართველოში ეს კანონი დიდ ზიანს მოიტანს, თუ სწავლება არ იქნა პირდაპირ დედა ენაზე. აუცილებელია ჩვენი ადგილობრივი სასულიერო მართებლობა ახლავე შეუდგეს საქმეს და იშუამდგომლოს, რომ საქართველოში სამრევლო სკოლებში სწავლება დედა ენაზე იყოს“.

ქურნალი „მწყემსი“  
1884, №16

### საეკლესიო-სამრევლო სკოლების წესდება

„1884 წელი არსებითი მომენტია სასულიერო განათლების ისტორიაში. ამ წლის 13 ივნისს რუსეთის სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა საეკლე-

სიო-სამრევლო სკოლების წესდება, რომელსაც აღტაცებული შეეგება სამღვდელოება. ცამეტი ივლისი ამა წლისა შესანიშნავი დღეა მთელს რუსეთის იმპერიასში. ამ დღეს ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ-ინება ახალი საეკლესიო სამრევლო სკოლების წესდებათა დამტკიცება და მიანიჭა სამღვდელოებას ის უფლება, რომელსაც ის დიდი ხანია მოკლებული იყო. სწორედ შესანიშნავი დღეა ეს დღე მთელი სამღვდელოებისათვის... დღეს უმაღლესმა მართებულობამ ისევე მიანიჭა სამღვდელოებას სამრევლო სკოლების გახსნისა და მათი გამკეთობის უფლება“.

ქურონალი „მწყემსი“

1884, №22

### ქართული ენის სწავლების შესახებ

„ეკლესია არის სასწავლებელი და ეს სასწავლებელი განსხვავდება სხვა სასწავლებლებისაგან იმით, რომ ამ სასწავლებელში მიდიან არა მარტო პატარები, არამედ დიდებიც, ნასწავლი და უსწავლელი და ყველა წოდების ხალხი. ამ სასწავლებელში ყველა იღებს ზნეობრივ სწავლას და სულიერ საზრდოს. ამ სასწავლებელში ყველა იღებს ნუგეშს. უკლო ხალხმა ეკლესიაში სიარულს, რასაც მოჰყვა თავისი შედეგი: ზნეობის დაცემა, განშირებული ცუდ ხალხთა საქციელი. ხალხი ვერ იმოდღვრება ეკლესიაში და ვერ იღებს ზნეობრივ განათლებას.

როცა თბილისში არსებობდა ეგრეთ წოდებული „კეთილ-მობილთა“ სასწავლებელი, მაშინ ქართული ენა პატივცემული იყო, როგორც სხვა ენები. იმ დროის პროგრამით ხალხს უნდა შეესწავლა ჯერ თავისი ენა და შემდეგ სხვისი. დროთა ვითარებამ შეცვალა ქართული ენის ბედ-იღბალი. ქართული ენა დარჩა სახელად.

ერთმა რუსმა პედაგოგმა იშუამდგომლა უმაღლეს სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ ქართული ენა აუცილებელ საგნად ჩაერიცხათ ყოველ სასულიერო სასწავლებელში, რა ზეც დათანხმდა მთავრობაც და ქართულ

ენას მიეცა ისეთი პატივი, როგორიც მას შეპფერის. შედგა ქართული ენის პროგრამა, რომლის მიხედვით პირველ ოთხ კლასში მოსწავლემ უნდა შეისწავლოს ამორჩეული ადგილები დაბადებიდან. განსაკუთრებით სადაც ლაპარაკია მოსეზე, არონზე, ისუხ-ნავიზე, სოლომონ ბრძენზე. სახარებიდან კი უნდა შეისწავლონ ის ადგილები, სადაც არის აღწერილი ქრისტეს შობა, აღზრდა და სწავლა. საერთო ლიტერატურიდან ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე მწერლებს, შეასწავლონ მოსწავლეებს საკითხავი სტატიები, ლექსები და არაკები. ასევე ძველი ღრობის მწერლები და მათი თხზულებანი. ქართული გრამატიკიდან ყურადღება უნდა მიექცეს ლექსთა თხზულებას და შემდეგ ლექსთა წარმოებას, კანონიერ წერას და აგრეთვე საეკლესიო გრამატიკის შესწავლას“.

ქურნალი „მწყემსი“

1885, №2

### მატიანე საეკლესიო საზოგადოებრივი ცხოვრებისა

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ სოფ. ვანში (შორაპნის მაზრაში) მღვდელს ილარიონ მაჭარაშვილს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ნებართვით თავის ხარჯით გაუხსნია საეკლესიო—სამრევლო სკოლა და იყვანს პატარა ყმაწვილებს სასწავლებლად, ამასთანავე, ის ამზადებს ყმაწვილებს ზედა მოსამზადებელი კლასებისათვის. იმედია, რომ ილარიონ მაჭარაშვილი კარგად წაიყვანს ამ სკოლაში სწავლების საქმეს, რადგან ის 10 წლის განმავლობაში კარგად ასწავლიდა სახალხო სკოლაში. ამ სასულიერო მამის მაგალითს მიბაძავენ ის პირნიც, რომელთაც სამრევლო სკოლებში შეუძლიათ სწავლება. ამით ისინი დიდ სარგებლობას მოუტანენ ხალხს“.

„უძთავრესი საგანი და თვით არსებობითი დანიშნულება საზოგადო-  
ებისა ყოფილა ჩვენ ქართველებში წერა-კითხვის და დაწყებითი სწავლის  
მოფენა და გავრცელება... ხსნის თავიანთ საკუთარის ხარჯით სკოლებს იქ,  
სადაც ეს უკანასკნელნი არ არსებობენ. ვ ზავნის სპეციალურად მოძადე-  
ბულს მასწავლებლებს, უვ ზავნის სკოლას ყოველგვარ მისთვის საჭირო  
ნივთოელობას და ამ ნაირად უხსნის ხალხს ვ ზას სწავლის მიღებისას. იქ,  
სადაც არსებობენ სკოლები და ეჭირვებათ მატერიალურის მხრით დახმა-  
რება, ეხმარება, ხელს უწყობს, აწოდებს მისთვის საჭირო მასალას. ბეჭ-  
დავს ქართულს სახელმძღვანელოებს და ურიგებს სკოლებს. ადგენს ქარ-  
თულ ბიბლიოთეკებს, მართავს საკითხავ საღამოებს ქართულ ენაზედ.  
ხსნის საკვირაო სკოლებს“.

**ორკლასიანი სასწავლებლის დაარსების გამო დაბა სახხერეში**

„საქართველოში, სასიხარულოდ ჩვენდა, თრიად მიისწრაფის ახალი  
თაობა განათლებისადმი, მაგრამ არის გარკვეული წინააღმდეგობანი. ერ-  
თი გარემოება ეს არის სასწავლებლების სიმცირე. მართებულობა ზნეო-  
ბით ვაღიღებულოა, რომ ხალხში მოჰყენოს სწავლა-განათლება. სახხერის  
განყოფილების სამივე წოდება, თითოეული ეკლესიის კრებული იხდის სა-  
სულიერო სასწავლებლის სასარგებლოდ წლიურ 20-35 მან. გლეხკაცობა-  
ში თითოეული მეკვაძური იხდის 50 კაპ. სასოფლო სკოლების შესანახავად  
თავადა ზნაურობა ერთ კაპიკსაც არა, როდესაც მათთვის დიდი ხნიდან იყო  
საჭირო სასწავლებლის დაარსება დაბა სახხერეში“.

„რა მიზეზია, რომ ასე ცოტანი იგზავნიან ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში კურს შესრულებულნი სემინარიის პირველ კლასში? 1883 წლამდე ყველა იმ მოწაფეებს, რომელნიც სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასს დაამთავრებდნენ ნება ჰქონდათ სემინარიის პირველ კლასში შესულიყვნენ თუ სემინარში კარგად ეკზამენს მისცემდნენ. უწმინდესმა სინოდმა 18 დეკემბერს 1883 წელს გამოსცა უკაზი, რომლის ძალითაც სასულიერო სასწავლებლის სამართველოებს მიენიჭათ უფლება, რომ მათი წარდგინებით მეოთხე კლასში ღირსეულ კურსდამთავრებულნი სემინარიის პირველ კლასში გამოუცდელად ყოფილიყვნენ მიღებული“.

**კლასიკური ენების გაძლიერების შესახებ სასულიერო სასწავლებლებში**

„ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ბერძნული და ლათინური ენების შესწავლა ძლიერ ეხმარება მოწაფეებს გონების განხანაში. არის მეორე წრე, რომელიც სულ წინააღმდეგია ამ აზრის, ესენი ამტკიცებენ, რომ კლასიკური ენების შესწავლას იმდენად შეუძლია განხანას მოსწავლეთა გონება, რამდენადაც სხვა ყველა საგანს, რომელიც კაცს აუღია შესასწავლადო.“

პატრივკემულმა მასკოვსკიე ვედემოსტის რედაქტორმა ბ. კატკოვმა წარსულ წელში გამოთქვა თავისი მწუხარება იმის შესახებ, რომ სასულიერო სასწავლებელში კლასიკური ენების სწავლება მცირდება, ამით ღვთისმეტყველების შესწავლა და განათლება სუსტდებოდა. კატკოვის აზრი ის არის, რომ ძველი ენების სწავლება შემოიღონ იმ წესით, რა წესითაც ასწავლიდნენ ამ ენებს ამ საუკუნის დასაწყისში“.

**ახალი ამბები და შენიშვნები**

„უწმინდესმა სინოდმა რუსული ენის გაკვეთილების მიცემის შესახებ დაადგინა, რომ ათი გაკვეთილი რუსული ენისა უნდა მისცეს სასულიერო სასწავლებლის პირველკლასში ერთმა მასწავლებელმა და ცხრა გაკვეთილი დანარჩენ სამ კლასში მეორე მასწავლებელმა. საზოგადოდ გვეგონა, რომ რუსი მასწავლებლების ხელში წინ წაიწვედა რუსული ენის ცოდნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი არაფერი შესამჩნევი ნაყოფი ჩანს“.

„ყველამ კარგად იცის, რომ უკანასკნელ დრომდე ჩვენი ქართული საეკლესიო გალობის ცოდნა უფრო მეტად იყო გავრცელებული ჩვენს მონასტრებში, ეკლესიებსა და ხალხში, ვინემ დღეს არის. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს თანდათან იკლო ამ ცოდნამ. დღეს ძლიერ იშვიათად გაიგონებთ თქვენ კარგად განწყობილ გალობას ჩვენს ეკლესიებში და მონასტრებში. იქ, სადაც წინედ მშვენიერი ორპირი გალობა გიტკობდა გულსა, დღეს გესმის მარტო ერთი მედავითნის გალობა, რომლის ხმა ხშირად სრულებით არ უღვება მღვდლის ხმას. ერთი ამტკიცებდა, რომ გალობის ნოტებზე ვარდალება საჭირო არ იყო. საკმაოდ რაცხდნენ ზეპირ ვარდალებით სწავლას. ამ აზრზე იდგა განსვენებული დეკანოზი იუდეცკი. მეორე ამტკიცებდა, რომ ნოტებზე ვარდალებულ იყო მარტო ქართლურ-კახური კილოს გალობა. ზოგი, სამწუხაროდ, ისიც ქართველები, სრულებით საჭიროდ არ რაცხდნენ ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე ვარდალებას. იმედობდნენ, რომ წმინდა ნინას მეოხებით ქართული გალობა ისე დარჩება ჩვენ ხალხში ამის შემდეგაცო, როგორც აქამდის მოაღწიაო. ნინა,



ქართველი განმანათლებელი, არ მოიძულეს ქართველებს და არ დაგვაფიწყებინებს მათ ქართულ ვალობასაო და სხვ... მსჯელობა და მოსაზრება მრავალი იყო, მაგრამ საქმე არა სჩანდა. სწორედ ამ დროს შემოიტანა განცხადება ყოვლად სამღვდელიო აღიქმანდრე ეპისკოპოსმა, რომ ის იღებს თავის თავზე თავის ხარჯით ქართლური და კახური საეკლესიო ვალობის ნოტებზე გადაღებას, რაიცა შეეხება იმერულ კილოს ვალობის ნოტებზე გადაღებასო, ბრძანებდა ყოვ. სამღვდელიო განცხადებაში, ამაზე იზრუნოს თვით იმერეთის და სამეგრელოს სამღვდელიოებამო“.

ქურნალი „მწყემსი“

1888, №14-15

„იმერეთის ეპარქიაში აშენდა რამდენიმე ასი ახალი შესაფერი ქვის და ხის ეკლესიები... უადგილო და შტატ გარეთ დარჩენილ ძღვედლებს მისცა შტატის ეკლესიები; უსწავლელი და გაუნათლებელი ძღვედლების მაგიერ, ყოვლად სამღვდელიომ გაავ ზავნა სამეგრელოში 40 ძღვედელი, რომელთაც სასულიერო სემინარიის კურსი აქვსთ დამთავრებული... ყოვლად სამღვდელიომ გაბრიელის მეცადინეობით აღაშენა ქუთაისში მშვენიერი შენობა საეკლესიო სასწავლებლისათვის; გაიხსნა ასამდე საეკლესიო-სამრევლო სკოლები იმერეთის ეპარქიის სხვა და სხვა სოფლებში; ყოვლად სამღვდელიომ სასულიერო წოდების ობოლთა და ქვრივთათვის დააარსა სამზრუნველო; მათი მეუფების მეცადინეობით აღდგენილ იქმნა ქართული საეკლესიო ვალობა, რომლის მრავალი საგალობელნი გადაღებულ იქმნა ნოტებზე... საკუთარი ხარჯით მის სამშობლო სოფელს ბახეში აღშენდა მშვენიერი ეკლესია და ამ ეკლესიის მახლობლად ორ-კლასიანი სკოლა, რომელსაც ნივთიერად ინახავს მათი მეუფება. ყოვლად სამღვდელიომ გაბრიელი კაცის ღონეს გადამეტებულად მეცადინეობდა ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაფუძვნებას... მათი მეუფების შემწეობით ქუთაისის წმი-

და გიორგის ეკკლესიასთან დაარსებულ იქმნა საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლის მასწავლებლებს მათი მეუფეება თავისი საკუთარ საშუალებათაგან წელიწადში აძლევს ჯამაგირად 200 მანეთს“.

ქურონალი „მწყემსი“

1888, №22

### წერა-კითხვის უცოდინარობა და პედაგოგიური ლიტერატურის დაწაფების

„წერა-კითხვის ცოდნა ჯერ კიდევ არ არის ისე გავრცელებული ჩვენს ხალხში და ამ მიზეზის გამო მეცნიერული თხზულებანი ჯერ იმდენად გავრცელებული არ არის მათ შორის, რომ ისინი გაეცნონ საზოგადოდ აღზრდის დედააზრთა და ცოდნათა! არავითარი განსაზღვრული მიზანი, არავითარი გარკვეული აზრის და საგანი აღზრდისა არ მოეთხოვებათ ჩვენს მშობლებს. მართალია, დღეს ისინი გამსჭვალულნი არიან ერთისა და იმავე მხურვალე წადილით მისცენ როგორმე განათლება შვილებს სკოლაში, მაგრამ ის კი არც ერთმა არ იცის, არც ერთსა არა აქვს შეგნებული, რომ სკოლის აღზრდას უნდა მიუძღოდეს გონივრული ოჯახური აღზრდა, რომელიც არის უმთავრესი საძირკველი და საფუძველი სკოლის აღზრდისა. ისინი შეურყეველად და მტკიცედ ადვიან იმ აზრს, რომ სკოლამ ბავშვს უნდა მისცეს ყველაფერი, მარტო სკოლამ უნდა გამოიყვანოს ყმაწვილი სრულ კაცად, კიდევაც რომ მიჰყვეს მას მშობლების სახლიდან სკოლაში მრავალი ცუდი ჩვეულებანი, ზნენი და ხასიათნი. და აი, ეს ცრუ და ყალბი შეხედულება ჩვენი მშობლებისა განსაკუთრებით ის ჩინეთის კედელი, რომელიც ჩვენს ოჯახებსა და სკოლებს შუა აღმართულია აღზრდის საქმეში... ერთი სიტყვით ჩვენში ხსენებაც არ არის ისეთი ოჯახური აღზრდისა, როგორსაც მოითხოვს მეცნიერება“.

„ერთი ჩვენი სწავლა-განათლების შემათერხებელი საგანია, რომელ-თანაც არავითარი ცდა და შრომა არ ვადის, ეს იმიტომ, რომ ეს საგანი გა-რედან მოგვდგომია კარზე და ჩვენგან დამოუკიდებლად არის. ჩვენ მო-გახსენებთ რუსულს ენაზე. ეს დაბრკოლება უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ამ საგნის შესწავლა ძლიერ აფერხებს ჩვენი მოზარდი ყმაწვი-ლების ჭკუა-გონების წრთვას“.

### მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა

„საღმრთო სჯული ექვსი და შვიდი წლის ბავშვებს მათ გასაგებ ღე-და-ენაზე უნდა ასწავლონ და არა მუნჯურად, მათთვის უცხო ენაზე--თქო... მე იმედი მქონდა, რომ მადლობას გამომიცხადებდნენ, დამაჯილ-ღოვებდნენ ამისთანა სიძარტლის თქმისთვის, წარმოიდგინეთ ჩემი გაკ-ვირვება, როდესაც დამიბარეს და შემახურეს: „როგორ გაბედე მაგის თქმა? ამით შენ უარს ყოფ მთავრობის განკარგულებასო, შენ წინააღმდე-გი ხარ კეისრისა, შენ ასეთი და ისეთი ხარო“. მადლობა ღმერთს, რომ ჩემი ნამსახურებითი სია ვერ ივდეს ხელში, თორემ, გაქვს ღვთის წყალობა, იმას გააპატრონებდნენ, „მეორეჯერ გაბედულად დაუმტკიცე საზოგადოებას, თუ რა სიყვარულით ჰკიდებს ხელს ჩვენი ხალხი რუსულის ენის შესწავ-ლას, რა თავგამეტებით ებრძვის სხვა-და-სხვა დაბრკოლებას, რომ რო-გორმე რუსული ენა შეისწავლოს და თავისუფლად ლაპარაკობდეს მასზე, დაუმტკიცე ყველას, რომ ქართველები კარვა ბლომად ქრთამსაც ხარჯა-ვენ, რომ თავიანთი შვილები მიაღებინონ რუსის სკოლებში»-ო. ერთი სიტყვით, ცხადად და აშკარად დაუმტკიცეთ მართებლობას და საზოგა-

დოებას ჩვენი ხალხის კეთილი გრძნობა, ერთგულება და მეცადინეობა  
რუსული ენის შესწავლის შესახებ...”

ქურნალი „მწყემსი“  
1890, №12

„ხალხს რომ დედა ენა არ ვასწავლოთ, ეს იქნება აღკრძალვა ხალხის  
აზრის განხილვისა, მისი სულიერი ნიჭიერების განვითარებისა, ეს იქნება  
ხალხის დატოვება ბავშვურს მდგომარეობაში და თუ ხალხს თავისა ენის  
მაგიერად სხვა ენის სწავლა ზედ დავაყენებთ, თუნდაც ეს ახლო ნათესა-  
ვიც იყოს მისი დედა ენისა, უფრო უარესს ვუზამთ: ჩვენ დავამახინჯებთ  
ბუნებითს, თავისებურს გონებითს განსნასა. ჩვენ დავასახინჯებთ მთელს  
მის სულიერს ბუნებას... ენაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო“.

ქურნალი „მწყემსი“  
1890, №19

„ყოველი დედა, თუ მას სურს ჯანმრთელი შვილი აღზარდოს, თავის  
წმინდა მოვალეობად უნდა სთვლიდეს, საკუთარი ძუძუ აწოვოს მათ და  
მშობლიურის რძით გაზარდოს. ეს, რასაკვირველია, იმას კი არ ნიშნავდა,  
რომ ბავშვებს დედის რძის მეტს ნურას მიაკარებთო, არამედ იმასა, რომ  
ბავშვის ბუნება ჯერ დედის რძით უნდა საზრდოობდეს, იზრდებოდეს და,  
როდესაც საკმარისად შემავრდება, მაშინ სხვა საჭმლის ძლევაც უნდა და-  
უწყონ. ყოველი საღი ჭკუის ადამიანი ასევე ფიქრობს დედა ენის შესახე-  
ბაც. პირველსგონებითს საზრდოს დედა ენა უნდა აძლეოდეს ბავშვს და,  
როდესაც ეს საზრდო გაამავრებს მის გონებასა, მაშინ დედა ენა უნდა  
გახდეს საძირკველად, რომელზედაც აღშენდება უცხო ენათა გონივრული  
სწავლება“.

ქურნალი „მწყემსი“  
1890, №20

„უდიდესი მნიშვნელობა დედა-ენისა და ეროვნებისა ხალხის სიცოცხლისა და წარმატებისათვის კარგად შეიგნეს ევროპაში მეტადრე ბოლო ხანებში, და ყველა პატარა ერი, დიდს სახელმწიფოსთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ ღირსია დაცულ იქმნას თავისი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო ღონის ძიებათ ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსების, ღვაწლისა, თავისებურებებისა“.

იაკობ სვიმონიძე.

ქურნალი „მწყემსი“  
1894, №1

„უწმინდესმა სინოდმა დაამტკიცა 1890-იან წლებში დირექტივები, რომლებიც ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებლისაგან მოითხოვდა: 1. ქართველი პედაგოგების დაუყოვნებელ შეცვლას რუსი მასწავლებლებით; 2. ქართული ენის სწავლებისათვის განკუთვნილი საათების სრულ ლიკვიდაციას; 3. ბიბლიოთეკებიდან ქართულენოვანი წიგნების გამოტანას“.

ქურნალი „მწყემსი“  
1894, №14

### ახალი ამბები და შენიშვნები

„უწმინდესი სინოდის ბრძანებით, ქუთაისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში უნდა მიეღოთ 40 მოსწავლე. სამი სასულიერო 4 კლასიანი სასწავლებლიდან 74 მოწაფე იყო გათვალისწინებული სემინარიის პირ-

ველ კლასში. აქედან გამოცდებზე გამოცხადდა 64, გამოცდა ჩააბარა 39, დანარჩენს უარი უთხრეს, მაგრამ უწმინდესი სინოდისგან მოვიდა ცნობა, რომ პირველ კლასში შეიძლებოდა 10 მოწაფის მიღება. ბევრმა მშობელმა სინოდის ობერპროკუროს ისეთი მოწაფეების მიღებაც სთხოვა, რომლებმაც გამოცდის დროს 2 მიიღეს, მაგრამ მთხოვნელებს ყოველთვის უარით ისტუმრებდნენ. ბოლოს უწმინდესმა სინოდმა შეიწყნარა სამღვდელთა თხოვნა და კიდევ 10 მოწაფე მიიღეს, რომლებსაც გამოცდებზე 2 ჰქონდა მიღებული.

ამავე სასწავლო წლიდან დასავლეთ საქართველოს ყველა 4 კლასიან სასწავლებელში შემოღებული იქნა ბერძნული ენა. იმ წელს ბერძნული ენის სწავლება დაიწყო მეორე კლასიდან. ბერძნულის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში დაინიშნა ქართული ენის მასწავლებელი ესტატე ლამბაშიძე.

საღვთო სჯულის გაკვეთილის მოსამზადებელ კლასებში დათმობილი ჰქონდა 6 საათი, რუსულ ენას უძეგროს და უფროს მოსამზადებელ კლასში — 16, ლათინურ ენას მეორე კლასში — 12, მე—3, მე—4 და მე—2 კლასებში 12 გაკვეთილი: გეოგრაფიას — 7 გაკვეთილი, ქართულ საეკლესიო გალობას ყველა კლასში — 12 გაკვეთილი“.

ქურნალი „მწყემსი“  
1895, №23

### ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელი

„ნუთუ ჩვენი სასწავლებლები არ გრძნობენ მომავალი დედებისათვის იმ გონიერი წიგნის შესწავლის საჭიროებას, რომელსაც „პედაგოგიას“ უწოდებენ. რა იქნება, რომ ჩვენს საქალაქო გიმნაზიებში ამ საგანს უფრო ფართო ვ ზა ჰქონდეს. სკოლაში თეორე—ტიკულად მაინც უნდა ისწავლონ ჩვენმა დედებმა მათი მომავალი მოვალეობა — შვილის აღზრდა“.

„სასულიერო და საერო მწიგნობრობის აღორძინება ქართულ ენაზედ, განსვენებულის სახელით გამდიდრება ჩვენის ლიტერატურისა კლასიკური თხზულებებით, რომელთაგან ზოგნი განამტკიცებენ სარწმუნოებას და ზოგნი მოპყენენ მთელს ერში ცოდნასა, განათლებასა. გოგება შვილი ასევე აღნიშნავდა: „ახლა უბრალო კატეხიზმოც არ გვაბადია, თვით მაცხოვრის ცხოვრებას ვერ გაიცნობს ქართველი კაცი თავისს დედა-ენაზედ და მოკლე „უჩებნიკების“ ამარად დარჩენილები... საჭიროა, საჭირო მიუცილებლად ხალხს მივაწოდოთ სულიერი საზრდო და თვითონ შევაჩვიოთ ამ საზრდოს კეთილად ხმარებას, თორემ ერთი და ორი და თუ გინდ ათი მქადაგებელი საქმეს ვერ წასწევს წინ, როგორც ორი და სამი მერცხალი გაზაფხულს ვერ დააყენებს. მიუცილებლად საჭიროა, საჭირო ხალხში გაერცვლდეს სასულიერო შინაარსის წიგნები და, თუ ამას მოვანდენთ, ჩვენის დაუფიწყარი მღვდელ-მთავრის სახელით, ეს იქნება სწორედ ყველაზე უკეთესი პატივისცემა“.

„არითმეტრია ხალხის შექმნილი საუნჯეა, ყველა ხალხს და მათ შორის ქართველებსაც, უძველეს მიწათმოქმედ ერს, თავისი არითმეტრია აქვს, და იგი არა თუ მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, არამედ სახელმძღვანელოში სავარჯიშოები, ამოცანები, ზომა-წონის ერთეულები - სწორედ ადგილობრივი ცხოვრებიდან უნდა იქნეს აღებული. ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა შეასუსტებს საგნის პრაქტიკულ მნიშვნელობასა და მოსწავლეთა დაინტერესებას, რაც პედაგოგიური მიზნების სრულ-ყოფილ განხორციელებას ხელს შეუშლის“.

*მშობლიური ენის სწავლების მეთოდური ლიტერატურის შექმნა*

„მშობლიური ენის სწავლების შესახებ მეთოდური ლიტერატურის შექმნა პირველხარისხიანი მნიშვნელობის ამოცანაა. გვიდგენენ დალოცვილები მარტო დაუთნისებურ სახელმძღვანელოებს და გვავალებენ, რომ შეგნებით და გონივრულად ვასწავლოთ მცირეწლოვან ყრმებსა. ფსალმუნთა განმარტება კიდევ პხოვებს სადმე კაცი და ქართული სამასწავლებლო სახელმძღვანელოებისას კი ვერასოდეს ვერსად. მაშინ როდესაც მეთოდურ სახელმძღვანელოებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ სწავლა-ალზრდის საქმეში, ვიდრე ზემორე დასახელებულ სახელმძღვანელოებსა. მარტო ძველი წლების „დედა ენის“ შესახებ არსებობს ჩვენს პედაგოგიურ ლიტერატურაში მოკლე მეთოდური დარიგება და სხვების შესახებ კი სრულიად არაფერია. ამ გარემოებით აინსნება, სხვათა შორის, ის სამწყუნარო მოვლენა, რომ ქართულ პირველ დაწყებით სკოლებში სასურველად ვერ მოდის სწავლა-ალზრდის საქმე“.

„მარტო წერა-კითხვის ცოტაოდენად შესწავლა და ცოდნის სხვადასხვა დარგებთან მერე-ქვერედ ვაცნობა დიდ სარგებლობას ვერ მოუტანს კაცობრიობას. ის კაცი, რომელმაც სკოლაში შეიძინა მრავალი პირველ დაწყებითი ცნობები, მაგრამ რივიანად და ვაგებით კი ვერ შეითვისა ისინი, გაუნათლებელი რჩება, მას არ შეუძლია სკოლაში მის მიერ შესწავლილი ცოდნა ცხადად და გარკვევით წარმოიდგინოს და საქმეში გამოიყენოს. ამგვარი ცოდნა მისთვის არის გამოუსადეგარი ვანძი, რომლითაც ვერც თვითონ სარგებლობს და ვერც რაიმე სარგებლობას თავის მოძმეს



აძლევეს.

ჩვენ ამით სრულებით იმის თქმა არ გვინდა, რომ წერა-კითხვის შესწავლა და სოფლის სახალხო სკოლები სასარგებლონი არ იყვნენ ხალხისათვის, ამისთანა აზრისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მხოლოდ ჩვენ ის გვინდა ვთქვათ, რომ სოფლის სახალხო სკოლებში წერა-კითხვის და სწავლის გავრცელებასთან ერთად უნდა სწარმოებდეს შევსებული აღზრდა, რომ სოფლის სახალხო სკოლების მასწავლებელნი თავიანთი მოვალეობის დროს უნდა მოქმედებდნენ არა მარტო ისე, როგორც მასწავლებელნი, არამედ როგორც ხელმძღვანელი და აღმზრდელი ახალი მოზარდი თაობისა, რომ ამ სკოლამ გონებითად და ზნეობითად აღამაღლოს თვით მდაბიო ხალხიც“.

ქურონალი „მწყემსი“

1898, №14

„სოფლის სახალხო სკოლებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლების საქმეში, ეს ვგონებ, ყველასათვის ეჭვს გარეშეა. ჩვენს დროში ხალხის განათლებისა და სახალხო სკოლების შესახებ ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ და წერენ და ეს იმიტომ, რომ ხალხის განათლების საქმეში სკოლებს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვთ. ლაპარაკობენ და ნამდვილად დამტკიცებულიცაა, რომ წერა-კითხვას კეთილი ზედ-გავლენა აქვს ხალხის ცხოვრების ყოველ მხარეზე“.

ქურონალი „მწყემსი“

1899, №23

### ჩვენი სკოლის შესახებ

„ჩვენს სკოლებში დღეს თითქმის სამხედრო დისციპლინა სუფევს; ბრძანებს მასწავლებელი, მაშასადამე, მოსწავლე უნდა ყური უგდოს მის

ლაპარაკს და თვალუბიჯა მას მიმართოს, ზოგან კიდევ ძველ დესპოტიზმს უჭირავს ადვილი, თუძცა უფრო ვიწროდ, სამწუხაროდ, სწორედ ეს დესპოტიზმი და აქედან შიში სწობს იმ პირობებს, რომელნიც აუცილებელია მისთვის, რომ ბავშვის ყურადღება მასწავლებელზე იყოს მიქცეული და ბავშვს ინტერესი აღეძრას ხოლმე... ძალადობა ყოველს საქმეში მავნებელია და სკოლიდან მაინც უეჭველად განდევნილ უნდა იყოს“.

ტ. ჯაფარიძე.

გაზეთი „შინაური საქმეები“

1908, №2

**საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ  
სასულიერო სასწავლებლებში**

„თვის შუა რიცხვებში შედგა თფილისში მთავრობისაგან ნებადართული კრება ქართლ-კახეთის ეპარხიის სამღვდელოებისა. კრებამ განიხილა საკითხი სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლის შესახებ. კრების დეპუტატებმა საჭიროდ სცენეს საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება. უწმინდესმა სინოდმა არ დაამტკიცა ეს დადგენილება, იმიტომ რომ სახელმძღვანელოები არ გაქვთ ქართულ ენაზე. მაგრამ ჩემი აზრით, სახელმძღვანელოების უქონლობა არ უნდა ხითვალოს იმ გვარ მძიმე მოვლენად, რომლის თავიდან აცილებაც ეხლანდელ დროში შეუძლებელი იყოს.

ჩვენ ღვთისმადლით, საკმარისად გვყავს აკადემიებში კურსდამთავრებულები, მღვდლები, ბერები და ერის კაცებიც. მათ კარვად იციან რუსული ენაც და ქართულიც, აიღონ ამ დალოცვილებმა და გადმოიღონ ქართულ ენაზე რუსული მდიდარი საღვთისმეტყველო ლიტერატურიდამ სახელმძღვანელოები“.

**ჩვენი სასწავლო სასწავლებლები**

„ჩვენი უბედურებაა ის არის, რომ არაფერი გვივარგა, არც სავაჟო სასწავლებელში და საქალებო სასწავლებელი ხომ სულ წყალწაღებულია. საქალებო სასწავლებელში სწავლის საქმე უბედურათაა წასული. პროგრამა ვრცელია, ქალებიც უნიჭოები არ გვეყვანან და მაინც ვერ ახერხებენ ორი ღერი სიტყვა რუსულად ერთმანეთს წააბან.

ქართული რომ ქართულია და ამასაც ვერ ლაპარაკობენ ხეირიანად, ლიტერატურულად, თუძცა ამ საგანს ფართო ადგილი უჭირავს სასწავლებელში: „ზმანები“, „დანები“, „აქანე“, „მაქანე“, „მითინ“, „მაკითინ“ და სხვა ამის მსგავსს ენის მარგალიტებს ხშირად გაიგონებთ ჩვენი მოძავალი დედებისაგან. საზოგადო განვითარება ზე ნულარ მკითხავთ, რა გვემართება?...

მოგვიწოდებენ მეშვიდე კლასს თუ დაეუმატებთ მაშინ, საქმე უფრო წინ წავა. თუ წასწევს, ნათქვამია „აღდგომა და ხვალეო“ ამას მოძავალი გვიჩვენებს. საერთოდ, უნდა ითქვას რომ ეპარხიალურ სასწავლებელს არ ჰყავს პატრონი და გულშემატკივარი.

ეს უყურადღებობა ძალიან ატყვია უბადრუკ ქალთა სკოლას, სადაც არა მარტო შენობაა მოუწესრიგებელი, არამედ ეზო კაზაკი ცხენების საჯინიბოთაა გამხდარი. სასწავლებლის მთელი ეზო და წმინდა ტაძარიც ნების წუმბეში სცურავს.

როგორ მოვიქცეთ, რომ სასწავლებელი ავაყვავოთ, როგორც სწავლის მხრით, ისე გარეგანი მდგომარეობით? სხვათა შორის უნდა დაუყენოთ განსაკუთრებული, უზრუნველყოფილი და საქმისთვის თავდადებული ზედამხედველი ინსპექტორი“.

**საეპარქიო სასწავლებელს პატრონი ეჭირვება**

„იმერეთის ეპარქიალოური საქალებო სასწავლებელი აღარ არი, რაც იყო. თავდაპირველად იგი სამკლასიანი იყო და განძრახული იყო ასეთი დარჩენილიყო სამუდამოთ, მაგრამ ძალე თითქმის თავის თავად და ბუნებრივად გადაკეთდა ჯერ ექვსკლასიანათ და მერძე რვაკლასიანათ. მოსწავლეთა რიცხვმაც შესამჩნევათ იმატა და დღეს ეს სასწავლებელი თავის მოთხოვნილების სირთულით არაფრით არ ხამოუვარდება ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელს, ამიტომ რაც წინეთ მართვა-გამგეობა და პატრონობა ჰქონდა ამ სასწავლებლებს, ის დღეს აღარ კმარა. თუ უწინ სხვისი ზიარი ინსპექტორი ყოფნიდა, დღეს საკუთარი ეჭირვება, თუ წინეთ ზიარი მასწავლებლები აკმაყოფილებდნენ, ეხლა საკუთარია საჭირო. ხოლო ასეთ შედგენილებას, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს არსებული ჯამაგირი. განსაკუთრებით საჭიროა დღეს სასწავლებლისათვის საკუთარი ინსპექტორი, რომელიც მთლად სასწავლებელს უნდა ეკუთვნოდეს და ბინადაც იქ უნდა ცხოვრობდეს, რომ განუწყვეტლივ ადევნოს თვალყური სასწავლებლის საქმეებს. სხვა არა იყოს რა, მარტო ამოდენა შენობას უნდა ერთი საკუთარი მართველი.

ექვი არ არის საკუთარ ინსპექტორს 150 მანეთის ჯამაგირით ვერ ვიმოვნით, რადგან დღეს ორი ამდენი ჯამაგირი უბრალო იატაკის მრეცხელ მოსამსახურესაც ვერ აკმაყოფილებს; ამიტომ საჭიროა რაიმე წყარო გამოვნახოთ და სასწავლებლისთვის საკუთარი ინსპექტორი უზრუნველყოთ“.

## შინაური მიმოხილვა

„ქართულ ენაზე საქმეების წარმოება საეკლესიო წიგნებისა მთელს საქართველოში ერთი კალმის მოსმით მოსპეს. იმ დღიდან მთელი აფხაზეთის ეკლესიებიდან ხომ სულ ერთიანად გამოაძევეს ქართული ენა. ასე იღვევებოდა ეს ენა სამეგრელოს სკოლებშიაც ქართველების „დიდი მეგობრის“ დეკანოზის ვოსტორგოვის ხეენში ყოფნის დროს. დევნიდენ ქართულ ენას ყველა ხეენებური ქალაქების და ზოგ მოზრდილ დაბა-სოფლების ეკლესიებიდან, როგორც „ძაღლების ენას“. ქართველთა დიდი განმანათლებელი, მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს ქალთა მონასტერში ქართული ენის სახსენებელი სრულიად მოისპო.

ყველამ იცის, რომ ხეენებურ სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენას საძაგლათ ასწავლიან. ამიტომაც ხეენი ნასწავლი ღვდლები ვერ არიან მომზადებული ქართველი ხალხის სამოდგვროდ. ეს არის მიზეზი, რომ დღეინდელ მოძღვარს ათასი დაბრკოლება ელოდება წინ და მისი გავლენაც ხეენ ხალხზე ასე დაცემულია.

მაინც ეს ერთი სემინარია, რომელიც თფილისშია, როგორ უნდა გასწვდეს მთელს საქართველოს და ეს ერთი სემინარიაც, თურმე, დღეს ნახევრად რუსებითა და ბერძნებით არის სავსე. მართალია, იყო ქუთაისში სასულიერო სემინარია, რომლის დაარსებას გადაყვა ნეტარხსენებელი ეპისკოპოსი ვაბრიელი, და იგიც განხნისთანავე მიკეტეს. მიზეზად ის დაიდვეს, რომ შევირდებმა უწესოება მოახდინესო... აბა, გავიხსენო? სად არ მოუხდენიათ შევირდებს უწესოება: რუსეთშიაც და ხეენშიაც, უნივერსიტეტებშიაც და სემინარიებშიაც. ის კი არა აგერ შემოდგომაზე ქუთაისში ორი დირექტორი ერთ საღამოს ერთად მოჰკლეს კინაღამ, მაგრამ სასწავლებელი არ დაუკეტიათ. რუსეთის საეკლესიო მთავრობა ქართველი ხალხის საკითხავად და სახმარებლად „დაბადების“ ქართულ ენაზე დასტამბვას

სრულიადაც არ ფიქრობს. მართალია 1884 წელს დაისტამბა ორი დიდი ტომი ქართულად ნათარგმნი დაბადებისა, მაგრამ მისი ხმარება ხალხს როგორ შეუძლია, როცა ენაც გარყვნილია, ისეა ნათარგმნი“.

გაზეთი „შინაური საქმეები“  
1910, №9

„არც ერთ ექსარხოსს არ ცოდნია ქართული ენა. სამშობლო ენის გამოდენამ შკოლისა და ეკლესიისაგან ხელი შეუწყო ხალხის გულის გაგრილებას მწყემსთაღმი. სასულიერო სკოლების რუსი უფროსები ვერ გამოიხდენ კეთილი ხელმძღვანელები ახალგაზდობისა, რომლებსაც ხანდახან ვაბოროტებადმი მიუყვანიათ მოსწავლეები. სასულიერო სემინარიიდგან შეუბრალებლად ერეკებიან ქართველებს და მათ მაგიერ ღებულობენ რუსის სემინარიებიდგან გამოყრილ შავირდებს“.

გაზეთი „შინაური საქმეები“  
1910, №10

„ვინც გარჯილა და სხვა და სხვა ძველი ნაწერები წაუკითხავს, ის დაინახავდა, რომ იმ ნაწერებში არა იშვიათია სხვადასხვაობა ენისა; ძველები, ერთი და იმავე დროისა, სხვადასხვანაირად აწარმოებდენ და თხზავდენ სიტყვებსა, რომ წერდები სწერდნენ იმ კილოზე, რომლიდანაც ისინი იყვნენ. ეხლა ჩვენ ამ სხვადასხვაობიდან უნდა ამოვარჩიოთ საუკეთესო სიტყვები და ფორმები და ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ საერთოდ ენისა, და კერძოდ ქართულ ენის კანონებითა, მოთხოვნილებებითა. შემდეგ, ჩვენ სიტყვებსა და ფორმებს ვიღებთ სწორედ იმიდგან, რაც წინაარებას ვადმოვცეს და ვხმარობთ იმ სიტყვებსა, იმ ფორმებსა, რომლებიც ამ დროსაც ხმარებაშია, და ნუ თუ თქვენ ამას ეძახით ენის გარყვანას?“

ჩვენ რო თვით ვთხ ზავდეთ სიტყვებსა და ფორმებს, მაშინ ღირსი ვიქნებოდით გაკიცხვისა; მაგრამ ჩვენ ვემყარებით ძველ ნაწერებზე“.

გაზეთი „შინაური საქმეები“  
1910, №15

„არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მთავრობა ჩვენში გარუსების პოლიტიკას აწარმოებს ყოველ სფეროში და განსაკუთრებით შკოლებში. დღევანდელი ჩვენებური შკოლები პირველი საშუალებაა ამ მიზნისათვის და თანაც ისეთი, რომ გვერდს ვერ შეუვლი. ხალხს სწავლა სწყურია, თავისი ეროვნული შკოლა არ გააჩნია სიღარიბისა, თუ ქართველური დაუდევრელობისა გამო და ძალაუნებურად რუსულ შკოლას ეტანება, საიდანაც განვითარებული ადამიანების მაგიერ მახინჯებს ვღებულობთ, რომელთა სული და გული მო შხამულია და გამოუსადეგარი მშობელი ერის სამსახურისათვის. ეს სა ზოგადო მოვლენაა. მაგრამ უარესი უკუღმართობაა სასულიერო სასწავლებლების ცხოვრებაში. არა გჯერათ? ყური დაუგდეთ და დარწმუნდებით.“

როგორც ვიცით, სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების დანიშნულება ეკლესიის მსახურთა მომზადებაა. მათი მიზანია მისცეს ხალხს განვითარებული მოძღვარი, საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილი ხელმძღვანელი და დამრიგებელი, ღრმად განსწავლული საღმთო წერილისა და საღვთისმეტყველო საგნებში, მაგრამ რას ვხედავთ? არც ერთი, და არც მეორე. სამშობლო ნიადაგს ფეხასხლეტილი მოსწავლე ჩვენი ახალგაზდობა სრულებით არ არის მომზადებული თავის დანიშნულებისათვის. შკოლა არ აძლევს არც ერთ საფუძვლიან ცოდნას. მან არ იცის თავის ერის ისტორია, არც საეკლესიო და არც სამოქალაქო; არ იცის სამშობლო ენა და არა აქვს შესწავლილი ფილოსოფიურად საღმრთო წერილიც კი, ამ გვარი ცოდნის პატრონი რა მოძღვარი უნდა იყოს? რა გასაკვირველია,

რომ ხალხმაც ამისთანა მოძღვარი არ მიიღოს და აკი „სოფელმაც ვერ იცნა“ იგი?! ხალხს მისი არაფერი ესმის და მას ხალხისა. სამშობლო ენაზე ერთს გულის მოსაფხან სიტყვასაც ვერ იტყვის. უცხო ენაზე შეჩვეული მსჯელობს, საუბრის დროს ერთი მეორეში დომხალივით ურევს ქართულსა და რუსულ სიტყვებს და თუთიყუშით ვაზებირებულ სასწავლო საგნებიდან აღარაფერი რჩება სასარგებლო და ცხოვრებაში გამოსადეგი.

ჩვენი აზრის დასამტკიცებლად, (თუძცა ამას დამტკიცება აღარ სჭირდება) აქ მოვიყვანთ მოსწავლე ახალგაზდობის მუსაითის ნიმუშს და აქედან მკითხველი ადვილათ მიხვდება, რა განსაცდელშია ჩვენი დედა ენა და რავარ შებილწულია მისი სიწმინდე.

მე დღეს „დეურნათ ვიყავი“, „მამაშა“, ეუბნება დედას თავისი შვილი, და მეოთხე უროკზე „ზაკონო უჩიტელმა“ მადლობა მითხრა, რადგან „მალიტვაც“ კარგად წავიკითხე. მე „ზაკონ-ბოჟსაც“ სულ „პიატებზე“ ვსწავლობ: ხვალისათვის „პავტარენიე“ მოგვცა, მაგრამ მე წაკითხვაც არ მინდა, *и так хорошо знаю!* მიაყოლა 12 წლის ვაჟმა და კარებში გავარდა სინარულით...

ამგვარია საერთოდ ჩვენი მოზარდი თაობის სიტყვა-პასუხი შინ და გარეთ, ასრულებული ქართულ-რუსული სიტყვებით, და ადვილათ მისახვედრია ამგვარ ენის პატრონთაგან რა სიკეთე უნდა გამოვიდეს, რა საზოგადო მოღვაწე უნდა დადგეს და რა მამულისშვილობას უნდა ველოდეთ მათგან? მაგრამ განა მარტო ისინი არიან ამაში გასამტყუნარნი? - არა. ამაში მეტი წილი ისევ ჩვენსა ვართ დამნაშავე. ჩვენ ვაძლევეთ ახალ თაობას ცხოველ მაგალითს, რომ ისედაც პატივყრილი სამშობლო ენა შინაურიდგანაც და უცხოდგანაც მასხრად ავდებულოა და დაბეჩავებული. რომ ეს ასე არ იყოს, ვერც „ვოსტორგოვები“ და ვერც „უსტინოვიჩები“ ვერ გაბედავდენ ქართული ენის ავად ხსენებასა და შეურაცხყოფას, მაგრამ ყველასთვის ცხადია ჩვენი გულგრილობა სამშობლო ენისადმი, ყველა კარგად ხედავს ჩვენს მონურად შეგუებას ყოველგვარ გამათახსირებელ პი-



რობებთან და ამიტომაც ქართველი ერის უფლება, მისი ეკკლესია, ზნე--  
ჩვეულება მიწასთან გასწორებულია ვივინდარებისაგან.

საზოგადოთ ჩვენ, ქართველებს, ერთი დამღუპველი თვისება გვჭირს. ყველაფერში გვაკლია მონდომება, საკუთარი მოვალეობის შეგნება და თაოსნობა. გვიყვარს სხვისი იმედით ცხოვრება და, როცა ეს სხვა ჩვენს გემოზე არ გვიკეთებს შილა-ფლავს, ვბუზღუნობთ... ვემდურით მთავრობას, რომ ჩვენს შკოლებს ქართულ ენას არ ასწავლის და ჩვენდა სასარგებლოთ არ გვიწვრთნის მათ. ახირებული ვულუბრყვილობაა, მეტი რომ არა ვსთქვათ! განა ჩვენ თვითონ როდისმე გვიზრუნვია ამაზე? განა ჩვენ თვითონ გვიმატადინია, რომ შკოლის გარეშე მაინც შეგვესწავლა სამშობლო ერის ისტორია, ენა და ზნე-ჩვეულება? ან როდისმე მოგვდომებია, რომ საკუთარი ძალით რაიმე კულტურულ-განმანათლებელი კავშირი შეგვეკრა? არასოდეს. წერა-კითხვის საზოგადოება, თეატრი და ესა და ისაო, მეტყვიან. თავის მოტყუებაა, მეტი არაფერი. ყველა ამათში მე უსიცოცხლო ცოდვილობის მეტს ვერაფერს ვხედავ“.

გაზეთი „შინაური საქმეები“  
1910, №18

„ამ ორი წლის წინეთ უწმინდესი სინოდი შეეკითხა სრულიად საქართველოს სამღვდელოებას, საჭიროთ და სასურველათ სცნობს თუ არა იგი, რომ სამღვთო სჯული ქართულად ისწავლებოდეს სასულიერო სასწავლებლებში. არ ვიცით, რა პასუხი ვასცა ამ საკითხს ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ, ხოლო რაც შეეხება იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდელოებას, ესენი სინარულით შეეგებენ ამ წინადადებას და მოახსენეს სინოდს, რომ სამღვთო სჯულის ქართულად სწავლება, არათუ მხოლოდ სასულიერო სასწავლებლებში, როგორც დაბალში ისე საშუალოში, არამედ ყველა საერო სასწავლებლებშიაც სასურველია და სასარგებლო...“

ქართველი სამღვდელთა და ხალხიც ყოველთვის ამხნევედა, რომ საღვთო სჯულის რუსულად სწავლება ძირს უთხრიდა სამშობლო ღვთისმეტყველებას, უკარგავდა ენას და ამუხვებდა სამღვდელთა, უსპობდა მწიგნობრობას, ერთი სიტყვით სპობდა მღვდელსა და ერს შორის ცხოველ დამოკიდებულებას, მაგრამ მეტის ხათრით და მორიდებით სინოდის წინაშე ვერ გაებდნა თვით აღეძრა საკითხი საღვთო სჯულის და საეკლესიო წიგნ-ტიბიკონ-გალობის ქართულად სწავლებისა. თუმცა რუსები დარწმუნებულნი არიან, რომ „სიხუმე თანხმობის ნიშანია“, მაგრამ დავარწმუნებთ რუსეთის ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენელთ, რომ ამ ანდაზას ხსენებულ შემთხვევაში ნიადაგი არ ჰქონია. სიხუმე აქ უფრო უძლოურების და შიშის ნიშანი იყო და არის.

რადგან უწმინდესმა სინოდმა კეთილინება და თვით რამოდენიმე მაინც სასარგებლოდ აღიარა და წინადაუდვა სამღვდელთა ეს ხსენებულ საკითხი, არავის ეჭვი არ ჰქონდა რომ რეფორმა შესახებ სამღვთო სჯულის ქართულად სწავლებისა დაუყოვნებლივ განხორციელდებოდა, რაკი სინოდი შეკითხულ სამღვდელთაგან დასტურს მიიღებდა. მაგრამ როგორც სჩანს ამ საკითხმა ჯერ კიდევ დიდი სატანჯველი უნდა გაიაროს, სანამ თავის უკანასკნელ გადაწყვეტილებას მიაწევდეს. სინოდმა ვერ სცნო შესაძლებლად ამ საკითხის სასურველად დაბოლოება იმ მიზეზით, რომ ქართულ ენაზე არ მოიპოვება საჭირო სახელმძღვანელოები. არ ვიცით რამდენათ გულწრფელია უწ. სინოდის ასეთი პასუხი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი პასუხი მხოლოდ საკითხის მიფუჩეჩებაა... სრულიად მართალი უენიშენაა, რომ ჩვენ სახელმძღვანელოები არა ვვაქვს, მაგრამ ვვაქვს ღრმა და მდიდარი ენა, ვვყვანან მკოდნე უმაღლეს სამღვთომეტყველების კურსდამთავრებული პირები რომელთა მეოხებით რამოდენიმე თვის განმავლობაში შეგვიძლია მთელი საღვთისმეტყველო სახელმძღვანელოები გაუაჩინოთ და შემდეგ ცოტა ხნის განმავლობაში დაამხმარებელი წიგნებიც... მოგვეცით ნება ჩვენ ენაზე ვისწვალოთ და მაშინ

ნახავთ, როგორი სახელმძღვანელოები გაგვიჩნდება. რუსული სახელ-  
მძღვანელოები განა ბერძნულიდგან ან სხვა ენებიდგან ნათარგმნი, ან მათი  
მინედვით შედგენილნი არ არიან? რა დაგვიშლის, რომ ჩვენც ასე მოვიქ-  
ცეთ?“

გაზეთი „შინაური საქმეები“

1910, №19

### ქართული საეკლესიო გალობის დამახინჯება

„ამ მოკლე დროში შემთხვევით კვირა დღეს დავესწარი ს. ჩხარში და  
გავიგონე თუ არა, რომ იმ დღეს ადგილობრივი ქალების სამრევლო შკო-  
ლის მოწათეები იგალობენო, სწორეთ, როგორც მოტრფიალე გალობისა,  
გავეშურე ტაძრისაკენ, მით უმეტეს რომ სასულიერო კლასის მეორე მო-  
სამზადებლიდამ დაწყებული დღემდის ქართულ და რუსულ საეკლესიო  
გალობაში ვარ, ხან კიდევ ვლოტბარობ. ვისმენდი რუსულ-ქართულ გა-  
ლობას ეკლესიაში და სწორეთ ვერ გაძეგო გალობის კილო. დავინტერეს-  
დი საილამ შეითვისა მასწავლებელმა ეს გალობა აქო და ბოლოს შევიტყ-  
ვე, რომ აღისუბნის ორ-კლასიანი შკოლიდან გამოუტანია. მინდოდა გა-  
მეცნო, მაგრამ ვიცოდი, ვერ მოვითმენდი, ვეტყოდი „უბაღლო ქვეყანაში  
ყოფილხარ და ჯოხი არ დაგჭირდებათქო“ და სკანდალს ამიტეხდა.

იმედია, ზემო გარემოებას მიაქცევს ყურადღებას ადგილობრივი  
მღვდელი და ყველა ქართული გალობის მოყვარული გამოესარჩლება მას.  
გასაკვირველია, რამ მოათეიქრებია ბ. მასწავლებელს რუსული გალობა იმ  
ეკლესიაში, სადაც ერთი რუსიც არ შევა წელიწადში“.

### ჩვენი შაიშინობა

„ერთი საუკუნის განმავლობაში, რაც ჩვენ მამაპაპათა საქები, ჩვენთვის სასარგებლო ზნეწესი და ჩვეულება დაგვარგეთ, რომ გულდასმით აღვრიცხვით, განვიხილოთ და შევაფასოთ, ვნახავთ, რომ ბევრი რამ უძვირფასესი დაგვიკარგავს. სამაგიეროდ წყალ-წყალა ჩვეულება შამოგვილია, რომელსაც ჩვენში ნიადაგი არ აქვს, მარა ჩვენი სასარგებლო თვისებების ამოსაფხვრელათ დიდი ძალა აქვს. ჩვენ ადვილათ ვიტყვით, რას დააკლებს ქვეყანას ქალებმა რომ ბულვარებში თავზე ზარებით, გულ და მკლავებ ტიტველა, თითო მტკაველ ცხვირიან პოლსაპოშკებით და შანტეკლელებით დაბორკილათ იარონო, მარა ამას ყველაფერს თავისის დამბრკოლებელი მნიშვნელობა აქვს, ჩემო ბატონო. გულუბრყვილონი ადვილათ იტყვიან: დეე ვისაც შანტეკლელებით კისრის ტეხა უნდა, ღმერთმა ხელი უწყოსო, მარა იმათ რომ კითხვით, ქართველი ვართო გეტყვიან და ყველას რომ ქართული სძულთ, ამაზე რას მიბრძანებთ?! ყველგან და ყველა უცხო ენით ტყლიპინობს. სასირცხო და სავალალო ისაა, რომ არც ის იციან და სასაცილო ჯიყჯიყის არ რცხვენიათ! ქართულს სულ არ ლაპარაკობენო რომ ვთქვათ, სიცრუე იქნება, ქართულს ლაპარაკობენ, მარა ჭრელა-ჭრულათ, ნახევარი რუსული და ნახევარი ქართული. რაც უფრო არეული იქნება ერთმანეთში, მით უფრო „ნასტავლობის“ ნიშანია. ეს ბრალი, განა მარტო ქალებს ადევთ? არა, ბატონო, ვაჟები ამ არეუ-დარევაში კიდევ უფრო დახელოვნებული ბრძანდებიან... ეკლესიაში რაღასა ვხედავთ? ერთს „პაკი პაკის“ ამბობენ, მეორეს მერმე და მერმეს. ერთს „ლოსპოდი პომილოუს“, მეორეს „უფალო შეგვიწყალენს“. არხილიაკონი ამბობს: სიბრძნით აღემართენით! და იქვე მოაყოლებს: „პრიიდიტე პოკლონიმსიას“. არხილიაკონი კი, როგორც თავის თანამდებობაში, ისე გალობაშიაც კარგი ნიჭის პატრონია, მარა რაფერ გაექცეს დიდი ხნით შამოღებულ წესს. ყველა ამგვარებს ჩვენ,

ისე შევეჩვიეთ, რომ მამაპაპური დაკანონებული რჯული გვკონია. იკითხავთ, ეს არეგდარევა რა ამბავიაო? გეტყვიან, ეს მიტომ რომ აქ რუსებიც დადიან და ქართველებიცო, მარა წირვაზე რომ მიბრძანდეთ, ნახავთ, რომ თუ ვინმეა ეკლესიაში, – ყველა ქართველია. აბა, რა მიზეზიაო იკითხავთ? ფორმაა, ბატონო და განათლება, განა არ შეიძლება, როცა საჭიროა რუსული მსახურება იყოს, დანარჩენი ქართული? ვინ აიძულა ქალაქის მღვდლები, რომ ასე იქცევიან? არაფერია. ვინ დაავალა ისინი, სებისკვერზე სლავიანურად დააწერეთო, მარა წაბადვის სურვილით ქართული წარწერის სებისკვერის ბეჭდები დაამტვრიეს, სლავიანური დააწერინეს ბეჭედაზე, ამას აჭდევენ სებისკვერებზე და ამაზე სწირავენ! რატომ? ღმერთმა ქართული არ იცის თუ? იცის, როგორ არა, ღმერთმა ყველაფერი იცის მარა, სხვისი ყველაფერი სჯობს ჩვენსას, ჩვენი არ ვარგა, და ბარემ ღმერთი გვიჩვენია ჩვენი ყველაფერი უარყოფით, იაფარყოფით!..

ამ ღვთის ქართულის ცოდნაზე ერთი ამბავი მომაგონდა: ყოვლასამღვდელო გაბრიელს, ერთხელ აფხაზეთის ეპისკოპოსი ესტუმრა (რუსი). ამ ღმერთს გაბრიელთან იყო გელათის წინამძღვარი არქიმანდრიტი სერაფიონ (ახვლედიანი). მას აფხაზეთის ეპისკოპოსი შეეკითხა რატაცას. გაბრიელმა მოახსენა, ამან რუსული არ იცისო. რუსს ეპისკოპოსს გაუკვირდა და იკითხა: როგორ მოხდა, რომ მონასტრის წინამძღვარმა რუსული არ იცისო? გაბრიელმა გადაუთარგმნა ეს გელათის წინამძღვარს. ძერე არქიმანდრიტმა თხოვა გაბრიელს (თითქმის გულმოსულმა), უთხარი მაგასო, „თქვენ, მღვდელმთავარმა, როგორ არ იცით ის, რომ ღმერთს ყველა ენები ესმისო“. გაბრიელმა პირდაპირ ასე გადასცა ეს სიტყვები რუს ეპისკოპოსს, მან გაიცინა და უთხრა არქიმანდრიტს: „კმაყოფილი ვარ მით, რაც თქვენ მომიგეთო“. ეს ასეა, მარა ჩვენ ქუთათურ მღვდლებს და თუ ვნებავთ თბილისელსაც ეს არ ჯერათ და თუ სლავიანური არ უწერიათ სებისკვერზე, ეშინიათ, რომ წაწყდენ... საწყალი ჩვენი ძველი მღვდლები! თურმე რა ცოდვა წაყვა ამ მხრით! ეს ნაწყვეტები მაგალითისათვის ვახსენეთ და ვინ იცის

რამდენი რა დაეკარგეთ, რამდენგვარათ გადავგვარდით, ჩვენ კი ნორმა-  
ლოურ კალაპოტში ვდგავართ გვეონია. ისე შევეჩვიეთ ყველაფერს უცნოს,  
რომ ჩვენი საკუთარი, მამაპაპური გვეონია. ერთი მცირე მაგალითიც: „შინ-  
აური საქმეების“ მე-14 ნომერში ბ. ხელი ეხება სობოროს ლოტბარს და  
სლავიანური გალობის ვითარებას. სწუხს, რომ უკეთეს მწყობრათ ვერ გა-  
ლობენ რუსულ გალობას. შეგვიბრალეთ მლოცველები, კაი რუსული გა-  
ლობა ვაგვიწყვეთო. ბ. ხელმა ძალიან კარგათ იცის, რომ ჩვენ ქართველები  
ვართ, ქართული გალობა გვაქვს და, როგორც ყოველთვის წინეთ, ისე  
დღესაც უნდა გალობდენ „სობოროში“. მარა იმ შეჩვევამ, რომ „სობორო-  
დამ“ კარგა ხანია ქართული გალობა გააძევეს, მუდამ სლავიანურათ გა-  
ლობენ და ქართული გალობა აღარ ისმის, ბ. ხელსაც, ამ საზოგადო საქმე-  
ზე გულშემატკივარ ადამიანსაც კი ერთი წამით მაინც დაავიწყა, რომ  
„სობოროში მარტო რუსული გალობა არაა სავალდებულო. აკი მოგახსენ-  
ნეთ შეუძინევლათ შევეჩვიეთ ყველაფერს სხვისას და ჩვენი დაეკარგეთ-  
მეთქი?! (მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ. ხელი დამეთანხმება ყველა ამებ-  
ზე). ეს ასეა თორემ, რომ ასე არ იყოს ქართულ გალობაზე უფრო გულ-  
მტკივნეულობას გამოვიჩინთ, ვინემ რუსულზე, რომელიც ქართულზე ას-  
ჯერ უფრო ვითარდება ჩვენში. ჩემთვის, რომ ეკითხა ვისმეს, ასე ვიტყვი:  
რუსულ გალობას, როგორც არის გვარიანათ გალობენ, ეს რა ამბავია მეთ-  
ქი! წინეთ თუ კანანარხი იყო გაჩაღებული და ყველაფერს გალობით ამ-  
ბობდენ ქართულათ, დღეს ერთი ტროპარიც რომ აღარ იციან, რა ღვთის  
წყრომაამეთქი?!“

იოთამ თარხანიძე

გაზეთი „შინაური საქმეები“

1910, №21

„სინოდმა ამას წინადა საქართველოს სამღვდელთა უარი უთხრა  
სასწავლებლებში საღმრთო სჯულის ქართულ ენაზე სწავლის შესახებ

ქართულ სახელმძღვანელოების უქონლობისა გამო. სახელმძღვანელოები სად გვექნებოდა, როცა სკოლა არ გვექონდა. არ იყო მოთხოვნილება, არ იყო სახელმძღვანელოებიც“.

გაზეთი „კოლხიდა“  
1911, №26

### ახალი ამბავი

„ქუთაისის სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების თაობაზე მოყვანილმა ფრაზამ: ქუთაისში ორათ ორი საშუალო სასწავლებელია, სადაც წესიერათ მიდის ქართული ენის სწავლება-თქო, - ჯერ მხოლოდ ერთი სასწავლებლისაგან გამოიწვია პროტესტი და სარწმუნო პირისაგან ცნობა მივიღეთ, რომ ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში ქართული ენის სწავლა სავალდებულოა და წესიერათაც არის დაყენებული. ჩვენს სასწავლებელში ათის წლის განმავლობაში მოსწავლისათვის სავალდებულოა ქართული ენის სწავლება“.

გაზეთი „კოლხიდა“  
1911, №32

### ქუთაისელი ქართველი ქალის აღსარება

„ჩვენი ქვეყნის უბედურება ის არის, რომ ძველი, ერთგული და თავგანწირული დედები, რომლებიც სამშობლოს ღირსეულ შვილებს უზრდიდნენ აღარ არიან. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ქუთაისელ ქალთა ცხოვრებაზე დაკვირვებით. ქუთაისელ ქალებს არასოდეს უფიქრიათ რაიმე წრის დაარსება და საქვეყნო საკითხების მოგვარება. ჩვენ მხოლოდ ჭორების გავრცელება გვემარჯვება, მოდის გაფაცვიცებით თვალ-ყურის დევნა, კოაქციობა... და ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ დიდს

ნაწილს ხვეწებურ ქალებსას საშუალო განათლება მიუღია, ბევრს მოზარდი თაობის ხელმძღვანელობა უკისრია და საპედაგოგო ასპარეზზე გამოსულა. რა აღმზრდელები უნდა გამოვიდეს ხვეწგან? თვით რა სალაროს პატრონი ვართ, რა პირობებში აღვიზარდეთ, რომ სხვის აღზრდას ვკისრულობთ“.

გაზეთი „კოლხიდა“

1911, №58

### ქუთათური მასწავლებელი ქალის აღსარება

„დღეს იშვიათად შეხვდებით ისეთ ადამიანს, რომელიც წყევლა--კრულოვით არ იხსენიებდეს მასწავლებელს, განსაკუთრებით მასწავლებელ ქალს. ბევრი მათგანი გულგრილად ასრულებს თავიანთ მოვალეობას. მართლაც სამწუხარო სურათს წარმოადგენს მათგან დიდი უმეტესობის ცხოვრება: სრული გონებრივი ჩამორჩენა, თავისი საქმისა და მოვალეობის არ ცოდნა. სიზარმაცე, მცონარეობა... სამწუხაროა, სავალალოა, რომ არც ერთი ხვეწი მასწავლებელი ქალი არას ფიქრობს იმაზე, თუ რა დიდი საქმე უჭირავს ხელში - მოზარდი თაობის ნამდვილი მოქალაქის აღზრდა; არ ფიქრობს, თუ ამ საქმეს რა ენერგია, რა განვითარება ესაჭიროება. დიდი ნაწილი ქალებისა დაამთავრებენ თუ არა საშუალო სასწავლებელს, მაშინვე საპედაგოგო ასპარეზისაკენ მიიღტვიან. თითქოს ყოველი მათგანი საპედაგოგო მეცნიერების სალარო იყოს. ისინი ზერელე ცოდნით კისრულობენ მოზარდი თაობის აღზრდას. მათი მოღვაწეობა სულ ორ-სამ საათს შეიცავს და ამ დროსაც არ არიან რივიანად მომზადებული. შეიძლება ითქვას რომ უვიცები მიდიან სკოლაში და იქიდანაც ასეთივე უვიცები ბრუნდებიან. საპედაგოგო მოღვაწეობა ამათ რალაც შემოსავლიან ადგილათ ვადააქციეს. ამ მოღვაწეობას ეწევიან მხოლოდ იმისთვის, რომ ორიოდვე ვროში აიღონ და ისიც ტანზე მიიწებონ. ემსახურებიან არა დიად საქმეს,



არამედ ფუქს და, აბა, რად ვამიკვირდება, რომ ხვენმა მასწავლებელ ქალებმა მოზარდ-თაობას სულიერი და გონებრივი საზრდო ვერ მისცენ“?

გაზეთი „კოლხიდა“

1911, №89

### ქართველი ქალების კამათის ვამო

„ქართველი ქალების ნაკლი საფუძვლიანათ „ამოიღო ნიშანში“ ბატონმა სილოვანმა. მათზე კიდევ ბევრია სათქმელი, რადგან სამწუხაროთ, ამ ბოლო დროს ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ქალი ტომით ქართველია, მაგრამ გარეგნულათ, გრძნობითა და საქმითაც გარდაქმნილია. ამ მხრივ ყურადღება შევაჩეროთ, ზოგიერთ დედებზე, რომლებიც არიან სასტიკათ გაკრულ, შებაწრული კარსაყებში - ისე რომ გაფაცურების ამანი არ აქვთ. ამ დროს ზოგიერთს ხვილი, უსუსური ბავშვი აკვანში უწევს, დედა წასულა სასეირნოთ ბაღში, დიდ ხანს შემდეგ მობრძანდება - და ბავშვი შიმშილით გადაქცეული ხვდება!

სოფლის უვიცი დედაკაცი რაც არ უნდა ნამკზავრი და დაღლილი იყოს პატარა ბავშვს ვიდრე წყლით არ ჩამოიბანს და არ გაიგრილებს ისე ძუძუს არ მიცემს, მაშინ როცა ნასწავლი ქალები ამას არაფრად ავდებენ. მათთვის მთავარია და ყოველ ძალღონეს ხმარობენ რომ მოდაზე გამოჩინდნენ ხალხში და სხეულის ნაწილები მკვეთრათ გამოაჩინონ. დღევანდელ ქალებს ლაჩაქის მაგიერ უზარმაზარი ქუდი - ბალათ გაშენებული აქვთ დახურული. ძველი დედები საფლავიდან რომ ამოვიდნენ და ეს შანტეკლერები დაინახონ კარგად გაიცინებენ და ალბათ გულდათუთქულნი გაბრუნდებიან საფლავში.

თუ ადრინდელ საუკუნეებში ადამიანები ველური ხალხი თუ შიმშველი დადიოდა, დღეს, როცა მეტი კულტურაა ახლანდელმა ქალებმა ნახევრად შიმშველმა დაიწყეს სიარული.

თანდათან ვუახლოვდებით, ბრძანებენ ქართველი ქალები და ვეჩვევით ქართულსო. ახლა უახლოვდებიან? ნუთუ ეს ეპატევება ქართველ ქალებს, რომ ახლა გაუხთიათ თავისი ენა შესახვევით? დღემდე რატომ არ დათქმულან, რომ დედა ენა ყოველ ენაზე უფრო სატრფო და სადიდებელია და მიუცდილებელი საჭირო?!“

გაზეთი „კოლხიდა“  
1911, №90

### ბ. ივ. ვართაგავას „რა გვაკლია“-ს გამო

„ბატონ ვართაგავას თავის წერილში ქართველი ქალების გადაგვარებისა და გონებით ღარიბობაზე ბევრი აქვს აღნიშნული. სამწუხაროთ, ეს ყველაფერი სამელო-სატირელია, მაგრამ ქალებთან ერთად არ შეიძლება ჩვენი თანამედროვე ძმებისა და მამების საქციელი დავივიწყოთ. ვანა ყველა უკვდავი ილია და აკაკია ჩვენში! ვანა ყველა ბარათა შეილია? სადარჩიან სხვები? სადარჩიან დიდი უძრავლესობა ჩვენი ვაჟბატონებისა? რისთვის ვერ გრძნობენ ამ საშინელ დანაკლისს ქალების გადაგვარებისას? რასაკვირველია, ვერას იტყვიან რადგან თვითონ ბრძანდებიან ქართველი ქალების გადაგვარებისა და სიმანინჯის მიზეზი! ეს ყველა მათგან არის გამოწვეული, რადგან თვითონ ისინი არიან კეკელა ქალების, მანტეკლერებისა და უცხოების მოტრფიალენი! ყველას მოგვისძენია ვითომ განათლებული ქართველი ვაჟბატონებისაგან, რომ დიდ უსიამოვნებას აყენებენ იმ ქართველ ქალებს, რომლებიც რუსულად არ ლაპარაკობენ და ჩაცმასა და მინერა-მოხვრაშიც აზიელობენ. საინტერესოა სად აღიზარდნენ ეს ვაჟბატონები? ალბათ მათაც ჰყავდათ დედა, რომელთაც ქართულის გარდა სხვა ენა არ იცოდნენ და შეიძლებს ქართულად ზრდიდნენ მანამდე ვიდრე მათ სასწავლებლებში შეიყვანდნენ. მაგრამ მოტყუდნენ როგორც მშობლები, ისე მთელი საზოგადოება, მთელი ერი. რა შემოიტანა განათლებულთა უძრავ-

ღესობამ ჩვენში? - მხოლოდ უსაქმოდ ბულვარის ტკეპნა, ქართული ენის დამახინჯება, ქეიფი, ფულები ფლანგვა, ურთიერთ შორის კიცხვა, გმობა და ღალატი. მათი თანამედროვე ქართველი ქალების აბუჩათ ავდება, დამცირება და შეურაცხოფის მიყენება! აი, მთელი ასპარეზი მათი მოღვაწეობისა!

ამ ვაჟბატონებს რამდენი დანიშნული უმანკო ქართველი ქალი გაუცვლიათ უცხოელ ქალზე. იმ მოტივით, რომ მათ ნიბლავეთ ვარეგნული სიკეკლუცე და კონტათ ხაცმა, მოდები და თავდაუჭერელი სითამამე მათი. თუ ღღეს ჩვენი ქალები მოდისა და უცხოენის მოტრფიალენი არიან ეს სულ ჩვენი ვაჟბატონებისაგან არის გამოწვეული. მაშასადამე, მარტო ქართველი ქალების ნიშანში ამოღება დიდი უსამართლობაა იპოლიტე ვართავასაგან და საჭიროა გაითვალისწინოს ჩვენი ინტელიგენტი ვაჟების საქციელიც. ეს ვაჟბატონები ცოლებს ზიზლით უცქერიან, ხშირად პატიოსან ცოლსა და უმანკო შეიღებს შორდებთან და მოყავთ ისეთი ქალები, როგორსაც ბ. ვართავა ვგისურათებს. რა უნდა ქნან შეურაცხოფის ასაცილებლად ქართველმა ქალებმა, როცა მათ ქმრებს ასეთი „კარტველი კალები“ მოსწონთ. გაზეთის ფურცლებზე მათი ვაბიბრუება სამარცხვინო ბოძზე გაკვრა გადაგვარებულ ქალებს ველარაფერს შევლის. ვგონებ, უძჯობესია, მომავალ თაობაზე იზრუნონ და თავისი გონიერი ვაგლენით ქვეყნის შესაფერისი ოჯახების შექმნაზე იზრუნონ“.

გაზეთი „კოლხიდა“  
1911, №92

### რედაქციისაგან

„კარტველი კალების“ შესახებ რედაქციაში მრავლი წერილი მოგროვდა. სასიამოვნოა რომ ქართველი ქალების ერთი ნაწილი სიფხიზლეს იჩენს, პრესას თვალ-ყურს ადევნებს, თავისი სოციალური პიროვნების ავ-

კარგით დაინტერესებულია. ყველა ეს სასიამოვნოა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირია ქალების საკამათო წერილებში მათი დაუკვირვებლობა და შეუგნებლობა გამოსჭვავის, სასიამოვნოა იმით, რომ თვით ეს დაინტერესება, ეგ სიტუაციის და თავმოყვარეობა, რომლითაც ჩვენი ქალების ერთი ნაწილი აღძრულ საკითხს ეჭიდება, გასწორების, წინსვლის, პროგრესის მომასწავებელია. რედაქცია აღნიშნავს რომ მართალია სიტუაციის მხოლოდ მცირე ნაწილი იჩენს, უდიდესი ნაწილი ისევე ძველებურათ სდუმს და ძველებურათ „კარტველი კალი“ რჩება. რედაქციას კარგად ესმის ზოგიერთი მოკამათე ქალის აზრი, რომ მარტო ქალები კი არ არიან ჩამორჩენილები, არამედ ვაჟებიც ასეთ მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე ორივე სქესის წარმომადგენლებს მართებთ ბრძოლა იმისათვის რომ დაძლიონ ძავენი სენი. ეს ის სენია, რომემ ქართველი ქართულად აღარ ლაპარაკობს, სურვილი, მოთხოვნა არ აქვს ილაპარაკოს, და ვისაც სურვილი აქვს, ის ვეღარ ლაპარაკობს, სამშობლო ენა დაუფიწყია. მათი უბედურების მიზეზი მარტო ენის უცოდინრობა როდია: არამედ საზოგადოთ ეროვნული თავმოყვარეობის, ეროვნული თვით შეგნების უქონლობითაც გამოინატება. ამ სენის დასაძლევათ ქალებსა და ვაჟებსაც სჭირდებათ დააარსონ პატარ-პატარა წრეები. თვითონაც შეისწავლონ სამშობლო ენა, ისტორია და ლიტერატურა და ეცადონ, ყოველი ღონე იხმარონ, რომ მანლობელ ვაჟთა თუ ქალთა ინდიფერენტის ზმის კედელი გაარღვიონ და თავის თვით განმავითარებელ წრეებში ჩაითრიონ“.

გაზეთი „კოლხიდა“

1911, №161

### ვისი ბრალია?

„ძნელათ შეხვდებით ახლა ისეთ მოსაუბრეს, რომელმაც ქალთა ვადგვარებაზე, მათ გონებით სიჩლოუნვეზე და ფუქსავატ აზროვნებაზე არ

დაგიწყით მუსაიფი. დიდსა და პატარასაგან, სწავლოლისა და უსწავლო-  
ლისაგან, თითქმის ყველასაგან ერთი და იგივე გაკვეთილსაგან ვაზებირე-  
ბული სიტყვები გესმით: „აღარ გვყავს დედები“, „ქალები გადაგვარდენ“  
და სხვა მისთანები. ასე სწერენ, ლაპარაკობენ და სჯიან...

ახლანდელი საერთო ლაღადისი ქალებისადმი და ამ საუბარზე ჩემი  
წერილი ქალთა ქომაგის მაგალითი როდია. აქ მხოლოდ ერთ ფაქტთან და-  
კავშირებით სასურველია მკითხველმა შეძვევი რამ იცოდეს.

ამას წინათ დაბა ჭიათურაში კიტა აბაშიძის თავმჯდომარეობით გაი-  
მართა სხდომა ადგილობრივ საქალაქო სასწავლებლის არჩევნებთან და-  
კავშირებით. არჩევნებში მონაწილეობდნენ როგორც ქალები, ისე მამაკა-  
ციები. სულ 16 კონკურენტადან ქალი მხოლოდ ხუთი გახლდათ, დანარჩენი  
კი მამაკაცი მასწავლებელი. უნდა აერხიათ სოფელ ზედაგანში, შუქრუთსა  
და მღვიმეში სოფლის სკოლებისათვის მასწავლებლები. ქალებს ყველას  
საშუალო სასწავლებლის რვა კლასი ჰქონდათ დამთავრებული, ხოლო მა-  
მაკაციებს საქალაქო სასწავლებელი, სამასწავლებლო სემინარია და ამას-  
თან რამდენიმე წლის ფრაქტიკაც ჰქონდათ გავლილი.

როგორც ამბობენ, ამორჩევა უნდა ყოფილიყო სქესობრივად გათა-  
ნასწორებული, ე.ი - აერხიათ ორი ქალი და ორი კაცი. მაგრამ ეს არაფრათ  
ესიამოვნათ თურმე ზოგიერთ აქაურ „ინტელიგენტ“ მასწავლებლებს, სა-  
შინელი პროტესტი განაცხადეს და კიდევაც წინ და წინ გადასწყვიტეს  
არაფრის გულისათვის ქალი არ გაეყვანათ. მიუხედავად ბ-ნი კიტას და  
ზოგიერთი მასწავლებლების სამართლიანი ჩივილისა, რომ ქალისათვის მი-  
ეცათ ადგილი, უმეტესმა ნაწილმა „ინტელიგენტ მასწავლებლებისამ“ თა-  
ვისი გაიტანა და სულ კაციები გაიყვანეს.

ბევრი თქვენგანი ხომ ქალთა ემანსიპაციის მომხრეა და უფლებათა  
გათანასწორებაც ეს არის. აი, რით იმართლებენ თავს ჩვენი ამომრჩელები:  
„ქალს სოფელში მოეწყინება“ ბ-ნო, დიდი სითამამეა ყოველი ქალის ერთ  
ფარვალში მომწყვდევა.

უძჯობესია თქვენს თავზე დაიხედოთ და თქვენს საქციელსაც კრიტიკულათ შეხედოთ. თუ ქალი იწევს სოფლისაკენ, თუ მას სწყურია სოფელში იმოღვაწეოს, ამ შემთხვევაში რა უფლება გაქვთ ხელი კრათ მათ, იმ დროს ერთადერთი ასპარეზი ქალებისათვის დღეს საპედაგოგო მოღვაწეობაა. ქალებისათვის ხომ მარტო საპედაგოგო ასპარეზია დარჩენილი. ქალთა საშუალო სასწავლებლები ხომ ცოტათ თუ ბევრათ მარტო ამისათვის ამზადებს მათ? თვით ქალის ბუნებაც ხომ ბავშების აღზრდისაკენ მიისწრაფის და თქვენ კი ამ ერთადერთ სამოქმედო საშუალებას ართმევთ მას. ქალი აქ არ შეიძლება, ქალი იქ არ შეიძლება, ქალს სოფელში მოეწყინება, ქალს უნივერსიტეტში რა უნდაო, ქალი უნდა გათხოვდესო.

ასეთია ზოგიერთი ჭიათურელ მასწავლებელთა პასუხი ქალებზე ზოგადად. ამსათან ერთად თქვენი შეხედულება თითქოს გათხოვებისათვის საჭიროა პრანჭვა გრეხვა, პრანჭვას კი ჩაცმა-დახურვა მოსდევს ესეც თურმე ქალების დანაშაულია?! ეს არის მწარე და დამატონებელი სინამდვილე რასაც მამაკაცი პედაგოგები უწყობენ ხელს მცარი შეხედულების გაზრცელებისათვის“.

განეთი „კოლხიდა“  
1911, №165

### მცირე შენიშვნა

„კოლხიდას“ №161-ში ვინმე იმერელ-მეგრელი ქალი მოგვითხრობდა ჭიათურის პირველ დაწყებით სკოლებში ოთხი ახალი მასწავლებლის არჩევის შესახებ, რომელიც აღნიშნავდა რომ კონკურსში მონაწილე 16 მასწავლებლიდან 5 მთხოვნელი ქალი გახლდათ რვა კლას დამთავებული, ხოლო მამაკაცები კი საქალაქო სასწავლებლისა და სამასწავლო სემინარის კურსდამთავრებულები გახლდნენ. იგი კომისიის გადაწყვეტილებას უკანონოთ მიიხნევდა იმის გამო, რომ ერთობ გაზვიადებული წარმოდგენა

ჰქონდა რვა კლასიან ქალთა ცოდნის შესახებ. ეტყობა წერილის ავტორი თვითონაც ამ კატეგორიის მასწავლებელთა რიგს მიეკუთვნება. იმერელ-მეგრელ ქალს უნდა მოეხსენებოდეს რომ სახალხო შკოლები ყოველთვის უფრო მაღალ სიმაღლეზე იდგენ ცოდნითა და გამოცდილებით. ამავე აზრს გამოთქვამს რუსული პედაგოგიური ჟურნალი „რუსკიე შკოლა“ და „ჩვენებური განათლება“. რაც მთავარია დღევანდელ სკოლებში სწავლა განათლება ქართულად წარმოებს. გიმნაზიელ ქალებს კი „კარტული“ ხომ არ ეხერხებათ და ისინი მშობლიურ ენაზე მოკითხვის ბარათსაც კი არ სწერენ.

სახალხო მასწავლებელი, როგორც თვით სახელი გვიჩვენებს ხალხში უნდა ტრიალობდეს, და ცხადია, ყოველმხრივი განვითარებით, ფართო მსოფლმხედველობით, საჭირო ენციკლოპედიური ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი, რასაც ამჟამათ, სამწუხაროთ, სემინარიელებიც მოკლებული არიან.

საერთოდ, დღევანდელ პირობებში ყველაზე უფრო შესაფერ კონტიგენტს მასწავლებლობისათვის წარმოადგენს სახალხო მასწავლებელი, რომელიც ყველაზე უფრო გრძნობს ენის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას. ამასთან წერილის ავტორი საკვირველია რა მოსაზრებით უგულვებელყოფს „რამდენიმე წლის პრაქტიკის“ მნიშვნელობას მასწავლებლისათვის. გონიერი და დაკვირვებულ მასწავლებლის ხელში რამდენიმე წლის პრაქტიკა ისეთი მძლავრი იარაღია, რომელსაც ვერ მისცემს მას ვერც ქალების გიმნაზია და, თუ ვნებავთ, ვერც უმაღლესი სასწავლებელი.

ვარდა ამისა პრაქტიკა მასწავლებლის თვით მოქმედებაში დაუფასებელი ღირსება და უძვირფასესი განძია, რამეთუ იმ მასწავლებელს შეუძლია სხვისი სწავლება, რომელიც მუდამ თვით სწავლობს.

აქაც თქვენგან ათვალისწინებული სამასწავლებლო სემინარიელები გიმნაზიელ ქალებზე უკეთ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებას.

ათასობით შეგვიძლია დავასახელოთ სემინარიადამთავრებული საზო-

გადო მოღვაწე, ლიტერატორი, პოეტი და სხვა.

გვჯერა, რომ ჭიათურის მასწავლებლებმა მხოლოდ ვიწრო შეხედულებების გამო უარყვეს სკოლაში მიეღოთ გიმნაზია დამთავრებული ქალები. ეტყობათ მათ კარგად იცოდნენ ამორჩეულ მასწავლებელთა ღირსებანი, რისგამოც მისცეს უპირატესობა“.

გაზეთი „კოლხიდა“  
1911, №172

### ათი მცნება გათხოვილ ქალთათვის

„ამ ღროინდელ ქორწინებასა და მეუღლეთა შორის მშვიდობიან ურთიერობის დამყარებისათვის, რომელსაც ხელს უშლის ქალთა ემანსიპაცია, შეადგინა გათხოვილი ქალისათვის სავალდებულო ათი მცნება. იგი იტალიურმა გაზეთმა „და დონა“ (ქალი) დაბეჭდა:

1) გიყვარდეს ქმარი შენი ყველაზე მეტად ქვეყანაზე და მოყვასი შენი. მუდამ განსოვდეს რომ შენი სახლი და შენ ეკუთვნის ქმარს შენსას და არა მოყვას შენსას.

2) უყურე ქმარს შენსა, როგორც დიდებულ სტუმარსა და ძვირფას მეგობარსა. ყურს ნუ უდევს შენი მეგობარი ქალების ლაპარაკს.

3) ეცადე შენი ქმარი შინ ყოველთვის იყოს მოსვენებით და როდესაც ის სახლში ბრუნდება, მიეგებე მხიარული სახით. არასოდეს არ გაფიცხდე თუ ქმარი ვერ შეამჩნევს უცბად შენ შეხვედრასა და იმ დღის საქმიანობას.

4) ნუ წარუდგენ ქმარს ნამეტანს მოთხოვნილებას. მხოლოდ შეგიძლია მოითხოვო, რომ შენი სახლი არ იყოს ძალიან მხიარული, მაგრამ მასში მთავარია ბავშვებისათვის იყოს საკმაო ადგილი დათმობილი.

5) შენი შვილები ყოველთვის უნდა იყვენ მხიარულნი და სუფთად ჩაცმულნი. მსგავსად უნდა გამოიყურებოდეს შენც, რომ თქვენი შემხედვარემ ქმარმა უნებლიეთ გაიღიძოს.



6) განსოვდეს, რომ შენ გაყევი მას, რათა გაუყო სინარული და ძწუნა-  
რება. თუ მოხდა ისე რომ შენი ქმარი ყვეელასგან იქნა დევნილი შენ მაინც  
არ უნდა მიატოვო იგი ბოლომდე.

7) თუ შენი დედამთილი ცოცხალია, განსოვდეს, რომ უნდა ეპყრობო-  
დე გულკეთილათ. დედამთილს ყოველთვის მოთუერებით უნდა მიმართო  
და მოეპყრა.

8) ნუ მოსთხოვ ცხოვრებას იმას, რასაც ის სხვას არ აძლევს. შენი ინი-  
ციატივით უნდა ეცადო მოიტანო რამე სარგებლობა, რათა სრულად ბედ-  
ნიერი გახდე.

9) როდესაც საჭიროება და ძწუნარება მოგვევლინოს, ნუ დაიმაღლებ  
თავს, და ნუ დაკარგავ იმედს: ბედნიერება დაბრუნდება. ყოველთვის იმ-  
წუნბრე შენი ქმრის გამო და თქვენ უნდა ვაჟკაცურად გადაიტანოთ ძწუნა-  
რება.

10) თუ იგი გაგ შორდეს, ელოდე. თუ დიდხანს არ დაბრუნდეს, კიდევ  
ელოდე. თუ ქმარმა დაგტოვოს მაშინაც უნდა დაუცადო, რადგან შენ მარ-  
ტო მისი მეუღლე კი არ ხარ ამ შემთხვევაში, არამედ მის სანელსაც პატივი  
უნდა მიაგო. მოვა დრო რომ იგი ოდესმე დაბრუნდება და დაგლოცავს“.

გაზეთი „კოლხიდა“  
1911, №220

### ქალთა განათლების საქმე და ჩვენი საზოგადოება

„ქალთა განათლების საკითხი ძალზე უნუგეშო მღვომარეობაშია. ამ  
საკითხის გარკვევას მის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას ქართველი ერისათ-  
ვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეს თუ ოჯახი არ გვივარგა და ოჯახში  
ქართული ენა დევნას განიცთის, ამის ბრალი უმთავრესათ იმ „კარტველ  
კალებს“ მიუძღვის, რომელთაც განათლება დღეს ჩვენში არსებული შკო-  
ლებისაგან მიუღიათ.

თანამედროვე ქალებს დღეს რომ სამშობლოს სიყვარული მოთხოვო ძალზე უსამართლობა იქნება. ისინი როგორიც აუზრდიათ, სწორეთ ისეთნი არიან.

მათში 9-10 წლის განმავლობაში სთესდენ ყოველივე მშობლიური-სადმი მძულვარებას, ცდილობდენ, რომ მათგან ამოეფხრათ ნაციონალური გრძნობა. ამ მიზნის მისაღწევათ შკოლის ბატონ-პატრონნი სდევნიდენ და ავიწროებდენ სამშობლო ენას შკოლებში, უკრძალავდენ სამშობლო ენაზე ლაპარაკს ოჯახსა და საზოგადოებაში, ხასხინებდენ გამუდმებით უცხო ენის სწავლის სარგებლობას.

სკოლის ბატონ-პატრონებს ამგვარი პოლიტიკის გატარებაში მხარს უჭერდა და ახლაც ეხმარებათ ოჯახი. ოჯახი ამგვარი მოქმედებით სჭრიდა სწორედ იმ ხის ტოტს, რომელზედაც თვითონ ზის. ოჯახისა და შკოლის ბატონ-პატრონების უკუელმართმა მოქმედებამ მიზანს მიაღწია და მათ აღსაზრდელ ქალში შექმნეს იმგვარი არსება, რაც უნდოდათ. დღევანდელი კარტველი ქალები სწორედ იმ პოლიტიკის ნაყოფია, რომელსაც ქალთა შკოლები აწარმოებდა. მსგავსი პოლიტიკა ტარდებოდა ვაჟთა სკოლებში, მაგრამ აქ მათ მიზანს ისე ვერ მიაღწიეს, როგორც საქალებო შკოლებში. მოსწავლე ქალები, სუსტი ხასიათის პატრონნი ემორჩილებიან შკოლის სულ შემუთავ პირობებს, კარგავენ საკუთარ აზროვნებას და მონიზმით იჟღინთებიან.

მონიზმის ნიშანია ის, რომ ეს ქალები თავისუფალ ცხოვრების დროსაც შკოლისადმი და იქ გატარებული პოლიტიკისადმი ერთგულები რჩებიან. ეს უპირველესად გამოიხატება იმაში, რომ საზოგადოებაშიც უცხო ენაზე ტიკტიკებენ. 7-მ წლის ბავში, რომელიც უცხო ენის სწავლაში მუყაითობს დედისაგან აღურსით ჯილდოვდება.

საერთოდ ჩვენი ქალები სხვისი აზრებით გამოდიან ცხოვრებაში, თავის საკუთარი აზროვნება შკოლის წყალობით დაკარგული აქვთ. ჩვენი ქალები, შვილისაგან გონება გამოჩლოუნებულნი, ცხოვრებაში იყენებენ მხოლოდ იმ სწავლას, რომელიც დღევანდელი დახამსებული შკოლებისა-

გან მიუღიას. მათ მიაჩნიათ შკოლაში თქმული შეხედულება ჭეშმარიტებად, ხოლო რასაც საზოგადოებასა და პრესაში ლაპარაკობენ, სიცრუეა. ამ გარემოების შედეგია, რომ საუკეთესო პირთა საუკეთესო აზრებს ჩვენი ოჯახები ყურადღებას არ აქცევენ.

ქალების ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზი მარტო მათი უძეცრობა როდია. თუ შკოლამ მათში იოლად მიაღწია მიზანს, ეს მხოლოდ ქალთა ბუნებრივი სუსტი ხასიათით აიხსნება.

ამასთან ქალების გადაგვარებაში ყველაზე მეტი დამნაშავეა ის საზოგადოება, რომელიც ქალთა განათლების საქმეზე ზრუნვით თავს არ იწუხებს. აუცილებელია ჩვენში ისეთი შკოლების დაარსება, რომელიც ქალებს ჩაუხერხავს ოჯახის ერთგულებას, შრომის წადილს და სამშობლოს სიყვარულს“.

გაზეთი „სასოფლო გაზეთი“  
1912, №1

### დედაკაცისთვის საჭიროა სამეურნეო ცოდნა, თუ არა?

„ქართულ ოჯახში ბევრი ქალია უმაღლესი განათლებით, რომლებიც ირჩევენ მასწავლებლობას, ექიმობას, აფთიაქში მუშაობას. მეურნე ქალები ჩვენში იშვიათნი არიან. ეს ნაკლი სასოფლო მეურნეობის საზოგადოებაში უნდა შეავსოს. დაარსებით ქალთათვის სამეურნეო სასწავლებლისა, თავისი შემკული ფერმით, ყველა სამეურნეო დარგითა, სავარჯისოთ მოსწავლე ქალებისთვის და ამ სკოლების საშვლებით გამოიწვიოს ქალები, მოსურნენი სამეურნეო სწავლის და ცოდნისა საკეთილოდ ოჯახისა და საზოგადოებისა.

საქართველო სამეურნეო ქვეყანაა, მაგრამ აქ მაინც მაღალ დონეზე არ იციან მიწის მოვლა, სასუქით გამდიდრება და დათესილ მცენარეთა პატრონობა. დედაკაცებს რომ ქონდეს სამეურნეო სწავლა-ცოდნა, მა-

შინ ისინი საკუთარ მამულს რივიანად მოაწყობენ და ოჯახსაც დიდ სარჩო ქონებას მისცემენ.

ქალები ვერ გაიკიცხებიან იმით, რომ ისინი არ სწავლობენ მეურნეობას, რა ქნან... მთელს საქართველოში დღევანდლამდე არ არის ქალთათვის არც დაბალი, არც მაღალი სამეურნეო სასწავლებელი. ვისაც სურვილათ აქვს მეურნეობის შესწავლა და საშეაღება მიუძღვის, ვადის საზღვარ-გარეთ, შვეიცარიაში ან სხვადასხვა ევროპის ქალაქებში, სადაც სამეურნეო სასწავლებელია, იქ სწავლობს და ვარჯიშობს. აი ამისი მაგალითი: თავადის ქალმა ეკატერინე ლევანის ასულმა ჯანდიერმა შეისწავლა მეურნეობა შვეიცარიაში და დაამთავრა სწავლა. დღეს ამ ქალ-აგრანომმა კახეთში თელავის მაზრაში, სოფელ ვახნაძიანში, მამის მამულში მოაწყო ყველა მეურნეობის დარგი სამაგალითოდ, როგორც სწავლა მეცნიერება იმას მოითხოვს. მეურნეობა იმას დიდათ ახალისებს და სწამს იმისი სიკეთე ოჯახისა და საზოგადოებისათვის.

ამ ქალის კეთილმა მაგალითმა მკვიდრ ქალთა თანაგრძნობა გამოიღო და სოფლის მუშაკთა შკოლა შესდგა, რომლის მოსწავლეები არიან გლეხის ქალები. თავადი ჯანდიერის ქალის ხელმძღვანელობით ისინი სწავლობენ ვენახში, ბაღში საფუტკრეში საქმიანობას და ჭიის მოვლა-მოშენებას.

ჩვენმა მანდილოსნებმა რაკი შეიგნეს სიკეთე სამეურნეო ცოდნისა, იმედია ქალთა სამეურნეო სკოლასაც დაარსებენ.

ვიმეორებთ, მეურნეობა დიდ ცლილებას შეიტანს ქალთა ცხოვრებაში. ცოლი ქმარს გვერდში ამოუდგება და ერთად გასწევენ ცხოვრების ძვირეულს... ასეთ დედებს დიდი ზნეობრივი გავლენა ექნებათ თავიანთ შვილებზე, შეაჩვევენ იმათ საქმიან ცხოვრებას, ჩაუნერგვენ გულში ოჯახის სიყვარულს და დაიხსნიან ისეთ საქმისაგან, რომელიც ხრწნის მომავალ თაობას“.

ილია წინამძღვრი შვილი.

### ქართველ ქალთა საყურადღებოთ

„ძველი წელიწადი გავისტუმრეთ და იგი უნდა მივცეთ დავიწყებას, რადგან მას ერთი წამითაც არ უზრუნვია ჩვენს სასარგებლოთ. წელიწადი დიდი დროა კაცის ცხოვრებაში, მის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს, ჩვენც მივსდით მას კვალ და კვალ, დაუზარებელი ხალისით გავიკვლიოთ გზა უკეთესი მომავლისკენ, განსაკუთრებით ვიზრუნოთ ქალთა უმაღლეს განათლებაზე.

ქალთა განათლების შესახებ გაზეთ „კოლხიდის“ ფურცლებზე ბევრი მისაუბრია. ეს ისეთი საკითხია, რომელიც მუდმივ ზრუნვას საჭიროებს, ვინაიდან მარტო ქველმოქმედებაზე შეჩერება არას გვარგებს. აუცილებელია ისეთი საშუალებების გამოხაზვა, რომლის შემწეობით ერთმა ქართველმა ქალმა უნდა მიიღოს განათლება უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ მიზნით მივმართავ ქუთაისელ და თფილისელ ქართველ ქალთ, რადგან ეს საქმე უფრო მოსახერხებელია საგუბერნიო ქალაქებში, ვინემ დაბებში, - დააარსონ ქალთა საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც კარგი ხელმძღვანელობით დად შემოსავალს მოგვცემს. ადესაში არსებობს კიდევ ასეთი დაწესებულებაც, შეგვიძლია გამოვიწეროთ წესდება, ანგარიში და თუ ხელსაყრელი დარჩება ჩვენც საერთო შრომით შევქნათ ასეთი საქმე. ჩემის ფიქრით ქალთა საერთო განათლების საკითხზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენში ბევრი არ მოიპოვება; რადგან ამაზეა დამყარებული თვით ჩვენი ერის კეთლდღეობა.

ქალთა განათლების საკითხი არასად არ არის ისეთი კრიზისული როგორც საქართველოში. დღემდე ქალთა უმაღლეს განათლებას ჩვენში როგორც ფუფუნებას ისე უყურებდნენ და არა ისე, როგორც ერთ სანსართავანს, რომელსაც ჩვენი ცხოვრების ვადატრიალება საკეთილდღეოდ შეუძლია“.

თეოდოსია ჯაფარიძისა.

## სამტრედიის რაიონის მასწავლებელთა საყურადღებოთ

„წ. კ. საზ. სამტრედიის განყოფილების გამგეობას არაერთხელ მიუძღრთავს თხოვნით სოფლის მასწავლებლებისათვის, დახმარება აღმოეჩინათ განყოფილებასთან არსებული წიგნებით მოვაჭრე კიოსკისთვის წიგნებისა და სხვა სასწავლო ნივთების გასაღებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მასწავლებელი ძველებურად განაგრძობს ცუდი ხმების გავრცელებას ამ კიოსკზე და უკრძალავს კიდევ შევირდებს აქ რაიმე ნივთის შეძენას. ყოფილა ისეთი მაგალითიც, რომ ბავშვს, მასწავლებლის ჩაცმებით, უკანვე დაუბრუნებია უკვე ნაყიდი წიგნი. ზემოხსენებული გამგეობა კიდევ ერთხელ მიმართავს ბბ. მასწავლებელთ თხოვნით დაეხმარონ ამ სიმპატიურ საქმეს და ხელს ნუ უშლიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იძულებული იქნება იმათი სახელი და გვარი გამოაცხადოს გაზეთის საშუალებით“.

## ახალი ამბავი. ქუთაისი

„დღეს სახალხო უნივერსიტეტში, სხვათა შორის, ბ. ალ. ჯანელიძე წაკითხავს პირველ ლექციას ამ საინტერესო თემაზე: „ეროვნული შემოქმედება და ეროვნული ბრძოლა“. ლექტორი დაწვრილებით გააჩხევს შემდეგ კითხვებს: ევოლუცია და შემოქმედება. რა არის ნეტა? ენა, როგორც მყარ საფუძველი ეროვნებისა. ბრძოლა ეროვნებისათვის. ეროვნული შემოქმედება და მისი პირობები. ეროვნული სამკვიდრო. ბრძოლა წარსულისა და აწმყოსი. ვადაგვარება“.

**ზემო იმერეთი. სოფ. ლელვანი**

„ამ სოფელშია ერთკლასიანი სამონასტრო სასწავლებელი, რომელიც 1848 წელს დაარსდა. პირველ სამ წელიწადს შკოლას არც საკუთარი შენობა და არც მიწა ჰქონდა, სწავლა ნაქირავეებ შენობაში იყო. 1900 წ. აღვილობრივმა მცხოვრებლებმა - დასკალ, ყარამან და ლადიმერ მალრადეებმა უფასოთ დაუთმეს საზოგადოებას შკოლისათვის ხუთი ქცევა მიწა, მშენებრი ნაძვნარით შეძკული.

რაკი შენობა ააგეს, სწავლის საქმეც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, შეიგნეს შკოლის მნიშვნელობა და ყოველ წელს მოწაფეთა რიცხვი შესამჩნევად მატულობდა.

1911 წელს ამ შკოლაში დაინიშნა მასწავლებლათ ბ-ნი მ. გ. დეკანოზიძე; იგი მეტად ძხნე გამოდგა და მოსვლისთანავე შეუდგა შკოლისათვის მეორე შენობის შეძენას და მიზანსაც მიაღწია. ამ ჟამად 130 მოწაფე სწავლობს. სწავლების საქმე წესიერათაა; ხალხსა და მასწავლებლებს შორის სიყვარული და თანავრძნობაა“.

**ვინ უნდა ავირჩიოთ დეპუტატათ?**

„ქართულ დაბალ შკოლას საშინელი სენი სჭირს: სწავლას საფუძვლათ დედა ენა არ უღვეს. კურსდამთავრებულ მოსწავლეს რომ ყური დაუგდო, როდესაც ისტორიულ ამბავს მოგვითხრობს, შეგვეცოდება ისიცა და მისი აღმზრდელიც. დაზეპირებულ სიტყვებს ერთმანეთზე უაზროთ, უკავშიროთ, თუთიყუშით გადააბამს და თავისი ნაამბობის შინაარსს ქართულათ ვერ გადმოსცემს. რამდენი ღრო იკარგება ფუჭათ?! რა საშინელი ზნეობრივი, გონებრივი და ქონებრივი ზიანი მოაქვს მოზარდი თაობისათ-

ვის, და ძველი ქვეყნისათვის სწავლების ამ გადაგვარებულ სისტემას?

როგორ იბრძოდენ ყოფილი დეპუტატები ხსენებულ სისტემასთან? მათი სიტყვები ამ საგანზე ერთობ მკრთალი, სუსტი, უშინაარსო იყო. ეტყობოდათ, რომ ქართული ენას უგულვოთ, ძალდატანებით, უნებურათ, მხოლოდ ოფიციალური ვალის მოსახდელათ იცავდენ.

დაბალ შკოლაში ქართულ ენაზე სწავლებას განსაკუთრებით მაშინ ექნება მნიშვნელობა, როდესაც საშვალოსა და უმაღლეს სწავლასაც საფუძვლათ ქართული ენაც ექნება. რატომ? იმიტომ, რომ ვინც დაბალი შკოლის კურსს დაასრულებს, იმას საშვალო სასწავლებლებში კარი ღია ექნება; აგრეთვე საშვალო სასწავლებლის კურსდამთავრებულსაც ქართული უნივერსიტეტი ექნება შეძევ საფეხურათ.

საყოველთაო სწავლას მარტო ის კი არ მოასწავებს, რომ თითოეულმა კაცმა ანბანი ისწავლოს, არამედ ის, რომ ღარიბსაც ხელი უნდა მიუწვდებოდეს საშვალოსა და უმაღლეს სწავლაზე.

ამერიკაში და მეტადრე ავსტრალიაში საუნივერსიტეტო სწავლა თითქმის საყოველთაო შეიქნა და ცოტაა იმისთანა მუშა, რომ უნივერსიტეტში არ ესწავლოს ან არ სწავლობდეს. ამას ეწოდება სახალხო სწავლა.

და, ცხადია, სწავლის ამგვარი დემოკრატიზაცია შეუძლებელი იქნება, თუ საშვალოსა და უმაღლეს სასწავლებელში დედა ენაზე არ იქნება დაფუძნებული სწავლება.

უნდა აღინიშნოს, სამწუხაროთ, რომ ჩვენმა დეპუტატებმა ამ დიდი საკითხის შესახებ კრინტი არ დაძრეს, მათ ორი დიდი დანაშაულობა ჩადინეს: ერთი ის, რომ ქართული ენის უმაღლესი განვითარება და ისტორიული მნიშვნელობა არ აღნიშნეს, და მეორე, საშვალოსა და უმაღლეს სასწავლებელში ქართულ ენაზე სწავლის საჭიროებაზე. ენა დაიდუმეს, ხმა არ ამოიღეს, და თავის თავს დემოკრატებს ეძახიან!

ამიტომ კიდევ მივმართავ ამომრჩევლებს აირჩიონ ის, ვინც იქნება ქართველი ერის ჭეშმარიტი წარმომადგენელი და მოამავე“.



## ახალი ამბავი

„თანახმათ უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებისა, ხუთშაბათს ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში იდრესასწაულეს ბოროდინოს ველზე მომხდარი ომის ასი წლის იუბილე. წირვისა და პარაკლისის შემდეგ გაიმართა ლიტურგიული დილა. ისტორიის მასწავლებელმა წაიკითხა რეფერატი, შემდეგ მოწაფეებმა ქართულსა და რუსულ ენაზე წაიკითხეს ლექციები. მოსწავლეთა მგალობელმა გუნდმა ივალობა ქართულად და რუსულად. დრესასწაულს დაესწრო ყოვლად სამღვდელო გიორგი.“

ამას წინათ ხონიდან „ზ. კ. რეჩ.“-ში ი. ბახტაძის წერილი დაიბეჭდა და ხონის საქალებო მარიაძის სასწავლებლის უფროსი ქალის შესახებ, რომელიც ბავშვებს შკოლაში მშობლიურ ენაზე ლაპარაკს უკრძალავს და თან მისდამი რწმუნებულ სასწავლებლიდან სისტემატიურათ დევნის ქართველ მასწავლებელ ქალებს. სატახტო გაზეთს „რეჩს“ გადაუბეჭდია ეს წერილი და თან თავის მხრით დასძენს: „ასეთი მოღვაწეები, როგორც ქნი სოლოგუბისა თავისი მოღვაწეობით საქართველოში ეროვნულ შუღლსა და სიძულვილს სთესენ, აწარმოებენ ჭეშმარიტ რუსთა გამარჯვებელ პოლიტიკას, და თავისი სეპარული მოღვაწეობით შეურაცყოფენ რუსეთის სახელს“.

## ქუთაისის უფასო საქალებო სასწავლებლის საკითხის გამო

„ქუთაისის საბჭოს 14 თებერვლის მორიგ სხდომაზე აღძრულა საკითხი ქუთაისის უფასო საქალებო სასწავლებლის 2450 მანეთით წლიურათ დახმარების შესახებ. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი საბჭო არ გამ-

ხდარა, მხოლოდ მხმოსან ქორქაშვილს გაუკეთებია ასეთი განცხადება: „ფუფს კი ვაძლევეთ, მაგრამ არ ვიცით ვის ეკუთვნის ან რა ტიპისაა ეს სასწავლებელი?“ ავერ უკვე 40 წელია, რაც ეს სასწავლებელი არსებობს და მას ამ ხნის განმავლობაში შემწეობას უწევს, როგორც ქუთაისის თვითმმართველობა, ასევე ქუთაისის საზოგადოება, მაგრამ აქამდის არ აღმოჩნდა ისეთი კაცი, რომელიც ამ სასწავლებლის შინაური საქმეებით დაინტერესებულყოფს და ჩემის აზრით დიდი მადლობა უნდა გადაუხადოს აქ მოსწავლე ქალებმა და მათმა მშობლებმა ბ. ქორქაშვილს, რადგან ამ საკითხის აღძვრას შეუძლია გამოიყვანოს ის სასწავლებელი ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს იმყოფება ის.

ამ სასწავლებელზე დახარჯული თანხა იმაზე მეტ ნაყოფს გამოიღებს, რომელიც დღეს აქვს. ცნობილია რომ ქალთა ეს სასწავლებელი ათეული წელია ეკუთვნის მის გამგეს მარიამ რუბანის ასულს. სასწავლებელი ამხადებს კარგ ხელზე მოსამსახურე ქალებს, რადგან გამგის აზრით ღარიბთა შვილებს არც ნიჭი და არც ცოდნა შესწევთ უკეთესი სწავლისათვის. გამგე ქალს ამ უკანონობაზე ვერაფერს შეეპასუხება.

გული ვიკვდება კაცს, როდესაც ხედავ გარეგნულათ ძვირფასათ მოწყობილს სასწავლებელს, ხალხის სახელით აშენებულს, სადაც თვით გამგე, განცხრომით ცხოვრობს და სწავლის მხრით კი სრული სიცალიერეა. იმის გარდა, რომ შენობა ყოველმხრივ შეძკულია, თვით გამგეს ეძლევა 50 მანეთი თვეში და მასწავლებლებს 35 მანეთი. მასწავლებლებიც დიპლომებით აღჭურვილნი არიან, მხოლოდ საცოდავი ქართული ენა დანაწილებული აქვთ იქვე კურსს დამთავრებულ ქალებს, რომლებიც ამავე დროს ზედამხედველების როლსაც ასრულებენ. ქართულის სწავლება ხომ ყველას შეუძლია! სწავლის კურსიც ექვს წლიანია.

თუ ქალაქის სკოლებსა და სოფლის სკოლებსაც გადავხედავთ, სადაც სასწავლო კურსი ხუთ წლიანია, იქიდან მოსწავლეები უფრო მეტი ცოდნით გამოდიან, ვიდრე რუბანის სასწავლებლიდან. სოფლის სკოლებში ბავ-

შეები კედლები გამოთარგმნებულ ოთახებში ნახევრად შიშველ-ტიტ-ველნი მეცადინეობენ თანაც ოთხი-ხუთი ვერსის ნაწილსაც ფეხით ვადიან და მეტად ნასწავლნი ვამოდიან. ვულწრფელად უნდა ითქვას, რომ ქუთაისის უფასო საქალებო სასწავლებელში, რომლის გამგეა მარია რუბანის ასული სასწავლებელი უპატრონოთ არის მიტოვებული და შიგ ისე დათარგმნობენ, როგორც სურთ. დროა აწი მაინც მიექცეს ყურადღება ამ საქმეს და რადგან ფული იხარჯება „მაია“-„ტვოიას“ ძახილით, ორიოდ რუსული-ქართული ლექსების გაზეპირებით აქაური მოსწავლეები შორს ვერ წავლენ, რადგან ცხოვრება წინ მიდის და ცოდნასაც მეტს ითხოვს ყველასგან“.

გაზეთი „იმერეთი“

1912, №17

### ქართველი გლეხები და სოციალ-დემოკრატიული პარტია

„ქართველ პატრონსან ხინოვნიკებს უსამართლოდ ერეკებიან სამსახურიდან, ქართველ განათლებულ პირთ არ აძლევენ სამსახურს, ქართულ ენას ხუთავენ შკოლებში, რუსის ხინოვნიკ-მასწავლებლები აჯარმებენ შკოლებში ქართველ შავირდებს თავის დედა-ენაზე, ქართულ ენაზე ლაპარაკისთვის, ხვენს დიდებულ ენას, ვიორგი მთაწმინდელის და შოთა რუსთაველის ღვთაებრივ ენას რუსის უმეცარი ხინოვნიკები აქ, საქართველოში ეძახიან ძაღლის ენას. ამ ხვენს დამცირებაზე, ამ ხვენს ფეხქვეშ გათელვაზე ამოიღეს ხმა სათათბიროში ხვენმა დეპუტატებმა? ან სრულიად არა, ან ისე მკრთალათ, რომ არავის უგრძობნია. რომელი ერთი მოვთვალო კიდევ!..“

### შინაური მტრები

„ავტონომია, სხვა ერთა მსგავსათ, ქართველი ერის სწავლა-განათლებასაც სწორ გზაზე დააყენებს და ეს, ხომ იცით, რასაც ნიშნავს? ეს ნიშნავს ახალგაზრდობის წელის გამართვას, სამშობლო-გასაგებ ენაზე სწავლას დაბალსა, საშუალოსა და მაღალ სასწავლებელშიც, სასწავლო საგნების ადვილათ შეგნებას, გონების ნორმალურ-წესიერ განვითარებასა და განათლებას!

ავტონომია, სხვა ერთა მსგავსათ, ქართველ ერსაც მიანიჭებს ქართულ სასამართლოს, ქართულათ საქმის წარმოებას, ქართულათ მოლაპარაკე მოსამართლეებსა და ვეჭილებს... და ყველა ეს, ხომ იცით, რას ნიშნავს? იმას, რომ საწყალი გლეხი, საწყალი მუშა, რომელთაც დღეს მოსამართლისა და ვეჭილების პრიშტი-პრეშტის არათეორი გაეგებათ თავის ბედილობას ყრუმუნჯივით პირდაღებული შორიდან ცქერას არ დაუწყებენ და ბუნებრივ მანვილებს, გამჭრიახი გონების პატრონებს - ვეჭილები, მწერლები და გზადავზა ათასი მცარცველ-მკლეჯველი ხალხი აღარ დასჭირდებათ, თავის საქმეებს თვითონ გაუძღვებიან და დღევანდელ ხარჯებს ერთნაირად შეამცირებენ.

ავტონომია საქართველოს ეკლესიებში ქართველ ხალხს ყოველგვან - როგორც სკოლებში, ისე დაბა-ქალაქებში - ქართულ სახარებას მოასმენიებს, ქართულ ქადაგებას გაავრცელებს, ყოველგვარ ქართულ ეპისკოპოსებსა და ღვდლებს მიუხეხს - და ეს, ხომ იცით - რასაც მოასწავებს? - იმას, რომ ქართველი ხალხის რწმენა და სინდისი თავისუფალი იქნება, მორწმუნე ქართველი შეგნებით მოისმენს თავის ენაზე ქრისტეს მოძღვრებას, სახარებას, რომელიც მას გულსა და სულში წმინდა გრძნობას, წმინდა ზნეობას გაუღვიძებს და გაუღვივებს; ეკლესიებში ყოველგვან ქართველთა დიდებული ძველებური ქართული გალობა გაჩაღდება და ღრმის შესათვრათ

თანდათან განვითარდება; ქართველის სძენას ქართული შკოლა და ქართული ეკლესია, სიმღერებისა და საგალობლის ხშირი ვარჯიშობით, უძწვერვალესათ განავითარებს და - სხვათა შორის დასელთა წყალობით დღეს შეფერხებულის ქართველი ერის სამუსიკო-სასიმღერო შემოქმედებას - კვლავ წამოაყენებს, გამოათხიზლებს, ააჩუხჩუხებს!

ავტონომიის უქონლობა ხელს უწყობს უცხო წიგნების გავრცელებას და სამშობლო ლიტერატურის დაბეჩავებას, შკოლებში საჭირო სახელმძღვანელოები უცხო ენაზეა შედგენილი, - და, მაშასადამე, მხოლოდ ისინი იყიდებიან და ვრცელდებიან; უცხო შკოლების მეოხებით ჩვენმა კეთილშეკლებმა ცუდი ზნე შეითვისეს, თითქმის მხოლოდ უცხო ლიტერატურას ეწაფებიან და ქართულ წიგნს იშვიათად ყიდულობენ და ნაკლებათ კითხულობენ. ავტონომიაში კი ქართული ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი და ქართული წიგნების ბაზარი ერთი ათასად აიწვედა და მაშინ ასიათასობით მწერალი და მუშა-ხალხი პატიოსანი შრომით თავს აღვილათ დაირჩინდა, მიმშლით დღევანდელივით კუჭი არ ეწოდა და სამშობლო ლიტერატურაც აყვავდებოდა, გამდიდრდებოდა“!

გაზეთი „იმერეთი“  
1912, №27

### ჩვენებური უკულმართობა

„ღიასამიძის ორგანომ ნაცვლათ იმისა, რომ, დინჯათ ებასა, მოსაწონი მოეწონებია და დასავმობი დაეგმო, აქ კი რას ვხედავთ? იგი ვეჭილად დაუდგა აკაკის და მოსდგა სიმართლის მთქმელს: „უძწეო ჭია-ჭუა“, „ქართველი ენის გამრყენელი“, „მრუდე პედაგოგი“ და სხვა! აი, თურმე ვინ ყოფილა ბ. სილოვანი! აი, როგორი პედაგოგი ყოფილა ქუთაისის ქართული გიმნაზიის ერთი საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი!.. მაგრამ ერთი ვიკითხვით, განა მართლა გამრყენელია ბ. სილოვანი ქართულისა? და არა

თუ ქართულისა-მოსწავლე ახალგაზრდობისაც, როგორც „მრუდე პედაგოგი“?-კაცი, რომელმაც თავის სიცოცხლის საუკეთესო დღეები ქართული ენისა და მისი კანონიერი ფორმების კვლევა-ძიებას შესწირა; რომელიც დარაჯაათ უდვას ამავე ენას და ყველგან და ყოველთვის ეწინააღმდეგება იმის მართლად და შემრყვენელთ, - ნუ თუ იმის ღირსია ბოლოს, რომ „უძწეო ჭია-ჭუისა“ სახელი და ენის გამრყვენელი ვუწოდოთ?!.. ან იქნებ ბ. დიასამიძეს და ძმათა მისთა ფაქიზი და წმინდა ქართული გონიათ: „ექსკურსია მცხეთიდან დაწყობილი თფილისამდე მხიარული ყიჟინით დაბრუნდაო“, ან „ყველა პროტესტების“ დაბეჭდვა შეუძლებელია, ან კიდევ: „ძრავალი წერილები მოგვდისო“ და სხვა, ასეთი მოქართულე ბ. სილოვანს უნდა უკიჟინებდეს ენის შერყვნას?!.. აფსუს!.. ქართული გიმნაზია - ეს ერთადერთი სასწავლებელია მთელს დასავლეთ საქართველოში, სადაც ქართული ეროვნული სული ტრიალებს, სული საღი, არა კაცთა-ჭამიობით და სხვათა მოძულეობით გაჟღენთილი“.

გაზეთი „იმერეთი“

1912, №28

### ახალი ამბავი

„ქუთაისის ქალაქის პირველი დაწყებითი შკოლების გამკეთ ღირექციისაგან ქალაღდი მოუვიდათ, რომ სწავლის წესი ბ1 წლის სამოსწავლო პლანის მიხედვით აწარმოვონ. მაგრამ გაკვეთილების ნუსხაში, წლის მეორე ნახევარში ქართული ენის გაკვეთილები მაინც კიდევ შემცირებულია ერთი-ორით და ამის ნაცვლად ერთი თუ ორი გაკვეთილი რუსული ენისაა მომატებული. ამ სახით პრინციპი ბ1 წ. სასწავლო პლანისა, თუმცა არა საგნებით, აღდგენილია“.

### ჩვენი ავ-კარგი

„ქართული ენა რომ დიდ პატივცემამაში არ არის ჩვენს შორის ამის შესახებ შარშან ბევრი სჯა-ბაასი იყო და საზოგადო გოდება გამოიხატა „კოლხიდის“ ფურცლებზე. ჩემი ხმაც იყო ამ გოდებაში... და დღეს მხოლოდ იმას დაფუძნებ, რომ თუ ცნობილი მიმართულების მოღვაწეებმა იგდეს ხელში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების საქმეების გამგეობა, ხონის ისტორია ბევრგან გამოიწვევს. ქართული ენის ინტერესები ბევრგან ჩაიწინდება და შეასრულებენ „ცნობილი“ პერსონალებს ცნებას და, რაც აქ დააკლდებათ, მათი ჯგუფის დეპუტატები სახელმწიფო სათათფიროში მოათავებენ. მსოფლიო პოლიტიკაზე ილაპარაკებენ, და თუ ვინმემ გაახსენა, თქვენ საქართველოდან ხართო, ან აქედან დეპუტატით მიმართეს, - მაშინ ზერელეთ ახსენებენ სამშობლო ერს, შკოლას, ეკლესიას და ტერიტორიას. დედა-ენის დაფასება არ ვიცით, და თუ ცოცხალი გვეყავა ზოგიერთი გადაგვარებული „მოღვაწე“, კიდევ უკეთ შევისწავლით“!

ტრიფონ ჯაფარიძე.

„პირველდაწყებითი შკოლა ითვლება იმ საფუძვლათ, რომელზედაც ხორციელდება ხალხის ცხოვრების შენობა, ამა თუ იმერის ეკონომიკური უმწეობისა და კულტურული ჩამორჩენის მიზეზი. ეს კარგად აქვთ შეგნებული მოწინავე ქვეყნებში და აქ საყოველთაო სწავლებით, სადაც 6-8 წლიანი სწავლების კურსია, არ კმაყოფილდებიან.

ჩვენში ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს და საკითხს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. მაგალითად, ავიღოთ ქუთაისის თვითმმართველობა. ქალაქს ოთხი პირველდაწყებითი შკოლა აქვს. ხურას ვიტყვით ამ შკოლე-

ბის მასწავლებელთა უძწეო მდგომარეობაზე, რომელთა ჯამაგირები სა-  
შუალო სასწავლებელთა დარაჯების ჯამაგირების ბევრით არ აღემატება  
და რომელთა გონებრივ ამაღლებაზე არაფერს ზრუნავს და ფიქრობს, და გა-  
დავიდეთ თვით შკოლების მდგომარეობაზე.

სახელმწიფო სათათბირომ აუცილებელ საჭიროთ დაინახა 3 წლიანი  
პირველ დაწყებითი შკოლების 4 წლიანთ გადაკეთება, რაც რუსეთის სა-  
ზოგადოების მოწინავე ელემენტების მოთხოვნილების მინიმუმს შეად-  
გენს. ქუთაისის პირველდაწყებითი შკოლების მოწაფეებისათვის ყოველ-  
წლივ შობის ხისა და ექსკურსიების გასამართავათ ქალაქი 300.მან. იძლეო-  
და. წელს შკოლებს ეს მცირედი თანხაც მოუსპეს და 600-700 ნორჩ ბავშვს  
გული დაწყვიტეს და ჩაუთუთქეს.

ექსკურსიების და აღმზრდელობით მნიშვნელობასა და სარგებლო-  
ბაზე ლაპარაკიც მეტია. კულტურულ დაწინაურებულ ქვეყნებში სწავლა--  
მეტადინეობა ბუნების წიაღში სწარმოებს. ასეთი მოვ ზაურობა ბავშვებს  
თავიდანვე უნერგავს სამშობლოს სიყვარულს, უვითარებს დაკვირვების  
ნიჭს, უღვიძებს და უმტკიცებს ესთეტიურ გრძნობებს, იძენს სწავლისა და  
ცოდნის შეძენის თავდაუჭერელ სურვილს, აძლევეს თავის სამშობლოზე  
შედარებით სწორ წარმოდგენას.

ჩვენი ფაქტით ქალაქის საბჭომ, რაც შეიძლება მოკლე დროში ერ-  
თსა და ერთს თავის შკოლასთან უნდა განხნას მეოთხე განყოფილება, სა-  
დაც ყველა შკოლის მოსწავლეს შეეძლება გადასვლა და საჭირო თანხაც  
გადადვას“.

გაზეთი „იმერეთი“

1912, №43

### დღევანდელი ჩვენი სახალხო შკოლა

„რამდენს სწერენ, რამდენს გვაპირდებიან, რომ სწავლა-განათლება  
სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდესო, მაგრამ ყოველივე დაპირება ყო-



ფილა და მეტი არაფერი. ამ ბოლო დროს ჩვენს სახალხო შკოლებში რუსულ ენას 1881 წლის შემუშავებული პროგრამის მიხედვით აწარმოებდნენ. ეს გარემოება ზოგ ჩვენს „ვაებატონებს“ არ მოსწონდათ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ სწავლების პლანის შესაცვლელათ, თუ ოფიციალურათ არა, კერძო მოლაპარაკებით იწყებდნენ საქმეს და ბევრ შკოლაში ამ ბოლო დროსაც ნახავდით, რომ რუსული ენის სწავლებას პირველ ეკენისთვიდანვე იწყებდნენ. რისთვისა?! იკითხავს ბევრი. იმიტომ, რომ ჩვენს შკოლებში ბევრი ჩომანძიები და გორდაძეები მოიძებნებიან... ამდენ ხანს ძალუღაღ მოქმედებდნენ, დღეს კი მოქმედება ოფიციალურია. მასწავლებლებს დაურჩივდათ „ბლანკები“, რომლის ძალით რუსული ენა პირველ განყოფილებაში პირველ ეკენისთვიდანვე იწყება, პირველ ნახევარ წელიწადში ამ საგანს დათმობილი აქვს ექვსი გაკვეთილი, - მეორე ნახევარში კი რვა, ქართულ ენას პირველ ნახევარში ათი, და მეორეში კი რვა, ასეა საქმე დღეს იმ დაწესებულებაში, სადაც ისვენება საძირკველი მომავალი ჩვენი ახალგაზრდობისა. დაუდგათ დრო ჩომანძიებ-გორდაძეებს და ვაშა მათ!!! იპარპაშონ!!! აქამდე თუ ძალუღაღ იქცეოდნენ, თავისუფლათ შეუძლიათ არა სასურველი პოლიტიკა აწარმოონ ჩვენს შკოლებში დღეს“.

გაზეთი „იმერეთი“

1912, №43-44

### იაფეტური თეორია და მესხ-აფხა ზთა ვინაობა

„ნ. მარის იაფეტური თეორიის სიმართლეს ყველაზე ნათლად დაგვანახებს შემდეგი ფაქტი: ორიენტალისტური მეცნიერების ეს დარგი ჯერ ნორჩია, ახალგაზდა, ამიტომ ზოგს მთავარ, ძირითად საკითხში არ არის საფასებით გამორკვეული; მიუხედავად ამისა, მან უკვე შესძლო ნათელით მოთენა მეტათ ბნელის, ბუნდოვანის და მრავალფერად ერთმანეთს გადახლართული პრობლემებისა ქართველი მოღვაწის ხალხების წარმოშობის, მა-

თი ურთიერთ დამოკიდებულება ნათესაობის, მათი პირვანდელი სამშობლოს მდებარეობის შესახებ, - მან მოგვცა რეალური საძიებველი ამ ერების მტკიცე და უტყუარის გენეალოგიური კლასიფიკაციის ასაშენებლათ. თითქმის ყოველი თვე ჩვენი სახელოვანი მეცნიერის მეცადინეობისა გვასაჩუქრებს ახალი გამოკვლევებით, რომელნიც ახალ და ახალს ხაზებს მატებენ იაფეტიდების გენეალოგიური კლასიფიკაციის რუქას, და, იქნებ, არც ისე შორსაა ის დრო, როცა ეს რუქა ისეთივე დასრულებული და შევსებული იქნება, როგორცაა რუქა ჰინდოევროპელთ თან-და-თანობითი დაყოფის მაჩვენებელი. სულ ხუთი თვეა, რაც გამოვიდა პატარა შენიშვნა იაფეტოლოგიის მამისა: «Исторія термина «абхазь», - და ამ პატარა შენიშვნამ გავიხსნა ახალი ჰორიზონტები იაფეტური ტომების ურთიერთ ნათესაობით დამოკიდებულებათა შემეცნებაში. ამ შრომაზე გვექნება აქ ლაპარაკი, მაგრამ სანამ მის განხილვას შევუდგებოდეთ, შინაარსის გავების გასაადვილებლათ ორიოდ სიტყვა ვსთქვათ თვით იაფეტური თეორიის შესახებ.

სახელწოდებანი: „სემიტური“, „ქამიტური“ და „იაფეტური“ მხოლოდ პირობითი ტერმინოლოგიაა, შემოღებული მეცნიერებაში ერების იმ გენეალოგიის მიხედვით, რომელიც მოყვანილია დაბადების პირველ წიგნში. ეს გენეალოგიური კლასიფიკაცია დაბადებისა, როგორც დაამტკიცა კვლევა-ძიებამ, ზოგიერთ ნაწილებში მეტად საფუძვლიანი ყოფილა, მაგალითად, თუ სემის შვილებათ დაბადებაში მოხსენებული არიან ასსური (იგულისხმე: ასსურიელები!), არამი (არამეელები!), ართაქსაკადი (ებრაელთ წინაპარი) - თავის მხრით ენათმეცნიერებამაც დაამტკიცა ასურულისა, არამეულისა (სირიულის და სხვ.) და ებრაულის საერთო წყაროდან წარმოშობა და უახლოესი ნათესაობა. ამიტომ ამ ენათა ჯგუფს ეწოდა „ენათა სემიტური შტო“. იგივე ითქმის ერთმანეთთან უახლოვეს ნათესაობაში მყოფ ქამიტურ ენათა შესახებაც, რომელნიც აფრიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კუთხეში არიან გავრცელებულნი. აი სწორეთ ამ ენებზე მოლაპა-

რაკე ხალხების ძველი ებრაული სახელწოდებანი ვარდაქცეულან დაბადებაში ქამის ლეგენდარული შვილების სახელებათ. ასე დაამტკიცა თანამედროვე მეცნიერებამ დაბადების ავტორის მიერ აღმოსავლეთის უძველეს ხალხთა სემიტურ და ქამიტურ ჯგუფებათ დაყოფის კანონიერება, მათი წარმოშობის თვალსაზრისით (რასაკვირველია, მთლიანად, შეუსწორებლათ დაბადების კლასიფიკაცია მეცნიერებას არ მიუღია, რადგან შიგ მრავალი შეცდომაც პოვა, მაგალითად: დაბადებაში ქანაანი მოხსენებულია ქამის შვილათ, მეცნიერებამ კი დაამტკიცა ქანაანურ-ფინიკიურ ენის სემიტურობა).

დაბადების ერების კლასიფიკაციის უმთავრეს დებულებათა დაკანონებაში მეცნიერება კიდევ უფრო შორს წავიდა. მას შემდეგ, რაც საფუძველი მოეძებნა სემიტურ და ქამიტურ ენათა ერთმანეთთან შედარებით შესწავლას და მეცნიერებისათვის ცხად შეიქმნა ენათა ამ ორი დიდი ჯგუფის ნათესაობა, – რეალური ელფერი გადაეკრა თვით იმ ფაქტსაც, დაბადებაშივე აღსაარებულს, ვითომც სემი და ქამი ძველრი ძმები ყოფილიყონ. ახლა ენათმეცნიერთ სემის და ქამის მესამე ძმის, იაფეტის, გამოძებნა-ლა დარჩენილათ, რათა შემდეგ შესძლებოდათ თვით ნოეს ნამდვილი ხასიათისათვის მიეგნოთ. პირველი ქვეები ამ ბუმბერაზი შენობის საძიკვლისა ჩაყარა აკადემიკოსმა ნ. მარმა თავისი იაფეტური თეორიით.

ქართული, მეგრული, ჭანური და სვანური ენები ერთმანეთს რომ ენათესავენოდნენ, ეს საიდუმლოებას არავისთვის არ წარმოადგენდა, და არც ამ ენათა ნათესაობის დამტკიცებაშია პროფ. მარის ღვაწლი. მნიშვნელობა მარის ლინგვისტური შრომისა იმაში გამოიხატება, რომ მან დაამტკიცა ყველა ამ ენის, როგორც მან მათ უწოდა, იაფეტურ ენათა ჯგუფის (დაბადებით იაფეტის შვილები იყვნენ: თუბალ (იბერები!) და მოსო (მესხები!) ნათესაობა სემიტურ ენებთან და შედარებით-ისტორიული მეთოდით გამოიკვლია უმთავრესი ფონეტიკური კანონები, რომელთა საშუალებით მიეცა დასაწყისი ნამდვილს მეცნიერულ შესწავლას ენათა არა მარტო იაფე-

ტურ ჯგუფსა, არამედ მთელის ნოეტიური ოჯახისას. ხოლო მოძავალის ნოეტიური ფილოლოგიისაგან მეცნიერება მოელის ისტორიის უდიდებულესი საკითხების ახსნას. ზოგ რა ზედმე უკვე დღესაც გვაქვს პასუხი თვით აკად. მარისაგან. ასეთივე საკითხია აღდგენა პირვანდელი სურათისა იათე-ტურ მრავალრიცხოვან ტომების დასახლებებისა უძველეს დროში.

იათეტიდების წმინდა წარმომადგენელი დღეს ოთხია: საკუთრათ ქართველი, მეგრელი, ჭანი და სვანი. უძველეს დროში - კი მრავალი იათეტიური ტომი ყოფილა. ისტორიამ ზოგი მათგანი ამოსწყვიტა, ზოგიც გაადნო და გადაავარა სხვა ერებში. მიზეზი ამისა ის იყო, რომ იათეტიდების პირვანდელი ბინადრობა სწორეთ იმ ადგილებში იყო, სადაც ჭექა-გრიალით გადაიარეს უდიდებულესმა ერებმა: სემიტებმა, ურალ-ალტაელებმა, ჰინდო-ევროპელებმა; ეს ადგილებია - თანამედროვე ჩრდილოეთი სპარსეთი და მცირე აზია. ვინ იცის, რამდენი ათეული ერი დაიღუპა განუწყვეტლივ სასტიკ ბრძოლაში მთელი ცივილიზაციების, მთელი კულტურების და რასების ბრძოლაში. ვინც გადარჩა, ჩრდილოეთისკენ გაიარეს და თავი შეაფარა კავკასიის მთებს და ხეობებს. ვ ზას, რომელიც გამოიარეს ამ ერებმა, გვიჩვენებს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ლინგვისტური ანალიზი კავკასიის ეტნოგრაფიულ და გეოგრაფიულ სახელწოდებათა. ყველაზე უსამხრეთესმა ერმა, სვანებმა, რომელიც მესოპოტამიის საზღვრებთან ცხოვრობდა, უკიდურეს ჩრდილოეთზე ამოყო თავი.

იათეტიური ტომები ძველათ რომ ათობით და არ ერთეულებით აღირიცხებოდენ, ამას გვიძეციკებს იგივე იათეტიური ენათ-მეცნიერება. ამ ენათ-მეცნიერებამ აღმოაჩინა იათეტიური ელემენტები იმ ენებში, რომელზედაც დაწერილი არიან სხვადასხვა სისტემის ლურსმული წარწერანი წინა და მცირე აზიისა. იგივე ენათ-მეცნიერება თავის დამაარსებლის ნ. მარის პირით ამტკიცებს, რომ სომხეთის ორმა ენამ (პასურმა და სომხურმა) ჩაყლაპა ორი იათეტიური ენა, რომელთაგან ენეთესავება მეგრულ-ჭანურს და მეორეც-სვანურ ენას. ჯერ მარტო თანამედროვე ცოცხალ იათეტიურ

ენათა ბრუნვების შესწავლა მიუთითებს ნიჭიერ აკადემიკოსს ცხრა სხვადასხვა იაფეტური ენის ფორმებზე. (იხ. *Н. Марр. Где сохранилось сванское склонение? Спб. 1911*). დასასრულ, ამავე იაფეტური ენათმეცნიერების მიერ ახსნილის ფონეტიკური კანონების საშუალებით გამოიჩვენა, რომ აფხაზიც იმავე იაფეტურ ერს წარმოადგენს, შერეულს სხვა მთელ ერებთან და რომ ერთ ღროს მესხები ცალკე იაფეტურ ერს წარმოადგენდენ და მხოლოდ შემდეგ გაითქვიფენ ქართველ, ან უკეთ ქართლელ ერში. სწორეთ ამ ორს უკანასკნელ საკითხს ეხება ზემო-მოხსენებული ახალი წიგნაკი ნ. მარისა და, რომლის შინაარსის გადმოცემასაც შევუდგებით ახლა.

## 2.

რათა მკითხველთათვის სრულიად ნათელ იქნეს ამ წიგნაკის შედარებით-ლინგვისტური მსჯელობა, აქვე აღვნიშნავთ იაფეტური ენების იმ ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ კანონებს, რომელთაც ეყრდნობა დასახელებული შრომა.

1. ქართულ ენას უყვარს თანხმოვანების მო ზიდვა სიტყვის თავში, მაგ., სიტყვა ღმერთი წარმოდგარია „ღერძთ“ იდან, და, მაშასადამე აქ მ-ან გადამხტარა, სიტყვის თავში მოქცეულა, ეს იმით მტკიცდება, რომ სვანურში ამ სიტყვას უდრის ღერძეთ და ჭანურში ღორძოთ-ი.

2. ზოგ იაფეტურ ენაში ( მაგ. სვანურში) ყოფილა სუფთიქსი ხ, მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი; იგი ხშირათ გვხვდება სხვადასხვა ხალხების სახელებში, მაგ.: ტაოხი, კოლხი, სომეხი, მესხი...

3. იაფეტურ ენებში ხშიერი ბგერა ბ -ან ხშირად იცვლება საშვალო ფ-არად, მაგ.: ქართ. კაცები - მეგრ. კოჩეფი.

4. სიტყვის ბოლო ში ს-ან ხშირად იქცევა ზ-ენად, მაგ.: სტეფანოს - სტეფანო ზ, თადეოს - თადეო ზ...

5. ზ -ენ იცვლება ძ -ილად: ზრახვა - ძრახვა, ზახილი - ძახილი, ზროხა - ძროხა.

6. ქართული ენის სახელები თავსართის სა -ს უდრის მეგრულში დო ან მარტო ო-ნ; მაგ.: სა-ხლო-ი, მეგრ. დო-ხორ-ე (ან ოხორე).

7. არქაიული ხ-ან გარდაიქმნის შ-ინად, მაგ.: ფხოვი - ფშავი.

8. ქართულ ზ-ენს მეგრულში უდრის ე-ან (მზე - ბჟა), ქართულს -ანს მეგრული შ-ინ (სული - შური), ქართულ ძ-ილს - მეგრული ჯ ან (ძმა - ჯიმა).

9. ქართული ა სვან. ე მეგრ. ჭან. ო.

10. აფხაზურ სახელ-არსებითებს თავში უზის ა -ნი, მაგ.: ა- ფშა (ბავშვი), ა -ფსი (სული).

11. ხშირად იათეტურ ენებში ბ -ანი წარმოდგარა პირვანდელ მ -ანიდან, მაგ. გურ. -იმერ. ბზე ქართულ მზე - დან.

აი ამ ლინგვისტურ ფაქტებს რომ გავითვალისწინებთ, არ გავვიძნელებთა ქვემოთ მოყვანილი მსჯელობის ვაკება.

სიტყვა აბხაზი დამახინჯებული ფორმაა სიტყვისა „ა -ბას-ხ“-ი (იხ. პირველი -1-ზემო-აღნიშნული კანონი „გადახტომისა“). ამ უკანასკნელ ფორმაში პირველი ა-ნი აფხაზური თავსართია სახელ-არსებითთა (იხ.10), ხოლო უკანასკნელი თანხმოვანი ხ-ან იათეტური მრავლობითი რიცხვის (იხ. 2) ბოლოსართია, რომლის ძნიშვნელობა ქართულ ენას არ ესმის 1). (ამ-გვარად, ახლანდელ ფორმაში „აბხაზები ორი მაჩვენებელია მრავლობითი რიცხვისა: ხ და ებ-ი; ეს იმით აიხსება, რომ, როცა ქართველებს ეს სიტყვა უცხო ენიდან თავის ენაში შემოუღიათ, მათ პირველი სუფიქსი ხ-ნის ძნიშვნელობა არ სძენიათ და სიტყვის ეს ფორმა მხოლობითი რიცხვის ფორმადე მიუღიათ; აქედან მრავლობით თავისებურათ აწარმოებს.) მაშასადამე, ფუძე სიტყვისა ყოფილა „ბაზ“ ანუ „ბას“, რომლის კვალს ჩვენ ვპოულობთ კავკასიის გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ სახელებში. სიტყვის „აბხაზის“ ძირი მართლა რომ „ბას“-ია და არა სხვა რამ, ამას ვვიტყვიცებს ბერძნული სახელწოდება აფხაზებისა: აბას-ლ-ოი 2). (ეტყობა, სომხურ-არაბული ფორმა, „აფხაზი“ ქართულიდანაა ნასასხები (ბ-ანი ფ-არად შეც-

ვლიდა). ვარდა ამისა, მოსე ხორენელი იცნობს „ბას-ილ-ქ“-ებს, ხალხს, რომელიც, როგორც მისი სახელიდან ჩანს, აფხაზთ მონათესავე უნდა ყოფილიყო და მათი მოსაზღვრე იყო 3). (ამათვე უნდა იხსენიებდეს პტოლემე „ბაზილიკოი სარმატაი“-ს სახელით). კიდევ ერთ აფხაზელ ხალხს, რიონის მარჯვენა ნაპირზე იცნობენ: პლინი, რომელიც მას უწოდებს აპსილებს, და არრიანი, რომელიც ასახელებს აპსილაიებს 4). (პროკოფით: „აპსილიოი“). ამ სახელებში იგივე ძირი „ბას“ ისმის „პს“-ად. რადგან თანხმოდვანთ შორის ამოვარდა ა-ნი, ხოლო ხმიერი ბ-ნი ს-ანის მიმზავსებით გადაიქმნა ბრჯგუ პ-არათ. სწორეთ, ძირის ამ უკანასკნელ ფორმებისაგან „ფს“-სგან და „პს“-სგან წარმოსდგა: 1) ქართული სახელწოდება აფშილეთი, ხმარებული „ქართლის ცხოვრებაში“ (მარ. დედ. ვარიანტი), რაც უდრის „აფხაზეთს“ 2) სომხური („პალსური“) - აფშილქ; ამ ორ სიტყვაში ს-ს მაგიერ ზის შ-ინი კანონიერად, რადგან ეს მომასწავებელია მეგრულ ენის შუამავლობისა 5). ( გაიხსენეთ მეგრული გვარი: აფშილავა) (იხ. 8); 3) აფხაზეთის ქალაქის სახელი ტუაფსე, წარმოდგარი მეგრულ „დო-აპსე“-დან, რაც ქართულათ ითქმის „სა-აპს-ო“-თ (იხ.ნ). ე.ი. სა-აფხაზოთ; 4) აფხაზების და აფხაზეთის აფხაზურივე სახელები: ა-აფს-უა და ა-აფს-ნი.

იმავე პირვანდელ ძირს „ბას“-ს მიუღია სახე „ბაზ“ (იხ.3), და აქედან გვაქვს შემდეგი ფორმები: 1) სირიული სახელწოდება აფხაზთა: ბაზ-გ-ონ და 2) ერთ და ერთ აფხაზ ტომის, რომელიც ახლაც ჩრდილოეთ კავკასიაში (ყუბანის ოლქში) ცხოვრობს, სახელი: აბაზა (ამათ რუსული მატიაზე იცნობს *абхазы* -ის სახელით). უკანასკნელ „ბაზ“ ში ხმოვანი ა-ნის გამოვარდნის შემდეგ მოგვეცა „ბზ“ და აქედან წარმოსდგა: 1) ჩრდილოეთ - აფხაზეთის ოლქის სახელი: „ბზიბ“, რომელშიც „იბ“ მაჩვენებელია მრავლობითი რიცხვისა 1) (ეტყობა, ჯერ ეს სახელი მცხოვრებთ ეკუთვნოდათ, ხოლო შემდეგ მიწა-წყალსაც დარქმევია (მდინ. ბზიფ). და 2) აფხაზთ ტომის აფხაზურივე სახელი: ა-ბზ-იბ-ქუა 2) (-იფ ანუ -ეფ მეგრული მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი ამ „ოფ“-ისთვის აფხაზებს თავიანთი მრავლობითი

რიცხვის ნაწილაკი „ქუა“ მიუწესებიათ). ძირის „ბზ“-ს მეგრული ფორმა „ბჟ“ (იხ.8) გვაძლევს აფხაზურ სანელწოდებას კიდევ ერთი აფხაზ ტომისა ა-ბჟ-ვა.

იმავე პირვანდელმა ფუძემ „ბას“, შემდეგ „ბაზ“-ად ქცეულმა (იხ.5) სრულიად კანონიერათ მიიღო სახე „ბაძ“ (იხ. 4), რომელიც გვხვდება სა-სელწოდებაში ა-ბაძ-ენ-ი (ა-ნის შესახებ იხ. 10, ხ-ანის შესახებ-2); აბაძენი ხერქეზების ტომია, ხოლო ხერქეზები, როგორც ვიცით, ახლო ენათესავე-ბიან აფხაზებს ენით.

იმავე პირვანდელი ფუძე, „ბას“ გვხვდება ჰვენ გეოგრაფიულ ნომენ-კლატურაში ისეთ ადგილებსა, რომელნიც დიდათ შორდებიან თანამედ-როვე აფხაზეთის საზღვრებს: 1) სახით „ფას“ (იხ. 3) აღმოვაჩინეთ „ფას-ის მთის“ სახელში; 2) სახით „ფაზ“ (იხ. 5) იგი გვხვდება რიონის ბერძნულ წოდებაში: „ფაზ-ის“; 3) წმინდა სახით „ბას“ ვცნობთ იმ ხევის სახელში, რომელიც ყოფს ერთმანეთისგან სვანეთს, რაჭასა და ოსეთს: „ბას-იანი“, 4) სახით „ფაშ“ (იხ. 8) ვხედავთ სვანეთის წყაროს „ფაშ-გვა-შ“-ის სახელ-ში („გვა“ სვანური ძრავლობითი რიცხვის ნაწილაკი, რომელიც უდრის აფხაზურ „ქვა“-ს; (იხ. ზემო სიტყვა „აბზიბ-ქვა“; „შ“ მეგრულ ნათესაობით ბრუნვის ნაწილაკია); 5) სახით „ბაშ“ ვამოწმებთ მდინარე „ა-ბაშ-ა“-ს სა-ხელში და ა-ბაშ-იძის გვარში (თუმცა პრ. მარს ეს ორი სიტყვა არ მოყავს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ის მათ ამგვარ ახსნის წინააღმდეგ არას იტყვის: რასაკვირველია, ამ სიტყვების ახსნას აბაშეთის - Абиссуия - სახელში არავინ ეძებს) და ბოლოს 6) სახით „ბაზ“, ან უკეთ „აბზ“ (ა-ნი სიტყვის თავში მოეთავსა) იგივე ძირი „ბას“ იმალება გურიის სოფელ „ღვაბზუს“ სახელში, რაც გადმოკეთებულია მეგრულ „ღოაბზუ“ დან, ე.ი. „სა-აბზო“-დან სააფხაზო (მეგრულ „ღო“-ს შესახებ იხ.ნ და აგრეთვე „ტუაფსეს“ ვანმარტ. ზემოთ).

ჯერჯერობით ლინგვისტურმა ანალიზმა ჩვენ ორ მთავარ დასკვნამდე მივყავანა: 1) აფხაზები წინათ დიდი და მძლავრი ხალხი ყოფილა, რომე-



ლოც თურძე მრავალ ტომებისაგან შესდგებოდა და 2) ეს დიდი ხალხი იმ დროს ახლანდელზე დიდათ უფრო ფართე მიწა-ადგილზე იყო გავრცელებული და სამხრეთით დღევანდელ გურიას აღწევდა ამ ორ დასკვნას ორ რასმე მოსაზრებამდი მივყავართ: 1) აფხაზთ ერი სამხრეთიდან უნდა იყოს მოსული, როგორც საზოგადო ყველა იათეტიდი და 2) შესაძლებელია მოიძებნოს სამხრეთით კვალი აფხაზთთან მონათესავე ტომისა. ორივე მოსაზრება მართლდება: 1) კავკასიის უკიდურეს სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა კვალი აფხაზთ ბინადრობისა; 2) ის ძველი ერი, რომელსაც ჩვენ მესხების სახელით ვიცნობთ, აფხაზთ მოდგმის ერი ყოფილა და, იქნებ, პირდაპირი წინაპარიც თანამედროვე აფხაზებისა.

3.

სომხეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეს მ. ხორენელი თავის გეოგრაფიაში გვიჩვენებს ოლქს — ბას-ეანს. ეს არის სამცხის მხარე ბას-იანათ წოდებული და ბერძნების მიერ „ფაზ-იანოი“-თ გადაკეთებული. მკითხველი ადვილათ იცნობს ამ სიტყვებში იმავე ძირს, რომლის ისტორიას ჩვენ ვარკვევთ ჩრდილოეთ კავკასიონის ქედიდან დაწყებული აგერ სომხეთამდი სხვადასხვა გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ სახელებში. და თუ გვინდა ავხადოთ ფარდა ამ ისტორიის კიდევ უფრო წინან დელ ხანას, მაშინ გავითვალისწინოთ ის ფონეტიკური კანონი, რომლის ძალით ბ-ანი შეგვიძლია მივიჩნიოთ უფრო ახალ სახედ არქაიული „მ“-ანისა (იხ. 11) და ჩვენი ძირიც ბას შეიცვლება ისტორიულათ უძველეს ძირათ: „მას“; აი ამ უკანასკნელ სახეს შესანიშნავი ძირისას ჩვენ ვხვდებით ჩრდილოეთ კავკასიის უკიდურეს მწვერვალზე; ეს არის არარატის მთა, რომელსაც სომხების და ქართველების მატიანე უწოდებს: „მასიქ“-ს და „მასის“-ს (იხ. „ქართლ. ცხ.“: „...ორსა მათ მათათა შორის კაცთა შეუღლსა არარატსა მასისსა“). განა ჩრდილოეთის „ფას-ის მთის“ სახელწოდება ამ სამხრეთის „ბას-ის მთის“ განმეორება არ არის -და ჩრდილოეთის ხევის „ბასიანის“ სახელი - სამხრეთის ოლქის ბასიანისა?!

სომხურ ფორმაში „მას-იქ“ - ქ-ანი ძრავლობითი რიცხვის მაჩვენებელია, რომელიც უდრის ზემოთ რამდენჯერმე მოხსენებულ სვანურ ხ-ს. იგი „ქ“ გვხვდება ავთანგელოსის მიერ მოხსენებულ „მას-ქ-უთ“-ში, ხოლო აქ ამ „ქ“-ს კიდავ „უთ“, მიკვრია, ეს-პაოსურად დამახინჯებული ქართული მიწა-ადგილის მაჩვენებელი სუფიქსი „ეთი“, „მას-ქ-უთ“ ები თურმე კასპიის ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე ცხოვრობდნენ, და, მასადაძე, ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ აფხაზ ტომს კასპიის ზღვამდისაც-კი მიუღწევია. „ტყვილად შეუკრთობია I. მარქუარტ“ - ი აფხაზთ აღმოსავლეთ ზღვამდი ვაგრცელებას” ო ამბობს პროფესორი ნ. მარი. იმავე ეტიმოლოგიური შენობის, როგორისაცაა ავთანგელოსის „მას-ქ-უთ“ ი, არის ყველასათვის ნაცნობი სახელები: „მეს-ხ-ეთი“ და „მც-ხ-ეთ-ა“. უძველესი სატანტო ქალაქი ქართველთა, მკვლევარის აზრით, აფხაზთ წინაპრებს მესხებს, აუშენებიათ. სახელი „სა-მც-ხ-ე“-ც ხომ იმავე ძირისგან არის, რომლის გამოკვლევას მოანდომა პროფ. მარმა მთელი თავისი წიგნაკი.

ამავე წიგნაკში პირველათ მოგვეცა მშვენიერი მეცნიერული ახსნა აქამდის გაუგებარი სახელწოდებისა, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაშიღა მოიპოვება: „სო-მე-ხი“. აღმოჩნდა, რომ ამ სიტყვაშიც იგივე ჩვენი შესანიშნავი, ძრავალგვარად ცვალებადი, ფუძეა დამარხული, სახით „მეს“ ეს - ძირის სვანური ფორმაა, იხ. 9), ვინაიდან პირვანდელი ფორმა „სომეხისა“ ყოფილა „სო-მეს-ხი“, რომ მართლაც ამ მაგალითში ჩვენ სიტყვის ძირიდან „ს“-ანის გამოვარდნას ვემოწმებით, ამას გვიმტკიცებს შემდეგი ფაქტი: პოეტი ჩახრუხაძე, გვარ-ტომით მესხი, თავის თავს „მესხელის“ მაგიერ „მეხელს“ უწოდებს: ამ უკანასკნელ ფორმაში ს-ანი ამოვარდნილია! ახლა განვიხილოთ „სო-მეს-ხი“-ის მორფოლოგიური შენობა.

ეს სიტყვა მკვიდრი ქართული არ არის, არამედ ნასესხების ერთ და ერთ ქართულ მოღვმის (იაფეტურ) ენისაგან. ეს მტკიცება იმით, რომ „სო-მე-ხი“ში შედის ძრავლობითი რიცხვის ნაწილაკი „ხ“, რომელიც საკუთრად ქართულში უცნობია; მიწა-ადგილის მაჩვენებელი სახელების ნაწილაკს ამ

სიტყვაში არა ქართული სახე აქვს, სახელდობრ არა „სა“, არამედ „სო“. ეს უკანასკნელი ფორმა გვხვდება ე.წ. მე-2 კატეგორიის აქემედინების ლურსმულ წარწერებში, როგორც, რასაკვირველია, იაფეტური ელემენტი. ერთის სიტყვით, ეს სიტყვა თავის მორფოლოგიური შენობით ქართული არ არის და შემოღებულია უცხო ენიდან. ამისთვის მოხდა ის, რომ თუმცა მორფოლოგიური შენობის მიხედვით ის უნდა აღნიშნავდეს ალაგს, სადაც ცხოვრობდნენ მესხები („სო-მეს-ნი“ „სა-მეს-ნი“), - ქართულში თვით მცხოვრებთ სახელწოდებათ ხაუთვლიათ და მიწა-მამულის სახელწოდება-ვი თავისებურათ, ქართულათ უწარმოებიათ: „სო-მ-ნი-ეთი“ „სო-მეს-ნი-ეთი“.

ამგვარად, მესხების და სომხების სახელწოდება ერთ-და-იმავე ძირისგან ყოფილა წარმოებული. თუ ხანრუხადემ დაგვიტოვა ენათმეცნიერებისათვის უძვირფასესი ფორმა „მესელი“, რაც „მესხელს“ ნიშნავს, -სა ეკლესიის საგალობელ ტერმინალოგიაშიც დაცულია. არანაკლებათ ძვირფასი ფორმა: „მესური“, რაც გალობის სომხურ კილოს აღნიშნავს, როგორც ეს განმარტა წინეთ მ. ჯანაშვილმა და დაამტკიცა ახლა პროფ. ნ. მარმა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სომხები და მესხები ერთსა და იმავე ხალხს წარმოადგენენ, არამედ გვიჩვენებს, რომ ორივე ამ ხალხს ერთსა და იმავე ადგილებში მოხვდომია ცხოვრება, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა დროს (ჯერ-მესხებს, მერმე-სომხებს) და ორივეს გამოყოლია და შერჩენია სახელათ საერთო მამულის სახელწოდება. ხოლო ეს სახელწოდება იმ მამულისთვის მიუცია თანამედროვე მესხეთის და აფხაზეთის მცხოვრებთ საერთო წინაპარს.

ასეთია ისტორია ძირისა: „მას“- „მეს“-„ბას“ და მასთანავე „მეს“ ხთა და ა-„ბას“-ნი-თა (აბხაზთა).

რა განსაცვიფრებლად დიად სამსახურს უწევს მეცნიერებას უბრალო ლინგვისტური მასალა მაღალი ნიჭით შეძკულ და შესანიშნავი მეთოდით და ცოდნით აღჭურვილ სწავლულის ხელში!“

კ. ჯორჯიკია.

## დიდი სატკივარი

„ვგოდებთ და ვჩივით - ჩვენს ენას დევნიანო, - და ამ ჩივილს და სამართლიან გულისწყრომას დასასრული არ აქვს!.. „ჯოჯოხეთში ძახილია, და ვავიწყობ კი - არაო“, სწორეთ ასეა ჩვენი საქმეც! - არავის ესმის ჩვენი გოდება, არავის არ აწუხებს ჩვენი სატკივარი, არავის სიწითლეს არა გვრის ჩვენი მხილება!.. ან რა სირცხვილი, რის სიწითლე, როცა ქართულის დევნა, მისი უარყოფა - ის საფეხურია, რომელზეც შეძღვარი „პიროვნება“ განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ხდება, სადაც ჯერ არს!.. ქართული - ეს „ცხოვარია განტეხების“, თავზე შემოსავლები, ჭირის სანაცვლო რამ?!.. რუსთაველის და გიორგი მთაწმინდელის ენა ფეხ-მოსხლეტილი მოხელეების საჯიჯგინი ასპარეზია, რომ აცერებულნი ფეხი მოიმაგრონ და უბადრუკი კუჭის საკითხი თავის სასარგებლოთ გადაწყვიტონ!.. ყველა ეს ნიკოლაელები, კუსტინოვიჩები და ძმანი მათნი, ხანდახან რომ წამოტორტლავენ - „ქართული - ძაღლის ენააო“, წარმოადგენენ - ასე ვთქვათ - ამოტივტივებულ ნაფოტებს ყველა გულ-ღვაძლიან პოლიტიკან მოხელეთა დამყაყებულ ჭაობში. რასაკვირველია, ცოტათ თუ ბევრათ რიგიან საზოგადოებაში ასეთ მოვლენას ადვილი არ უნდა ქონდეს.

ჩვენ კარგა ხანია გვესმის ჩვენი ენის ასეთი ძვირფასი შეურაცხყოფა და მაინდამაინც ბევრს ჩვენგანს ძალიან არ აშფოთებს ეს გარემოება! სამწუხარო და სავალალო ის უფროა, რომ თვით ჩვენ შორის არა ერთი და ორი „თანამგრძნობელი“ ყავს ზემოხსენებულ „მოღვაწეებს“, რაღაც საშინელი გულცივობა, ინდიფერენტიზმი ისე მოედვა ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს, რომ თვით ზოგიერთი ქართული შკოლის მასწავლებლებიც კი თაკილობენ ქართულსა და ქართულ გაზეთის წაკითხვას: „რა ყრია შიგაო!“ საშინელი და ამაშფოთებელი ფაქტია!

როდესაც ჩვენი წინაპრები ქრისტიანობას „ლალატობდენ“ და მახმადს

აღიარებდნენ ყი ზილბა შების თვალასახვევით, - უფრო ნ შირათ სამშობლოს სარგებლობით ხელმძღვანელობდნენ. დღევანდელი ქართველის საქციელს კი ვერაფრითარ ვასამართლებელ საბუთს ვერ მოუძებნის ადამიანი, გარეშე პირადი სარგებლობისა, პირადი წარჩინებისა, და ასე - „გლახა აჯილღას“ არაკს ასრულებენ! დედე-ენა თეხ-ქვეშ სათელათ და პირადი წარმატების საფეხურათ გაინადეს ამ ვაჟბატონებმა! ესენი სა ში შარი ხალხია, უფრო სა- ში შარი, ვიდრე კუსტინოვიჩები და მსგავსნი მათნი!..ესენი არიან ციხის შივნიდან გამტეხავები და ერთ ზედმეტ „ხელის-ხელ საგოგმანებელ“ სა- ბუთს აძლევენ ჩვენს მოძულეთ: „აჰა, თითონ თქვენები უარყოფენ თავის თავსო!..“ თავის უარყოფელნი და გადაგვარებულნი მათთვის დაგვითმია, ესენი დიდი დანაკლისს არ შეადგენენ და, პირიქით, მატრი თავიდან მოცი- ლება საჭიროცაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ესენი თავის მაგალითით სხვებს, ჯერ კიდევ შეურყვნელ ელემენტს, ამხინჯებენ და გადაგვარების გ ზა ზე მიაქანებენ!“

გაზეთი „იმერეთი“

1912, №47

„ჩვენ შემთხვევით ხელთ ჩავვიფარდა პირი იმ მოწერილობისა, რომე- ლიც ბ. გრო ზღოვს ქუთაისის ქალაქის შკოლებისათვის გაუგ ზავნია. აი რასა და რა კილოთი სწერს ბ-ნი გრო ზღოვი ქალაქის შკოლის პედაგოგი- ურ საბჭოს: „წინადადებას გაძლევეთ - დაუყოვნებლათ მაცნობოთ, რით ხელმძღვანელობდით ვაკვეთილების სიის შედგენის დროს, რატომ არ შე- ვიდგენიათ ვაკვეთილების სია თანახმათ ჩემ მიერ გამოგ ზავნილი სიისა! თქვენს სიას არ ვამტკიცებ - და ვთხოვეთ (იგულისხმეთ: ვიბრძანებთ) შე- ადგინოთ კვირის ვაკვეთილების სია თითოეული სავნისა ისე, როგორც ჩემს სია შია ნახვენებო“.

ბ-ნი გრო ზღოვის „სია ში“ კი პირველ განყოფილება ში, ე. ი. იქ, საცა

ქართველი ბავშვები პირველათ იწყებენ სწავლას, სექტემბრიდანვე შეტანილია რუსული ენის გაკვეთილები; შკოლის საბჭო „გაკადნიერებულა“ და ბ. გროზდოვს არ დათანხმებია: პირველი განყოფილების სიაში რუსული ენა სექტემბრიდან კი არ შეუტანია, არამედ იანვრიდან, როგორც ამას მოითხოვს ვარეშე ერებისათვის შემუშავებული 1881 წლის პროგრამა, რომელიც დღესაც კანონიერ ძალაშია.

ბ. გროზდოვს, როგორც პედაგოგს, ალბათ ძალიან კარგათ ესმის, რომ, სანამ ემაწვილს სამშობლო ენაზე წერა-კითხვა არ უსწავლია და გასაგები ენის საშეაღებით მასწავლებელს რამდენათმე მაინც არ დაახლოვდება, პირველი დღიდანვე უცხო ენაზე ფიქრი და უცხო სიტყვების შეთვისება მისთვის ყოვლად ანტიპედაგოგიურია. მაგრამ, როგორც მოხელეს, ბ. გროზდოვს ალბათ არა სურს ამის გაგება და სწადია – მთავრობას სამსახური გაუწიოს მით, რომ კანონსაც კი აჭარბებს.

საგულისხმოა ვიცოდეთ, ნუთუ ბ. გროზდოვებს ნება აქვთ დაარღვიონ კანონი, რომელიც, ერთხელ კავკასიის ნამესტნიკისაგან არის დადგენილი და ხელმოწერილი (1881 წლის 13 იანვარს) და შემდეგ კიდევ, 1907 წლის 27 ოკტომბრის უმაღლესი ბძანების ძალით, განათლების მინისტრისაგან გამეორებული და განმტკიცებული (1907 წლის 1 ნოემბერს)?!

ჯერ თვით ეს 1881 წლის ინსტრუქციაც იმგვარი შინაარსისაა, რომ საღ პედაგოგიურ მოთხოვნილებასთან ძალიან შორსაა, მაგრამ ჩვენ იმას ვემყარებით, რადგან იგი კანონათ მივგახნია, – ვემყარებით ღრობით, სანამ ჭეშმარიტი პედაგოგიის მოთხოვნილებასთან შეთანხმებულ კანონს ველირსებოდეთ... გროზდოვები კი ამ ინსტრუქციასაც ფრთებს უკეცენ და ვისიმე ყურადღების დასამსახურებლათ, ჩვენი ერის მოზარდი თაობის გონების დახლოვნვა ერთი-ორათ სწადიათ გააძლიერონ!...

იგივე პედაგოგი – გროზდოვები, როცა რუსის ბავშვებს სწავლა-განათლებაზე მსჯელობენ, გულწრფელათ აღიარებენ, რომ რუსის ბავშვა ჯერ რუსულათ უნდა ამოიღვან ენა, რუსული წერა-კითხვა უნდა ისწავ-

ლოს- და უცხო ენის შესწავლას მერე მიყოს ხელი, პირველს ან მეორე კლასშიო, ხოლო გარეშე ერების შვილების შესახებ ყოველგვარს პედაგოგიურ ჭეშმარიტებას ივიწყებენ.

ჩვენ შევადარეთ ბ. გროზდოვისაგან სავალდებულო სახელმძღვანელოთ შედგენილი გაკვეთილების სია ქალაქის შკოლის მასწავლებელთა საბჭოსაგან შედგენილ სიას - და შეძრევი აღმოჩნდა:

ბ. გროზდოვის სიით პირველ განყოფილებაში წლის პირველ ნახევარში კვირაში 24 გაკვეთილია (ე. ი. დღეში ოთხ-ოთხი გაკვეთილი), ხოლო იანვრიდან (წლის მეორე ნახევარში) 26 გაკვეთილი, ე. ი. კვირაში ოთხ დღეს ოთხ-ოთხი გაკვეთილი და ორ დღეს ხუთ-ხუთი! ცხადია, პირველი განყოფილების ბავშვებისათვის დღეში 4 და 5 გაკვეთილი მეტათ არაპედაგოგიურია, ფიზიკურათ ბავშვის დამსუსტებელი და დამაავადებელი. მასწავლებელთა პედაგოგიურ საბჭოს კი, რა თქმა უნდა, მეტის პედაგოგიური გონიერებით უხელმძღვანელებია, როცა კვირაში ამ ნორჩი ყმაწვილებისათვის მხოლოდ 20 გაკვეთილი დაუნიშნავს.

ბ-ნი გროზდოვი კი ყველა ამას შემდეგ, ე. ი. იმას შემდეგ, რომ პირველ განყოფილებაში სექტემბრიდანვე რუსული ენის სწავლების შემოღებით აშკარა კანონს არღვევს და თან იქვე კვირაში 24-26 გაკვეთილის დაწესებით ბავშვების არანორმალურს ფიზიკურ აღზრდას ხელს უწყობს, კიდევ ამაყათ ეკითხება პედაგოგიურ საბჭოს: როგორ გაბედეთ და ჩემი „გაკვეთილების განწესება“ სავსებით, უცვლელათ არ მიიღეთ?! სამწუხაროთ, ბ. გროზდოვის „ბრძანებაში“, კანონის დაცვა და ჭეშმარიტი პედაგოგიის სამსახური კი არ გამოსჭვავის, არამედ ბაბილონელთა მოპყრობა ტყვე-ებრაელებისადმი:

„ჩვენებურ ჰანვ ზე მომართეთ ჩანვი,  
ვადმოაკეთეთ თქვენი ხმებიო,-  
და გვივალობეთ ქებათა-ქება:  
ჩვენ ბატონი ვართ და თქვენ ყმებიო“!...

ბბ. გრო ზღოვეებს ავიწყდებათ, რომ ისინი „ბატონები“ კი არ არიან, არამედ მოხელეები, რომელნიც ვალდებული არიან მხოლოდ კანონი და-  
იცვან და არა კანონებს გადააჭარბონ და ან სრულიადაც შესცვალონ ისი-  
ნი. პედაგოგიურ ასპარეზზე სამსახური პოლიციური სამსახური არ არის –  
და ჭეშმარიტი პედაგოგი შორიდან „ბძანებაზე“ კი არ უნდა ამყარებდეს  
თავის ხელმძღვანელობას საპედაგოგიო საქმეებში და პოლიტიკა კი არ  
უნდა შექონდეს შეკოლებში, არამედ თვითონ უნდა ცთილობდეს ახალგაზ-  
დობის გონებრივი განვითარების ნორმალურ გზაზე დაყენებას.

შესაძლებელია ბბ. გრო ზღოვეებმა რომელიმე მახლობელი უფროსის  
ყურადღება კი დაიმსახურონ და ხინ-ორდენებიც ხშირათ მიიღონ, მაგრამ  
სახელმწიფოს კი დათვის სამსახურს გაუწყვენ, ვინაიდან ამგვარი ძალმომ-  
რებით სახელმწიფოსადმი ხალხის ერთგულობასა და სიყვარულს კი არ  
განამტკიცებენ, არამედ ორგულობასა და სიძულვილს“.

გაზეთი „იმერეთი“  
1912, №51

### მეტი ყურადღება

„დღეს ჩვენში ხშირათ გაიგონებთ ხოლმე სამართლიან გოდებას ჩვენი  
საზოგადოების გადაგვარება-გადაშენებაზე. ამ სამწუხარო მოვლენაში  
თვალსაზრისი ღვაწლი ჩვენებურ ქალებსაც მიუძღვით. მართალია – არსებუ-  
ლი უხეირო შეკოლები და სწავლა-განათლების მახინჯი სისტემა რა თქმა  
უნდა, ხელს უწყობს ახალგაზრდობის გადაგვარებას, მაგრამ უმთავრესი  
მიზეზი ოჯახში მარხია, სადაც ინსაკვება და იკვერება მომავალი მოქალა-  
ქის ხასიათი და ისკვნება ზნეობრივი განვითარების საფუძველი. ოჯახური  
აღზრდის უმთავრესი პასუხისმგებლობა კი ქალებს აქვთ დაკისრებული და  
მათი, ამ მომავალი დედების ჯეროვანათ აღზრდით და მომზადებით თვით  
საზოგადოება უნდა იყოს დაინტერესებული. ქალების რიგინათ აღზდა



მთელი ერის სასურველი აღზდის თავდება. სწორედ ამისთვის ამბობს აკაკი: „ქალები! ჯერ ისენი უნდა დაგაყენოთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოგვიზარდონ ნამდვილი ქართველები და არა უსაქმური და მხოლოდ ქარა-მარათ მოლაქლაქე თავხედი კუდაბნიკები“ ... ხოლო სახლი როგორც უნდა გაანათლო ელექტრონის სხივებით, თუ ოჯახში საკუთარი ცეცხლი არ ანთია და კერა გაცეცხლებულია, სითბო არ იქნება. რაც უნდა განათლებული იყვნენ ჩვენი ქალები, თუ საკუთარ ნიადაგზე ფეხი არ უდგიათ, ჩვენთვის ყოველთვის უნაყოფო და გამოუსადეგარი იქნებიან!..

სამწუხაროთ სწორეთ საკუთარი ნიადაგის გარეშე იზრდებიან ჩვენი ქალები გიმნაზიებში. და ჩვენ ამას გულგრილათ შევცქერით, როგორი ეროვნული თვით შეგნების მატარებელი იქნებიან და რამდენად საიმედო მოქალაქეებს აღგვიზდიან ის ქალები, რომელნიც ყოველგან, შინა და გარეთ, ოჯახსა და შკოლაში მშობლიური ენის, ისტორიის და ლიტერატურის უპატვიცემულობას ხედავენ, რომელნიც არც ერთ ჩვენს მწერალსა და ლიტერატორს საფუძვლიანათ ვერ იცნობენ.

თუ გვსურს ჩვენში ნამდვილი „ქართველი დედები“ ვინილოთ, მაშინ ყოველივე ღონე უნდა მოვიკრიბოთ სწავლა-აღზდის საქმეში არსებული ანომალია – მშობლიური ენისადმი უყურადღებობა მოისპოს და მისი სწავლების უფრო რაციონალურ საფუძველზე დაყენებას უნდა შევეცადოთ.

ამ მხრით ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ დიან მოსაწონი და მისაბაძი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ადგილობრივ ქალთა ნინოს სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლის მოსაწვევით ყოველწლიური დახმარება გაიღო; ხოლო მეტი ყურადღებაა საჭირო, რომ ჩვენი ღარიბი ჯიბიდან გაღებული ფულით დანიშნულ მიზანს მივაწიოთ და უნაყოფოთ არ დაიკარგოს.

ამჟამათ დასახელებულ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლის ადგილია თავისუფალი. საზოგადოებამ უნდა იზრუნოს ამ ადგილზე

ღირსეული, საქმის მცოდნე და მისი მოყვარული ადამიანი იქნეს მოწვეუ-  
ლი, რომელიც შრომასა და ჯაფას არ დაიზარებს, მოსწავლე ახალგაზო-  
ბაში მშობლიურ ქვეყნისა და ლიტერატურისადმი ინტერესს აღძრავს და  
კეთილშობილურ ეროვნულ გრძნობებს გაუღვივებს.

ჩვენში, სამწუხაროთ, მშბლიური ენა იმდენათ აბუჩათ არის აგდებუ-  
ლი, რომ მის მასწავლებლობას ყველა ჩემობს. ჩვენ რომ საკუთარი თავის  
პატივისცემა მოგვცა და ეროვნული თავმოყვარეობა გვექონდეს, მაშინ  
ყველას, ხშირათ საქმისთვის შეუფერებელ ადამიანებს, დედა ენის სწავ-  
ლების პრეტენზია არ ექნებოდათ“.

გაზეთი „იმერეთი“  
1912, №52

#### ახალი ამბავი

„კვირას ქუთ. რეალური სასწ. მოწაფეების მიერ გამართული საღამო-  
ფრიად საყურადღებო და შინაარსიანი იყო. საღამო, ბ. კ. მაღრაძის მიერ ამ  
შემთხვევისათვის შედგენილი სიმღერით გაიხსნა, რამაც დიდი ტაშის-  
ცემა და სიამოვნება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში, მე-7 კლასის  
მოწაფემ აფხაიძემ სამაგალითოდ დაახასიათა რუსულათ ილიას ლიტერა-  
ტურული 45 წლის მოღვაწეობა. საუცხოვო იყო აგრეთვე პატარა მოწა-  
ფეების მიერ ქართულად წაკითხული ილიას ლექსები“.

გაზეთი „იმერეთი“  
1912, №53

#### მოწერილი ამბავი

„როგორც ღიმში ისე მთელი ბაღდადის რაიონის დაწყებითი შკოლებ-  
ში მოწერილობის განკარგულებით რუსული წ. კითხვას ერთ თვეს შემდეგ  
აწყებინებენ“.

## საყურადღებოთ

„რაც ხმები დადის, თუ ყველა გამართლდა, ქუთაისს მაშინ ჟურნალ-გაზეთების დედა ქალაქი უნდა დაერქვას. დრო იყო ქუთაისში არც ერთი ჟურნალ-გაზეთი არ გამოდიოდა, მაგრამ ამ ქაშათ იგი ბევრი გაზეთის გამოცემას აპირობს. სინარულის გარდა არა გვმართებს, რომ ამდენი გაზეთი აპირობს გამოსვლას, მაგრამ საქმე მარტო ერთი-ორი ნუმრის გამოსვლა კი არაა, საქმე ისაა რა ნიადაგი ექნება ამ გამოცემებს. ვის არ ახსოვს რუსული გაზეთი «Кутаисская жизнь»-ი, რომელიც ბ. პოლშინის რედაქტორობით გამოდიოდა; ვის არ ახსოვს, რომ იგი არაფითარ საცხოვრებო მიზანს არ ემსახურებოდა და ძნელოდ განცხადებათა ორგანო იყო. ხალხიც შესაფერისათ შეხვდა მას, რის გამოც ბაზარი დაეკარგა და ძალიე სულიც განუტევა. დღეს, როგორც გვესმის (არ ვიცით კი, რამდენათ გამართლდება) ცნობილი გამომცემელი ბ. პოლშინი კიდევ აპირებს თავისი გამოცემის გაახლებას. ნეტავ რატომ ვერ დარწმუნდა იგი რომ ქუთაისში რუსული გაზეთი ვერ ხეირობს. არა თუ მარტო ისეთი უშინაარსო, როგორიც «Кутаисская жизнь»-ი იყო, არამედ კარგი შინაარსით სავსე გაზეთიც რომ გამოსცეს ვინმემ რუსულ ენაზე, ისიც კი ვერ იხეირებს, რადგან მას საკმაო მკითხველი არ ეყოლება... ქუთაისში რუსული გაზეთი ზარალის მეტს არაფერს ივებს“.

## თეატრის სეზონის დასაწყისი

„სხვა დანიშნულების გარდა, რომელნიც ყოველგან აქვს თეატრს, ჩვენში იგი უნდა ემსახუროს ქართულის გამშვენიერებას, მისი კანონიე-

რათ ხმარების შეთვისებას. პიესა ენის მხრივ გახვეწილი და გასწორებული უნდა იდგმებოდეს. ორიგინალურ პიესებსაც ატყვია ენის უცოდინრობა და ზოგიერთი თარგმანი ყოვლად შეუწყნარებელია.

ეს დიდ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს დრამატული საზოგადოების გამგეობას...

მსახიობების ხელს უწყობენ ენის დამახინჯებას, რადგან ძველი ცოდვა როლის უსწავლელობისა ჯერ კიდევ ვერ აღმოუფხვრიათ ახალგაზრდა, მუყაით მუშაკთაც კი.

ზოგიერთ მსახიობს ეტყობა რომ ცხოვრებაში ქართულს არ ხმარობს ქართულათ არ აზროვნებს და ამიტომ სუფლიორის მიერ მოწოდებულ სიტყვებსაც რუსულს უნარზე ჩამოაყალიბებს, გადააკეთებს“.

გაზეთი „იმერეთი“

1912, №55

### განმანათლებელთა მოღვაწეობა

„შკოლების რიცხვი დღითი-დღე მატულობს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებიც მრავლდება, წ.კ.საზ. განყოფილებები აგერ მთელ საქართველოს მოეფინა: სადაც 30 წევრი შეიკრიბება, იქ განყოფილებაც მზათაა! მაგრამ შოთასი არ იყოს, „რატა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?..“ გაიარეთ სოფლად, ყური მიუვდეთ მოწაფეებს და დაინახავთ, რომ მათ ნორჩ სულსა და გულში ნამდვილი გადაგვარების თესლია მობნეული! „რომელმა ბორბტმა ხელმა ჩაიდინა ესო? - გაბორბტებითვე ეკითხებით თავს და გული ბოლმით გევსებათ... ანტიპედაგოგიური და ანტიეროვნული მოღვაწენი, ცირკულიარების ყურ-მოჭრილი ყმები, საოცარის ერთგულობით და მუყაითობით ერეკებიან ნორჩ თაობას მშობლიური უბე-კალთიდან!...

გულსაკლავი მოვლენაა, როცა სოფლის შკოლის მოწაფე, თუნდა მე-

ოთხე-მეხუთე განყოფილებისა - მარტინოვსკის „რუსკიე პისატელოს“ აბუღობულებს და თუთიყუშივით პუშკინისა და კრილოვის ლექსებს ხააკრაკებს. მათი ბიოგრაფიებიც კი „იცით“ იცის, თუ ვნებავთ, ის გარემოებაც, თუ რისგამო დასწერა კრილოვმა არაკი „ვოლკ ნა პსარნე“, ან „დემიანის უხა“. დიან, ასეთ რამეებს არა იშვიათად ვაიგონებთ აქ. სამავიეროთ იგივე თითქმის ვერაფერს გეტყვის სამშობლო ლიტერატურიდან, სოფლად თუ სადმე გაუგონია აკაკის და ილიას სახელი, თვარა შკოლას აქ წილი არ უდევს.

იცის ამავე მოსწავლემ მდ. ვოლგა, ზედ მოყოლებული ცხრა გუბერნია, დონი, დნეპრი; ხოლო არა იცის რა რიონის ალაზნისა და ჭოროხის შესახებ, მტკვარის კი „კურ“ს უძახის და ამასაც იცნობს იმდენათ, რამდენათაც განმარტებულია ეს რუსეთის „როდინოვედენიის“ სახელმძღვანელოში!.. იგივე ყმაწვილი მოგიგებს წმ. ოლღას და წმ. ლადიმერის შესახებ, ვერაფერს გეტყვის წმ. ნინოზე, დავით აღმაშენებელზე და თამარ მეფეზე!.. თქვენ, კითხვითი ნიშნათ გადაქცეული შეყურებთ ქართველ მასწავლებელს, იგიც წარბშეუხრელად ვიპასუხებთ: „პროგრამას ვასრულებთო“. მორჩა და ვათავდა! ე.ი. ბრალი მე როდი მედება, როგორც და რასაც მიბრძანებენ, ისე ვასრულებ. ახლა ყური დაუგდეთ ამავე მოწაფეებს გარეთ: „ოი დიდ ლადო“ ან „სალდატუშკი რებიატუშკი“ რომ ხააკრაილებენ, მთელი სოფლის დედაკაცობა ვიხაროდენით ეგებება მათ და იმათ აღმზღელს! გაუყვეთ ახლა ჩვენს რკინის ვხას კვირა-უქმობით. სადგურზე გესმით: „ხაროში იაბლუუკ!“, „გრუშ-გრუშ“, „მინავრად!“ „პერცი-პერცი!“ და ესეთები. ესენი იმავე კრილოვისა და პუშკინის მცოდნეები არიან. დასტკებით, ბატონებო, თქვენი კეთილი ნაღვაწის კეთილი ნაყოფით!..

ახლა თვალი გადავაგლოთ ჩვენს სამკითხველოებს, თუ ვნებავთ იმავეთ, რომელიც ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას ეკუთვნის. როგორც ვიცით, უკანასკნელ წლებში დაარსდა წ.კ.ს. ფილიალური განყოფილებები. კარგი და კეთილი. დეცენტრალიზაცია და ხალხთან დაახლოება დიდი საქმეა, მაგრამ

ვიკითხვით, ნამდვილათ ეძსახურება თუ არა ეს განყოფილებანი ქართული წერა-კითხვის გავრცელების საქმეს? - როგორ?! - გაიოცებს მკითხველი, მაგრამ მოითმინეთ... ქართული საზოგადოება, ქართული სამკითხველო - რის ქართულია, თუ იქ ქართული წიგნის შოვნა გავიჭირდებათ, მაშინ როდესაც შელოერ-მინაილოვსკისა და ტიუტჩევის თხზულებანიც არ აკლიათ! ორიოდ ქართული გამოცემა გვაქვს და ჩვენ სამკითხველოებში ამათაც არა აქვთ ადგილი! - გავიხსენოთ, თუ გნებავთ, ხონის განყოფილება, რომელმაც თავის დამკითხველოდან ვაზ. „კოლხიდა“ ექსპორიაჰყო!.. ან - ან. სენაკის სამკითხველო, სადაც ყველა ქართულ გამოცემებს ვერ ვხვდავთ და ამათი ადგილი არჩეინათ უკავია „რეჩს“, „ვესტნიკ ზნანის“, „ნივას“ და სხვ. რუსულ გამოცემებს!.. რომ კითხვით, - ფული არა გვაქვსო, და რაღა მანცდამანც „ნივის“-თვის იშვება ფული და, მაგ., ქართულ სამეურნეო ჟურნალ „მოსავლის“ გამოსაწერათქო - არა!..

ყოველი შეგნებული ქართველი მოვალეა ქართულ გაზეთებს იწერდეს და თავის ქვეყნის ავ-კარვს შეგნებულათ ადევნებდეს თვალ-ყურს. ამას უნდა ავალეებდეს თითოეულ ჩვენგანს შეგნება და მოვალეობა სამშობლოსა და ერის წინაშე და თვით ჩვენივე საკუთარი სარგებლობა! აქ კი რასა ვხვდავთ? ხშირათ ქართული შკოლის მასწავლებლებიც კი არ იწერენ და არ კითხულობენ ქართულ გაზეთებს. სამაგიეროთ ძალიან სწყალობენ „ნივას“, „ვოკრუვ სვეტას“ და სხვ.

ერთადერთი პედაგოგიური ჟურნალი არსებობს ქართულ ენაზე - „განათლება“, რომელიც ამ გვარსავე რუსულ ჟურნალებს არაფრით ჩამოუვარდება, თუ ზოგიერთს წინ არ გაუსწრებს. ამ ჟურნალს თითოეული ქართველი მასწავლებელი უნდა იწერდეს და თვალყურს ადევნებდეს თანამედროვე პედაგოგიურ ლიტერატურას, რომ კითხვით, კიდევ საშვალეებაზე მივვითითებენ, მაგრამ რომ საშვალეება აქ თავის გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება, ეს ყველაში იცის!..“

## მოკლე ანგარიში ქუთაისის ქალთა უფასო შკოლის მდგომარეობის შესახებ

„ქუთაისის ქალთა შკოლა 1888 წელს დიდი მთავრინას ოღლა თეოდორეს ასულის ინიციატივით დაარსდა, სადაც ქუთაისში მცხოვრებ ღარიბთა შვილები განურჩევლად სარწმუნოებისა, წოდებისა თუ ეროვნებისა სწავლობენ. შკოლა ექვსი განყოფილებისაგან შედგება და ექვსი წლის განმავლობაში ასწავლიან: საღვთო რჯულს, ქართულსა და რუსულ ენას, ანგარიშს, ხატვას, სუფთა წერას, გალობას და ხელსაქმეს. ამის გარდა უფროსი განყოფილების მოწაფენი მზარეულობასაც სწავლობენ.

შკოლაში სავნებს სამინისტროს ორ კლასიანი სკოლის პროგრამით ვადაიან.

სავნების სწავლება დღეში მარტო ორი-სამი საათია, დანარჩენი დრო ხელსაქმეს ეთმობა, ასე რომ შვადღემდი სავნების სწავლებაა ოთხ უფროს განყოფილებაში და ნაშვადღევს ხელსაქმარი; ორი უმცროსი განყოფილება – კი შვადღეზე ან შინ მიდის ან შეძლებისადაგვარათ ბარში მუშაობს.

ხელსაქმეს სკოლაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მშვენიერი ხელსაქმისა და სასარგებლო პრაქტიკული ცოდნის მდაბიო ხალხში გავრცელებისათვის შკოლამ 1901 წ. კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე პირველი ხარისხის ოქროს დიდი მედალი მიიღო.

ასევე, ოქროს მედალით აღინიშნა 1889 წელს სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები კავკასიისა და ქუთაისის სამეურნეო გამოფენებზე.

ქალთა სასწავლებლებს ხელმძღვანელობენ მარიამ ყაუხჩიშვილი, ელენე ხოჯევანიშვილი და სხვები.

კუროსის გათავების შემდეგ ჩვენს მოსწავლეებს, ვისაც სურვილი და შეძლება აქვს, იღებენ მოუმზადებლათ ქალების გიმნაზიის მეორე კლასში და თუ გეოგრაფიაში მოემზადენ – მესამე შიკ. ვისაც სწავლის გავრძელება

ბის შეძლება არ აქვს, ისინი იმ ცოდნითაც, რომელსაც შკოლაში იძენენ, კარგა შეგნებულათ იკვლევენ ცხოვრების გზას, თვითონ თავის პატიოსანი შრომით ცხოვრობენ და მეტ ბარგათ არ აწვეებიან მშობლებსა და საზოგადოებას.

შკოლა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციის გამგეობის ქვეშ იმყოფება, რომელიც ყოველწლიურად კონტროლს უწევს მას.

დღეს სკოლაში 217 მოსწავლე ქალი სწავლობს, აქედან 198 ქართველია 19 კი რუსი. მასწავლებელი არის 12, რომელსაც სახალხო სკოლების დირექტორი ამტკიცებს და კანდიდატურას კი სკოლის უფროსი ასახელებს. მასწავლებლებსაც სხვადასხვა ანაზღაურება აქვს.

სკოლის შემოსავლის მუდმივ წყაროს შეადგენს: სახალხო განათლების სამინისტრო და ქალაქის გამგეობა. დანარჩენ ხარჯს ფარავს კერძო შემოწირულობანი, ხელსაქმარსა და ყვავილებში აღებული ფული.

შკოლას აქვს ახლათ აგებული ორსართულიანი ქვიტკირის შენობა, რომელიც შედგება 9 ოთახიდან; 6 საკლასო დიდი ოთახია, სივრცით 12 - ჯერ 9, და 3 ოთხი შკოლის მართველს უჭირავს ბინათ, მოსამსახურის ოთახით და სამზარეულოთი. აშენებულია ეკლარის თლილი ქვისაგან და დახურულია თუნუქით; ოთახებში აგია პარკეტის იატაკი, აქვს ორი ქვის კიბე, აივანი, სარდაფი ქვითკირის თავლა, სამრეცხველო ოთახი და სხვანი.

სკოლა შეძენილია 3000 მანეთად არტ. ვახ. მურალოვისაგან. სამი მხრით შემოზღუდულია ქვითკირის გალავნით და მეოთხე მხრიდან კინის მოაჯირითა და კინისავე ჭიშკრებით. ეს ღირებულება სკოლას შემოსწირეს დიდმა მთავრებმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ და ალექსანდრე მიხეილის ძემ“.



### ქალთა ახალი საზოგადოება

„ქუთაისში არსდება ქალთა საზოგადოება, რომელსაც მიზნათ ძალიან ფართო კულტურული პროგრამა დაუსახავს. ცალკე ქალთა შეერთება და შეკავშირება საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოთ ყოველთვის სასარგებლო იყო და ახლაც ამას უნდა მოველოდეთ. სხვათა შორის ეს ახალი, „საზოგადოება“ ააღორძინებს ქალთა წრეს და სამუშაოთ გამოიწვევს ბევრ დამალოულ (პოტენციალოვ) ძალა. წარსულის ისტორია ცხადათ მოწმობს, რომ ქალთა წრე არ ყოფილა მოკლებული არც ნიჭიერს, არც ენერგიულს, არც ზნეობით შეძკულ პირებს, მაგრამ, სამწუხაროთ, სხვადასხვა ისტორიულმა ვარემოებამ და სოციალურმა პირობებმა ისე მოაწყო ქალის ცხოვრება, რომ დღემდე მამაკაცსა და დედაკაცს შორის კიდევ რაღაც უკიდურესი განსხვავება ელანდებათ.

ეჭვი არ არის ქალთა წრის გაღვიძება და მათი ძალების შეერთება არსებითად შეცვლის ქალის მდგომარეობას საზოგადო ასპარეზზე, დააჩქარებს მის როლს საკითხის სასურველად გადაწყვეტაშიც.

დასახული მიზნის შესამედიც რომ შესრულდეს ეს დიდი ღვაწლი იქნება ერისა და ისტორიის წინაშე. ქუთაისის საზოგადოებაში ქალთა წრის ინიციატივა სასიამოვნოცაა და მისაბაძიც.

დარწმუნებული ვართ ქუთათურ ქალებს სხვა ქალაქებშიც მიბაძავენ. სასურველია, გამკეობას სათავეში დაუდგეს ისეთი პირები, რომელთაც შეუძლიათ ნაცოფიერი მოქმედება და შედარებით უფრო თავისუფალი არიან ოჯახური მოვალეობით“.

**ახალი ამბავი**

„ქუთაისში დაარსდა ქალთა საზოგადოება, რომლის მიზანს თავის წევრთა თვით განვითარებასთან ერთად საქველმოქმედო მოღვაწეობაც შეადგენს. საზოგადოებას აქვს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება. წლიური საწევრო გადასახადი მხოლოდ ერთი მანეთია. 29 მაისს, საღამო შვიდ საათზე, ქალაქის თვით მართველობის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების პირველი კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. გულით ვუსურვებთ ამ ახალ საზოგადოებას სრულ გამარჯვებას და ბევრი „კარტველი კალი“-ს ქართველ ქალებად ქცევას“.

**უდიდესი მტრები ჩვენი ეროვნული იდეალისა**

„ვისაც ჩვენ მამათ მოვუწოდეთ, დარიალის კარები გაუღლეთ და ძიული წინა აზიის გასაღები ხელში მივეცი; ვისაც დავით აღმაშენებლისა, დიდის თამარისა და უკვდავი შოთას სამშობლო ჩავაბარეთ, - იგი მამობას ისევ ჩვენი ეროვნული იდეალის მტერს უწევს!.. რა დავაშავეთ? რით დავიმსახურეთ ასეთი რისხვა, ასეთი წყრომა?! ვანა იმის ღირსი ვართ, რომ ჩვენს შვილებს - 7-8 წლის ბავშვებს - დედა-ენაზე ლაპარაკსაც კი უკრძალავენ სასწავლებლებში?!“

**ახალი ამბავი**

„სამასწავლებლო დირექციამ ახალი განკარგულება დაუგზავნა ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებს, რომელთაც 1881 წლის სასწავლო პლანს ძირეულათ სცვლის და ავალებს მასწავლებელთ, რომ რუსული ენის სწავლებას ამ სკოლებში წლის დამლევიდანვე, ენკენისთვიდან დაეთმოს 6 საათი და 6 საათი მეორე ნახევარში... ამ განკარგულების თაობაზე სამოსწ. მთავრობა მოითხოვს, რომ 7 ამ თვემდე შეადგინონ ნუსხა გაკვეთილებისა და წარუდგინონ მას დასამტკიცებლათ“.

**ქართული დედის გამოღვიძება**

„იმ მრავალ გარემოებათა შორის, რომელთა წყობილებით შეიქნა ესეთი დიდებული ტიპი ძველი ქართულისა, უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს ქართულ დედას... ავიღოთ თუნდ ის ქალთა წრეები, რომელნიც ამ უკანასკნელ დროში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დაარსდა.

წრე დაარსდა ქუთაისშიც.

სრული თანაგრძნობით ვუკვებებით ასეთ სასიამოვნო და საგულისხმიერო მათ ნაბიჯს, რაც მათს გამოღვიძებასა და საზოგადო ასპარეზზე გამოსვლას მოწმობს. საზოგადოების საჯარო კრებებს მრავალი მანდილოსანი ესწრება და დიდის გულმოდგინებით შეუდგენ ჩვენი წარსული ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლას, სჯა ბაასი მხოლოდ მშობლიურ ენაზეა, რასაც სამწუხაროთ, აქამდე ყველა გადაჩვეული იყო.

ვარდა ამისა ამ საზოგადოებას ერთი ფრიალ სერიოზული და სასარგებლო განზრახვა აქვს: - გადაწყვეტილი აქვთ გახსნან პროფესიონალუ-

რი შკოლა, სადაც ღარიბი ახალგაზრდობა შეისწავლის ჭრა-კერვას, ფეხ-საცმელების შეკერვას, ქუდების მომზადებას და სხვ. ამ გვარათ მათ გაეხსნებათ პატიოსნური შრომის გზა. თუ ამას იმასაც დაეუმატებთ, რომ იქ მოსწავლე ქალები შეისწავლიან ქართულს ენას და ზნეობრივ ზეგავლენის ქვეშ იქნებიან, ნათლად შეგიძლიან წარმოიდგინოთ ასეთი შკოლის საზღვებლობა“.

გაზეთი „იმერეთი“  
1912, №63

### ახალი ამბავი

„7 დეკემბერს ქალაქის საშკოლო კომისიამ დაადგინა დეპეშა გაეგზავნა სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის შესახებ იმისა, რომ მას შეეჩერებია ადგილობრივი დირექციის განკარგულება ქალაქის დაწყებით შკოლებში რუსული ენის სწავლებისა პირველი წლიდანვე... მასწავლებელთა ასეთი საქციელი სამართლიან გულისწყრომას იწვევს როგორც ქალაქის გამგეობისა და საშკოლო კომისიისა, აგრეთვე მთელი საზოგადოების მხრიდან“.

გაზეთი „იმერეთი“  
1912, №65

### შინაური მტრები

„სახალხო შკოლების დირექციამ ძალმომრეობის იერიში მიიტანა ქალაქის შკოლებზე და, წინააღმდეგ 1881 წლის ინსტრუქციისა, სასტიკათ მოითხოვა, რომ რუსული ენის სწავლება დასაწყის განყოფილებაში პირველი წლის პირველი ნახევრიდანვე - სექტემბრიდან იწყებოდეს, და არა იანვრიდან. საშკოლო კომისიის კრებამ ამგვარი მოთხოვნა უკანონოთ სცნო - და დეპეშით ოლქის მზრუნველს სთხოვა, რომ დირექციის განკარგ-

გულემა შეეჩერებია. სამი შკოლის ზედამხედველმა საჭიროთ არა სცნო დეპეშის პასუხისათვის მოეცადათ - და დირექციას მოწიწებით მიაბრუნეს „ოტნოშენიე“, რომ მზათა ვართ თქვენი მოთხოვნა მივიღოთ და შევასრულოთო! ეს სამი ისტორიული პირი გახლავთ: მაჭავარიანის ასული თამარი, ნიკოლოზ მესხი და ალექსანდრე ცხადაძე!

აი, როგორ მასწავლებელთა ხელშია მოთავსებული ჩვენი ნორჩი ახალგაზდობის სწავლა-აღზდის საქმე! თუ დღევანდელ მასწავლებელს გრძნობა მთლათ გაყინული და გონება დაჩლოუნებული არ აქვს, გული და სული უნდა ეწამლებოდეს იმ არანორმალური სისტემით, რომელიც დღეს ჩვენს შკოლებში არის გამეფებული და რომლის მეოხებითაც მოწაფეებს ეკრძალებათ გასაგების - მშობლიურ ქართულ ენაზე შეისწავლონ სხვადასხვა საგანი და ნორმალურათ განვითარდნენ. ყოველი სინდისიერი პედაგოგი უნდა ცთილობდეს - შეაგნებოს მთავრობას, რომ ამგვარი სისტემა ბავშვებს გონებას უჩლოუნებს - და, მაშასადამე, სახელმწიფოსთვისაც მავნებელია, რადგან მომავალი მისი მოქალაქეები გონებადახშულნი, საზოგადოებისათვის გამომუდევარი წევრები იქნებიან“.

სილოვანი.

გაზეთი „იმერეთი“

1912, №67

### სამი ვამგის წერილი

„პირველი რაიონის სახალხო შკოლების ინსპექტორმა ქალაქის პირველ დაწყებით შკოლებს დაურიგა ვაკვეთილების განაწილების ნუსხა, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგებოდა უმაღლესი მთავრობის მიერ გამოცემულსა და რამდენჯერმე დამტკიცებულს 81 წლის სასწავლო პლანს და მოითხოვა ამის მიხედვით თვითოეულ შკოლაში საკუთარი ნუსხის შედგენა. ჩვენ შეუძლებლათ ვცანით ინსპექტორის უსამართლო განკარგულების დაკმაყოფილება, უყურადღებოდ დავტოვეთ იგი და წინანდელი წლე-

ბის მსგავსი ნუსხა წარვუდგინეთ დასამტკიცებლათ, რომელიც რისხვითა და მუქარით უკანვე დაგვიბრუნა და განმეორებით თავისი უკანონო მოთხოვნის შესრულება მოგვთხოვა... ჩვენ ნუსხის ვაგ ზავნა კიდევ იმ მოსაზრებით ვავბედეთ რომ მისი უკანვე მიღებადმი სასწავლო წლის პირველი ნახევარი კიდევ მიიწურებოდა და მომავალი ნახევრიდან კი 81 წლის პლანი ისედაც გვავალებს ბავშები რუსულ ენაში ზეპირათ ვავარჯიშოთ.

ისე კი ჩვენ სრულებით განზრახვა არ გვექონია ინსპექტორის მოთხოვნის დღეიდანვე შკოლებში განგვეხორციელებინა და ამას, ძალიანაც მოწადინებული რომ ვყოფილიყავით, მაინც ვერ შევძლებდით, რადგან ყველა მასწავლებელი საერთოდ ამის წინააღმდეგი იყო და ამას არავ ზით არ შეასრულებდა“.

თამარ მაჭავარიანის ასული, ნიკო მესხი, აღექსანდრე ცხადაძე.

გაზეთი „იმერეთი“  
1912, №71

### ახალი ამბავი

„18 დეკემბერს მოხდა საშკოლო კომისიის სხდომა ქალაქის გამგეობისა და ავრეთვე ზოგიერთ ამ სხდომაზე მოწვეულ ცნობილ პედაგოგთა თანდასწრებით. მზრუნველის წინადადების გამო სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსების შესახებ კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს, რომ ასეთი ინსტიტუტი დაარსებულ იქმნას ქუთაისში, რისთვისაც ქალაქი სწორავეს 2000 კვ. საეენს საღორიის ავარაკში და ქვა-სილას სასწავლებლისათვის საჭიროს და გარდა ამისა 15 ათას მანეთს, რომელიც ათი წლის განმავლობაში უნდა გადახდილ იქმნას“.

### ქუთაისის ქალთა საზოგადოების საყურადღებოთ

„ქუთაისის ქალთა საზოგადოების დაარსებას ეძღვნება დღევანდელი ფელეტონი, რომელზეც საუბარი კიდევ დიდხანს შეიძლება ვაგვიგრძელებდეს. ვინაიდან ჩვენში ქალთა საზოგადოება, როგორც იტყვიან ახალი ხელია და მოსაწყენი არ იქნება ამასთან დაკავშირებით ჩვენი წარსულიდან ცოტა რამ დავიძიმოთ. ქუთათურ ქალთა მოღვაწეობის შესახებ და მეორე მხრით მიუთითოთ ქალთა საზოგადოების მეთაურთ იმ წყაროსა და საუბრეზე, სიდანაც მათ უნდა ამოიღონ თავისი მოღვაწეობისა და მუშაობის სულის ჩამდგმელათ და დამახასიათებლათ სანიძეშო მაგალითები მედგრობისა, მუყათობისა, ერთსულობისა და ერთგულობისა.

გულ-წრფელობისა, თავ-განწირული მოღვაწეობისა, სოლიდარობისა და სხვადასხვა სიკეთის უნარისა, ურომლისოთაც არაფერი საზოგადო საქმე წაღმართად არ წასულა და არც წავა არაოდეს.

ჯერ ქალთა საზოგადოებას საქმე და მოღვაწეობაც კი არ დაუწყიათ, რომ მათ შესახებ ალაპარაკდა „კოლხიდისა“ და „ზაკ. რეჩის“ კორესპონდენტები. მათი სტატიები მოგვეთხრობენ ხსენებულ საზოგადოებაში გამართულ კინკლაობას სადაც თავი უჩენია ვათიშვის სენს, რის გამოც ზოგი ინტელიგენტი ქალი „ღობის გარეთაც დარჩენილა“.

აღბათ, ბევრს ემახსოვრება, რომ ქუთაისში ოფიციალურად ორ თუ სამ ოჯახში ცნობილი ქალბატონები მცირე წრეებში იკრიბებოდნენ და ქალთა უფლებებზე საუბრობდნენ. მათ კრებებზე ხშირად გვინახავს თვალსაჩინო მოღვაწეები: აკაკი და ვიორგი წერეთლები, ვიორგი ზდანოვიჩი, კ. ლორთქიფანიძე, ალ. ჭიჭინაძე, ა. ჭყონია და სხვა მრავალი ინტელიგენტიც.

ქალთა ორგანიზაციები მართალია დიდხანს არ არსებობდნენ, მაგრამ მათ საქმიანობას მაინც უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ხან რიგიანი წიგნები გა-

მოსცეს „კრებული“, ხან საკვირაო შკოლას მოაბეს თავი, ხან მეურნეობას და მეოჯახეობას მოებლაუჭენ. მეურნეობის ფრაქციას, მართალი რომ სთქვას კაცმა, კვალი არ დაუტოვებია ქუთაისში, ვარდა იმ შეგნებისა, – რომ ყველა თავის შესაფერ საქმეს შესაფერძვე ძალღონით უნდა მოკიდოს ხელი, თორემ შეუსაბამო საქმის ბედი ყოველთვის სასაცლო და სამწუხარო იქნება, სამწუხარო იმიტომ, რომ ვარეშე საზოგადოებას გული აეყრება მასზე და თვით საქმეში ხაბძულ წევრებსაც გული გაუტყდება, და ეგ გულის გატეხა, მოგესხენებათ, პირველი მომასწავებელია საქმის სამუდამო დაღუპვისა.

დღევანდელ ქალთა საზოგადოებას კი სულ სხვა შემადგენლობა და წინდაწინვე განზრახული სამოქმედო პლანი აქვს.

წინათ თუ ახლობელი ნაცნობები და ორი წოდების ქალბატონები თუ იკრიბებოდნენ ამჟამად ქალთა საზოგადოებაში მზავსი დანაწილება აღარ არსებობს და წესდება წინასწარვეა შედგენილი.

წინასწარ პესიმისტური განწყობილებით არ არიან ქალთა ორგანიზაციების მიმართ განწყობილნი, მაგრამ მათი მოღვაწეობის გზაზე ბევრი დაბრკოლება და ხიფათია. საერთოდ, წარსულმა შეცდომებმა ჭკუა უნდა გვასწავლოს და მომავალ დაბრკოლებასაც ძველი გამოცდილებით უნდა შევებრძოლოთ.

ხალხის გენია მრავალ თქმულებათა შორის ერთი შესანიშნავი ანდაზა მოგვცა: ღვთის აშენებული ოჯახში ქალმა დააქციაო, და დედაკაცის აშენებული ოჯახის დარღვევა ღმერთმაც ვერ შესძლოო. ეს ანდაზა იმას ამბობს, რომ ქართველ ქალს ხვენი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში დიდი როლი უთამაშია საოჯახო საქმეებში: რაც მისი ხელით გაკეთებულა, რაც მისი გრძნობით გამთბარა და მისი გონებით მოგვარებულა ოჯახში. ყოველივე მკვიდრი და საიმედო ყოფილა“.

დღეს კი ქართველი ქალი არც სარწმუნოების შეუგნებელი ცრუ მორწმუნეა, არც მამა კაცის და პოლიტიკის ყურმოჭრილი ყმა. მას ესმის ერის



თავისუფლების ნაყოფიერება, ესმის და შეგნებული აქვს, როგორი სასყიდელით მოიპოვა მან იგი თავისუფლება“.

სამს. ყიფიანი

გაზეთი „იმერეთი“

1912, №74

### სამშობლო, ენა, პედაგოგია და ჩვენი მასწავლებლები

„პედაგოგიკის ისტორიის ფურცლებზე აღბეჭდილია ბრძოლა საუკეთესო პედაგოგებისა სამშობლო ენის უფლებებისათვის. კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ ყოველთვის იჩაგრებოდნენ დიდის სახელმწიფოების მიერ პატარა შემოერთებული სახელმწიფოების მკვიდრნი. დიდი სახელმწიფოს მთავრობა ყოველთვის ცდილობდა, დაეკარვა დამორჩილებული ერებისთვის მათი სულიერი ფიზიონომია. ამისთვის ის საჭიროდ თვლიდა, მოესპო მათთვის სამშობლო ენა, რომელიც ერთი უმთავრესი ბურჯთაგანია ეროვნებისა. დამორჩილებული ერების ენის მოსასპობ იარაღათ ის ხმარობდა შკოლას, სადაც მას უკარგავდა უფლებას, ყოფილიყო არამც თუ სხვა საგნების გადასაცემ ენათ, არამედ სასწავლო საგნათაც კი.

მაგრამ ისტორია იმასაც მოწმობს, რომ ხშირათ, დამორჩილებული ერი მონურათ ქედს არ უხრიდა გაბატონებულ ერს; არამც თუ ხელს არ უწყობდა გაბატონებული ერის საზიზღარ განზრახვის შესრულებას, როგორც ჩვენ, არამედ - უკანასკნელ სისხლის წვეთამდი ებრძოდა მას სამშობლო ენის უფლებებისათვის და თვით არსებისთვის, რადგანაც მას ღრმათ ქონდა შეგნებული ის აზრი, რომ სამშობლო ენა არის საძირკველი სწავლა-განათლებისა.

ისტორიის მსვლელობამ ჩვენს ჩავვაგლო იმნაირ მდგომარეობაში, როგორშიც იმყოფებოდნენ საშუალო საუკუნეებში ევროპის ბევრი პატარა ერნი, მაგრამ ჩვენი ხალხი ამით გაიჩხევა, რომ სრულიად კმაყოფილია თავისი მდგომარეობისა, რომ მას არ აღეგუებს ის საზიზღარი მდგომარე-

ობა, რომელიც უსირცხვილოთ გვიქადის გადაგვარებას, და ვერ გრძნობს იმას, რომ თვითონ არის თავისი გადაგვარების იარაღი მთავრობის ხელში.

ერთი მასწავლებელი მეოთხე გაკვეთილს ძლიერ ადრე ათავებდა ხოლმე, ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ შერება ის ამას, მან თამამათ და წარბ-შეუხრქლათ მიპასუხა, მეოთხე გაკვეთილზე ქართულია და რაღას ვუცადო! სატირალი და სავალალო ის არის, რომ ამ მასწავლებელს სრულიად არ ესმის, თუ როგორ ღუბავს ის ჩვენს მომავალ იმედს და როგორ აჩლოუნგებს ყმაწვილების სიცოცხლით სავსე სულს მკვდარი მასალის მიწოდებით. მასალა, რომელსაც მე ვუწოდებ მკვდარს, ამოღებულია რუსული სახელმძღვანელოებიდან, როგორც არის ქრესტომატია კორხანიდიისა და სხვა. ეს მასალა თავის თავათ ცოცხალია, მხოლოდ ის მკვდარია ჩვენი ბავშვებისთვის, რადგანაც მას ჩვენს ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამგვარი სახელმძღვანელოებიდან ამოღებულ მასალას ჩვენი მასწავლებლები უხვათ აწოდებენ ბავშვებს რუსულ ენაზე და ივიწყებენ იმ სიმდიდრეს, რომლითაც სავსეა ჩვენი ქართული სახელმძღვანელოები: დედენა, ბუნების კარი, გუთანი და სხვანი.

წარსულ ზაფხულში ხონის კურსებზე მასწავლებლებს თურმე „გაურჩევით“ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ და უცვნიათ ის უვარვისათ ჩვენს შკოლებში. ეს ამბავი კურსებიდან დაბრუნებულმა მასწავლებლებმა ჩამოიტანეს, როგორც ახალი და სასიხარულო. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ უვარვისათ იმიტომ იცვენეს მასწავლებლებმა, რომ ეს დიდებული აზრი აღბათ პირველათ უფროსმა წარმოსთქვა, და უფროსის სიტყვა ხომ კანონია ზოგიერთისათვის.

ზოგიერთ შკოლებს კიდევაც მოუვიდათ მოწერილობა ამ ახალი სახელმძღვანელოების შესახებ. ზოგიერთი შკოლის მოწაფენი, მკონი, დღემდის უმწივნობროთ არიან დარჩენილი, რადგანაც მასწავლებლებმა აუკრძალეს მათ „რუსკოე სლოვოს“ ყიდვა მოწერილობის მიღების მოლოდინში.

ცხადის უცხადესია, რომ არ შეიძლება ადგომა იმ დაცემულისა, რომელიც არ ებრძვის თავის დამცემს, თავის დამჩაგვრელს.

ჩვენ უნდა ვიბრძოდეთ ქართული ენის უფლებათა აღსადგენათ. დღეს-დღეობით ის მაინც ავასრულოთ, რაც დაკანონებულია.

მასწავლებლებო! როგორ უყურებთ ამ ახალ ნუსხას გაკვეთილებისას, სადაც პირველ განყოფილებაში სექტემბრიდან აღნიშნულია რუსულის გაკვეთილები?

ნუთუ ეს არა ანტიპედაგოგიურია?!

ნუთუ ეს უკუღმართობა არ არის?!

ნუთუ პირველი დღიდანვე უცხო ენის სწავლება არ დააჩლუნგებს იმ უსუსური ბავშვების ტვინს, რომელთაც არ შეუძლიათ გაარჩიონ მარჯვენა მარცხენისგან?! ყოველი ჩვენთაგანი გმობს იმ ძველ კანონს, რომლის ძალით დამნაშავეს ასახიჩრებდენ ფიზიკურათ. ნუთუ მეტი გმობის ღირსი არ იქნება ზემო საქციელი, თუ ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ხსენებული ნუსხა და ამით დავამახინჯეთ უდანაშაულო ბავშვების სული?!“.

გაზეთი „იმერეთი“

1912, №74

### მოწერილი ამბავი. სოფელი სიმონეთი

„26 სექტემბერს მოხდა მთელი საზოგადოების ყრილობა, რომელსაც დაესწრო სვირის ბოქაული ბ. ჯალათოღლი. მან განუმარტა საზოგადოებას საკითხი ამავე საზოგადოებაში შკოლებისათვის შენობების აშენების შესახებ. აუხსნა, რომ დღეს მთავრობა მზათ არის თქვენი სურვილი და დადგენილება სასწავლებლების შენობების აშენების შესახებ სისრულეში მოიყვანოს; მხოლოდ თქვენ ის თანხა, რომელიც მოგროვილი გაქვთ ამ მიზნისათვის, არ გყოფნით და ამისათვის მთავრობას სურს საშვალება მოგცესთ, და ჯერჯერობით მარტო ერთ-ერთი შკოლისათვის აავოთ შე-

ნობაო, მაგრამ საზოგადოებამ საქმის ასეთი გაჭიანურება არ მოისურვა და ერთხმად დაადგინა: იმ 5500 მანეთს, რომელიც უკვე საზოგადოებას შეგროვილი აქვს დაუმატონ კიდევ 9,500 მანეთი და შენობების შენებაც ერთსა და იმავე დროს დაიწყონ, როგორც ზედა სიძონეთში აგრეთვე ქვედა სიძონეთშიც; ამ 9500 მანეთს უნდა გამოაკლდეს ის 4800 მანეთი, რომლის შეძენაც სამოსწავლო მზრუნველისაგან უკვე გადაწყვეტილია“.

გაზეთი „იმერეთი“  
1912, №74

### სოფელი ეწერი

„ეს სოფელი დიდათ ჩამორჩენილია სწავლა-განათლების ძხრით სხვა მეზობელ სოფლებს. ერთად ერთი სამრევლო შკოლა არსებობს და ისიც მოსახლების ვზას ადგია. იგი დაარსდა ხელისმძღვერით; მაგრამ ახლა ხელის მოძვერლებმა შენობის აგებაზე უარი განაცხადეს. ერთხელ შკოლის სასარგებლოთ წარმოდგენაც კი მოაწყვეს, მაგრამ შემოსავლიდან რა დარჩა მას, ისიც ვილაცებმა ჩაიჯობა. 1912 წ. შკოლა გაიღო, რომლის გამკეთ ადგილობრივი ღვდელი დაინიშნა, მაგრამ მოვალეობა ვერც ღვდელმა აასრულა და შკოლა ისევ ცუდ მდგომარეობაშია“.

გაზეთი „კოლხიდა“  
1912, №118

### ქმრიანი ქალების უბედურება

„მოკლე ინფორმაცია ეხება ეპისკოპოსს ალექსის განკარგულებას, რომლის „მოწერილობით“ საეპარქიო სამოსწავლო საბჭო ყველა ქმრიან ქალს სასწავლებლიდან ითხოვს“.

## აკაკის წერილის გამო

„მახსოვს ისეთი დრო, როცა ჩვენი ძვირფასი მეოხსანი მხოლოდ წარსულში პოვებდა ჩვენი ქალების ღირსეულ მხარეს. არც აწმყო, არც მომავალი მას იმედს არ აძლევდა. დღეს კი ჩვენს ქალებს დიდებული მეოხსნის გულში იმედი ჩაუხსნა. მისი ბრწყინვალე სახე სიამოვნების შუქს მოუფენია და თავისი გამჭრიახი გონებით ხედავს, როგორი ტანჯვითა და წამებით იკვლევს საბრალო ქალი უვალ ვზას მომავლისაკენ, რა მძიმე ტვირთსა სწევს იგი, ტვირთს დაქცეული სამშობლოს უბედურებისას და ათასგვარ ჭირ-ვარამისას.

იგი ყველაფერზე ზრუნავს ვარდა ამ საკითხისა - ვერ ხედავს, ვერა გრძნობს, რომ ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი ქალების გაუნათლებლობის გამოა და სანამ ეს საკითხი სასურველ ნიადაგზე არ დადგება, მანამ ჩვენი ქვეყნის წინსვლა შეუძლებელია. ამიტომ მოვალე ვართ სამშობლოს წინაშე ყოველი ზომა მივიღოთ - ამ საკითხს ფართო ვზა მიეცეს. გულს ნუ გაგვიტეხს, რამდენიმე ნაწილი აგრეთწოდებული კურსისტებისა, რომელთაც არ შეუვნიათ თავისი მოვალეობა და სხვა რამ მიზანი მიაქროლ-მოაქროლებს რუსეთსა და ჩვენი ქვეყნის შორის.

მათ თამამათ შეეწირავთ სხვერპლათ მომავალ დიდ საქმეს. მწამს, მათ ნიადაგზე ამოცენდება ის ტიპი ქართველი განათლებული ქალისა, რომელსაც მოუთმენლათ ელის ჩვენი საბრალო მხარე. მოვალე ვართ ვიზრუნოთ მათ ნივთიერთად უზრუნველყოფაზე, - ცარიელი კუჭით სწავლის შეძენა შეუძლებელია.

რამდენათ საჭიროა ქალებისათვის უმაღლესი განათლება, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი: წელს ჭიათურის ქალთა ოთხკლასიან სასწავლებელში მოხდა მასწავლებლებთა არჩევანი. უპირატესობა, რასაკვირველია, მიეცათ მათ, ვისაც უმაღლესი სასწავლებელი ქონდა გათავებული. ასეთებიც აღ-

მოხნდენ და ამგვარათ საშეალო სასწავლებელში სწავლა მიღებულნი ვახ-  
თენ მათთვის ადგილი დაეთმოთ. ეს უკანასკნელნი ვერ უწევენ მეტოქეო-  
ბას მათ იმ შემთხვევაშიც როცა დიდი ვამოცთილება ახლავთ სამოსწავ-  
ლო ასპარეზზე.

დამყარება იმაზე, რომ ქმრის ძნა ლუკმაზე იცხოვროს – თანამედრო-  
ვე ქალმა, ეწინააღმდეგება მის აზრსა და თავმოყვარეობას. და არც არის  
ახლანდელ დროში ისეთი უკილო თანხმობა ცოლ-ქმართა შორის, როგო-  
რიც იყო ძველს დროში. თანამედროვე ცხოვრების პირობები სრულებით  
სხვას გვიჩვენებს – ეს პირობები აშეარათ ითხოვენ ქალთა მდგომარეობის  
შეცვლას. და ეს აუცილებლათაც უნდა მოხთეს, რათა ნივთიერათ დამოუ-  
კიდებელი ადამიანი, პიროვნება დაცული, განათლებული ბევრათ უფრო  
სასარგებლო წევრია საზოგადოებისა, სასურველი დედა და ამხანაგი თა-  
ვის ქმრის. მაშ, დროა ვსძლიოთ ჩვეულებრივ გულგრილობას, სავსებით  
შევიგნოთ ეს საჭიროება და ზომებიც მივიღოთ მის განსახორციელებ-  
ლათ.“

გაზეთი „კოლხიდა“  
1913, №1

### ქალთა დღის გამო

„იყო დრო, როცა მამაკაცსა და ქალს შორის დიდ განსხვავებას პოე-  
ბდენ. ქალი პირდაპირ მონათ ითვლებოდა კაცისა. მას არათფერი უფლება არ  
ქონდა, არ იღებდენ არათფერს დაწესებულებაში მოსამსახურეთ, მამა-კა-  
ცებთან შედარებით ამის გამო ისინი ცოდნასაც ნაკლებს ღებულობდენ,  
რათ უნდა ქალს სწავლაო, იტყოდენ ხოლმე, წერა-კითხვა სულ დაღუპავს  
მის საქმეს, ვაჟს „სიყვარულის“ წერილებს გაუჭრელებს, სჯობს 14-15  
წლამდი ოთახში გვეყოლოს, კარ-ჩაკეტილათ ვაცხოვრებ. არ დავანახებ  
არც ვავაცნობ ვისმე და ალო რო მოუვა! ვავათხოვებო...“

ქალი იმ თავიდანვე დაჩაგრული იყო თუნდაც იმითაც, როცა ქალი და-

იბადებოდა „ვაი“ უნდა დაეყოლებიათ აუცილებლათ, მაშინ როცა ვაჟის დაბადებისას თოფ-ხარბაზნების სროლა ატყდებოდა... ქალიო, ამბობენ, გასათხოვარია, გასამზითებელია, სანამ შენთან იქნება, მოსავლელია, სამწყესავია, კაცი კი ყოველთვის შამომტანიაო...

ასეთი ამბები ადრეც ისმოდა, საუბედუროთ ახლაც ისმის, მაგრამ გადის დრო და ეს უკუღმართი შეხედულება ქალზედ თანდათან იცვლება, ქალი პოულობს თავის უფლებებს.

ამ რამდენიმე წლის განმავლობაში იმატა ქალთა წინ-სვლამ და განვითარებამ. აქა-იქ შეგნებულ ქალთა საზოგადოებამ აარსებს წრეებს, რომლის მიზანია, ქალი ქართულ ლიტერატურასა, ისტორიას და სხვადასხვა საკითხსაც გააცნოს. ასეთ წრეებს აქვს მიზნათ დასახული აგრეთვე ბევრი საქველმოქმედო საქმეები. როცა ასეთ რასმე გაიგონებ და შეხვდები გაზეთებში ქალების შესახებ, სინარული ავიტაცებს გული ძნიარულათ დაიწყებს ცემას...

გაზეთი „იმერეთი“

1913, №1

„არასდროს ქართველი ერი არ ხავარდნილა ისეთ საშინელ განსაცთელში, როგორც ახლათ. ათასი წლობით გვებრძოდენ აზრის ბარბაროსნი, გვიპყრობდენ არაბთა და მონღოლთა ურდონი, გვატონობდენ სპარსნი და ოსმალნი, მაგრამ ეს ქართველი ერის ქრისტეს სარწმუნოების დაუძინარი მტრები ხელუხლებლათ სტოვებდენენ ჩვენ საკუთარ მთავრობას, შკოლას, სასამართლოს, ენას, ტერიტორიას და ხშირათ სარწმუნოებასაც კი. იმათ მიქონდათ ჩვენგან მხოლოდ ხარკი, გადასახადი და მეტი არაფერი. დღეს კი სხვაა. დღეს გვეუბნებიან: დაივიწყე ის ენა, რითაც წმ. ნინო ქადაგებდა ქრისტეს სჯულს და დიდებული შოთა ქმნიდა თავის უკვდავ პოემასო. დღეს საქართველოს ტაძრებში ისმის გაუგებარ ენაზე წირვა-ლოცვა, დღეს პაწაწა ქართველს სჯიან შკოლებში თავის სამშობლო ენაზე საუბ-

რისათვის. დღეს გვართმევენ მიწა-მამულს, რომელიც მოწიფულია ჩვენ წინაპართა წმინდა სისხლით და ამ მშვენიერ ადგილებზე ათასობით ასახლებენ არქანგელის გუბერნიიდან და ვანქის მიდამოებიდან გადმოსახლებულთ. ამავე დროს კი ქართველი გლეხობა კვენესის უმიწობით და არა იცის თუ რით დაახწიოს თავი. ამისთანა, საშინელ ამბებს არ ვხედავთ არა პასლანის, ლანგთემურის და დიდ სისხლის-მღვრელ შაჰ-აბაზის დროს.

სიფხიზლე გვეძმართება და სოლიდარული მოქმედება თუკი გვსურს შევინარჩუნოთ ჩვენი არსებობა. დღეს გვაქვს დაარსებული ორგანო, რომელიც რამდენიმეთ იცავს ჩვენს ენას და ქმნის ქართველ შკოლებს, ერთია წ.კ. გამაურცელელები საზოგადოება, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ორგანო, რომელსაც შეეძლოს შევინარჩუნოს ჩვენი მიწა-მამული, ჩვენი ტერიტორია. აუცილებლათ საჭიროა დაარსდეს ჩვენში ამგვარი დაწესებულება.

ენა და ტერიტორია, - აი ორი უძყარესი რამ, ურომლისოთ ერს არ შეუძლია ერობა! დიდ ხიფათშია ჩვენი ენა, მაგრამ კიდევ უფრო მეტ ხიფათშია ჩვენი ტერიტორია. გადახედეთ საქართველოს რუკას! ყოველი მხრიდან გვერეკებიან ქართველებს“.

გაზეთი „შინაური საქმეები“  
1913, №2

„ჩვენ პირადად ყოველთვის გვაინტერესებდა და გვაფიქრებდა კიდევ ქართული შკოლის ბედი, ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ ნამდვილი ქართველი მხოლოდ ნამდვილ ქართულ შკოლას შეუძლია შექმნას და ამიტომ საჭიროა შეიქმნას ნამდვილ უტყუარი წყარო, რომელიც ასულდგმულებს ასეთ შკოლას. კერძო ქველმოქმედებაზე და სასწავლო გადასახადზე დამყარება ამ საქმეში სილაზე სახლის შენება იქნებოდა. ქველმოქმედება, ჩვენში მაინც, და ისიც წვრილი ვერ შექმნის ვერაფერ მსხვილ კულტურულ დაწესებულებას, მით უფრო ვერ მოართავს ეროვნულ სწავლა-გა-



ნათლები საქმეს. ამისათვის საჭიროა სხვა რამ ინტერესიც, გარდა ქველ-  
მოქმედებით თავის გამოჩენისა და სულიერი დაკმაყოფილებისა, საჭიროა  
ცოტა რამ მატერიალური ინტერესიც თან ახლდეს სულიერს. საჭიროა  
შევადგინოთ აქციონერული, ან პაებით, სწავლა-აღმზრდელი საზოგადო-  
ება (учебно-воспитательное общество), ეს საზოგადოება შეინახავს  
ქართულ შკოლას ქ. ქუთაისში და, თუ შეძლება ექნება, სხვაგანაც, ხოლო  
სასწავლო გადასახადს, რომელიც შემოვა ამ სკოლებში, დაურიგებს თა-  
ვის წევრებს დივიდენდის სახით. აქციის ან პაის პატრონს უფლება არ ექ-  
ნება თავის სული უკან დაიბრუნოს, სანამ ცოცხალი იქნება ქართული შკო-  
ლა, ხოლო დივიდენდით კი ყოველთვის ისარგებლებს. დაწვრილები და  
დალაგებით ამ საგნის შემუშავება, რომელსაც დარწმუნებული ვარ ბევრი  
მომხრე აღმოუჩნდება, უნდა იტვირთოს ქუთაისის ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადო-  
ებამ, თვით ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგემ ბ. ი. ოცხელმა, უფრო კი  
პირველმა. ურიგო არ იქნება დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ ამ საქმის მო-  
წესრიგებას. თუ მაინცადამაინც ვინმეს ეჭვი დაებადება ამ საქმის კეთი-  
ლად დაბოლოებაში, ნუ დაივიწყებს, რომ „ცდა ბედის ძენახევრეა“ და მა-  
მისი არ იყოს „არა რა არს უსაშველო...“

გაზეთი „იმერეთი“

1913, №3

### ახალი ამბავი

„აკადემიკოსი ნიკო მარჩი აფხაზური ენის შესწავლას და კვლევა-ძიე-  
ბას შეუდგა. ამ მიზნით იგი ეს ერთი ხანია აფხაზეთში იმყოფება და დარ-  
ჩება ამ თვის 12 მდომ, აკადემიკოსს უთქვამს: - ჩემთვის უეჭველი ფაქტია,  
რომ აფხაზური ენა იაფეტურ ენათა ჯგუფს ეკუთვნისო“.

„ყოვლად საღვდელლო დავითმა ქართული შკოლის დარბაზში ილოცა მწუხრი და ცისკარი ქართულ ენაზე. აქაური ქართველობა ქართულ წირვა-ლოცვას დანატრებულია. ეკლესიაში ქართულად მხოლოდ უფალო, შეგვიწყალეს თუ გაიგონებენ, თორემ სხვაფრივ ღვდელმოქმედება და წირვა-ლოცვა ყოველთვის სლავიანურ ენაზე სრულდება. რო შეიტყვეს, სალამოს ლოცვა ქართულ ენაზე იქნებაო, იმდენი ხალხი მოზღვავდა, რომ შკოლის ფართო დარბაზში გრძნობიერი სიტყვა წარმოთქვა, თვითონაც გული აუხუყდა და მსძენელთაგანაც მრავალი ააცრემლა. აქა-იქ ქვითინიც კი გაისმა. ნივთიერი კეთილდღეობა თქვენ აღარ გაკავშირებთ თქვენს სამშობლოსთან, - ბრძანა სხვათა შორის მღვდელმთავარმა: მაგრამ თქვენი მოვალეობაა აქ, ამ უცხო მხარეს უფრო გაუფრთხილდეთ ქართველის სახელს. ერიდეთ ადამიანის ღირსების დამამცირებელს ქცევას, რომ ამით სახელი არ გაუტეხთ მთლად საქართველოს. თქვენი ყოფა-ქცევით არავის მისცეთ საბაბი ქართველობაზე ცუდი აზრი შეიღვინოსო.“

ყოვლად საღვდელლომ ადგილობრივს ეკლესიაშიც სწირა. წირვა შესრულებულ იქნა სამს ენაზე: რუსულ-ქართულ-ოსურათ. წირვას შემდეგ ქართული შკოლის დარბაზში შეიკრიბა ქართველი საზოგადოება და ძვირფასი სტუმრის პატივისცემით საზოგადო ნადიმი გაიმართა.

ყოვლად საღვდელლომ ადგილობრივი შკოლებიც დაათვალიერა და მოწაფეები გამოსცადა; ინახულა ქართველთა მოსახლეობა და გაეცნო მათს ნივთიერ მდგომარეობას“.

### ახალი ამბები

„ჩვენი გაზეთის ე. ი. 1912 წელს ვასული წლის მე-30 ნომერში ცნობა

იყო იმის თაობაზე, რომ კუხის ორკლასიანი სასწავლებლის გამგემ ლ. ჩოძანიძემ და სასწ. სერ. გორდაძემ წინადადებით მიმართეს სახალხო შკოლების უფროსს - გოგებაშვილის «Русское слово»-ს ნაცვლად სხვა სახელმძღვანელოს შემოღების ნება მიეცეს, თავის სასწავლებელში. ამის თაობაზე ბ. ჩოძანიძემ მაშინდელი დირექტორის კარპოვის ხელმოწერილი საბუთი წარმოგვიდგინა, რომლითაც მტკიცდება, რომ ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია.

ერთმა სარწმუნო პირმა გადმოგვცა, რომ რაღა კუხსა და ასეთ ცოტათ შორს ადგილებში ვარბინართ, უფრო ახლოს მოიკითხეთ, თვით ქალაქის მიდამოებში გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა და საზოგადოთ ქართული ენის სწავლების ბედ-იღბალი.

ერთი მტერი ქართული ენისა, ბატ. მესამე რაიონის შკოლების ინსპექტორი, ცნობილი ტერ-ვასპარიანცია, ხმა გაჟრცელდა, რუსეთში გადაყავთ. შეგვეძლო ბევრი ქართული ანდაზა მიგვეყოლებია მისთვის, მაგრამ ჯერ ეს ხმაა მხოლოდ. ვისურვით, რომ გამართლებულიყოს და მისი მოქმედება კანონიერათ გაემართლებინოს“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №7

### ქ. შ. წ. კ. საზოგადოების საყურადღებოთ

„ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენდა სასიამოვნოთ და სასინარყოთ, ქართველ საზოგადოებას შესამჩნევათ გაეხსნა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და ქართული წიგნების კითხვის სურვილი. ის ვარემოებაც მეტად სანუგეშოა, რომ ამ სურვილის გაძლიერებას ხელს უწყობენ როგორც ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი, ისე კერძო ვულშემატკივარნი ჟურნალ-გაზეთების და ქართული წიგნების გამოცემით. მაგრამ მარტო წიგნისა და გაზეთის გამოცემა არა კმარა, საჭიროა ამ გამოცემა-

თა ხალხში გატანა და გასაღება, რათა გამოძცემელიც არ დარჩეს ზარალში და გამოცემის ხალისი არ დაუკარგოს და მკითხველმა საზოგადოებამაც დროზე დაიკმაყოფილოს თავისი სულიერი მოთხოვნილება. საჭიროა, ყოველს ქალაქსა და სოფელში, სადაც კი შკოლა არსებობს, სახალხო სამკითხველოც არსებობდეს, რომ შკოლაში სწავლა-შესრულებულმა ახალგაზრდამ, ქალი იქნება იგი თუ ვაჟი, არამც თუ დაივიწყოს შკოლაში შეძენილი მცირე ცოდნა, პირიქით ეცადოს, გაიფართოვოს თავისი ცოდნა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვით. ვიცით, რომ სოფელში სამკითხველოს ან ბიბლიოთეკის გახსნას, მის ხეირიანათ მოწყობას და გაძლოლას ბევრი დაბრკოლება ელოდება; ისიც ვიცით, რომ ამ დაბრკოლებას ხშირათ სძლევენ ხოლმე სოფლის მადლიანი ადამიანები; სოფლის მასწავლებლები და ღვდლები; მაგრამ არის ერთი დაბრკოლება, რომლის დაძლევა ორთავეს უჭირს და უძნელდება, ეს დაბრკოლება განლაგეთ ქართული საკითხავი წიგნის ნება-დაურთველობა განათლების სამინისტროსგან. ყველას მოეხსენება, რომ ინსპექტორები და დირექტორები სასტიკათ იცავენ იმ ვალდებულებას, რომ საკითხავი წიგნი უეჭველათ ნება-დართული იყოს სამინისტროსგან. ჩვენდა სამწუხაროთ, ქართული საკითხავი წიგნებიდან, თუ არ ვცთები, ვგონებ, ორი წიგნიც არ არის ამ რიგათ ნება დართული. ამაზე არც ვინმე ფიქრობს და არც აქამდე უფიქრია ვისმე. ეს გარემოება გვაიძულებს, მივმართოთ თხოვნით ჩვენს დიდ დაწესებულებას, ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისას, რათა მან იკისროს ამ საქმეზე ზრუნვა, ე. ი. ვაგ ზავნოს ყველა სასარგებლო საკითხავი წიგნი სათანადო დაწესებულებაში ნების დასართავად. ყველა ამ ნაირი წიგნის შოვნა საზოგადოებას არ გაუჭირდება, რადგან საზოგადოების წიგნის ძალაზიაში თითქმის ყველა ქართული წიგნია თავმოყრილი. ამ ფრიად საჭირო საქმის ასრულება ერთიორად გაუადვილებს ყველა ჩვენი ხალხის გულშემატკივარს, უფრო მეტის მხნეობითა და ხალისით მოეკიდოს სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების გახსნა და მათთვის მზრუნველობას. დასასრულ, მოვაგონებ ქართულ წიგნის ყველა

გამომცემელს, თითო-ორიო ცალი თავისი გამოცემული წიგნის ქართ. შორის წ. კ. გამაზრცელებელ საზოგადოებას გაუგზავნოს თფილისში და ამით გაუადვილოს ამ საჭირო საქმის დახმარება და სისრულეში მოყვანა“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №7

### ქვემო იმერეთი, სოფ. ეწერი

„სწორეთ რომ „პერპეტუუმ მობილეს“ წარმოადგენს ჩვენში შკოლის საკითხი. ამაზე წინაც ვწერდი და ახლაც მიხდა აღვნიშნო ის, რაც ამ საკითხის გარშემო ხნდება. ჯერ კიდევ ენკენისთვეში გადაწყდა, შკოლა საშუალო, საუკეთესო ადგილზე გადატანილიყო. ეს ადგილი, როგორც წინათ ვწერდი „წყაროს თავია“. მაგრამ გამოხდნენ სოფლის „გულშემატკივარნი“, რომელთაც ქანქარიც არ დაიშორეს და საქმე უკუღმა მოატრიალეს. გადაწყვეტილება ინსპექტორს დაუბრუნეს, ინსპექტორმა დირექტორს, დირექტორმა გუბერნატორს, გუბერნატორმა მაზრის უფროსს, იმან ბოქაულს, აქიდან მამასახლისს, და ამ გვარით შეიქნა საქმის დაუსრულებელი მსვლელობა, ტრიალი.

საბრალო ბავშვები კი ოთხი ხუთი ვერსის მანძილზე, შიშველ ტიტველნი, წულაში თითებ გამოვარდნილი, მშიერი, სახე დალოურჯებული, მთლად აკანკალებული მიდიან შკოლაში. არ შემიძლია არ ვუსაყვედურო ადგილობრივ მასწავლებლებს. ვინ უნდა აირჩიოს შკოლისათვის შკოლის შესათფერი ადგილი თუ არა შკოლის ბატონ პატრონმა, მასწავლებელმა! ჩვენში შკოლის ზედამხედველს ბატონ ივ. გ-ძეს, როგორც ჩინებულ მასწავლებელს, სწავლის კარგათ დაყენებისათვის მაღლობის მეტი არა ეთქმის რა, მხოლოდ შკოლის გადატანის საქმეში რომ ფხა ვერ გამოიჩინა ძლიერ სამწუხაროა. ძალიან მარჯვე ადგილია: შკოლისათვის „წყაროს თავი“, მაღალი, უზარმაზარი ცაცხვები, ქვევით მოხუხხუხე ცივი წყარო,

სოფლის შუა გული, აი ამაღვილის ღირსება. მიუძღრთავ ადგილობრივ მასწავლებელთ, აუხსნან სოფელს ამ ადგილის უპირატესობა და გადაკიდებული მეზობლები შეარვიონ, რომ ამით უზომო ხარჯები თავიდან ააშორონ“.

ვ. ახვლედიანი.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №7

### დიდი ჯიხაიში (ქვემო იმერეთი)

„ადგილობრივი მასწავლებლები პედაგოგიურ ჭეშმარიტებას უტიფრად ღალატობენ. ამ ღალატით უნდათ გრო ზღოვ-კრუპსკების გული მოიგონ და ხინ-ორღენებით დაჯიღოდოვდენ. დიდ-ჯიხაიშის შკოლის მასწავლებლები მოწინავე ელეძენტებათ ითვლებიან სოფელში. ამ „მოწინავე ელეძენტებმა“ გროდ ზოვის არა-პედაგოგიურ მოთხოვნილებას დიდი სიამოვნებით მიეგებენ. გრო ზღოვის წინადადების გაზეპირებით ბავშებს გონებას უხლუნგებენ. ამ ვაჟბატონების ქართველობა მხოლოდ პრტყელ-პრტყელ სიტყვებში გამოინატება“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №9

### ახალი ამბავი

„ქალაქის საბჭომ მ იანვარს განიხილა საშკოლო კომისიის მოხსენება, რომელიც ერთხმად მიიღო და დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა მეფის მოადგილის წინაშე, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქ. მზრუნველის საშვალებით, გაუქმდეს ადგილობრივი დირექციის და ინსპექციის განკარგულება შესახებ იმისა, რომ ქალაქის დაწყებითი შკოლების გამგეობამ არ წარუდგინოს მას გაკვეთილების ახალი ნუსხა, რომელიც ეწინააღმდეგება

1881 წ. სასწავლო პლანს. აგრეთვე წინადადება მიეცეს ამავე ინსპექციასა და დირექციას, რომ, შეძლევე ში უსათუოდ დაიცვან უცვლელათ ხსენებული სამოსწავლო პიძნი. ვარდა ამისა, ეთხოვოს მეფის მოადგილეს - მოახდინოს ცირკულიარური განმარტება იძის შესახებ, თუ რა უფლებები აქვს სამოსწავლო მთავრობასა და ქალაქს პირველ დაწყებითი შკოლების მართვა-გამკეობა ში“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №10

### ახალი ამბავი

„ს. შორაპანი (ზემო იმერეთი) ნ ამ თვეს აქ აკურთხეს ახლად გახსნილი რკინის ვ ზის სამკითხველო, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სამკითხველო ში ხალხი ბლომათ დადის, სამკითხველოს გამოწერილი აქვს „სახალხო გაზეთი“, „იმერეთი“ და „თემი“. გამკეობამ უნდა იზრუნოს ქართული და სხვა ჟურნალ-გაზეთების გამოწერა ზეც, რომ თავის-დანიშნულება სავსებით აასრულოს.

პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი თავის საგულისხმო ლექციას ძველი ქართული ხელოვნების ისტორიიდან ამ თვის 16-ს, ოთხშაბათს წაიკითხავს ქუთაისის ქალაქის თეატრ ში. ესვე ლექცია გუშინ პარასკევს თფილის ში უნდა წაეკითხა პატივცემულ პრივატ-დოცენტს. ჯერ ცნობა არ მოუტანია თფილისის გაზეთებს ამ ლექციის თაობაზე, მაგრამ სახელი, შრომის მოყვარეობა, და ნაშრომიც ივ. ჯავახიშვილისა იძის თავდება, რომ ეს ლექცია ფრიად საყურადღებო იქნებოდა და თვით საგანიც ლექციისა ჯერ უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის“.

**ახალი ამბავი**

„ჩვენს შკოლებს აქეთ ცოტათი მაინც დედა-ენის ხმარების უფლება. ეს არის მის წლის სამოსწავლო პლანი, ჩვენი ვაღია, პირნათლათ ვიშროძით და ჩვენს შკოლებს ეროვნული სხვის ელოფერი გაუყლამა ზოთ და გაუფუფურჩქნოთ.

სამწუხარო სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ თქვენ, არა თუ არ მოღვაწეობთ ამ მცირე უფლებათა გასათართოებლათ, პირიქით, რაც ოფლით გვიშოვია, ისიც დავიწყებას მივიციათ და ბავშვის ნორჩი გულიდან უღმობლათ გლეჯთ იმ ენას, რომელიც მათ შესისხლხორცებია დედის რძესთან ერთად, არ ვიცი, რა გაიძულებთ თქვენ ასე მოიქცეთ?

რედაქციისაგან: ამ სამართლიან შეკითხვაზე ვარდა ბ-ნი ბანტაძისა, სხვა ბევრ მასწავლებელსაც მართებს დღეს პასუხის გაცემა, იმ მასწავლებლთ, რომელთაც უფროსების გულის მოსაგებათ ვ ზა ძრუდე აურჩევიათ და ნათელ პედაგოგიურ აზრსა და მოთხოვნილებას ღალატობენ, ჩირქს სცხებენ „მასწავლებლის» სახელს“.

**ზემო იმერეთი, ხარავაული**

„ხარავაული თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ერთი საუკეთესო, მომარჯვებელი სავაჭრო და ადმინისტრაციული პუნქტია საქართველოში, რომელსაც მით უფრო აქვს მნიშვნელობა, რომ აქ გადის მაგისტრალური გზა და რასაც სასოფლო და უბნის სამართველოები, წვრილი კრედიტის ამხანაგობა, ფოშტა, მოძრიგებელი შუამავალი, ქ. შ. წ. კ. გ. ს. სახალხო ბიბლიოთეკა, ორკლასიანი (5 კომპლექტიანი) სავაყო და ორკლასიანი



ქალთა სამინისტრო შკოლები და სასულიერო უწყების ორკლასიანი სასწავლებელი. აქვე შენდება მშვენიერი ერთსართულიანი ქვიტკირის შენობა ქალთა სასწავლებლისათვის. უკანასკნელი ორი შკოლა არის დაარსებული დეკანოზის რომანოზ დეკანოზის ძის შრომითა და მოღვაწეობით, ხარაგაულის ყველა შკოლა, თითქმის ერთ კუთხეში იმყოფება“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №15

### ახალი ამბავი

„წ.კ.გ.ს. ქუთაისის განყოფილებას თავის რაიონში 13 სამკითხველო ქონია გახსნილი. განყოფილებას ახალი წესდება შეუძმუშავებია და ამ დღეებში სახელმძღვანელოთ დაურბევებს ამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გამკეთ. განყოფილების უკანასკნელ კრებაზე გამკეობამ დაადგინა - მისწეროს თავის შკოლებისა და სამკითხველოების გამკეებს:

ა. როგორ სარგებლობენ შკოლებსა და სამკითხველოებში განყოფილების მიერ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთებით.

ბ. ისარგებლა თუ არა ამ გამოცემებით შკოლის შეგირდებმა და სამკითხველოებში სოფელურ წერა-კითხვის მკოდნეებმა;

გ. რომელ გამოცემას, თუ წიგნს უფრო ითხოვენ ისინი და

დ. რა გამოცემა უფრო ვრცელდება თითოეული გამკის რაიონში“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №15

### ფიქრის მორევში

„კანონიერი უკანონობა, უკანონო კანონიერება - რაც გენებოთ, ის უწოდეთ - ჩვენთვის ეს ხილი არ ახალია... შემოგვივივლა ერთმა მასწავლე-

ბელმა, სახალხო კითხვის გამართვის უფლება წაგვეერთვია. კვირა უქმედობით, სოფლის შკოლის დარბაზში, ან სადმე კერძო ბინაზე თავს მოიყრიდა სოფლის ხალხი, ორივე სქესის დიდ-პატარა, მოხუცი-ყრმა, ავიღებდით ერთ-ერთი ჩვენი მწერლის მოთხრობას, ლექსს და წაუკითხავდით, რა სულგანაბული, გულის ყურით გვისძენდა ხალხი, გესმოდა გულუბრყვილოთ ამოძახილი: -„შენი ჭირიმე ბიჭო!“, „უი, ღმერთო მოძკალი!“, „ვაი, შენს დედას!“, „შენ გენაცვალე!“, „ქრისტემ დაგწყევლოს“ და მისთანები. ხშირი იყო გულიანი სიცილი, ცრემლებიც.

წაგვეერთვია ამის უფლებაო... დირექტორია გვიკრძალავს ასეთი კითხვების გამართვას, კანონი კი არის იმისი, რომ ნებადართულია ასეთი კითხვები, მასწავლებელს, თუ კერძო პირსაც უფლება აქვს არა თუ მარტო ცენზორისაგან ნებადართული ნაწარმოები წაუკითხოს ხალხს სათანადო მთავრობის ნებართვით, არამედ საკუთარი ხელნაწერიც, თხზულებაც წარუღვინოს ამ მთავრობას და ამის წაკითხვის ნებაც აიღოს.

და საქმეც ისაა, რომ ეს ნებართვა აღარ გამოდის...

ხალხი რაც სიბნელეში იქნება ვითომ აჯობებს?

კანონიერი უკანონობაა და უკანონო კანონიერება...

ხოლო სხვა რაა კანონიერი...“

გაზეთი „იმერეთი“

1913, №15

### სამტრედიის ავ-კარგი

„რამდენადაც ვაჭრობით და ალებ-მიცემობით სხვა დაბებს ბევრათ წინ გაუსწრებს სამტრედია, იმდენადაც კულტურული გასართობებით და დაწესებულებებით უკან ჩამორჩება ბევრს. ნუთუ სადგურის ბაქანზე გამოსვლის მეტი მოთხოვნილება არა აქვს სამტრედიელს, რომ მხოლოდ ამ „გულვარდით“ კმაყოფილდება და არ ფიქრობს სხვა რაიმე კულტურულ

ვასარტობზე?! ვარდა რკინის ვზისა ა.წ. „როტონდისა» სამტრედიისაში არ მოიძებნება ისეთი ღარბაზი, რომელშიც შეიძლებოდეს წარმოდგენების და სალიტერატურო საღამოების მართვა, ლექციებისა და რეფერატების კითხვა.

თუ არ ვცდები, წარსულ ვაზაფხულზე წ. კ. საზოგადოების გამგეობამ თხოვნით მიმართა მკოსან აკაკის წაეკითხა ლექცია: „საქართველოს არქეოლოგიური ნაშთები». იმ მიზნით, რომ ნებადართვის უფლება გაადვილებულიყო, ქუთაისის გუბერნატორის მიერ ნებადართული კონსპექტიც თან გავაყოლეთ თხოვნას, მაგრამ ჟანდართ უფროსმა უკანვე დააბრუნა თხოვნა ასეთი ზედწარწერით: „გუბერნატორს ნება დაურთავს წაიკითხოს ლექცია სამტრედიისაში და არა „როტონდაშიო“.

გაზეთი „ერი“  
1913, №15

### *ქუთათურ ქალთა წრის საღამო*

„ამ თვის 21-ს ქუთაისის საკრებულო ღარბაზში გაიმართება ფრიად საგულისხმო საღამო, რომლის შემოსავალიც უნდა მოხმარდეს იმ პროფესიონალურ შკოლას, რომლის გახსნაც უკვე მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვს ქუთათურ ქალთა საზოგადოებას. ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, იმედია ყველა ადამიანი დაესწრება და გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ საქმის კეთილად დაბოლოებაში.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ როგორც ჩვენი დიდებული წარსული უპირველესათ ქართველი დედის სულის სიღიადემ შექმნა, ისევე მერმესიც მას ელის, მოელის მისი ძველებური სულიერი ძალის გამოღვიძებას.“

## წიგნების გამომცემელი ქუთათურ ამხანაგობის დღევანდელ კრების გამო

„ახლა კი, როცა წიგნების გამომცემლობის საქმე, მიუხედავად ახლანდელი სასტიკ საცენზურო პირობებისა ისე თვალსაჩინო ხდება და ღორძინდება, რომ ძვირფას, რვა მანეთით გამომცემულ ორი ათასამდე წინასწარ ხელის მომწერს პოულობს ხვენში და მაშასადამე მწიგნობრობის საიმედო პირი უჩანს ამ ხვენ კულტურულათ ღარიბ ქვეყანაშიც კი, - დღეს მეტათ სასიამოვნო და საიმდროვო საქმეთ უნდა მივუხინოთ „წიგ. გამ. ქუთ. ამხ.“ ძველ გამგეობას, რომ ეს საქმე გაუხსენებია და სურს თავის კაი ხნის მივიწყებული მოვალეობა საზოგადოებას მოაგონოს ამხანაგობის საქმეების ვაცნობით. განზრახვა კეთილშობილურია და მიზანი თანადროული.

მხოლოდ რამდენათ საჭირო და თანადროულია ხსენებულ ამხანაგობის განახლება დღეს, როცა უფრო სერიოზული სახალხო-კულტურულ საქმისათვის ფართო პროგრამის მქონე და უკვე მთელ საქართველოში დიდ თანაგრძობა მოპოვებული, დაწესებულებას - ქ. შ. წ. კითხვის გამ. საზოგადოების ერთგვარი გამდაბიურებას მოვესწარით, ესე იგი მისი განყოფილებები ხვენი ქვეყნის ყველა თვალსაჩინო ქალაქებში დავაარსეთ, - დღეს, ვამბობ მე, ძველი გამგეობის განზრახვას, რომ ახალი გამგეობა ამოვირჩიოთ ამ საქმის ვასაგძობათო, - უფრო სერიოზულად უნდა მოეპყრონ არა მარტო ამ და ამა წევრები, არამედ მთელი ქუთაისის საზოგადო საქმეებზე მზრუნველ-მოაზრენი.

საჭიროა მწიგნობრობის განვითარებით დაინტერესებულებმა ძველი გამგეობის მოწოდების გამო თავი მოვიყაროთ ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, ვიმსჯელოთ შეერთებული ძალებით გამოვარკვეოთ, რა უფრო უმჯობესია, ავირჩიოთ ახალი ძველებურათვე ქველმოქმედებაზე დამყარებული გამგეობა და განვაგძოთ (გამოცთილებით გეტყვი) მე-

ტათ რთული და საპასუხიმიგებლო საქმე, თუ ამ ძველი დღესდღეობით გამოურკვეველ საქმის ლიკვიდაცია მოვანდინოთ და გადავცეთ იგი ქ. შ. წ. კ. ქუთათურ განყოფილებას, რომლის სამოქმედო პროგრამის ერთი მუხლთაგანი წიგნების გამოცემებია და რომელიც ამ საქმეს თავისი ნორჩი ძალების დაგვარათ კიდევ ეწევა წიგნების გამოცემლობას და თვისი მოკლევადიან არსებობის ხანაში ოთხიოდე წიგნი უკვე გამოსცა. მაგრამ ეს მცირე რამ არის ქუთათურ განყოფილების იმ სამომავლო განზრახვასთან სტამბის გახსნათან შედარებით რაც მან უკვე გადაწყვიტა და საზოგადო კრებადაც ამას წინათ დაუდასტურა. მას სურს იმერეთში სწორეთ ამ გამოცემლობის საქმის მოწესრიგება და მით ამ ქართულ კულტურულ საქმიანობის გაღონიერება თავისი საკუთარი სტამბის შექმნა-მოწყობით. ამ რიგათ ეს საკითხი სერიოზული საქმიანობის ხასიათს ღებულობს და მის გადასაწყვეტათ სწორეთ დღეს მოუწოდებთ ჩვენის მხრივ მწიგნობრობით, ბეჭდვითი საქმით დაინტერესებულ პირთ დღევანდელ საერთო ბჭობაზე დასასწრებლათ და აქ ამ საკითხის გადასაწყვეტათ უადვილობის გამო მე აქ ამ აზრის განმარტება დასაბუთებას აღარ შეუდგები და მხოლოდ მიუთითებ დამსწრეთ ამ საყურადღებო საკითხზე. დე ყველამ შეიძუშაოს თავისებური აზრი წამოყენებულ საქმის შესახებ. ამ წერილის მიზანი არის ამ საქმის გამო მომეტებული წევრების და არა-წევრების თავის მოყრა, რათა ხუთიოდე მცირე კრების დამსწრეებმა მარტო არ გადაწყვიტონ ამ სერიოზული საქმის ბედ-იღბალი, როგორც ეს ხდება ხოლმე განმეორებულ კრებებზე“.

ისიდორე კვიციანიძე.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №17

„იმ დროს, როცა ქართული ენა ჩვენს შკოლებში განსაცთელშია და ყოველი მხრიდან იწერება ქართულს გაზეთებში ზოგიერთ მასწავლებელ-

თა უკუღმართობა ზე ფოთიცი უნდა მოვიხსენიოთ. აი, რას გვწერენ, საკრებულო ტაძრის ორ-კლასიანი სამრევლო შკოლის მასწავლებლნი ნინო პარკაიას და ნინო გოგავას ასულნი. გარუსების პოლიტიკის მოტრფიალენი მშვენიერთა ასრულებენ ქართველი ბავშვების გადაგვარებას, რუსული ენის სწავლებას იწყებენ პირველ განყოფილებაში პირველი სექტემბრიდან. ამ სამწუხარო მოვლენას ემატება მეორე უბედურებაც: ხსენებულ მასწავლებელთა წყალობით ამ შკოლიდან გაიდევნა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო და ნაცვლად შემოღებულ იქნა გრიგორი-ოლეხინის სახელმძღვანელო. ალბათ მადლობასა და ქებას გამოელოიან“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №17

### მოწერილი ამბავი. ს. ფარცხანაყანევი (ქვემო იმერეთი)

„ამ სოფელში სამი შკოლაა - ორი სამონასტრო და ერთი სამრევლო. სამივე შკოლა სავსეა მოწაფეებით. აღიძრა კითხვა სამრევლო შკოლისთვის შენობის გადიდებისა. ამ საგნის შესახებ რამდენჯერმე სასოფლო ყრილობაც მოიწვიეს. ხალხმა შენობის გადიდება გადაწყვიტა, შენობის გადიდება ზე კი რაც დაინარჯება იმის მეოთხედის გადახდას სასულიერო მთავრობა კისრულობს. საქმეების მოსაგვარებლათ სამი კაცით შემდგარი კომისია აირჩიეს“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №19

### დიდი ჯიხაიშის მასწავლებლები

„ჯიხაიშის „ადგილობრივი მასწავლებლები უეცრად ლალატობენ პედაგოგიურ ჭეშმარიტებას. ამ ლალატით უნდათ გრო ზღოვ-კრუპსკების გული მოიგონ და ხინ-ორდენებით დაჯილდოვდენ. ეს მოსწავლეები მო-

წინავე ელემენტებათა ითვლება სოფელში. ეს „მოწინავე ელემენტები“ გროზდოვის არა პედაგოგიურ მოთხოვნილებას დიდი სიამოვნებით მიეგებენ და სხვ...

ავერ ხუთი წელიწადია თვალყურს ვადევნებ დიდი-ჯიხაიშის მასწავლებლების მოქმედებას და, ამ ცნობის შემდეგ მსურს ორიოდ სიტყვით გაუზიარო მკითხველს ჩემი შთაბეჭდილებანი. სოფ. დიდი-ჯიხაიშის მასწავლებლებისადმი დიდი ბრალდებაა წამოყენებული. მათ ყოველივე მოვლენას თავისი მიზეზები აქვს და მკითხველმაც სწორეთ აქ უნდა ეძებოს მათი გასამართლებელი საბუთები. მე არ ვყვით იმ გარემოებას, რომ დიდი-ჯიხაიშის სასწავლებელში დღეს ქართული ენის სწავლება მართლა არაა სასურველ ნიადაგზე დაყენებული. (არ სწარმოებს თანახმად 1881 წლ. პლანისა) აქ ენის სწავლება გიორგობისთვის შუა რიცხვიდან დაიწყეს. უკიჟინებენ „გროზდოვის არა პედაგოგიურ მოთხოვნილებას დიდი სიამოვნებით შეეგებნო“. გროზდოვ-კრუპსკის მოთხოვნილებამ მასწავლებლები უკიდურეს მდგომარეობაში ჩაყარა. არ იცოდენ რა ექნათ.. ბევრი ეცადენ გაეგოთ თუ რა ხდებოდა ამ მოთხოვნილების შესახებ მანკობელ სასწავლებლებში, მაგრამ ამაოთ... არსაიდან არაფერი ესმოდათ... სდუმდა გროზდოვ-კრუპსკისაგან არე-მარე... ხმა არსაიდან იყო და საქმე კი ოფიციალურ ნასიათს ლებულობდა... უბძანებენ - დიდი-ჯიხაიშის სასწავლებელი ნორმალური სასწავლებელია და რომ უსათუოდ რუსულის სწავლება ენკენისთვის პირველი რიცხვიდან დაიწყეთო. როგორც ვიცით, აქაურმა მასწავლებელმა ამ მოთხოვნას ყური არ ათხოვეს, მაგრამ ბოლოს დარწმუნებულნი, რომ „მაშველი ხელის“ პოვნა დღევანდელ სახალხო შკოლების მასწავლებლებში არ შეიძლებოდა, გადაწყვიტეს ლექსიკური განყოფილების გავლა გიორგობისთვის შუა რიცხვიდან, სხვა რა უნდა ექნათ?!... მართალია მათს ამგვარ მოქმედებაში საღი პედაგოგიური პრინციპის ლალატი გამოსჭვივის, მაგრამ გეკითხებით: თქვენ რომ ყოვილიყავით ადვილზე როგორ მოიქცეოდით!!

იყო დრო, როდესაც დიდი-ჯიხაიშის მასწავლებლები მედვარ წინა-აღმდეგობას უწევდნენ ასეთ უკანონო მოთხოვნას, მაგრამ ბოლოს გამოვიდა ის, რომ ესენი ბრძოლის ველზე მარტო დარჩენ და სხვები უდარდელათ განაგრძობდა გრო ზღოვ-კრუპსკების მოთხოვნილებებისამებრ მოღვაწეობას... დიდი ჯიხაიშის მასწავლებლებს კი - ზოგს სვანეთში ვ ზავნიდენ და ზოგსაც გაკვეთილების მოსასძენათ, ვინაიდან იქაური მასწავლებელს კარგათ ქონოდა დაყენებული რუსული ენის სწავლება პირველ განყოფილებაში და ასეთი სახელ-განთქმულები განა ცოტაა?! არა, მათი სახელი „ლევიონია“. რაღა შორს წავიდე-თვით დიდ-ჯიხაიშელი მასწავლებლები, საერთო დადგენილების წინააღმდეგ, ორ მასწავლებელს: ერთ ქალს და მეორე ვაჟს რუსული ენის სწავლება ხუმათ მალულათ დაეწყათ (ესენი ახლა აქ აღარ ბძანდებიან, ეს იყო 1909 და 10 სამოსწავლო წელში). გადავხედოთ კიდევ დღევანდელ ხვენ მასწავლებლობას. რას წარმოადგენს ის?! მოიძებნება თუ არა მასში ნაპერწკალი ძთლიანობისა, ერთსულოვნებისა?! არა. დღეს ის იძენათ დაბეზებულ-დამონებულია სულით და გონებით, რომ არამც თუ დირექტორ-ინსპექტორის გადაუვა და იზამს რასმე სოფლის მამასახლისაც კი დაუხიოქებს წინ, თუ კი ამას მისთვის პირადი საჭიროება მოითხოვს. ასე თუ ისე, დღეს მასწავლებლების უდიდესი ნაწილი მოკლებულია არა თუ მებრძოლ სულს, არამედ იმ თავის დედის ინსტიტუსაც კი, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას აქვს ბუნებისგან მინიჭებული. ეკალ-მაყვალი კი ფესვებს იკეთებს და რა უნდა ქნას ერთმა და ორმა?!“

გაზეთი „იმერეთი“

1913, №19

### რედაქციისავან

„ღიან, დიდათ სასარგებლო და საჭირო საქმეთ მიგვაჩნია ისეთი წიგნსაცავის ან არქივის მოწყობა ქუთაისში, სადაც მსძენელთ შექდლებათ



მოიპოვონ საქართველოს შესახებ ძველი და ახალი ისტორიული თუ სხვა მასალები სხვადასხვა ენაზე. ასეთი დაწესებულება დიდათ შეუწყობს ხელს სამეცნიერო კვლევა-ძიებას. ხოლო ვინაიდან ქუთაისში უკვე დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც ვარდა ძუზუძის მოწყობის, მიზნათ აქვს ისეთი ბიბლიოთეკაც იქონიოს, სადაც მეცნიერს თუ სხვა მკვლევარს შეეძლოს იპოვოს საჭირო მასალა, ამიტომ სწორეთ კარგს იხეობენ ჩვენი ფიქრით, თუ ქართველ კათოლიკეთა ბიბლიოთეკას, მისი გამგენი ისტორია-ეთნოგრაფიის ქუთათურ საზოგადოებას გადასცემენ. ამ საზოგადოებას უკვე მოეპოვება დროებითი ბინა როგორც ძუზუძისთვის, ისე ბიბლიოთეკისათვისაც ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. გაცილებით ეძჯობინება, რომ ყოველი დასტამბული თუ ხელნაწერი მასალა სპეციალურათ ამისათვის დაარსებულ საზოგადოებაში შეგროვდეს, ვიდრე სხვაგან კიდევ კერძო პირთან, ყოველ ორგანიზაციის გარეშე. ვიმედოვნებთ, რომ განზრახული არქივის მოწყობის საქმეს მამა დამიანე სააკაშვილიც სწორედ ასე შეხედავს და ამ შემთხვევაში ქართველ საზოგადოებას ორათ არ გაყოფს“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №21

### მოძრავი სამკითხველოების საჭიროება

„გაზეთი ჟურნალი თუ წიგნი, ჩვენში არც ერთის გავრცელების საქმე კარგათ არ არის მოწყობილი, არის ისეთი სოფელი და დაბაც კი, სადაც საყურადღებო ქართულ წიგნსა და გაზეთს ვერ ნახავთ. გამოიცემა ისეთი წიგნი, გავა წლები და ის ცენტრალურ წიგნის მაღაზიის თაროებს არ მოსცილდება. ასეთივე მდგომარეობაშია თითქმის ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმეც. ამით აიხსნება ქართული ჟურნალი და გაზეთის მცირე გასავალი. ამ უკანასკნელ ხანებში სამკითხველოები გამრავლდა, მაგრამ

საქმეს ბევრათ ვერც ამან უშეკლა. ამ სამკითხველოში ხალხისათვის სასარგებლო გამოსადეგი წინათ ძვირათ მოიპოვება. დღევანდელი სამკითხველოები ნაწყვეტ-ნაწყვეტი თხზულებებით და „ნივასს“ პრემიებითაა გაფასებული, ამ დაწესებულების თაროებს იშვიათად ამშვენებს ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის და სხვათა ნაწერები.

სამკითხველოების უნაყოფობა ბევრი მათი გამგის უვიცობითაც აიხსნება, ზოგიერთ ქართულ სამკითხველოში ქართულ გაზეთს და წიგნს რუსული გაზეთი და წიგნი სჭარბობს.

ამგვარი სამკითხველოს ზოგი გამგე კიდევ ამაყობს თავისი ასეთი მოქმედებით და დარწმუნებულია – მოვალეობა პირნათლად შეასრულა. არ იწერენ „ნაკადულს“, „ჯეჯუილს“, „მოსავალს“ და სხვა ქართულ პერიოდულ გამოცემებს, წიგნებს და ამ დროს „ნივასს“, „ვოკრუგ სვეტას“, „ოვანესს“ და მისთანებს ეპოტინებიან. ეს არაა ნორმალური გარემოება და ყოველი გონიერი მოვალეა ამ სიმანინჯეს შეებრძოლოს.

ამ ძნლივ უკეთეს მდგომარეობაში არც წ. კ. საზოგადოების სამკითხველოებია. მაგალითისათვის ნაოლაღევოსა, მათხაჯისა და ხონის სამკითხველოს განხილვა საკმაო. ასეთ პირობებში სამკითხველოს დაარსებას არავითარი აზრი არ აქვს. სამკითხველოს უნაყოფობა წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებასაც კარგათ შეუგნია და მისმა გამგეობამ, როგორც ვიცით, სამკითხველოთა მეთვალყურის თანამდებობა დააწესა, რომ საზოგადოების მოღვაწეობამ მეტი ნაყოფი მოიტანოს. დიდი საქმე იქნება თუ საზოგადოება მოძრავი სამკითხველოების მოწყობის საქმეს ითავებს. ჩვენში ასეთი სამკითხველოების საჭიროება დიდია და დიდ სამსახურს გაუწევს, როგორც ქართულს მწერლობას, ისე ხალხსაც. ამ საქმის მოწყობა დიდ შრომასა და ფულს არ მოითხოვს“.

**ჩვენი სახალხო შკოლები**

„ჩვენი სახალხო შკოლები დღეს საპოლიტიკანო სარბიელად არის გამხდარი. იგი იმდენად სწავლა-განათლებას და ზნეობა გონების ამაღლებას არ ემსახურება, რამდენად ვ ზადაბნეულ რუსეთის ბიუროკრატის განაპირა ხალხების გარუსების პოლიტიკას. რომელიც გინდა ტიპის შკოლა აიღეთ, გინდა საერო, გინდა სასულიერო, გინდა დაბალი, გინდა მაღალი-ყველგან ამ გამარუსებელ პოლიტიკას შეხვდები, პოლიტიკას, რომელიც თავიდან ბოლომდე რყენის ახალგაზრდობას, იწვევს მათში უკიდურეს შოვინისტობას და აძლიერებს სხვადასხვა დღევანდელ წესწყობილების უმადურთა პარტიებს.

ქუთაისის დირექციათა შკოლებში, სადაც ნებადაურთველად და უფროსების დაუკითხავად, ბატონმა ქუთაისის შკოლების დირექტორმა უარყო 1881 წლის სასწავლო გეგმა, რომელიც 1905 წლიდან მოქმედებაში იყო და შემოიღო მთავრობის მიერ უარყოფილი გეგმა, რომლის მიზანი დედა-ენის დაწიხვლა და მუნჯური მეთოდით რუსულის სწავლებაა. შეგნებული და განათლებული მასწავლებლები ხელ-ხელა ადვილს ჰკარგავენ. ამ საქციელით დირექტორი ნიადავს უმზადებს თავის პროგრამას, რომ ბაიყუშ და უვიც მასწავლებლებს ხელში ადვილად დაუბრკოლებლად გაატაროს თავისი მისწრაფება.

გასაკვირი არ არის, რომ დღევანდელმა შევირდებმა სრულად შეიძულეს დღევანდელი შკოლა, რომელიც არ ელაპარაკება, არ ასწავლის მას გასაკებ ენაზე. ამ შემთხვევაში ყველანი მოვალე ვართ ვეცადოთ საკუთარი ეროვნული შკოლები გავაძლიეროთ, როგორიც არის მაგ. ქ.შ. წ. კ. გ. საზოგადოების შკოლები“.

### ქალთა წრეში

„წასულ პარასკევს ქალთა ჩვეულებრივ საღამო ზე წაკითხულ იქნა სა-  
ინტერესო რეფერატი ქართველ ქალთა საზოგადოებრივ მოღვაწეობის  
შესახებ. რეფერენტკას - რაისა ჩიხლაძის ასულს, ძალიან ფართეთ აელო  
თემა. იგი შეეხო მატრიარხატის ხანას, რომელიც სხვათა შორის რაღაც  
მოსაზრებით სუფთა გარყვნილების ხანად აღიარა, რადგან მაშინ ძრავალ  
ქმრიანობა არსებობდა. მატრიარქატი კი ქალთა ზნეობრივ ამაღლების ხა-  
ნათ და თან მის მონობათ. შემდეგ რეფერენტკამ განიხილა ქალთა უფლებ-  
რივი მდგომარეობა ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის მიხედვით და ის  
აზრი გამოსთქვა, რომ ქალი ჩვენშია ცუდ უფლებას მოკლებული მონა  
იყო. მიუხედავად ამისა, ქალები დიდ მონაწილეობას იღებდენ საზოგადო-  
ებრივ ცხოვრებაში.

მომხსენებელმა სამაგალითოდ მოიყვანა წმინდა ნინოს, თამარ მეფისა  
და ქეთევან წამებულის ცხოვრება-მოღვაწეობა. მსმენელებს მომხსენებელ-  
მა გააცნო მათი ბიოგრაფია და მოღვაწეობა. შემდეგ იგი შეეხო დღევან-  
დელ საზოგადო მოღვაწე ქალებს, ლიტერატორებს და მათი ბიოგრაფიი-  
სა და მოკლე მოღვაწეობის გაცნობით დაასაბუთა ის აზრი, რომ ქალიც  
ისეთივე ადამიანია, როგორც კაცი, მასავით შეუძლია საზოგადოებრივ  
ცხოვრებაში ჩარევა. ცხადია ასეთ ფართე თემაში მთლიანობის შეტანა  
ახალგაზრდა რეფერენტკისტვის ძნელი იქნებოდა, ამიტომ ჩვენ ამ ნაკლს  
მისი რეფერატისას გვერდს აუვლით.

კამათი გამოიწვია კრებაზე რეფერენტკას ერთმა დებულებამ, რომე-  
ლიც ქართველ საზოგადოებაში დიდად გავრცელებულია. სახელდობრ,  
თითქოს შოთა რუსთაველი ქალთა თანასწორობის მომხრე ყოფილიყო.  
ნამდვილათ მეცნიერული გამოკვლევა ვეფხისტყაოსნის ამტკიცებს, რომ  
ეს რაინდული პოემა, რაინდული თვალსაზრისით უყურებს ქალს. და თუ

აქებს, მხოლოდ დიდებულ და არა საზოგადოთ ქალს, როგორც ადამიანს. საზოგადოთ ამ პოემისთვის სრულიად უცნოა იდეა თანასწორობის, როგორც ქალთა, ისე ბატონისა და მონის შორის.

ამ თვალსაზრისმა ქალბატონ შარაშიძის ასულის შენიშვნები გამოიწვია, რაც სწორი იყო და სრულიად დაურღვეველი დარჩა მოწინააღმდეგეთაგან.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა თუ შენიშვნებისა, რეფერატი მეტად საინტერესო იყო. ხანდა, ავტორს ბევრი უშრომია და ბევრი მასალა მოუგროვებია. მომხსენებელი მოხსენებას კითხულობდა მშვენიერი ქართული ენით და მხოლოდ ცოტას ჩქარობდა“.

გაზეთი „შინაური საქმეები“  
1913, №27

### **იმერეთის სამრევლო შკოლების აგ-კარგი**

„ჩვენი სამრევლო შკოლების მასწავლებელთა მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. ყველგან ყოველ დაწესებულებაში განახლება-გაუმჯობესება ეტყობა; ჩვენი დაწესებულების წინმსვლელობას არა ეშველა რა. რაც ღროვადის, მით უფრო უკან მსვლელობის ვ ზას ადვია.

ჩვენი მასწავლებლობა განიცდის როგორც გონივრულს, ისეთ ნივთიერ გავჭირვებებს, რასაკვირველია, უმაღლესი სასულიეროების წყალობით და მათი მონა-მორჩილების, მათ მოსწონთ უვიცნი, რადგანაც ისინი მათ ყოფაქცევას ანგარიშს ვერ აძლევენ.

საკუთარისა ადამიანმა დაასრულოს მეორეკლასიანი სამრევლო სასწავლებელი და აქვს თუ არა მას ხალხისადმი სიყვარული, აქვს თუ არა მას ბრძოლის ხალისი სიბნელის წინააღმდეგ - სოფლად განათლების შეტანის, სულ ერთია; გააკრავენ შუბზე მოვერცხლილ კაკარდებს, ფოლთაქებს, ამოუდებენ იღლიაში ვოსტორგოვის მიერ შექმნილ სამოსწავლო გეგმას და

გამწესებენ სოფლის „გასანათლებლად“. მორჩა და მოისვენა!

გასაკვირია: როგორ უნდა შესძლოს ერთმა ადამიანმა სამ განყოფილებასთან მეცადინეობა, ისეც ვოსტორგოვის სამოსწავლო გეგმით; ამაზე არაფერს იტყვიან თავს, შკოლა მხოლოდ გაიხსნება და მასწავლებელი გამწესდება.

სამინისტრო უწყების მასწავლებელთა მდგომარეობა ბევრად განიზრუნავს ხევისაზე. მათ ყოველ ზაფხულობით აქვთ გამართული სამასწავლებლო კურსები, სადაც მცოდნენი მათ უხსნიან: პედაგოგიკას, დიდაქტიკას, მეთოდიკას და სხ. ნივთიერი მხრითაც ყველანი დაკმაყოფილებული არიან; თითოეულ მასწავლებელს თვეში ეძლევა არა ნაკლებ 30 მანეთი. ხვენ კი ამებს ყველას მოკლებული ვართ. ხვენ უმეტესობას არა ვაქ საშვალება, რომ ნახევრად მაინც დავიკმაყოფილოთ უსაჭიროესი მოთხოვნებიანი; ხვინი ჯამაგირები არ აღემატება (მხედველობაში მიიღეთ უმეტესობა) 19-20 მანეთს; არიან თუმნიანი მასწავლებლებიც; არიან ისეთებიც, რომლებიც 3-4 წელს მსახურებენ უსასყიდლოთ, იმ იმედით, რომ ახლო მომავალში მაინც დაუნიშვნენ ჯამაგირს, მაგრამ სასტიკად სტყუვდებიან; გამოჩნდება თუ არა ჯამაგირიანი ადგილი საბჭოს რომელიმე წევრს ეყოლება ნათესავი, ან კიდევ „უფრო“ ვინმე და დანარჩენ წევრთა დახმარებით გამწესებს, მაშინ, როდესაც უწყებაში მსახურებენ უჯამაგიროდ მასწავლებლები, სამართლიანობაც ესეთი უნდა?!

უფრო აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოში მსახურებენ ისეთი პირები, რომლებმაც ქვეყანა გააყრუეს, ვითომც დიდი საზოგადო მოღვაწენი და მოამაგენი იყვნენ, მაგრამ ვოსტორგოვის მიერ შექმნილ სამოსწავლო გეგმის წინააღმდეგ, რომელიც გარუსების პოლიტიკას აწარმოებს და უნდა მოგვისპოს სამშობლო ენა, ხმა ვერ აღიმაღლეს, ლაჩრულად დაემორჩილენ და მიიღენ.

ყველა ზემოხსენებული მიზეზები, რასაკვირველია, ხელს უწყობს ხვინი შკოლების შეფერხება-განადგურებას; საჭიროა, სერიოზულად საქ-

მის ხელის მოკიდება ვისაც გული შესტკივა, საჭიროა მოისპოს ყველა ის მიზეზები, რომლებმაც ესეთი არა სასურველი შედეგი წარმოშობა და მდგომარეობა განახლდება-გაუმჯობესდება“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №28

### ახალი ამბავი

„ქუთაისის ქალაქის პირველი დაწყებითი შკოლების გამგეთ დირექციისაგან ქალაქის მოუვიდათ, რომ სწავლის წესი 81 წლის სამოსწავლო პლანის მიხედვით აწარმოვონ. მაგრამ გაკვეთილების ნუსხაში, წლის მეორე ნახევარში, ქართული ენის გაკვეთილები მაინც კიდევ შემცირებულია ერთი-ორით და ამის ნაცვლად ერთი თუ ორი გაკვეთილი რუსული ენისაა მომატებული. ამ სახით პრინციპი 81 წ. სასწავლო პლანისა, თუმცა არა საესებით, აღდგენილია“.

გაზეთი „კოლხიდა“  
1913, №40

### ქალთა საზოგადოება

„ხვალ, კვირას ქუთაისის ქალთა საზოგადოება ქალაქის ბაღში (ბულვარში) მართავს დიდ სეირნობას ფართო და მრავალფეროვანი პროგრამით. ამ სეირნობას მეტად საინტერესო მიზანი გააჩნია: ქალთა საზოგადოებას სეირნობიდან შემოსული თანხით სურს დაარსოს ქუთაისში ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი.“

იმედია, ქუთაისის საზოგადოება თანავრძნობას გამოიჩენს ამ დიდ სეირნობაში მონაწილეობით და თავის წვლილს შეიტანს ქალთა საზოგადოებისათვის თავის მიზნის მისაღწევად.

დიდი ხანი არაა რაც ქუთაისში ქალთა საზოგადოება დაარსდა. მისი წესდება შარშან დამტკიცდა და საზოგადოებამ მუშაობა წარსული წლის სექტემბრიდან დაიწყო. მხოლოდ მთვრალმა, რაც მოქმედობს იგი და დღეს ამ საზოგადოების წევრებათ ითვლება 300-მდე ქალი და მათი რიცხვი მატულობს საოცარი სისწრაფით. დღემდე ქალთა საზოგადოების მოღვაწეობა იფარგლებოდა რეფერატების კითხვით. ქალები იკრიბებიან ყოველ პარასკევობით და ისმენენ რეფერატებს, რას შემდეგ იმართება კამათი, ქალები ეცნობიან უმთავრესათ საქართველოს წარსულს, ისტორიას, ქართულ ლიტერატურას და ქალთა საკითხს.

ლექტორებათ პირველათ მოწვეული იყვნენ მამაკაცები, ამ ბოლო თვეებში კი გამოჩნდნენ ქალები, რომლებიც ამზადებენ და კითხულობენ ფრიად საგულისხმო რეფერატებს. ამ საზოგადოებამ დააახლოვა, გააცნო და შეაერთა დაბნეულ-დაქსაქსული ქუთაისში მყოფი ქართველი ქალები, მისცა მათ საერთო მიზანი, გაუღვიძა სოლიდარობის აღლო და აღძრა მათში სწავლის, შეგნების, თვით მოქმედების და საზოგადო მოღვაწეობის სურვილი.

წესდების ძალით ქალთა საზოგადოების მიზანია, გაავრცელოს განათლება დასავლეთ საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ ქალთა შორის და საჭირო შემთხვევაში დაეხმაროს მათ ნივთიერათ.

საზოგადოების მოქმედება გამოინატება შემდეგით: ქალთა საზოგადოება აარსებს შკოლებს, კურსებს, წიგნსაცავეებს, სამკითხველოებს, კლუბებს, ბეჭდავს წიგნებს, მართავს ლექციებს და რეფერატებს.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების მიბაძვით უკვე დაარსდა და არსდება 12-მდე ქალთა საზოგადოება დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მაგალითად: ხონში, ფოთში, ბათომში, ოზურგეთში და სხვა.

ამგვარი საზოგადოების დაარსებისადმი ლტოლვა დღითი დღე მატულობს, რაც იმის ნიშანია რომ მზავსი საზოგადოებები მთელს საქართველოს მოეფინება, რომელიც დიდ როლს ითამაშებს ხალხის დულჭირ ცხოვ-



რებაში.

ქუთაისის ქალთა საზოგადოება დასავლეთ საქართველოში პირველი პიონერია ამ დიადი მოძრაობის. იგი ცდილობს დღეს სხვადასხვა პრაქტიკულ დარგებშიც გამოიჩინოს თავის უნარი და საქმიანობა.

ჩვენ, მამაკაცები ზნეობრივად ვალდებული ვართ ხელი შევეწყოთ და ყოველმხრივი დახმარება აღმოვუჩინოთ ამ ნორჩსა და თრიალ სიმპატიურ საზოგადოებას“.

სიმონ ქვარიანი.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №53

### რუსთაველი თუ რუსთველი?

„ჩვენს დღევანდელ მწერლობაში არეულათ იხმარება სახელოვანი მგოსნის შოთას სახელწოდება: რუსთაველი და რუსთველი.

„ვეფვის-ტყაოსანში“ ორჯერ არის ნახმარი ეს სახელწოდება - და ორივეჯერ „რუსთველი“-ს მართლწერით:

- 1) „მე, რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი“ (იხ. „წინასიტყვა“.)
- 2) „ტარიელ (უქია) - მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლმეუ შრობელსა“ (იხ. პოემის ბოლო).

ცნობილი ისტორიკოს-გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილიც სახელწოდებას „რუსთველს“ ხმარობს, და არა რუსთაველს: „რაჟამს მოიხრდა რუსთავი, მუნებური ეპისკოპოზი მოსცვალეს აქა და ზის აქამდი და არა შესცვალეს სახელი, არამეს ივივეს რუსთველს უწოდებენ“-ო (იხ. „ლეონტ. აღწ.“, გვ. 304) - მართალია, რუსთველი აქ ეპისკოპოზზე ნათქვამი, მაგრამ შოთას სახელწოდებაც იმავე წესითაა ნაწარმოები, ე.ი. დაბა „რუს-

თავი»-დან (რუსთველი - ე.ი. რუსთავის მცხოვრები, ან ეპისკოპოზზე - რუსთავის მართველი).

ჩვენ უფლება გვაქვს ძველი ღრრის მართლწერა დღევანდელი ღრრის მოთხოვნის მიხედვით შევსცვალოთ, მაგრამ მხოლოდ დღევანდელ ნაწერებში, ხოლო ძველი ღრრის ნაწერები აუცილებლათ ძველი ღრრის მართლწერით უნდა დარჩეს ისე როგორც მაგალიტად, „ვეფხისტყაოსანს“ ვხმარობთ ძველი მართლწერით, თუმცა დღეს „ვეფხისტყაოსანს“ ვხმარობთ და არა „ვეფხისტყაოსანს“.

ანტონ კათალიკოზი კი ხმარობს თავის „წყობილსიტყაობა“-ში მართლწერას რუსთაველს, მაგრამ ძველ მწიგნობართა შორის ანტონს, მიუხედავად მისი გრამატიკული ნაშრომისა, ყველაზე ნაკლებათ ესმოდა ქართული ენის თვისება და კანონიერობა.

მაშასადამე - შოთას სახელწოდება ისე უნდა ვიხმაროთ, როგორც თვით „ვეფხისტყაოსანშია“ მოხსენებული, ე.ი. რუსთველი“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №54

„ამ დღეებში ხოჯაფანიშვილის ქალთა პროგნოზისაში ქართული წერით გამოცდა უნდა ყოფილიყო, ერთ-ერთ მასწავლებელს ის აზრი გამოუთქვამს, რომ რა საჭიროა ამ საგნისთვის ბავშვები მოვაცდინოთ და გამოცდა აღარ მომხდარა“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №57

„გაზეთ „ზაკავკ.რეზ“-ის“ ხუთშაბათის ნუმერში დავით ეპისკოპოზის საინტერესო წერილია მოთავსებული ქართული ეკლესიისა და პირველ დაწყებით სკოლებში პირველ წელსვე რუსული ენის შემოღების შესახებ“.

„ქალთა გიმნაზიების მართველ ქალებს უფლება ეძლევათ შეიღობი უსასყიდლოთ აღზარდონ გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში და პროგიმნაზიებში, თუნდა ისინი ამ სასწავლებლებში არც ასწავლიდნენ“.

გაბრიელ ეპ. სახელობაზე ქუთაისის უფასო სამკითხველო სკოლის  
გამო

„მალე, ალბათ სულ მალე ქ. ქუთაისს დაამშვენებს გაბრიელ ეპ., -ამ ქართველების დიდებული და საამაყო ადამიანის სახელობაზე აშენებული მშვენიერი შენობა.“

რა ძვირფასი და დაუფასებელი იქნება ეს სამკითხველო ამ ლამაზ და მკვიდრ შენობაში მოთავსებული. გაბრიელ ეპ. ნათელი სურათით და, რა-საკვირველია, ყველა ჩვენი გამოჩენილი მგოსნების, მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, პედაგოგების და სხვათა სურათებით, ქართულ და სხვა ენებზე დაბეჭდილ ჟურნალ-გაზეთებით და წიგნებით ქართველი ხალხისათვის“.

ხონი

„გასულ 5 მაისს შკოლების საქმის მოსავარებლათ ხონის საზოგადოებამ თავი მოიყარა. ხონი სახელგანთქმულია სასწავლებლების სიმრავლით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვარდა ორისა, არც ერთი არაა მოთავსებული

შესაფერ შენობაში. ამის მიზეზი უმთავრესათ არა პირდაპირი მოქმედებაა საზოგადოებაში. როცა საზოგადოებას ვარკვეულათ შეავნებიებ, მართლად აუხსნი რაიმე საგანს, მაშინ იგი უფრო დაინტერესდება და არა მკითხე აპეკუნთა დაუხმარებლათ გაუძღვება შკოლასა და სხვა საქმესაც... როგორც მკითხველმა უწყის, ხონის სავაყო პროგიმნაზია მოთავსებულია სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში. ეს მოეწყო თვით სამოსწავლო მთავრობის თანხმობით. ხუთ წელს შემდეგ იგივე მთავრობა თხოულობს სამოქალაქო სასწავლებლისთვის საკუთარ ეზოსა და შენობას, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგიმნაზიის შენობაში გადასვლას იმუქრებოდა, ეს კი პროგიმნაზიას ზიანს მიაყენებდა; ამან საზოგადოება დიდათ შეაწუნა და იძულებული შეიქნა დაედგინა განაჩენი, რომლითაც შენობას ორივე სართული და ეზო თანასწორათ, ერთმანეთთან შეთანხმებით უნდა გაეყოთ ორივე სასწავლებელს სამოქალაქოსა და ორკლასიანს. ამით გათავდა, გვეგონა, საქმე. მარა საიდანღაც გამოიჩეკა საკითხი მარიამის სასწავლებლისთვის ახალი შენობის აგებისა, ამის ადგილს ორკლასიანი შკოლის გადმოტანისა და უკანასკნელის შენობა და ეზო კი სამოქალაქო სასწავლებელს უნდა დარჩენოდა. გასული წლის მარიამობისთვეში ეს კიდევ გამოუცხადეს საზოგადოებას და ერთმა აქაურმა აქიძმა დაარწმუნა საზოგადოება, რომ ეს საქმე უეჭველათ მოხერხდება და კარგიც იქნება, თუ საზოგადოება მხარს დაუჭერს მასო. მოახსენა ხალხს, რომ ამისთვის ფული არ გაიწერება, ვისაც რამდენი ესურვება, იმდენს გადაიხდისო და რაც დააკლდება, სადმე შემოწირულებას მოვბოჭავთო და რამეს მოვახერხებთო; ერთი სიტყვით - ხალხს არ შეგაწუნებთო და ასეთი განაჩენი დავადგინოთო. ხალხმა, მართლაც, ასეთ განაჩენზე მოაწერა ხელი. მაგრამ მარიამის სასწავლებლის გამგემ მოითხოვა შენობა, რომელიც დაჯდება არა ნაკლები 34 ათასი მანეთისა. ამან ჩააფიქრა საზოგადოების მეთაურები და იძულებული შეიქნ - ყველაფერი ვატეხილათ ეთქვათ საზოგადოებისთვის 5 მაისის ყრილობაზე და ურჩიეს ორკლასიანი სასწავლებლისთვის ახალი

შენობის აგება ახალს ეზოში. საქმის ასე არეგულარეობა საზოგადოება დიდათ გააბრაზა. ბევრს ეცადენ ბ. აქიმი და ბოქაული – ხალხი დაეყოლებიან და შესაფერისი განაჩენიც დაედგინათ, მაგრამ ხალხმა ერთ ხმათ უარი სთქვა. დღეს, როგორც ხედავთ, ამ სამი სასწავლებლის, მეტადრე ორკლასიანისა და სამოქალაქოს საქმე აწეწილ დაწეწილია... ამ საქმის ასე მიყრუება არ ვარგა. საჭიროა ღრმით გამოიჩვენეს ყველაფერი: – აიხინონ მიწა, იქონიონ მოლაპარაკება მთავრობასთან შკოლის შენობის შესახებ, თუ რამდენს შეეწევა ხაზინა, რამდენის გადახდა დასჭირდება ხალხს გარკვეულათ, სისწორით ამცნონ ყველაფერი ხალხს და დაარწმუნონ, რომ მისთვის უფრო აჯობებს საკუთარი სასწავლებელი თავისუფალ ადგილას ექმნეს. თვით შკოლის მასწავლებლებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ ამ საქმის მოგვარება ყველა არამკითხე აპეკუნთა დაუხმარებლათ“.

გაზეთი „შინაური საქმეები“  
1913, №64

### შინაური მტრები. ქართული ენის მასწავლებლები

„ჩვენ ვადმოგვცეს, რომ ხოჯეგვანიშვილის ქალის საქალაქო პროცინაზიში, როცა მთავრობის დეპუტატი დამამთავრებელი კურსის ეგ ზამენებს ნიშნავდა, სასწავლებლის უფროსს და ქართული ენის მასწავლებელ მღვდელს უთქვამს: „ქართული ენის ეგ ზამენი რა საჭიროა“. დეპუტატიც ადვილად დასთანხმებია.

მე რომ მკითხო ეგ ზამენები სულაც არ არის საჭირო, სულაც არ უნდა ხდებოდეს იქ, საცა წლის განმავლობაში სწავლა ნორმალურად სწარმოებს და მასწავლებელს საშუალება ეძლევა თითოეული მოსწავლის სიბეჯითე და ცოდნა წლის ბოლომდე გაიზომოს და დაათვასოს. განა ზემოთ მოხსენებულ შემთხვევაში სასწავლებლის გამგეს და მასწავლებლებს ეგ ზამენების უნაყოფობა ჰქონდათ მხედველობაში? სრულიადაც არა: ისინი

ცხადია, ქართულ ენას ისე უყურებენ, როგორც უუფლებოს, უძიშენელოს! ცხადია მათ არ ესმით როგორ ილახება ქართული ენა, ჩვენი ერის თავმოყვარეობა.

ბევრად უარეს მდგომარეობაშია ქართული ენის სწავლება წმინდა ნინოს სასწავლებელში. არ იქნა და არ ეღიროსა ამ სასწავლებელს რიგიანი ქართულის მასწავლებელი.

სამშობლო ენის ცოდნა, მისი სიყვარულის შესისხლხორცილება ერთი ორად საჭიროა ქალებისათვის, რომლებიც შეძრევ ქართველი ოჯახების ბურჯებთან, პაწია ქართველების პირველ აღმზრდელებად უნდა გადაიქცნენ“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №64

### მოკონება

„იმ დროს, როდესაც სოფლის პირველდაწყებით შკოლაში ვსწავლობდი, გამეფებული იყო ლევიტსკის მუნჯური მეთოდი. მოწათყეებს სასტიკათ გვექონდა აკრძალული ქართულ ენაზე დალაპარაკება. მასწავლებელს შეცდომით თუ არა, არ წამოსცდებოდა ქართულად ერთი სიტყვაც. „მარკაც“ კი შემოიღეს ერთჯერ. „მარკას“ ერთ გვერდზე ეწერა: «*Передай тому, кто будет говорить по-грузинскии*». რომელ მოწათყესაც „მარკა“ აღმოაჩნდებოდა, უსათუოდ დაისჯებოდა. ხშირათ რუსულ სიტყვებს სრულიად გაუგებრათ, უსულგულო მანქანასავით ვიძეორებდით; ანდა სიტყვას ვაძლევედით სრულიად სხვა მნიშვნელობას. აი, მაგალითად; გვასწავლიდენ: «*У меня есть сестра; у меня есть брат; у меня есть отець*». ამ სიტყვების მნიშვნელობა, რასაკვირველია, არ გვესმოდა. ცნობის მოყვარეობა კი ძლიერი გვექონდა; ბევრ ფიქრსა და საცდელს შეძრევ მხოლოდ ერთი ამ სიტყვებთან - *отець* - გავივე ჩემით, მაგრამ ვაი, მისთანა გაგებას: თურმე სასტიკათ ვსტყუვდებოდი: აი, როგორ მესმოდა

სიტყვა - *отецъ* - მე მყავს ესტატე. ეს ესტატე ფრიად გულკეთილი, პურ-მარლიანი და სტუმარ-მოყვარე კაცია. მასწავლებელი რომ გვაძეორებები-ებდა: *У меня* (ეს ორი სიტყვა, რასაკვირველია, არ მესმოდა) *есть отецъ* - მე დავრწმუნდი: სტუმარ-მოყვარე ბიძა-ჩემს, ესტატეს ჩვენი მასწავლებელი დაუპატიჟია, ჩვეულებრივად კარგი პატივი უცია, მასწავლებელს ეს განარება და ახლა მიტომ გვაძეორებებს: *У меня есть отецъ* - ვითომ-და ესტატეც კარგი კაცია, პურ-მარლი უყვარსო - ამნაირად გავიგეთ თუ რას ნიშნავდა: *есть отецъ*, რაც ძლიერ მენახისებოდა, მაგრამ ჩემი სინა-რული მალე დარდათ გადაძექცა. ერთჯერ ბიძა-ჩემს, ესტატეს, ვკითხე: „ბიძია, ჩვენი მასწავლებელი რამდენჯერ გყავდა დაპატიუებული, რომ კარგი პატივი გიცია, და ამიტომ სული შენს სახელს გვანსენებებს კლას-შითქო? - „არც ერთჯერ ბიძიაო» - მიპასუხა მან. მაშინ დავრწმუნდი, რომ სიტყვების მნიშვნელობა ვერ ვამიგია. ასე ვმანხინჯდებოდით მუნჯ ური მე-თოდით“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №65

### საიმედო ნიშანი

„მსურს, მკითხველო, შენი ყურადღება მივაქციო ქვემოთ დაბეჭდილ ანგარიშს. ეს ანგარიში ძლიერ საგულისხმოდ მიმაჩნია და აი რატომ. ამ სა-მი წლის წინათ მთელი ქუთაისიდან სულ რამდენიმე პირი ითვლებოდა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების წევრათ. დაარსდა თუ არა ქუთაისში ამ საზოგა-დოების განყოფილება, საქმე დღითიდღე წარმატებით წავიდა. პირველ წლებში 100 წევრი ჩაეწერა და დღეს 500 წევრი ითვლება; გაიმართა შარ-შან სეირნობა და წმინდა შემოსავალი ათას მანეთს აღემატა, გაიმართა წელს და წმინდა მოგება, როგორც ხედავთ ქვემოთ აღბეჭდილი ანგარი-შიდან, 1333 მანეთი მიემატა საზოგადოების თანხას.

აქ ერთი ძნრით საყურადღებო და თანაც სასიამოვნოა ის გარემოება,

რომ ქუთაისში, სადაც საზოგადოთ სიღარიბეა, საზოგადოება ასეთ ქველ-  
მოქმედებას იჩენს საზოგადო საქმეში. ამ ძნელით ქუთაისის მაგალითი თი-  
თით საჩვენებელია სხვისთვის.

აღბეჭდილი ანგარიში ამტკიცებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ამ ცო-  
ტა ხანში - სულ ორი წლის განმავლობაში - ნიადაგი მოიპოვა საქვეყნო  
საქმის იდეამ. თანაგრძნობა გამოიწვია საჭიროებამ და დღეს ყველა, მდი-  
დარი თუ ღარიბი, თავის თავს მოვალეთ სთვლის მონაწილეობა მიიღოს ამ  
დიდ საქმეში. წრეებანდელმა სეირნობამ აშარათ დაგვიმტკიცა, რომ წ.კ.ს.  
მიზანი ხალხმა შეიგნო, ვალათ დაიდვა ყველამ ამ საქმეს ხელი შეუწყოს,  
ასე რომ ამ მიზნით გამართული სეირნობა თითქმის ეროვნულ დღესასწაუ-  
ლათ გადაიქცა. ეს კი მეტათ საიმედო ნიშანია; ეს ამტკიცებს ხალხის გა-  
მოფხიზლებას, ეროვნული თვითცნობიერების განვითარებას და კულტუ-  
რული იდეას შეთვისებას.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ უწინ ჩვენგან ნათქვამი მწა-  
რე სიტყვები საზოგადოების გულცივობის შესახებ, დღეს უადგილოა და  
ასეთ მაგალითებს შემდეგ ამ სიტყვებს სიამოვნებით ვიბრუნებთ.

ნეტავი საზოგადოება იმდენათ გაუმჯობესდებოდეს და წინ წავიდო-  
დეს, რომ ყოველი საყვედური უწინ მისდამი მიმართული უკან წასაღებათ  
გავგვიხებოდეს.“

ტრიფონ ჯაფარიძე.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №67

### მოწერილი ამბავი

„ვანის საზოგადოებაში ათამდი სოფლის მასწავლებელი იქნება, სხვა  
ინტელიგენტებიც არიან, მაგრამ არავითარი საკულტურო დაწესებულება  
აქ არ არსებობს, გარდა ერთი სამკითხველოსი, არც წიგნები მოიპოვება და  
არც ჟურნალ-გაზეთები. შარშან ადგილობრივმა ახალგაზდობამ



ქ.შ.წ.კ.გ.ს. განყოფილების განსნა განიზრახა, შეავროვეს საწევრო ფული 100 მანეთამდე და ადგილობრივი აფთიაქის მართველს ნ. ლორთქიფანიძეს მიაბარეს; განზრახვა იყო, თფილისის მთავარ გამკეობისთვის მიემართათ ნებართვის ასაღებათ, მაგრამ დღემდე არაფერი ხანს“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №67

### ჩვენი ავ-კარგი

„ორი უმთავრესი მიზეზია ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში, რომელთა მეოხებითაც ქართველი სტუდენტობა განადგურებისა და განრწნის ვზას დაადგა:

პირველი - ნივთიერი ხელმოკლეობა, რის გამოც ასე შორს უმაღლესი სწავლის მიღება მეტათ საძნელო შეიქნა; მეორე ისა, რომ დღევანდელი საშვალო შკოლა ჯეროვნათ ვერ ამზადებს მოწაფეებს უმაღლესი შკოლისათვის, ეს მოუმზადებელი თაობა გრძნობს თავის უნუგეშო მღვომარეობას, ველარ ახერხებს წარსული უშინაარსო ცხოვრების შევსებას და განვლილი ნახტომების დაფარვას, რის გამოც თანდათან სასოწარკვეთილებას ეძლევა.

ჩვენს სტუდენტობას არ აქვს შეგნებული თავისი დიდი მოვალეობა. მათ მკათიოთ არ აქვთ წამროდგენილი სამშობლოს მღვომარეობა და ის დიადი ვალი, რაც თითოეულ მათგანს ადევს; აგრეთვე ვერა გრძნობენ დიად პასუხისგებას ერისა და ისტორიის წინაშე“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №67

### მკირე შენიშვნა

„დღეს ყველამ შეიგნო და ყველასთვის საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ შკოლა უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს და, ცხოვრების მიმდი-

ნარკობის მიხედვით, შკოლაში საგნების სწავლის საქმე თანდათან უძეგობესდებადეს. თითქმის მივარდნილ სოფლებშიც კი მიხვდენ, რომ მარტო ქართულ-რუსული წერა კითხვა არ კმარა ბავშვის გონების გასავითარებლათ და, მიუხედავად ათასგვარი გაჭირვებისა, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ არსებული ერთკლასიანი შკოლები ორკლასიანებათ გადააკეთონ, რადგან ასეთი სასწავლებლების პროგრამით ბავშვი, გარდა ქართულ-რუსული წერა-კითხვისა, მოკლე ცოდნას იძენს გეოგრაფიიდან, ისტორიიდან, ბუნებისმეტყველებიდან და მათემატიკიდან. ასეთ ცვლილებას ვნიშნავთ სოფლათ, მაგრამ, სამწუხაროთ, ასეთი წინსვლა არ ხერხდება. თვით ქუთაისის ერთერთს ძველის-ძველ შკოლაში მიუხედავად ექვსი წელიწადი შკოლაში ჯდომისა, ქუთაისის ქალთა უფასო სასწავლებელ დამთავრებული ქალი გულდაწყვეტილი შესცქერის გეოგრაფიულ რუკას და ამბობს: „ნეტავი გეოგრაფიის გამეგებოდეს რამე“. როგორც ეტყობა, ამ სასწავლებლის გამგე და მასწავლებლები იმას ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები შრომა გასწიონ ბავშვების განვითარებისთვის. ისეთს მხნესა და ძცოდნე გამგეს, რომელსაც ორ სართულიანი სახლის აშენება, ქალაქისა და ხაზინისაგან ოთხი ათასი მანეთის ყოველწლიური სუპსიდის მიღება, 20, 000 მანეთი ძირითადი თანხის მოგროვება არ გაუჭირდა, ნუ თუ ის გაუჭირდებოდა, ან სამოსწავლო უწყება უარს ეტყოდა, რომ ამ შკოლაში ორკლასიანი შკოლის პროგრამა შემოეღო? რა დააშავა აქ მოსწავლე ქალებმა, რომ მათ მეტის ცოდნის ღირსათ არ სთვლიან. თუ 48 წლის წინეთ შეიძუშავეს ამ შკოლისათვის განსაკუთრებითი, ერთობ ვიწრო პროგრამა, ეს იმით აიხსნება, რომ მაშინ არც საშვალეება ქონდა შკოლასა და არც ქალებისგან მოითხოვდენ მეტს ცოდნას, მაგრამ მის შემდეგ ხომ თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო და როგორც შკოლას მიეცა მეტი საშვალეება ქველმოქმედთა შემწეობით, ისე ცხოვრებაც ახლა მეტს ცოდნას მოითხოვს ქალებისგან, რა წრესაც უნდა ეკუთვნოდენ ისინი. იქნება, იმ აზრისა არიან, რომ ღარიბი ოჯახის შვილებისთვის არ არის მეტის ცოდნა საჭი-

რო?! თუ სიღარიბეა მიზეზი, მაშ რათ დევნიან შკოლიდან იმ ბავშვებს, ვისაც კალოშის ყიდვა უჭირს, ან შეცვეთილი კაბა და პალტო აცვია? აქაც უნდა ახსოვდეთ მათი სიღარიბე? მართალია, იქაური მასწავლებლები სრული უუფლებონი არიან გამგის წინაშე, მაგრამ ამ შემთხვევაში სიჩუმე მათ არ ეპატიებათ. და თუ გამგესა და მასწავლებლებს დანაშაული მიუძღვისთ ამ შკოლის მოწაფეების წინაშე, რთი იმდენი დანაშაული მიუძღვის ქუთაისის ინტელიგენციას, რადგან არა ერთხელ და ორჯერ იყო ამ შკოლის შესახებ გაზეთების მოწოდება, რომ ყურადღება მიექციათ; როცა სხვა შკოლების შესახებ მრისხანე წერილებს ათავსებენ, რა დააშავა ამ შკოლაში? თითქო იქ მოსწავლე ღარიბი ქალები ისეთივე ხალხის შვილები არ იყვნენ, როგორც სხვა შკოლების ბავშვები. საჭიროა, მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება. ექვს წელიწადს შკოლაში ჯდომას შემდეგ, მეტი ცოდნით აღჭურვილი უნდა გამოდიოდნენ იქიდან ქალები“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №67

### ტყიბული

„სოფლის საქმე სასურველათ ვერ მიდის. მცხოვრებლები ყოველივე ახალის ძნელათ შემთვისებელი არიან; სწავლა-განათლების მხრით დიდი ჩამორჩენა ეტყობათ. ვერავითარს კულტურულ დაწესებულებას აქ ვერ ნახავთ გარდა ერთი სამრევლო შკოლისა. სამკითხველოსი, საკვირაო შკოლისა, წვრილი კრედიტის ამხანაგობის გახსნა და იათფასიანი წარმოდგენების მართვა აქ აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს. ინტელიგენტთა რიცხვი საკმაოა: სადგურის მოსამსახურეები, ფოსტის უფროსი, ღვდელი, მასწავლებელი და რამდენიმე ვაჭარი. უნდა აღვნიშნო, რომ ამათი ნასაქმი არაფერი ჩანს. ერთი სამწუხარო ფაქტი უნდა აღვნიშნო ამ შეგნებული პირების დასახასიათებლად: 19 მაისს სახალხო შკოლების დირექტორის მოწერილობით აღვილობრივმა ბოქაულმა ხალხი შეყარა და გამოუცხადა:

მსურველი ხარტ თუ არა - აქ ორ კლასიანი სამინისტრო შკოლა გაიხსნასო. როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხი შეგნებულათ შეხვდა ამ წინადადებას და იკისრა ყოველივე შკოლისათვის მოსალოდნელი ხარჯის გამოღება და შენობის აგება. წინააღმდეგი გახდენ მხოლოდ მამა გრიგოლი, სამრევლო შკოლის მასწავლებელი ა. აბესაძე და მათგან ჩავიხსენებოთ ორიოდ პირი. ისინი უმტკიცებდნენ ხალხს სამრევლო შკოლების უპირატესობას, რასაკვირველია, თავისებურათ. როგორც მოსალოდნელი იყო, თანაგრძნობა ძლიერი ცოტა აღმოუჩნდათ, უმეტესობა სამინისტრო შკოლის მსურველი იყო და ოქმზედაც ხელი მოაწერეს. როგორც ვადმოძვეს, აქ უკვე შეძგარა სია იმ პირებისა, ვინც სურვილი განაცხადა ტყიბულის მოძავლო სამკითხველოს შესაფერი მატერიალოური დახმარება აღმოუჩინონ. საჭიროა ნებართვის აღება და ამის იმედი გვაქვს ქ.შ.წ.კ.გ.ს. ქუთ. განყოფილებიდან“.

დ. ნემსაძე.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №85

### დიდი საქმე

„აღრეც გვითქვამს და გავიმეორებთ: - ჩვენ რომ იმის ნახევარი მცოდნე მეურნე, მეოჯახე, განათლებული აგრონომები გვყავდეს, რაც თუნდა იურისტები გვყავს - ნახევარი ბევრი ვსთქვი - მეხუთედი ნაწილიც იურისტების რიცხვისა, რომ ცოდნით აღჭურვილი მიწის მუშები გვყავდეს - ბევრათ მეტი კეთილი დაგვეყრებოდა ყოველი მხრით.

ამის თქმა შეიძლებოდა, და მეტის სიმტკიცითაც, ჩვენს ქალებზეც. სამწუხაროთ, მარტო ფეხის ხმას აყოლა გამოდის, როცა გაურჩევლათ ბევრმა დენა იწყო რუსეთისაკენ უმაღლესი განათლების მისაღებათ, ნურვინ დაგვეწამებს, რომ ქალთა უმაღლესი განათლების წინააღმდეგი ვიყოთ; მაგრამ, დე, რჩეულნი წავიდენ ამ გზით, თუნდა გამოვიდენ ვეჩილები, აქი-

მები და სხვა მეცნიერნიც, ხოლო მეტმა ნაწილმა კი მეოჯახეობის, მეურ-  
ნეობის სხვადასხვა დარგის გონიერათ შესწავლას მოკიდოს ხელი - ეს  
უფრო ხეიწს დაგვაყრის და წელშიც ვაგვემართავს. თვარა ნემსში ძაფი  
ვერ ვაუყრია, სტაფილო ხახვისაგან... და სამოქალაქო უფლებასა და ქიმი-  
ურ ანალიზებზე დამიწყოს მასლაათი!?! როგორღაც თავს არ მოდის. ამ,  
მართლაც, დიდ საქმეს ყურადღება უნდა“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №89

### კავკასიის ქართველობა (შთაბეჭდილება)

„ბედმა სამი დღით კავკასიელ ქართველებ შორის მომაქცია. უნდა  
ვითხრათ მართალი აქაური ქართველობა კარგ შთაბეჭდილებას ახდენს  
მოსულზე. ყოველი მათგანი - ინტელიგენციაა იგი თუ უბრალო მუშა, მო-  
ხუცია თუ ახალგაზრდა, ქალი თუ ვაჟი - ყველა დიდ ყურადღებას აქცევს  
გონების ვარჯიშობის საქმეს მათი გულის-ყური კულტურული მოთხოვ-  
ნილების დაკმაყოფილებისკენ არის მიპყრობილი. ქართული შკოლის გამ-  
გე ბ. ვარლამ ბურჯანაძე რომელიც თავგამოდებულათა და გულწრფელათ  
ემსახურება ყოველ ქართულ საქმეს, მოწადინებულია, რაც შეიძლება გაუ-  
ადვილოს კავკასიელ ქართველ მშრომელ ხალხს ცნობა და შეგნება თავისი  
ვინაობის, სამშობლო ლიტერატურის, ხელოვნებისა და საზოგადოთ ქარ-  
თულ საზოგადოებრივ აზრთა მიმდინარეობისა. ამას წინათ მან წაიკითხა  
საჯარო ლექცია ჩვენი დიდებული მკვლევარ ილია ჭავჭავაძის პოეტური და  
საზოგადო მოღვაწეობის შესახებ - სწორეთ ილიას ძეგლის გახსნის  
დღეს. სამწუხაროთ ამ ლექციას ვერ დავესწარი და შემიძლია ვადმოქცეთ  
მხოლოდ ის სამწუხარო შემთხვევა და დაბრკოლება, რაც გადაელობა წინ  
ლექტორს ნებართვის აღების დროს.

ბ. ბურჯანაძის მოხსენების საჯარო ხასიათი ქონდა, - მაგრამ ამასთა-

ნავე მოწათვე ბავშვებისთვისაც კარგი დარბევებისა და მოქალაქეობრივი აზრების გამტკიცების ნიშანიც თან ახლდა. ამგვარ აღმზრდელობით მე-თოდს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დროში, როგორც მოსწავლე ყმაწვილთათვის, ისე მშრომელი ხალხისათვისაც. რასაკვირველია, ასეთი აზრების წინააღმდეგი ყოველთვის გამოიხდება, როგორც მთავრობის მონელოთა ისე „ჩვენ მოძმეთა“ შორისაც. ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა აქაური სახალხო შკოლების დირექტორმა, წინ აღუდგა ბ. ბურჯანაძის სურვილსა და მოქმედებას. მან აუკრძალა ლექციის წაკითხვა ქართულ ენაზე იმ საბუთით, რომ „მე ქართული არ ვიცია“. აუკრძალა მასწავლებელს, შკოლის მოთავესა და გამგეს, საჯარო ლექციის წაკითხვა ისეთ ადამიანის მოღვაწეობისა და მოქმედების შესახებ, რომლითაც ამაყობს სრულიად ქართველი ერი. ბ. ბურჯანაძე შეეკითხა დირექტორს – თუ როგორ მოხდა ეს, რომ შარშან დირექტორმა იცოდა ქართული და კიდევაც დართო ნება ამგვარ სალიტერატურო დღის გამართვას და ახლა-კი დავიწყებია.

ბ. ბურჯანაძემ, სხვათა შორის, ისიც კი გაახსენა დირექტორს; რომ ის წესდების ძალით, რომელიც დაამტკიცა კავკასიის მთავარმართებელმა, სახალხო შკოლის გამგეს ნება ეძლევა გამართოს სალიტერატურო საღამო ქართულ ენაზე და სხვ. აღნიშნა ის, რომ ილია ჭავჭავაძე, რომლის ლექსებზე და მოთხრობებზე აიზარდა და დღესაც იზრდება ახალგაზრდობა ქართულ გიმნაზიასა და შკოლაში ცენზურისაგან დართულია და ამ მკონის ლექსები მოთავსებულია მთავრობის მიერ ნება დართულ და მოწონებულ იაკობ გოგებაშვილს სახელმძღვანელო წიგნებში.

აი, ამდენი განსაცთელი და დამცირება უნდა აეტანა ამ ფრიად საგულისხმო და წამქეზებელი საქმის მეთაურს ვინმე პეტროვისა, ან პავლოვისაგან, რომელიც თავისი ყინიანობით ძირს უთხრის დღესდღეობით საუკეთესო დაწესებულებას, როგორიც არის ქართული სახალხო შკოლა, მშრომელი ხალხის პაწია ბავშვები იტანჯებიან“.

კოკი აბაშიძე

**ახალი ამბავი**

„ქალაქის თვითმართველობამ გუშინ ოლქის მზრუნველისაგან ქალაქის მიიღო ქალაქის შკოლის მასწავლებლების ანტონ ოდიშარბასა და ლადო ნაცვლიშვილის შესახებ, რომლით ბ-ნ ოდიშარბას ჩამოერთვა ზედამხედველობა, ხოლო ბ-ნი ნაცვლიშვილი სრულიად დაითხოვეს სამსახურიდან.“

როგორც საზოგადოებამ იცის, ეს მასწავლებლები პასუხის გებაში იყვენ მიცემული იმისთვის, რომ პირველმა დირექციის უკანონო მოთხოვნა რუსული ენის სწავლების შესახებ არ შეასრულა, ხოლო მეორემ პრესაში გამოამყვანა ის მოლაღატე მასწავლებლები, რომელთაც სიამოვნებით შეასრულეს დირექციის ასეთი უკანონო მოთხოვნა“.

**ოკრიბა. ს. რიონი**

„ხშირათ წაიკითხავთ გაზეთში, ხალხმა გამოიფხიზლა, ხსნის სასწავლებლებს, სამკითხველოებს, კოოპერატივებს. ყველგან თანდათან მატულობს კულტურული დაწესებულებანი, მაგრამ, საუბედუროთ, ეს არ იქმის ოკრიბის მხარეზე. აქეთ ხალხმა თუ რამე ორი კაპიკი იშოვა, სულ ღვინოში და დღეობებში ხარჯავს. აი, ს-რიონი: ორას კომლში ათი კაცი თუ მოიძებნება წერა კითხვის მცოდნე და ოცი ისეთი, რომ თავის სახელი და ვვარი მოაწეროს. არავინ იმაზე არ ზრუნავს, რომ ერთგანყოფილებიანი სასწავლებელი მაინც გაიხსნას. ერთ წელიწადზე მეტია ხალხმა დიდი უნარისა და ვაი-ვაგლახის მერე, განაჩენი დაადგინა რომ ათასხუთას მანათს გამოვიღებთ ორ-კლასიანი შკოლისათვის, თუ ამდენსავე მთავრობაც შეგ-

ვეწვევით, მაგრამ ამდენხანს პასუხი არაა.

აქ ბრალი სწავლა განათლების სათანადო მთავრობასაც ედება განა-  
ხენის პასუხის დაგვიანებისთვის. ამაზე უკეთ საქმე არც ს. რიონშია. აქ  
ხალხისაგან ცივი უარის მიღეს - შეძლება არ გვაქვსო. ან კი საიდან ექნე-  
ბათ შეძლება, როცა ქუთაისში რო წავლენ, დაბრუნებისას რაც ვაზე სა-  
მიკიტნობია ყველგან უნდა იყიდონ თითო ოროლი ბოთლი ღვინო...

სირცხვილია კი ამ ორი სოფლისთვის. ქუთაისიდან რვა-ცხრა ვერსით  
არაან და შორეული და ასე ახლოსაც ვერ მიუღწევია მათში შკოლის სა-  
ჭიროებას. რა უნდა მოვთხოვოთ ოკრიბის სხვა მიერუებულსა და მივარ-  
დნილ სოფლებს?!“

გაზეთი „იმერეთი“

1913, №96

### ქუთაისის სამასწავლებლო კურსების დადგენილების გამო

„ქუთაისში არსებულ მასწავლებელთა კურსებზე, როგორც მოსა-  
ლოდნელი იყო, უკვე დაუდგენიათ: „რუსული ენის გაკვეთილი უნდა იყოს  
რუსულისათვის», უცხო ენა შეისწავლება იმავე ენაზე და სხვა ენებს აქ  
ადგილი არ უნდა ქონდესო. თარგმნითი მეთოდს უნდა ვერდიდოთ, მას შე-  
იძლება მივმართოთ მხოლოდ „უკიდურესი საჭიროების დროს» და სხვა.  
მაგრამ უკვე 50-დი გაკვეთილი მისცეს და დღემდე, როგორც თვით კურ-  
სების ხელმძღვანელებისათვის, ისე ზოგიერთი მასწავლებელთათვისაც არ  
აღმოჩენილა „ისეთი უკიდურესი საჭიროება». თითქმის ყველა შემთხვევა-  
ში, მოვარჯიშემ რომელიმე რუსული სიტყვის აზრი ქართულად გადასცა  
ბაშვებს, დაგ მობილი იქნა და გაკვეთილის მთავარ ნაკლათ ჩაითვალა. ნეტა  
ერთი გაგვევო, აბა, რომელს უწოდებენ ესენი ამ „უკიდურეს შემთხვე-  
ვას». უხაროდესთ ბნელეთის მოციქულ ლევიტსკის მკვდრეთით აღდგენა!  
მივულოცოთ მის დიდებულ მეძვიდრეს, გრო ზდოვის ღირსეულ მოწათეს



ს. მჭედლოძეს სხვებთანაც ერთად სამარცხვინო გამარჯვება...

ბ-ნი გროზდოვი მარტო ამას არ დაჯერდა და ახლა, ზოგიერთ ერთგულ მასწავლებელთა საქციელით გათამამებულს, დაუსვამს საკითხი: „რა ღროიდან უნდა დავიწყოთ ადგილობრივ შკოლებში რუსული ენის სწავლება?“ უტიფარი ჟინიანობა ამაზე შორს წავა? ჯერ კიდევ ქუთაისის შკოლების მასწავლებელთა და სამოსწავლო მთავრობის შორის მოძხდარ ინციდენტისა და ამით გამოწვეული მეფის მოადგილისა და მზრუნველის განკარგულებებზე განგაში არ მიუყრებულა ჩვენს პრესაში და ბ-ნი გროზდოვი და მისი მონური სულით შეპყრობილი ამაღა ოთხკედელს შუა, დონკინოტური გმირობით არჩევენ და ხელმეორეთ, თავისებურად სჭრიან და აკანონებენ ათასჯელ და ათიათასჯელ განმეორებულს, მრავალგზით გადაღეჭილ-გადმოღეჭილსა და დაკანონებულს - 1881 წლის მრავალტანჯულ პლანს. არ ვიცი, რა ვუწოდო იმ მასწავლებელთა ჯგუფს, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინათ მოძხდარ ინციდენტს შემდეგ კვლავ ბედავს ამ საკითხის შეხებას! თუძკა საკმაოა გავიხსენოთ, რომ ამ კურსებს ხელმძღვანელობს ბ-ნი გროზდოვი, მაგრამ მიკვირს ჩვენი სახალხო სკოლების მესვეურთ რატომ დამართიათ ეს? ნუთუ იმდენათ სუსტნი, მოუშადებელნი და სულიერ-გონებრივათ დაცემული ყოფილან და მეტი მოქალაქეობრივი გამჭრიახობა არა ქონიათ, რომ თვით სახელმწიფო კანონის ძალით მაინც თავისი უფლება დაეცვათ? ბ-ნი გროზდოვიც ბედავს ჩვენი მასწავლებლების ასეთ უძწეობასა და სულით საპყრობას, და გააქვს ლელო. ის ლაპარაკობს: „ბატონებო, გაფრთხილებთ - 81 წლის პლანს არ შეეხოთ, - როგორც უმაღლესად დამტკიცებულ კანონს, როგორც სახელმწიფო კანონმდებლობის წმინდათა-წმინდას; ამის უფლება ჩვენ არა გვაქვს, ჩვენ მხოლოდ უნდა გავარჩიოთ და გადავწყვიტოთ წმინდა მეთოდური საკითხი, წმინდა პედაგოგიურის თვალსაზრისით. ე. ი. რა ღროიდან უნდა დავიწყოთ ქართულ შკოლებში რუსული ენის ლექსიკური გაკვეთილები. მასწავლებლებს, მათ უმრავლესობას მაშინ აზრათ არ მოუვიდა, რომ თვით ამ

კითხვის დასმა არის მკაცრი შეხება იმ დოგმისა, რომელიც თავის წინასიტიყვაობაში ხელუხლებელ წმინდათა წმინდათ აღიარა ბ-ნმა გრო ზდოვმა. დასასრულ ამბობს: „მე თვით ვიცი ისეთი მაგალითები, რომ მასწავლებლები შკოლაში სამშობლო ენას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. მე გუუბნებით, რომ ეს ფრიად მავნე და სამწუხარო მოვლენაა. მთავრობას ქართული ენის სწავლების წინააღმდეგ არაფერი არა აქვს, ასწავლეთ რამდენიც გინდათ, და როგორც გინდათო. ვერაფერ უპასუხა: „როდის ვასწავლოთ ბ-ნო ინსპექტორო, როდღესაც ქართული ენისათვის დათმობილს - კვირაში 6 გაკვეთილიდან კრუპსკ-გასპარიანცებმა თქვენ ბრწყინვალეობითურთ ახლათ შემუშავებულ გაკვეთილების ნუსხაში 2 რუსულს დაუმატეთ და ქართულისათვის ოთხი - ღია დაგვიტოვეთო?“ ეს იმას ნიშნავს, რომ მშიერი ადამიანი სანოვაგით სავსე სუფრას მოუსვა, ეძუდარო: „მიირთვი, რამე“-ო, და სანამ ჭამას დაიწყებდეს, ყველაფერი აალავო და შეინახო. განა დაცინვა მეტი შეიძლება? ინსპექტორი განავრძნობს უკითხეთ ბავშვებს და აკითხეთ ქართული საყმაწვილო ყურნალები და წიგნები, თუკი მოგეპოებათ ასეთებიო.

აი, სწორეთ აქ აღმოჩნდა ჩვენი სისუსტე და ასეთი ტკბილი სიტყვებით მოხიბლულთა და თავბრუდასხმულთ სახეზე სანეტარო ღიმილი შეუთამაშდათ. ზოგმა კიდევ გულუბრყვილოთ შესძახა: შეხედე, კაცო, რას ამბობს, ამას თურმე ცილსა სწამებენ, თურმე ცუდი კაცი არ ყოფილაო. და რაკ ქართული შკოლებისადმი ერთგულებაში უკვე ეჭვი არ ეპარებოდათ ღიმი უძრავლესობა დაეთანხმა, რომ ჩვენს შკოლებში რუსული ენის გაკვეთილები „სისტემატიურათ“ პირველი წლის მეორე ნახევრიდან უნდა იწყებოდესო. ხოლო პირველდაწყებითი საფეხური, ანუ ვარჯიშობა, ე. ი. ნიადაგის მომზადება ამ განყოფილებისათვის უნდა დაწყებულ იქნას უფრო ადრე.

ესეც ახალი პედაგოგიური მცნება, რომელსაც მისი აღმოჩენის საღიდებლათ „გრო ზდოვისას“ თუ ვუწოდებთ, თვარა... სხვა რა ვიცი? ასე, რომ

- ამათი ლოგიკით და ვითომ პედაგოგიური მოსაზრებით თუ ვიმსჯელებთ, ბავშვს შკოლაში შესვლის დღიდანვე უნდა დავაწყებოთ რუსული ენის შესწავლა, ვინაიდან ამ დღიდანვე ესმოდეს რუსული სიტყვები უფროსი განყოფილების შევირდებისაგან. და რაკი ხშირათ ხვენს შკოლებში ერთ მასწავლებელს ერთ განყოფილებასთან მეხუთე, ან მეათე განყოფილება ყავს, მასწავლებელი იძულებული ხდება გაუსწოროს და ერთის სიტყვით შეისწავლოს ახლად შემოსული ბაღლის ის სიტყვები, რომელიც მას უფროსი ამხანაგებისაგან ან უკანასკნელებთან მუსიკის დროს ისმის.

ამ დღეებში ამ კურსებზე შეეხებიან სახელმძღვანელოებს: „ისევ გოგება შეიღოს სახელმძღვანელოები დარჩენ ხვენს შკოლებში თუ სხვა შემოიღონ? ამის შესახებ აქ ბევრს არათერს ვიტყვი. მხოლოდ გავაფრთხილებ კი მასწავლებლებს, რომ ისინი ან კარიერით გატაცებულნი, ან ტკბილი სიტყვებით მონიბლულნი, ან „ტულა-ბოხიელით“ შეშინებულნი თავდავიწყებაში ნუ შევლენ. ახსოვდესთ, რომ ისინი გროზდოვის წინაშე მხოლოდ რამდენიმე წელიწადს ოთხკედელს შვა აგებენ პასუხს, მაგრამ მთავარი და საუკუნო პასუხიმკებელი არიან სინდისის, ერის, მომავალ თაობისა და სხვა კოლეგების წინაშე. ვურჩევ, ფრთხილათ იყონ, თვარა დღეს თუ ხვალ იმათ ეროვნულ სამსჯავროზე გაასამართლებენ და იმათ საქციელს შესაფერი მსჯავრი დაედება, რაც ათიათასჯერ უფრო სასტიკი და მწვავე იქნებოდა ათასი გროზდოვის რისხვისა. თავის მოღვაწეობას უხამსი საქციელით ხვენი ეროვნული შკოლის ისტორიაში შავი სტრიქონებით ნუ აღნიშნავენ, მხოლოდ იმისათვის, რომ ვიწრო შოვინისტურ პოლიტიკით დაბრმავებულთაგან მკირე აღერსი და დროებით თფილი ბინა მიიღონ. ქარის მოტანილს ქარივე წაიღებს და მაშინ ვერც გროზდოვ-კრუასკები უშველიან და გადაგვარების მოსურნენი ხვენგანაც წყევლა-კრულვით გარიყულნი დარჩებიან.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ იმ კურსებზე არის რამდენიმე პირი - ეროვნულ ინტერესებისთვის კეთილსინდისიერათ მებრძო-

ლი. მაგრამ ნათქვამია „ერთ მხედარს ბრძოლის ველზე მეომარი არ ეწოდებაო“ და ამდენ ფანატკ მოწინააღმდეგეთა შორის მათი პროტესტი რჩება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მიუხედავით ამისა, თუ რაიმე გადაწყდა ამ კურსებზე ჩვენდა სასარგებლოთ, ისევე ამ რამდენიმე პირის დაუცხრომელი სიმამაცით. ვუსურვებ მათ ენერჯიას და ძალე სხვებიც მიკედლებოდენ“.

ია ნარბიე.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №97

### აი, ისტორია

„ევროპის პატარა ერების საშეალო საუკუნოების ისტორიას რო თვალი გადავაგლოთ - ვნახავთ: გაბატონებულ ერებს დამონებული ერების ეროვნული სახის გასაქარწყლებათ უმთავრესი იერიში „დედა-ენაზე“ მიუტანიათ ხოლმე. და თუ ერს თავისი ენა დაუკარგავს სახეც გაქრობია, გადაგვარებულა. სწორეთ ამ პატარა ერების ბედ-იღბალს განიცდის დღეს ქართველი ერი.

ქართული ენა საქართველოს ყველა დაწესებულებიდან გაძევებულია; ვადაძთიელნი მას პირუტყვის ენას უწოდებენ, მხოლოდ სახალხო შკოლებში შერჩა მას ცოტა უფლება და უფლების წართმევა-დაკარგვასაც ვესწრებით დღეს.

მე მოვახსენებთ ქუთაისის სახალხო შკოლების დირექცია-ინსპექცია-სა და ადგილობრივი ქალაქის თვითმართველობას შორის ატეხილი ომის შესახებ, რომელიც უკანასკნელმა სასტიკათ წაავო. შედეგი კი - თვითმართველობის დამარცხებისა არის ის, რომ ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქის სახალხო და ქალაქის შკოლებში ქართულმა ენამ ადგილი დაკარგა.

საქმის ვითარება ასეთია:

ადგილობრივ თვითმართველობას ოთხი პირველდაწყებითი შკოლა აქვს გახსნილი. 1908 წელს თვითმართველობის საშკოლო კომისიამ შეიმუშავა გაკვეთილების ნუსხა, სადაც სავსებით დაცულია „81 წლის სასწავლო პლანი“ და წარუდგინა დასამტკიცებლათ სახალხო შკოლების ინსპექტორს, რომელმაც ეს ნუსხა დაამტკიცა. ამ წლიდან დღემდე შკოლებში „81 წლის პლანი“ სავსებით დაცული იყო და მას არც დირექტორი, არც მზრუნველი არასდროს არ შეცვლილიან.

დაინიშნა დირექტორი ბ. კრუპსკი და იგი თავისი ინსპექტორებით მედვრად შეებრძოლა „81 წლის პლანს“. პირველი იერიში დირექციამ ქალაქის შკოლებზე მიიტანა, ვინაიდან ეს შკოლები ითვლება ჰანგის მიძცემათ სოფლის შკოლებისათვის.

5 ნოემბერს ცნობილმა ინსპექტორმა გროზდოვმა დაურიგა ქალაქის შკოლის გამგეებს გაკვეთილების განაწილების ნუსხა, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგებოდა უმაღლესი მთავრობის მიერ გამოცემულსა და რამდენჯერმე დამტკიცებულს „81 წლის სასწავლო პლანს“ და მოითხოვა იმის მიხედვით თვითეულ შკოლაში საკუთარი ნუსხის შედგენა. გამგეებმა შეუძლებლათ სცნეს ინსპექტორის უსამართლო განკარგულების შესრულება, უყურადღებოთ დატოვეს იგი და წინანდელი წლების მზავსი ნუსხა წარუდგინეს დასამტკიცებლათ, რომელიც ინსპექტორმა მუქარით უკანვე დაუბრუნა და განმეორებით თავისი უკანონო მოთხოვნების შესრულება მოსთხოვა. გამგეებმა მიმართეს ქალაქის მოურავს ბ-ნ ი. მ. ჩიქოვანს ეშვამდვომლებია უმაღლესი მთავრობის წინაშე კანონიერების დაცვა და აღდგენა. ქალაქის მოურავმა მზრუნველს დეპეშით დირექციის უკანონო განკარგულების შეჩერება სთხოვა. სანამ ქალაქის საბჭო უმაღლეს მთავრობასთან საქმეს გამოარკვევდა და დირექციის უმართებულო განკარგულება მოიხსნებოდა, რამდენიმე გამგემ სამწუხაროთ, დაუფიქრებლათ, ნახქარევათ უკანონო მოთხოვნლება მიიღეს და ინსპექტორს წარუდგინეს ახალი ნუსხა, რომელიც ძირიანად არღვევს „81 წლის პლანს“. ამ გამგეთა

მოქმედება არ გაიზიარა ქალაქის პირველი შკოლის გამგემ ა. ოდიშარიამ, რომელსაც წილათ ხვდა გრო ზდოვის რისხვა. 16 იანვარს მან მიიღო შემდეგი მოწერილობა ბ-ნ გრო ზდოვისაგან: „ბ-ნ დირექტორის ბრძანებით, დათხოვნილი ხარტ გამგის ადგილიდან, ვინაიდან არ შეასრულეთ თქვენი მთავრობის კანონიერი მოთხოვნილება. გაფრთხილებთ თუ თქვენ მასწავლებლობის დროსაც გასწევთ ასეთ ურჩობას - გაძევებული იქნებით სამსახურიდან“. ბ-ნ ოდიშარიასთან ერთად სამსახურიდან დაითხოვეს მასწავლებელი ლადო ნაცვლიშვილი, რომელმაც პრესის საშუალებით გააკიცხა ზემოხსენებული გამგეების საქციელი.

დირექციის ასეთი თვითნებობა ქალაქს ყოველ უფლებას ართმევდა: მას უნდა შეენახა შკოლები, ეძლია ხარჯი, ყავდა სპეციალური საშკოლო კომისია და გარეგით არ უნდა გარეულოყო სწავლა-აღზრდის დაყენების საქმეში. ქალაქის საბჭომ იქონია ამაზე მსჯელობა და ვრცელი, დასაბუთებული მოხსენება გაუგზავნა გუბერნატორს მეფის მოადგილის წარსადგენათ დირექციის უკანონო მოქმედების შესახებ. ამავე დროს ქალაქის მოურავი გაემგზავრა თფილისს და ოლქის მზრუნველს აუხსნა ყოველივე დაწვრილებით და სთხოვა „მე წლის პლანის“ ხელშეუხებლობა და უბრალოდ დასჯილი მასწავლებლების უკანვე დაბრუნება. მზრუნველი სავსებით დაეთანხმა ქალაქის მოურავის განმარტებას და ამ უკანასკნელმა დეპეშით აცნობა თფილისიდან თვითმართელობას - გუბერნატორის კანცელარიიდან უკან წაეღოთ მეფის მოადგილისათვის გამზადებული მოხსენება; მზრუნველმა რომ ქალაქის მოურავს აღუთქვა დირექციის უკანონო მოქმედების მოხსნა, ამას ქვემო მოყვანილი გარემოებაც მოწმობს.

ს.-დ. ფრაქციამ სათათფიროში ამ საგანზე შეკითხვა შეიტანა. დეპუტატმა გელოვანმა ქალაქის მოურავს შეატყობია, რომ შეკითხვა იქნება განხილული ნ თებერვალსო. ამ დეპეშას ქალაქის მოურავმა შემდეგი პასუხი გასცა: „საჭიროა პრინციპიალურათ მხარი დაუჭიროთ შეკითხვას; ამავე დროს ვააცხადოთ, რომ სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, საქმის

ვითარების გაცნობის შემდეგ, პირადათ შეპირდა საქმის მშვიდობიანათ გათავებას და დათხოვნილი მასწავლებლების თავის ადგილზე დაბრუნებას“.

ზემოთქმულიდან ხანს, რომ მზრუნველმა დირექციის მოქმედება უკანონოთ იცნო; ამის შემდეგ შკოლებში მუშაობა ჩვეულებრივით წავიდა და მასწავლებლებიც ყველა თავის ადგილზე იყვნენ. გვეგონა, ომი თვითმართველობამ მოიგო და შკოლებს „81 წლის პლანი“ სამუდამოთ შერჩათ, მაგრამ წარმოიდგინეთ თვითმართველობის განცვიფრება, როდესაც დირექცია ხელახლათ (რამდენიმე თვეს შემდეგ) მოითხოვს ბ. ბ. ოდიშარიასა და ნაცვლიშვილის დათხოვას. ქალაქის მოურავმა მიმართა მზრუნველს და სთხოვა მის მიერ მოცემული სიტყვიერი პირობის შესრულება, მაგრამ მზრუნველმა დირექციის განკარგულება დაადასტურა და ოდიშარია და ნაცვლიშვილი სამსახურიდან დაითხოვეს.

წერილის დასაწყისში ვსთქვი, რომ თვითმართველობის დამარცხებას ქუთაისის გუბერნიის და ბათუმის ოლქის შკოლებიდან დედა-ენის გაძევება მოყვება-მეთქი, და აი, რატომ და როგორ.

ბ. ბ. ოდიშარია და ნაცვლიშვილი კანონიერათ მოიქცენ. ამათ სიმართლეს ქალაქის თვითმართველობა ხედავდა და კიდევაც ძხარი დაუჭირა; მაგრამ კრუპსკიმ და გროზდოვმა მაინც თავისი გაიტანეს: „81 წლის პლანის“ მომხრე პირნი დაძნაშავეთ იცნეს და სამსახურიდან დაითხოვეს.

და, ახლა მიბძანეთ, რომელი სოფლის მასწავლებელი, ვისი ბედით საკუთრათ ინსპექტორის ხელშია, გაბედავს ამის შემდეგ „81 წლის პლანის“ დაცვას და უკუღმართობის წინააღმდეგ ხმის ამოღებას? თუ თვითმართველობამ თავისი შკოლებისათვის ვერ შეინარჩუნა ეს პლანი და ამ პლანის მომხრე მასწავლებლები დაუთხოვეს სამსახურიდან, სოფლის შკოლებში რა იქნება? სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი ენკენისთვიდან ყველა ჩვენი შკოლებიდან თანდათან იქნება დედა-ენა გაძევებული.

თვითმართველობას ბრძოლა გემართებს!

არ გვინდა ვირწმუნოთ, რომ იგი შეურიგდება ამ უსამართლოთ დამარცხებას და ხელს მოაწერს, ფარხმაღს დაყრის მტკნარი უკანონობის წინაშე.

თვითმართელობამ უნდა გაითვალისწინოს ის, თუ რა მოყვება ამ მოვლენას. არ უნდა დაადასტუროს მან დედა-ენის ესოდენ სასტიკი ღვინის საქმე, უნდა იბრძოდეს!”

გაზეთი „იმერეთი“

1913, №97

### საკვირაო საუბარი

„ჩვენდა სამწუხაროთ, მასწავლებლებს ვერ დაუფუჯებრებთ, რადგანაც ისინი თავის ნებაზე არასოდეს არ ყოფილან და არც ახლა არიან; ნუ ეწყინებათ და სხვისი ბრძანების ყურმოჭრილი მონობის ფარგალს ვერ გასცილდებიან ვერც თეორიულ აზროვნებაში, ვერც პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

სწორეთ ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენში მოსწავლე ახალგაზრდობა თვითმკვლელობადმი მიყავს ავკარგის და მოუნელებელ სასწავლო მასალას, პროგრამის სივრცეს, შეუფერებელი მეთოდის ხმარებას, მასწავლებელთა თავისებურობის შეზღუდვას, რიგიანი მასწავლებლის ინიციატივის დახშვას, და სხვადასხვას, რის სავსებით აქ ჩამოთვლა სიტყვასაც გაგვივრძელებდა და მკითხველის ყურადღებასაც დაამძიმებდა.

ამ უკუღმართ ღროს, რაც უნდა დახელოვნებული მასწავლებელი იყოს, რაც უნდა პროგრესული თეორიების მიმდევარი პედაგოგიკაში, რაც უნდა ვუღიოთ იყოს მონდომებული ნაყოფი გამოაღებინოს თავის შრომას. ორი-სამი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ხელ-მხარი მოუტყდეს, რადგანაც ოფიციალური პროგრამის ულმობელი პოლიტიკა უთუოდ წინ გადაელობება და ეტყვის: შენს თავისებურებას იქ აღვილი არა აქვს, სადაც სახელობა



მწიფო საჭიროებისთვის მოქალაქე უნდა შეიქნას, ან ახლანდელი ტერმინით რომ ვსთქვათ, უნდა ჩამოყალიბდესო; შესაქმნითა და დავითნით პოლიტიკის რიგში არაფინ ვაჭირვებსო; ვნებავს ან ტიბიკონით სწირე, თუ არა-და ვზას დავილოცავთო.

იწყება ტრავიზში და რადვანაც ტრავედიას ვძირი სჭირდება და საგმირო რამ ხვენ საშეალო და მაღალ სასწავლებლებში აღზრდილო მასწავლებლებს არ მოეპოვებათ, ვერაფერს ვძირულს და გამართულს ვერ ახერხებენ. იმის მაგიერათ, რომ დაბრკოლება ვადალახონ, თვით ილახებიან და კომედის ვძირთა სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან.

რაც უნდა ასწავლონ და როგორც უნდა ასწავლონ, უთუოდ უნდა იზეპიროს, რა წიგნსაც ურჩევენ, უნდა წაიკითხოს, იკითხოს და იკითხოს, მხოლოდ წიგნს ვარეშე მისი ვონება ვერავითარს სავარჯიშოს ვერ პოულობს.

ასეთი სწავლება მოსწონს რუსეთს, საფრანგეთს, გერმანიასაც კი, - მთელს ევროპას, ინგლისს ვარდა, მოგვწონს ხვენც, რადვანაც რუსეთის მოსაწონის დაწუნება ხვენ მომაკვტავ ცოდვად ხავეთვლება.

ინგლისისა და ამერიკის ვონიერი სწავლების მეთოდები და სასწავლო მასალა ხვენთვის მიუწლომელია, რადვანაც რუსეთს იგი არ უკუთხებია და, მაშასადამე, ხვენთვის აკრძალული ხილია.

ახლანდელი სწავლების დამღუპველი შედეგები ხვენი ვაზეთის გამოსვლის პირველი დღიდან მოვახსენე მკითხველებს, მაგრამ აქაც საჭიროთ მიმახნია ორიოდე ნაწყვეტი მოვიყვანო ამ საგანზე დასტამბული ფელეტონიდან.

აი, რას ვამბობდი: უმთავრესი ნაკლი ასეთი აღზრდისა, რომელსაც კლასიკური აღზრდა ქვია, ისაა, რომ იგი დამყარებულია პსინოლოგიურს შეცთომაზე: ჭეშმარიტებით აღიარებენ, თითქო სახელმძღვანელოების დაზეპირება ვონებას ავითარებდეს.

ამ რწმენით შეპყრობილნი ასწავლიან და ასწავლიან, რაც შეიძლება,

მეტს, მეტსა და მეტს.

პირველ დასაწყისი შკოლიდან მაღალი დიპლომის მიღებამდე მოსწავლე ზეპირობს და ზეპირობს წიგნებს. ამის გამო მას არ უვითარდება არც მსჯელობა, არც ინიციატივის უნარი. მათი გონების ვარჯიში მხოლოდ იმით გამოინატება, რომ მოძღვარს უსმინოს და ზეპირათ უბასუხონ.

ბნელი აღზრდის შინაარსი მხოლოდ ისაა, რომ გრამატიკა და კონსპექტები დაიზეპიროს, კარგათ გაიმეოროს და ვისმე წაბადოს მხოლოდ სიტყვით. ამის გამო ყოველივე ამგვარათ შეთვისებული მხოლოდ რწმენის ნამოქმედარია, ნაყოფი ვითომდა მასწავლებლის შეუცთომლობისა, მიმართული იმისკენ, რომ მოსწავლე თაობამ თვითმოქმედება სრულიად დაკარგოს.

ფარაონების გენეალოგიას, ზოოლოგიის უსულგულო კლასიფიკაციას, ლათინურსა და უცხო ენების გრამატიკას და ცალცალა სიტყვებს უფრო გულმოდგინეთ ასწავლიან, ვიდრე რომელიმე სასარგებლო საგანს.

ავიწყდებათ, რა ხიფათი მოსდევს ასეთ სწავლას. ასეთი სწავლა მოწაფეს იმ პირობების მტრათა ხდის, რომელშიც მისი მშობელი საზოგადოება ცხოვრობს, ებრძვის პირობებს და გაუმჯობესობის უნარი და ძალა სრულიად არ მოეძევა.

ამიტომ უკანასკნელი ბურჟუა იმას ესწრაფება, რომ მისმა შვილმა დიპლომის შეძენით ისეთი თანამდებობა იშოვოს, რომ მისი ასრულებების სახელმწიფო ხაზინიდან ჯამაგირი და ჯილდო მიიღოს.

მის მაგიერათ, რომ შკოლამ ადამიანი ცხოვრებისათვის მოამზადოს, სასწავლებელი მას მხოლოდ სახელმწიფო თანამდებობის აღმასრულებლათ ხდის.

მართალია, მას აქ წარჩინება და დიდი ადგილის დაჭერა შეუძლია, მაგრამ ამისათვის არც ინიციატივა და არც თვითმოქმედება ეჭირვება: მისი წინწასვლის იარაღი მხოლოდ ქალაქის ფარატინი-დიპლომია.

დიპლომიანთა მასა გარს ახვევია ოფიციალურს კარიერებს: უმცირეს

თანამდებობა ზეც კი ათასობით თავს ატეხენ კანდიდატები; და ამავე დროს უბრალო ვაჭარს ახალშენში გასაგ ზავნი აგენტი ვერ უშოვია; მარტო სენის დეპარტამენტში 20,000 მასწავლებელი ქალ-ვაჟი, რომელთაც ხვანათესვა და ყოველგვარი ხელობა ჟამივით ეზარებთ, უსაქმოდ დაეხეტებიან, სახელმწიფოს შეჩერებიან და ცხოვრების სახსარს იმისგან მოელოიანო, - ამბობს ლებონი.

კლასიკურმა განათლებამ თუ საფრანგეთს ასეთი საქმე დამართა, ჩვენ რაღა სიკეთეს უნდა მოველოდეთ იმისაგან, გარდა ყოველგვარი თვით-მკვლელობისა და თავქარა ინტელიგენტი პროლეტარის გამრავლებისა“.

გაზეთი „შინაური საქმეები“  
1913, №104

### ზემო იმერეთი. სოფ. კაცხი

„1913 წელს კაცხის სასწავლებლის საპატო მზრუნველმა თავადმა დ. ლეონიძემ და მე შუამდგომლობა აღვძარიტ სამოსწავლო მთავრობის წინაშე, რომ ამ სოფელში გახსნილიყო ქალთა სასწავლებელი, ვინაიდან აქ არსებული შერეული ორკლასიანი შკოლა ორივე სქესის მოწათეებს ვერ იტევედა. სამოსწავლო მთავრობამ შეიწყალა ჩვენი თხოვნა და დაგვრტონება სასწავლებლის გახსნისა. სასწავლებლის შენობის ხარჯის ნაწილს იძლევა სამოსწავლო მთავრობა, ნაწილს კი ხაზინა. შკოლაში ადგილი ექნება როგორც საზოგადო საგანმანათლებლო საგნებს, ასევე ხელსაქმეს, რაც აუცილებელი საჭიროებაა ამ სოფელში“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №110

### აკადემიკოსის ნ. მარის წერილი

ბ-ნო რედაკტორო! ვთხოვთ ამ შემთხვევით წერილს ადგილი მისცეთ თქვენს პატეცემულ გაზეთში. გუშინ თფილისში „გვირგვინი“ ვიყიდე, სა-

დაც მოთავსებულია ბ-ნო მიხ. წერეთლის ნაწერი - „სიძერიული და ქართული“. ვისაც ამ საკითხის ისტორია ესურგება, დიდ კმაყოფილებას იგრძნობს, დიდის მადლობით წაიკითხავს ახალგაზდა მეცნიერის ხსენებულ ნაშრომს. ამ მოკლე წერილში ჩემი აზრის გადმოთქმა საჩქაროთ ახალ წაკითხულზე დიდ უსამართლობათ ჩამომერთმეოდა იმ გამოკვლევის მიმართ, რომელიც ჩანს ხანგრძლივი გულდადებული, თვით შეუპოვარი შრომის ნაყოფია. მხოლოდ ერთი შენიშვნის ზნეობრივი უფლება უნდა მომეცეს. რასაც ბ-ნი მ. წერეთელი ბრძანებს ქართულის სემურ ენებთან ნათესაობისას, ვითომ-და „ჩემი“ (განა მარტო „ჩემი“?) თეორიის დაგვართ, დაფუძნებულია იმაზე, რომ ამ ადვილათ ხალწასაკრავი თეორიის ბეჯითი ცნობა არ აქვს ბ-ნი აქვსონს. მას აქვს შეთვისებული მხოლოდ „ჩემი თეორიის საზოგადო დასკვნანი და არა ის ვა, ის მასალათ დალაგება, ის საენათმეცნიერო ფაქტების განკლასოვანება, რომელიც გვაიძულებს გამოქვეყნებულ დასკვნათ და მხოლოდ იმ დასკვნათ უსაშველოთ მიღებას. ბ-ნი აქვსონს არც ის შეუტყვია ჯერ, რომ „ჩემ“ თეორიაზე უკვე ახალი მეცნიერება არის აგებული იათეტური ენათ შედარებითი ბეერთ მეცნიერება; რომ ცოტადენი ცნობა ჰქონოდა ამ ახალი დარგის, დარწმუნებული ვარ, ბ-ნი მ. წერეთელი აგრეწოდებული „ჩემ“ თეორიაზე გამოსალაშქრებულათ კალამს სარჯელს არ მისცემდა. რომ ჩემ უკვე დაბეჭდილ შრომათ სრული ცნობა ჰქონოდა ბ-ნი მ. წერეთელს, არც იმას იტყოდა ხმა მადლა, რაც გულში მოსვლია სათქმელათ, ვითამ ლუსმურ წარწერათ ენები უფრო დამცველი უნდა იყონ იათეტურ ენათა ჯგუფის პირვანდელი სახის ან ხასიათის, მათში სემურობა უფრო ცხადი უნდა იყოს, ვიდრე ქართულში, რომელიც შედარებით შემდეგ მუშავდება ქრისტიანული მწერლობის განვითარებით. ასე ვფიქრობდი და ვსჯიდი მეც პირველში, შემდეგ გამოჩნდა, რომ აგეთი აზრი ყოვლათ უსაფუძვლო არის, სრულებით შეუწყნარებელია. პირიქით, ქართული ენა ლინგვისტური ბუნების მხრით უფრო პირვანდელი სახის მგონია, რადგან მისი მწერლობა ახალ აღორძინებულია შედარე-

ბით ლუსმურ წარწერებთან და არა იმ უკიდურესი ძველი ხანის განვითარების ქურაში ვატარებულა. აგეთი ვითარება ცნობილია სემურ ენებშიც, სადაც მწერლობის სარბილზე ყველაზე გვიან გამოსული სემური ენა, სახელდობრ არაბული, ლინგვისტური ხასიათის სიძველეს გასაოცარი სიმდიდრით გვიყენებს წინ და სემურ ენათაგან უძველესი მწერლობითი ენა, სახელდობ - ასირიული ყველაზე უფრო განახლებულ ნაბიჯს წარმოგვიდგენს ენის განვითარებისას და თან აგრეწოდებულ „გარყენისას“.

ნ. მარო

ქუთაისი. 13. 7. 25.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №113

ქართველთა ბედი ყველაზე უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია. ჩვენ იძულებული ვართ ჩვენში, ჩვენს ტერიტორიასა და მიწა-წყალზე მცხოვრებ ჩვენს მეზობელ სომხებსაც კი შურის თვალთ შევცქეროდეთ, რადგან საერთო ბედის ტრიალი იმათზე მეტი სიმწვავეთ ჩვენ გვაწუხებს და გვიწიწკნის გულს. მათი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი ისეთ დევნას არ განიცდიან, როგორსაც ჩვენი და მაშინ როცა „ქართულ“ შკოლაშიც კი პირველობა უცხო ენას ეკუთვნის, სომხების სემინარიებსა და პირველ-დაწყებით შკოლებში სომხურს, ნაციონალურ ენას ეკუთვნის უპირატესობა და ყველა საგნების სწავლაც ამ ენაზე სწარმოებს. თუ ავიღებთ ეკლესიას, აქ ხომ ლაპარაკიც მეტია, რადგან ქართულმა ეკლესიამ დიდი ხანია რაც პირველ-ყოფილი სახე დაკარგა და დევნა-წამების არენათ გადაიქცა, სომხები კი ამ მხრითაც ბედნიერები არიან. როცა ჩვენს სომხებს ვახსენებთ, არავინ იფიქროს მათდამი ქვენა გრძნობები გვალაპარაკებდეს რამეს, სრულიადაც არა, ჩვენ მხოლოდ ერთხელ კიდევ გვსურს აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ არამც თუ სხვა განაპირა კუთხეთა ცხოვრებას, ქართველთა სვე-ბედი საქართველოში მცხოვრებ, მეორე ერის

ბედსაც კი ბევრათ ხამორჩება და იმასთან შედარებით კი განყენებას წარ-  
მოადგენს დევნა-წამების ძხრით. ვინ არ უწყის, თუ რა მდგომარეობაშია  
ამჟამათ ჩვენი შკოლები, რომლებიც იანცებისა და სხვათა ხელში სულს  
ლაფავს და თავის ეროვნულ სახეს კარგავს. სოფლის პირველ-დაწყებით,  
ერთკლასიან შკოლებიდანაც კი, სადაც ან-ბანის მეტს არას ასწავლიან,  
ქართველ მასწავლებლებს სდევნიან და უცხო ტომთა წარმომადგენლებით  
ავსებენ მათ, რომელთაც ქართული ენისა სრულებით არა გაეგებათ რა.  
„გარუსების“ პოლიტიკა თავის მომაკვდინებელ ლტოლვას სრულიად აღარ  
ფარავს და ელვის სისწრაფით მოქმედებს. გადაძველებელი აგენტები დი-  
დის ერთგულებითა და ენერჯით მოღვაწეობენ და წარმატების მოლო-  
დინში მყოფნი „ბოძებული ინსტრუქციების“ ფარგალშიც ვეღარ თავსდე-  
ბიან და ბევრს თავისი მოღვაწეობა არა კომპეტენტურ სფეროშიაც კი გა-  
დააქვს. რამდენი რამის თქმა შეიძლებოდა კიდევ, მაგრამ ამჟამათ საუბარს  
აქ ვწყვეტთ და ვათავებთ ბ-ნი გერშელმანის სიტყვებით: - პირველდაწყე-  
ბითი შკოლა თავის დანიშნულებას ლალატობს, მას მიზნათ ქართველთა  
გარუსება დაუსახავს და ამას იგი ტლანქათა და უხეშათ ასრულებს. ახალ-  
გაზდობის აღმზდელიობითი მიმართულება პედაგოგიური პერსონალის შე-  
საფერ შემადგენლობას მოითხოვს და არა უხეშსა და ყოველგვარ აღ-  
მზდელიობითი ძალას მოკლებულ მასწავლებლებს, რომელთა ხელში ეს  
წმინდა საქმე იმყოფება“

გაზეთი „იმერეთი“

1913, №113

*ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის ფ. კ. ვერშელმანის აზრი, მის მიერ  
გამოთქმული 1908 წელს*

„კავკასიაში სახალხო შკოლათა საქმე ცუდათაა დაყენებული. პირველ  
- დაწყებითი სასწავლებელი თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერდს უხ-  
ვევს. მას ამ ძხრის გარუსება დაუსახავს მიზნათ და ამას იმდენათ ტლანქად

და უგვაროდ ასრულებს, რომ მცხოვრებლები შკოლათა წინააღმდეგ ამბნედრა. ხალხში სწავლის სურვილი და მოთხოვნილება დიდია, ბევრგან მოთხოვენ შკოლების დაარსებას, მცხოვრებლებს ეტყობა სწავლის საჭიროების შევნება და ძლიერი ლტოლვა სწავლისადმი. ადგილობრივი პირობები ქმნიან საჭიროებას სამეურნეო, სახელოვნო და ტექნიკურ სასწავლებლთა გახსნისას და აგრეთვე დაარსებას პირველდაწყებითი შკოლებისას.

სახალხო შკოლა კავკასიაში გარუსების იდეას ემსახურება, მთელი საშკოლო სისტემა საგნების რუსულათ სწავლაზე დამყარებული და ბუნებრივი, მშობლიური ენა იდევენება. არ უარყოფთ ადგილობრივი ხალხის მიერ რუსული ენის შესწავლის სარგებლობას, მით უმეტეს, რომ ხალხიც პატივსა სცემს მას, მაგრამ ვამტკიცებთ, რომ ხსენებული მოქმედებიდან დადებითს ნაყოფს ვერ მივიღებთ.

პირველ-დაწყებითი სწავლა ბუნებრივიც იქნება, რომ აუცილებლათ სამშობლო ენაზე სწარმოებდეს. სხვა, უცხო ენაზე სწავლება გაუგებარი იქნება, იგი შკოლასა და მეცნიერებისადმი ხალხისს ჩაკლავს ემაწვილებში, უკიდურესობამდე გაართულებს სწავლების საქმეს, ემაწვილს არათერს პრაქტიკულს არ მისცემს და ბოლოს მას არც რუსული ეცოდინება და არც ის, რასაც პირველდაწყებითი სასწავლებელი სასწავლებელი უნდა იძლეოდეს. ყოველ შემთხვევაში, რუსული ენის შესწავლა ხალხის უკმაყოფილების საბაბი არ უნდა იყოს. შკოლებიდან ქართული ენის განდევნა, ადგილობრივი ენისადმი აშკარა უპატივცემულება, მხოლოდ სიძულვილს იწვევს ყველაფერი რუსულიისადმი. ცხადია, რომ ორივე ენის შესწავლა, რუსულიისა, როგორც სახელმწიფო ენის. და ბუნებრივისა ხელხელჩაკიდებულნი უნდა მიდიოდეს, რომ ერთი მეორეს არ უშლიდეს. არსებული შკოლები უბრალო მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს და მოზარდობაში არათერ სასარგებლოს არ სთესავს, იგი პოლიტიკურ მიზანს ემსახურება მხოლოდ არა ისე, როგორც ეს საჭიროა, ამიტომ იგი ვერც მიზანს აღწევს. საქმის ამგვარათ დაყენებას მხოლოდ უნდობლობისა, გაბრაზების-

სა და ზიზლის გამოწვევა შეუძლია საზოგადოების ძნლით. ახალგაზდობის აღმზდელობითი მიმართულება პედაგოგიური პერსონალის შესაფერ მე-მადგენლობას მოითხოვს და არა ისეთ აღმზდელობით უნარ მოკლებულს, უხეშსა და ცრუ პატრიოტებს, რომელთა ხელში ახლა იმყოფება ეს წმინდა საქმე“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №129

„ს. თეთრაწყარო. ეს სოფელი იმყოფება სადგური ხარაგოულიდან ხრდილო-დასავლეთით, დაახლოებით, 4 ვერსის მანძილზე და წარმოადგენს მთა-გორიან ადგილს. ხარაგოულის ორკლასიანი სასწავლებელი, თუ მეტი არა, ვ 1/2ვერსზე მაინც იქნება დაშორებული ამ სოფელზე, და 8-9 წლის ბავშებს ძალზე უძნელდებათ სიარული იმ სოფორზე, მეტადრე ზამთარსა და გაზაფხულზე, როდესაც მდინარე „ოკიშურა“ დიდი მოდის და პატარა ყმაწვილებს შიშით ვერ ვზავნიან მარტო, ამნაირათ მოწათეები ხშირად აკლდებიან გაკვეთილებს. ასეც რომ არ იყოს, ხარაგოულის ორკლ. სასწავლებელს არც საშუალება აქვს ყველა მცხოვრების მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, და ბევრი ყმაწვილი წერა-კითხვის უცოდინარი რჩება...“

ამ უამათ ძალიან გაადვილებულია ხალხისათვის პირველ-დაწყებითი სასწავლებლების გახსნა; საკმარისია ხალხმა შეიძინოს ადგილი, დანარჩენი ხარჯების მესამედს, კისრულობს დირექცია - ხაზინა; ერთი სიტყვით, საქმე თაოსნობაა, თვარა თეთრაწყაროელები იოლათ დააწევდენ თავს ამ სირცხვილს - შკოლის უქონლობას“.



## ახალი ამბავი

„ამ დღეებში, ერთი თვის მოგზაურობას შემდეგ სვანეთიდან ჩამოვიდა ქ. ქუთაისს ქართული ენისა და მისი იდიომების მკვლევარი კონსტანტინე დოდაშვილი, საიმპერატორო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილებისგან გავზავნილი სვანეთსა და ოდიშში. მცირე ხნით დარჩება ქუთაისში, შემდეგ გაემგზავრება ოდიშს. თუ მოხერხდება, აპირობს ქუთაისში წაიკითხოს ორი ლექცია. პირველი: ახალი აზრი ქართული ენისა და მისი იდიომების წყობილების შესახებ და მეორე: მოგზაური და სასახლის მოშორებები ძველ საქართველოში, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, კითხვის დემონსტრაციით მეთოთხმეტე და მეხვინდმეტე საუკუნოებში“.

## ახალი ამბავი

„ბ. იასონ კერესელიძეს ერთი ქართველი მაჰმადიანი მოლისგან წერილი მიუღია. მოლა სთხოვს მას ქართული წიგნები და ქართული ჟურნალები მომწოდეთ, რომ ქართველ მაჰმადიანთა და სხვა ქართველთა შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენას ხელი შეუწყოს, მით უმეტეს, რომ ქართველი მაჰმადიანები ამას მოწადინებულნი არიან. ბ-ნი კერესელიძე მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას, ვისაც რამდენათ შეუძლია მიაწოდოს მას ქართული წიგნები ხსენებული მოლის გადასაცემათ. იმედია, ქართველი საზოგადოება სიამოვნებით შეეგებება ქართველი მაჰმადიანის მოლის თხოვნას“.

**ქვემო იმერეთი. ს. ბზვანი**

„ბევრი თქმულა და დაწერილა ს. ბზვანის ავ-კარგზე, მაგრამ საჭიროთ მიძახნია ამ წერილით დაუანახო საზოგადოებას ბზვანის ზოგიერთი მცხოვრების უშინაარსო ცხოვრება. აქაც, როგორც სხვაგან, გვაღვის გამო მცხოვრებთ შიმშილი მოეღის და ყველა საგონებელშია ჩავარდნილი. და ამ საერთო წუხილის დროს გამოსულა ზოგიერთი ვაჟბატონი და იმის ნაცვლათ, რომ ხალხთან ერთად გაიზიაროს მისი ჭირ-ვარაძი, ითქროს მოძავალი უბედურების (შიმშილის) თავიდან აცილებაზე, მიუყვია ხელი ღვინის სმისთვისა და ქუჩაში ყვირილის, ლანძღვა-გინების მეტს არას აკეთებს. კულტურულ დაწესებულებაზე ხომ მეტია ლაპარაკი. ამას წინათ წარმოადგენა გამართეს, შემოსული თანხა სამკითხველოს დაარსებისთვის უნდა გადაედგათ. როცა თული შემოვიდა და დაინახეს ამ ვაჟბატონებმა, სამკითხველო კი არა, ღმერთიც დააფიწყდათ - არათური შემოსულაო, გაიძახოდნენ. მათი უვიცობა იქამდისაც კი მივიდა, რომ როლების განაწილების დროს რჩევა დაიწყეს - მეს სტუდენტთან უნდა ვითამაშო, მე ვიმნაზიელთან, არ მინდა მუშა ბიჭიო და სხვა. აი ხვენი ინტელიგენცია და მათი გონებრივი ავლა-დიდება“.

**ახალი ამბავი**

„გაზეთ „რუსსკოე სლოვოს“ დეპეშით ატყობიებენ ქუთაისიდან, რომ ქართულ სამრევლო შკოლებს დაუგზავნეს ახალი სამოსწავლო პროგრამა, რომელიც ვარუსების ტენდენციითაა გამსჭვალული. ეს პროგრამა საქართველოში ყოფნის დროს ვოსტორგოვმა შეიმუშავა, რამდენიმე ხანს

გაუქმებული იყო, ხოლო ახლა ისევ აღადგინეს.

ქუთაისიდან ბაქოს მეორე გიმნაზიაში საღვთო სჯულის მასწავლებლათ გადაყვანილმა დეკ. ე. კანდელაკმა გიმნაზიაში შექმნილი ატმოსფეროს გამო სამსახურს თავი დაანება და მრევლის სურვილის გამო კულაშს წავიდა ღვდლათ“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №134

### სახნერე (შორაპნის მაზრა)

„იანვრამდი დამთავრებული იქნება სახნერის საქალებო შკოლის საკუთარი შენობა, რომელიც კნ. ელისაბედ წერეთლის მეუღლის თაოსნობით შენდება. საქმეს აფერხებს ხალხის მიერ შკოლის სასარგებლოთ გაწერილი გადასახადის უღელტეხილობა. ეს პირველი მაგალითი არაა სახნერის ვაჭართა გულგრილობისა საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი.

სახნერის ბიბლიოთეკა-სამკითხველო უძწეო მდგომარეობაშია. სამკითხველოსთვის „სახალხო გაზეთიც“ ვერ გამოუწერიათ უსახსრობისა გამო. მიწყნარდა ხმები სამკითხველოსთვის საკუთარი შენობის აგებისა“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №136

### მარტო ცრემლები?

„სოფლის მასწავლებლები! სანუგეშოს ვერც არას აქ იპოვით. რას ან რა სიკეთეს უნდა გამოელოდეთ იმათგან, ვინც 81 წლ. სასწავლო პლანის განიავებას ისე გულგრილათ შეხვდენ... და რის გულგრილათ! - ზოგი იქით უწყობენ ხელს თავის უკულმართობით.

ყველგან უიძედობა, ყველგან თავის უარყოფა! სოფლის მოძღვარიც,

სულიერი მამაც შეიცვალა, გადაკეთდა და დღეს ისიც გულგრილათ უყურებს ვოსტორგოვის სასწავლო პლანს, რომელიც მათი სამწყსოს გადავარების მომასწავებელია. სამრევლო შკოლებისთვის ახლად გამოსულ სასწავლო პლანს შეძლე, ღირს კი ამ სამრევლო შკოლების არსებობა?! სულიერი მამანი ამის თაობაზე არას ამბობენ“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №136

### ახალი ამბავი

„ხმებია მინისტრთა საბჭოს კრებაზე, მეფის მოადგილეს კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ საბჭო ოპოზიციაში ჩაუდგებაო. მინისტრთა საბჭოს ოპოზიცია – მეფის მოადგილის უქვეშევრდომილესი მოხსენების პასუხი იქნება. მეძარჯვენეებს შეკითხვა სურთ შეიტანონ სახელმწიფო სათათბიროში იმის შესახებ, რომ არ შეიძლება განაპირა ქვეყნებში მსახურობდეს მეფის მოადგილე, რომელიც თვით მოხსენებაში ცენტრალური პოლიტიკის წინააღმდეგ მიდისო“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №136

„ჭიათურაში შავი ქვის მრეწველთა საბჭომ გახსნა 1 სექტემბრიდან ორი ახალი ქალთა სასწავლებელი: ქალთა უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი და დაბალი პირველდაწყებითი ქალთა სასწავლებელი.“

ამ უკანასკნელ სასწავლებლის მასწავლებლათ ქუთაისის სახალხო სკოლათა დირექტორმა დაამტკიცა ვერა აბდუშელიშვილის ასული, მარია ვოლსკის ასული და რებეკა ვაშაძის ასული“.

### მოწერილი ამბავი

„წყალტუბო. ამ თუთხმეტი წლის წინათ სოფელ წყალტუბოში არსებობდა წიგნსაცავ-სამკითხველო; მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო და ხალხს აზრათაც არ მოსვლია, რომ ეს დიადი საქმე განეხორციელებია, დღეს კი ვინაიდან ცხოვრება ვართუღდა, ხალხმა საჭიროთ სცნო ამ საქმისთვის ყურადღება მიექცია, მით უმეტეს, რომ აბანოს ვამო სოფელში ხალხი ბლომით მოდის; ამრიგათ შესდგა ოცდაათი შეგნებული პირი, ბლალოხინის ფანცხავას მეთაურობით, რომლებთაც იკისრეს ყოფილი სამკითხველოს განახლება.

ბლალოხინი ი. ფანცხავა ყოველგვარ კულტურულ საქმეს თანავგრძნობით ეკიდება, - რისთვისაც დიდ მადლობის ღირსია!

ვუსურვოთ, რომ სამკითხველოს წინანდელი ბედი ასცილებოდეს და უკეთ წასულიყოს მისი საქმე“.

### სამრევლო შკოლები

„პირველ დაწყებითი შკოლების საქმე რომ არა სასურველად არის დაყენებული ჩვენში, ეს ყველასთვის ცხადია. მარტო მასწავლებლების ეკონომიურ მხარეს რომ ყურადღება მივაქციოთ, ესეც საკმარისია იმის წარმოსადგენათ, თუ რის ვაკეთება შეუძლია მასწავლებლებს იმ პირობებში, რა პირობებშიც ისინი დღეს არიან. ნივთიერათ არა უზრუნველყოფილმა მასწავლებელმა რომ თავისი მოვალეობა პირნათლად ვერ შეასრულოს, ეს ვასაკვირალიც არ არის და მაშასადამე ასეთ პირობებში მყოფს ვერც მოვთხოვთ შეუძლებელს. სამი თუძანი თვეში ისე ცოტაა მასწავლებლისთვის, რომ მათი ყოველგვარ მოვალეობის დაკმაყოფილება შეუძლებელია და

ამიტომ მან ცხოვრების გასაადვილებლათ სხვა საშვებებსაც უნდა მიმართოს. რაც მას პირდაპირ დანიშნულებას აშორებს. ამ კატეგორიაში მყოფი მასწავლებლები, ასე თუ ისე, კიდევ ათრევენ თავის ცხოვრებას, მაგრამ ახლა სხვებს გადავხედოთ.

ჩვენში პირველ-დაწყებითი შკოლა სამი ტიპისაა: სამრევლო, სამინისტრო და საზოგადოებათა ანუ დაწესებულებების. ყველაზე უფრო პრიმიტიულათ სამრევლო შკოლების საქმეა დაყენებული. ამ უკანასკნელის სხვა ტიპის შკოლებთან შედარებაც კი არ შეიძლება. მე ისევ ნივთიერ მხარეს მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება. სამრევლო შკოლის მასწავლებლათ 20-30 მანეთამდე ეძლევათ ჯამაგირი, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, გასაოცარი ის არის, რომ ბევრ მათგანს სრულებით უჯამაგიროთ ამსახურებენ და ასე გასინჯეთ ზოგი 5-6 წელი მსახურებს და ჯამაგირს კი აქამდე ვერ ღირსება. აქ უკვე აღარაა გარჩევა: თუ მოხერხებული პირია და რამეთი მეთვალყურეებს ასიაძოვნა, ჯამაგირი მზათაა პირველ დღესვე და თუ არა, მთელი სიცოცხლე რომ შეალიოს მასწავლებელმა სამსახურს, ჯამაგირი არ ეღირსება, ასეთ უსამართლობას მხოლოდ ჩვენში თუ ექნება ადგილი, სადაც შკოლის მართველებათ ისეთი პირებია, რომელნიც შკოლის საქმეს აღმაცერად უყურებენ და რომელთაც თავის დანიშნულების დიადი მოვალეობა კარგათ ვერ შეუგნიათ. მასწავლებლების უკიდურეს მდგომარეობას ამ ბოლო ხანებში ხალხმაც მიაქცია ყურადღება და სხვა რამ ვერა მოახერხნა რა, თავი მიახება სამრევლო შკოლებს და სამინისტრო შკოლებს უწყო შენება. ასეთი მაგალითები ცოტა არ არის და თუ ასე გაეძელდა სამრევლო შკოლების საქმე, ვნახოთ, ბოლოს ვინ დარჩება უჯამაგიროთ, მასწავლებლები თუ მართველები?“

**ახალი ამბავი**

„ხონიდან იუწყებიან, რომ 13 წელიწადია, რაც ხალხი თავის თულით სახელოსნო სასწავლებელს ინახავს, სადაც მხოლოდ ქართველები სწავლობენ და მოწაფეებს ქართულ ანბანსაც არ ასწავლიანო“.

**ახალი ამბავი**

„პირველი რაიონის სახალხო შკოლათა ინსპექტორს ბ-ნ გროზდოვს სოფლის შკოლების მასწავლებლებისთვის მიუწერია, რომ რუსული ენის შემდეგი სახელმძღვანელოები შემოიღონ: პირველი ნაწილი - გოგებაშვილისა, მეორე ნაწილი - გრიგორიევისა და ოლენინის და შემდეგ ზედგინძისა და ჯაფარიძის სახელმძღვანელო. ამგვართა გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილს, რომელიც ახლა შეასწორა, დაბეჭდა და მე-16 გამოცემა წ.კ. საზოგადოებაში, ქუთაისის დირექციაში ადგილი არ ექნება. ქალაქის შკოლებში კი მასწავლებლები გოგებაშვილის წიგნებს ხმარობენ“.

„როგორც ვადმოგვცეს, ლანიონის ორკლასიანი სამინისტრო შკოლის გამგეს ბ-ნ ბალაგაძეს ადგილობრივი ეკლესიისთვის ძვალობელთა რუსული გუნდი მოუწყვია და „ღოსპოდი პამილუითი“ უმასპინძლდება სალოცავათ მოსულ რუსულის უცოდინარ ხალხს. ნეტა რამ აიძულა ბ-ნი ბალაგაძე, რომ თავის თავსა და ბავშვებსაც ასე აწვალავს და აჯახებებს. ნუთუ არც

ადგილობრივმა ღვდელმა და არც ვინმე მრევლთაგანმა არ შენიშნა და არ დაუშალა ასეთი მატრახა ზობა?!“

გაზეთი „იმერეთი“

1913, №140

„წელს წყალ-გალმა ნაწილში ქალაქის მესამე პირველდაწყებით სასწავლებელს აუარებელი ბავშვები მოაწყდა: მთხოვნელთა რიცხვი 130-მდე ავიდა, აქედან მხოლოდ ნახევარი დააკმაყოფილეს. საჭიროა, წყალ-გალმა ნაწილში გაიხსნას მეორე პირველი დაწყებითი სასწავლებელი ორპირის ქუჩის ბოლოს, საჭიროა, არსებულ შკოლებში მეოთხე განყოფილებანიც გაიხსნას, რომ შემდეგ კურს დასრულებული ბავშვები ადვილათ შევიდნენ სამოქალაქო სასწავლებლის მესამე კლასში, რომელიც მომავალი წლიდან ამ სასწავლებლების ტიპების შეცვლისა გაძო, პირველ კლასათ დარჩება და სამი განყოფილების დასრულების შემდეგ ბავშვს მთელი წელიწადი დასჭირდება მზადება, რაც მცხოვრებლებისთვის უხერხულია.

ალაგირში, სადაც დიდძალი ქართველობა სცხოვრობს, მთავრობას ნება დაურთავს შკოლაში მასწავლებლათ ქართველი დაინიშნოს, თუ ვინმე გამოხნდება მსურველი და შესაფერი ამ თანამდებობისათვის, ჯამაგირი ხაზინიდან მიეცემა. ვისაც სურს ამ ადგილის მიღება უნდა მიმართოს თხოვნით და თავისი საბუთებით ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის ინსპექტორს ტ. ჯაფარიძეს. მთხოვნელს საშუალო განათლება უნდა ქონდეს მიღებული და ვალობა უნდა იცოდეს“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №140

### ჩვენი შკოლები

„ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას და სახალხო შკოლების დირექციას შორის თითქმის ერთი წლის წინათ ატეხილი ომი უკვე დასრულ-



და. დამარცხდა დირექცია; ბ.ბ. კრუასკიმ და გრო ზდოვმა მიზანს ვერ მი-  
აღწიეს, მათ ვერ განახორციელეს ის სამარცხენო პოლიტიკა, რომლის  
ქსელში გაბმულია ჩვენი სახალხო მასწავლებლების უმეტესი ნაწილი.

გაიმარჯვა თვითმართველობამ: ოლქის უფროსმა კანონიერათ იცნო  
ბ.ბ. ოდიშარას და ნაცვლიშვილის მიერ „81 წლის პლანის“ დაცვა და დი-  
რექციის უკანონო მოწერილობის შეუსრულებლობა.

დღეს დირექტორი კრუასკის მოწერილობა, ერთხელ უკვე დადასტუ-  
რებული მზრუნველის მიერ, გაუქმდა და უკანონოთ დასჯილ მასწავლებ-  
ლებს თავთავიანთი ადგილი დაუბრუნდა.

ცხადია – თვითმართველობის გამარჯვება საზოგადო ხასიათისაა, ეს  
იგი, ამ გამარჯვებამ ნათლად დაგვანახა, რომ დირექცია-ინსპექციის წარ-  
მომადგენლებს არ აქვთ არავითარი უფლება მოითხოვონ მასწავლებლე-  
ბისგან „81 წლის პლანის“ უარყოფა და აწარმოონ შკოლების საქმე თა-  
ვისს პირადი განზრახვისა და სურვილის მიხედვით.

ამ მოვლენას შემდეგ არც ერთს მასწავლებელს არ ძალუძს სთქვას,  
რომ ის თავის შკოლაში არ ასწავლის სამშობლო ენას მთავრობის მიშით  
ან ბძანებით. თუ არ ასწავლის – ეს აიხსნება ან მასწავლებლის უვიცობით,  
უცოდინარობით, განუვითარებლობით და ან თავის მოვალეობისა და სინი-  
დისის, ერისა და სამშობლოს ღალატით და გათელვით, თვარა აქ ვისიმე  
შიში ყოველთვის უნაყოფია.

ვსთქვათ, რომ საშკოლო მთავრობის წარმომადგენელ ბიუროკრატ-  
პოლიტიკანებმა ზოგიერთს მასწავლებელს მუქარით და სხვადასხვა გაიძ-  
ვერობით უკუაგდება და გაანიაგებია ის სასარგებლო დებულებები, რომ-  
ელიც ეხება სამშობლო ენის სწავლებას ჩვენს შკოლებში და რაც ისეთ  
აუცილებლობათ დაგვანახა თვით ცხოვრებამ, რომ ბოლოს ის დაკანონდა  
„81 წლის პლანი“-ს, „1907 წლის წესდებათა“ და სხვ. სახით; მაგრამ ამავე  
დროს სამშობლო ენის დიად მნიშვნელობას ორი რამ უკარნახებს ჩვენს  
მასწავლებლებს და ეს კარნახი იმდენათ საჭირო და სამართლიანია, რომ

მისი უყურადღებოთ დატოვების უფლება მათ არ აქვთ.

„ბავშვი არ სწავლობს დედა-ენას, როგორც უბრალო ნიშნებს და სიტყვებს - ის სწავს სულიერ ცხოვრებას დედაენის მკვებაჲ ძუძუდან; იგი უმარტებს მას ბუნებას ისე, როგორც ვერც ერთი ბუნების მეცნიერი ვერ განუმარტებდა; იგი აცნობებს მას ადამიანის ხასიათს, ხალხსა, საზოგადოებას, მის ისტორიას, მის მისწრაფებას ისე, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ გააცნობდა; იგი უხსნის მას ხალხის რწმენასა და მის პოეზიას ისე, როგორც ვერც ერთი ესტეტიკოსი ვერ აუხსნიდა; იგი ისეთს ნათელს ფენს მის მსჯელობასა და ფილოსოფიურ შეხედულებას, როგორც ვერ ერთი ფილოსოფოსი ვერ მოუენდა“, - ამბობს რუსის გამომჩენილი მასწავლებელი უშინსკი „დედა-ენა“-ში (თარგ. ივანე მაშაბლისა).

ქუთაისის ქალაქის გამგეობის გამარჯვებამ ცხადათ დაანახა მასწავლებლებს, რომ მათი ბედ იღბალი დირექცია-ინსპექციის წარმომადგენლების პირად სურვილზე არ არის დამოკიდებული; რომ ყოველი მათგანი არსებული სახელმწიფო კანონით და ზნეობრივად ვალდებულია სამშობლო ენას შესაფერი ადგილი დაუთმოს შკოლაში“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №142

### შკოლის ცხოვრებიდან (წერილი ხონიდან)

„პირველი სექტემბრის მოახლოებამ, აქაც ააფუსფუსა მოსწავლე ახალგაზრდობა და მისი მშობლები. ქალი თუ ვაჟი ყველა სასწავლებლისკენ მიეშურება. მაგრამ ქალები ამ მხრით ცუდ მდგომარეობაში არიან. ასე ვეგონებათ, ქალთა უუფლებობას აქ გაუდგამს ძირით. ორი თუ სამი შერეული პირველდაწყებითი შკოლის გარდა აქ ერთი რივიანი დაწყებითი შკოლა არ არის. დღეს სოფლებშიც კი არსებობს ქალთა შკოლები თავისი პროფესიონალური განყოფილებით. ხონში რომ ორკლასიანი საქალებო

შკოლა შკოლა იყო, მარიაძის სასწავლებლად გადააკეთეს. ზოგიერთ გუ-  
ლუბრყვილოს იქნებ კიდევ გაუკვირდეს, როგორ თუ ხონს საქალბო  
შკოლა აკლიათ, როცა იქ არის მარიაძის სასწავლებელი და ქალთა პრო-  
ფესიონალური სკოლა? მაგრამ ერთი რომ ეს სასწავლებლები მეტი ნაწი-  
ლისთვის მიუწვდომელია და მეორე ის, რომ ვერ ასრულებს თავის დანიშ-  
ნულებას. მაგალითად, სად შეუძლია სოფელ გლეხს გადაინადოს წელი-  
წადში 20-30 მანეთი? ისინიც კი, ვინც ცოტა რიგიან პირობებში არიან და  
შკოლაში მოხვედრილან, არ არიან სანატრელო მდგომარეობაში, რისი მი-  
ზეზია თვით შკოლა თავისი რეჟიმით, სწავლის სისტემითა და აღზდით.  
განვიხილოთ მარიაძის სასწავლებელი და ვნახოთ, როგორ ემსახურება ის  
თავის დანიშნულებას? დღეს ყველა ხედავს და გრძნობს, რომ ეს სასწავ-  
ლებელი არა სასურველ ნიადაგზე დგას, სხვა მაგვარ სასწავლებლებთან  
შედარებით, მარა ხმას არავინ იღებს. ეს სასწავლებელი ძლიერ შეიცვალა  
ახალი უფროსის, ქ. სოლოგუბის დანიშვნის შემდეგ. ამ დიდად ხსენებულ-  
მა ქალბატონმა, როგორც არა ერთჯერ აღნიშნულა გაზეთის ფურცლებ-  
ზე, მოსვლისთანავე მიყო ხელი ქართულის მასწავლებელ ქალთა დათხო-  
ვასა და იმათ ადგილი სულ რუს მასწავლებელ ქალებს დაურიგა. ახლა  
მთელს სასწავლებელში ქართველ მასწავლებელთა ჭაჭანი არ არის, გარდა  
ერთი ხელსაქმის მასწავლებლისა, რომელიც რუს მასწავლებელს ყავს ცო-  
ლათა და ორი ღვდლისა, რომელნიც სოლოგუბის მარჯვენა ხელს შეადგე-  
ნენ. სასწავლებელში გახსნილა დაბალი პირველი მოსამზადებელი განყო-  
ფილება, სადაც 7-8 წლის ბავშებს ლებულობენ. ამ განყოფილებაში ერთ  
წელიწადს ასწრებენ ქართულისა და რუსული ანბანის გავლასა და პირველ  
ნაწილს „რუსკოე სლოვოს“ მთლათ გადაიან. ამ განყოფილებაში მასწავ-  
ლებლობს რუსი ქალი, ეს ქალი წლის განმავლობაში ამდენს „ასწავლის“  
და რაღა ვასაკვირველია, რომ ამის შემხედვარე მთავრობა ერეკებოდეს  
ჩვენს მასწავლებლებს შკოლიდან, რადგან ისინი ამ მასალის გავლასა და  
შეთვისებას ორ წელიწადს ანდომებენ?!. მუნჯური მეთოდით ასწავლის და

თუ ამ მეთოდის მიმდევრები თავის მოსწავლეებს გაკვეთილის დროს კვერცხს ადებინებენ, ან ვირივით აყროყინებენ, ან გიჟივით ანტუნებენ, - ამ დალოცვილს ბურთისა და ბზრიალოს ჩვენებაც კი და ზარებია. ასეა დაყენებული სწავლება პირველ განყოფილებაში, სადაც სწავლის საძირკველი ისკვნება. მეორე განყოფილებაზე ამგვართაა მოწყობილი რუსული ენის სწავლება და ქართული ხომ ძთლათ შევიწროებულია და ისაა! დროა, ბატონებო ჩვენი ნორჩი ბავშვების სწავლა-აღზდის საქმეს ყურადღება მივაქციოთ და საქმეს დროით ვუშველოთ“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №149

### პოლიტიკა ჩვენს შკოლებში

„ჩვენს სინარულს საზღვარი აღარ ქონდა, როცა დანამდვილებით გავიგეთ ქუთაისის სახალხო შკოლების დირექტორის კრუპსკისა და კამპანის დამარცხება. მათმა მისწრაფებამ - ქართული შკოლებიდან ქართული ენის განდევნა - დაგძობა და მიხნევა მისი, როგორც უბრალო - მეორე ხარისხიანი საგნის - მიზანს ვერ მიაწია. ამ დამარცხებას საზოგადოებრივი ხასიათი აქვს და ეს ყოველს ნამდვილ ქართველს სინარულს უნდა გვირდეს. უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ უნარი და მუყაითობა გამოიჩინა, შესაფერი წინააღმდეგობა გაეწია ქართული ენის გაბორცებული მტრისთვის და მათი - ჩვენი შკოლების გარუსების სურვილი - პოლიტიკა, როგორც საჭიროება მოითხოვდა, შეუშინებლათ დაგძობ, საბუთებით დაუმტკიცა უმაღლეს მთავრობას, ადგილობრივი დირექციის მართველ-ორგანოს უკანონო მოქმედებანი, რომელნიც გამოიხატა იმაში, რომ უდანაშაულოთ შეწირული ორი სხვერპლი - გადაყენებული მასწავლებლები: ოდიშარია და ნაცვლიშვილი უკანვე მიიღეს სამსახურში ძველ თანამდებობაზე. თუქცა დანაშაულობის ჩამდენი - კანონის მოთხოვნილე-

ბის ბოროტათ გამოძეგნებელი არ დაუსჯიათ და ერთმაც კიდევ წასაქე-  
ზებლათ უფრო კარგი ადგილი იშოვა (კრუპსკი გადაყვანილია იმავე თა-  
ნამდებობაზე თფილისში), მაგრამ ზემონახსენები მასწავლებლების უკან  
მიღება უტყუარი მოწმეა გამარჯვებისა. მათვარობის ასეთ დაამებას -  
აბობოქრებული სულისკვეთების მოთხოვნის დამშვიდებას - დროე-  
ბითი ხასიათი აქვს და ქვემოთ მოყვანილი მაგალითი ნათლათ დაგვანან-  
ვებს, რომ ქუთაისის სახალხ. შკ. ახალ დირექტორსაც მისი თანამოადგი-  
ლის პოლიტიკის გაგძელება სურს. ნათქვამია: „ეკლისა ნავალს ეკალი აღ-  
მოცენდებისო“; ეს ჭკვიანი თქმულება თავისი ნამდვილი მნიშვნელობით  
ბევრჯერ შესრულებულა და მომავალშიც შესრულდება - ქართული ენის  
დაუძინებელი ძტრებისგან, რომელნიც თავის უმგვანო მოქმედების წყა-  
ლობით ამას, ე.ი. ქართულ ენას თანდათანობით ძირს უთხრიან და ყოველ-  
ლონისძიებას ხმარობენ, რომ ეს უკანასკნელი საუკუნოთ დაასათლოან.

ქართულ შკოლებში ინიშნება რუსი მასწავლებლები, რომლებსაც აღ-  
ვილობრივი ენის უცოდინარობის მიზეზის გამო არავითარი სულიერი კავ-  
შირი არ ექნებათ მოზარდ თაობასთან და ეს უკანასკნელი იძულებული  
ხდება პატარაობიდანვე დაივიწყოს დედა-ენა, სამშობლოსა და ჰვენი დამ-  
ხავრელების ყურმოჭრილ მონებათ გახდეს.

მოუწყობდებთ შეგნებულ ნაწილს ადგილობრივი საზოგადოებისას, ამ  
თავითვე მიაქციოს ყურადღება ზემოთ ნათქვამს და შესათფერი ღონისძიე-  
ბის გამონახვით იხსნან ქართული შკოლა განსაცთელისგან“.

გაზეთი „იმერეთი“  
1913, №149

შკოლის ცხოვრებიდან  
(წერილი ხონიდან)

„ხონში ხამოსვლამდი, რამდენათაც ჟურნალ-ვაზეთებისათვის თვალ-  
ყური მიღევნებია, ხშირათ შევხვედრივარ ამა თუ იმ მასწავლებელზე საყ-

ვედურს: - ზოგმა 1881 წლის სამოსწავლო პლანი დაარღვია, ზოგმა კი სა-  
ხელმძღვანელო წიგნები შესცვალაო. ახლა კი ბედმა მარჯუნა ხონს დაბ-  
რუნება და თავს მოვალეთ ვრაცხ ჩვენი შკოლების გარემოება გავიგო,  
რამდენათაც ამას შევძლებ, როგორც გარეშე პირი. ჯერჯერობით აი, რა  
აღმოჩნდა:

ნახახულევის ორკლასიან სამინისტრო შკოლაში ბ.ბ. მასწავლებლებს  
გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“-ს მეორე ნაწილი გაუდევნიათ გასულ  
წელს და ნაცვლათ ამისა „ოლენინ-გრიგორიევის“ წიგნი შემოუღიათ. იმე-  
დი უნდა ვიქონიოთ, შემდეგ შიც ასე მოიქცევიან, რადგან ამისთვის დაუდ-  
ვათ უფრო ხელსაყრელი პირობები. ამასთან, რასაკვირველია, 1881 წ. სა-  
მოსწავლო პლანისთვისაც უღალატიათ.

ხონის ორკლასიან სასწავლებელში, პირველ განყოფილებაში, გასულ  
წელს რუსული ენა, ლექსიკური განყოფილება ნაადრევად დაუწყია ბ. ზე-  
დამხედველსა და წლის ბოლომდე მთელი რუსული ანბანი გაუფლია. სა-  
ხელმძღვანელოები ჯერ არ შეუცვლიათ; გოგებაშვილის „რუსკოე სლო-  
ვო“-ს მეორე ნაწილი ძველებურად ხმარებაშია და, იმედია, მასწავლებლე-  
ბი შემდეგ შიც არ უღალატებენ თავის ვ ზას და თავის ერს წინაშე თავს არ  
შეირცხვენენ.

დიდათ გამაკვირა ივანდიდის ახლათ განსხილი შკოლის გარემოებამ,  
სადაც მასწავლებლობენ 20-25 წლის ნამსახური პირნი. ამ შკოლაში კაი  
ხანი 1881 წ. გეგმისთვის უღალატიათ და გოგებაშვილის მეორე ნაწილი  
წიგნი გაუდევნიათ და „გრიგორიევის“ წიგნი შემოუღიათ. ასე მოქცეუ-  
ლან წინათაც და წელსაც. აქაურები, ეს დალოცვილები, პროტესტის ხე-  
ლის მოწერაზე, ან სხვა რაიმე კინკლაობაზე მარდი არიან და თავის შკო-  
ლაში რომ ბავშვებს ამახინჯებენ, გონებასა და წინმსვლელობის ზღუდეებს  
ქმნიან, იმას ვერ ამხნევენ...

რაც შეეხება სხვა შკოლებს, არც ესენი ჩამორჩებიან და სამრევლოებ-  
ზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ერთი სიტყვით, მთელს ხონის რაიონში ისეთი

ნიადაგია, რომ 1881 წ. სამოსწავლო პლანი დარღვეულათ უნდა ჩაითვა-  
ლოს, დამატულ ჭირს, გამომხეილი სჯობსო.

და აი, ამას ხელი შეუწყვეს, ნიადაგი თვით ხვეიმა გადაგვარებულმა  
მასწავლებლებმა მოამზადეს, რომელთაც, მეტი ყურადღება რომ დაემსა-  
ხურებიათ, მთავრობის ბძანებას დაასწრეს და დაიწყეს უდროო დროს რუ-  
სულის სწავლება, შეცვალეს საბუთი მისცეს თავის ინსპექტორებს იმისა,  
რომ თითქოს თვით ხალხი და მასწავლებლები საჭიროთ სთვლიდნენ  
ამას?!“

გაზეთი „იმერეთი“

1913, №149

### ზემო იმერეთი. ს. მუხურა

„ს.მუხურა ზესტაფონიდან 20 ვერსის მანძილზეა. მუხურის საზოგა-  
დოება, რომელშიც შედის ხუთი სოფლის, მუხურის, თუზის, ვარდიგორის,  
ძირა და ძედა თავასას მცხოვრებნი, კულტურულათა და სწავლა-განათ-  
ლების მხრით დღემდე ჩამორჩენილი იყო. დღეს ცოტა გამომხეი ზლება და-  
ეტყო. მთელ საზოგადოებაში მარტო ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა  
არსებობდა. მუხურის საზოგადოებამ ამ შკოლის ორკლასიანათ გადაკე-  
თება მოინდომა და შესაფერი განახეიცი დაადგინა და ვაგ ზავნა დასამ-  
ტკიცებლათ სადაც ჯერ არს. მთავრობამ განახეი, რალაც მიზეზის გამო,  
არ დაამტკიცა და მოსთხოვა საზოგადოებას განახეიის დამატება და შე-  
ნობის აგება. ამაზე ს. მუხურამ მტკიცე უარი განაცხადა და მით გამოეყო  
დანარჩენ ოთხს სოფელს შკოლის შენობის აშენების საკითხში. თუზმა,  
ვარდისუბანმა, ძირა და ზედა თავასამ მოინდომეს შკოლის შენობის აგება,  
მაგრამ ესენიც ვერ ასცდენ აყალ-მაყალს ადგილის ამორჩევის შესახებ და  
დანაწილდენ. ახლა მარტო ძირა თავასამ, რომლის მცხოვრებთა მეკომუ-  
რიც 80-ს არ აღემატება, თვით იკისრა ქვითკირის საშკოლე შენობის აგე-  
ბა, შესაფერი განახეიცი დაადგინეს და წარადგინეს კიდევ. მიუხედავად

იმისა, რომ ძირა თავასელებს ბევრი ხარჯი მოელოს ამის შესახებ, დანარჩენი სოფლები თანასწორათ ახდევებენ საზოგადოებისათვის საჭირო ხარჯს, როგორც მაგალ. თუ ხის საშკოლე ხის შენობის ყიდვაში მონაწილეობა და თანასწორათ ხარჯი შეაწერა საზოგადოებაში. ძირა თავასელები ყოველივე ამ ხარჯს არ უფრთხიან, ოღონდ დაწყებული საქმე კეთილათ დააბოლოონ. მადლობის ღირსია სიმონ უგრეხელიძე, რომელმაც ძირა თავასელებს უფასოთ შესწირა ადგილი საშკოლეოთ“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №149

### ს. სიმონეთი

„სიმონეთში არსებობენ შემდეგი კულტურული დაწესებულებანი: ორი სამინისტრო შკოლა, ორი სამრევლო შკოლა, აგრეთვე წიგნსაცავ-სამკითხველო და აფთიაქი. სამ წელიწადზე მეტი იქნება, რაც სიმონეთელებს დაუდგენიათ განახენი, აქ შენებიათ ორი სამინისტრო სასწავლებლისთვის ქვითკირის შენობა. ერთი მათგანი უნდა აშენებულიყო შუა სოფელში, სადაც ახლაც მოთავსებულია სასწავლებელი ნაქირავებ შენობაში, მეორე კი მდ. ყვირილას ნაპირას, რომელიც სოფლის განაპირათა ორისამი ვერსის მანძილზე.“

ატყდა უთახმოება სოფლელებს შორის, მოიწვიეს ყრილობა, უყარეს კენჭი, მაგრამ ბურთი და მოედანი კიდევ ძველი ადგილის მოძნრეებს დარჩათ. ამნაირი ყრილობა ერთი წლის განმავლობაში ათჯერაც მოახდინეს, მაგრამ სურვილს კი ვერ მიაწიეს. ამის თაობაზე, თქვენს გაზეთში ეს პირველი ცნობა არაა, მაგრამ საქმეს არ ეშველა, უნდა ვისარგებლოთ სხვების გამოცთილებით. სასურველია, ამ მრავალ-ტანჯულ საქმეში ჩაერიონ საზოგადოების მოწინავე ელემენტები და საქმე კეთილათ დააბოლოონ“.



## საეკლესიო საქმეთა შესვეურნი

„ბევრი განმარტება არ უნდა იმას, რომ ღვთის მსახურება უნდა სრულდებოდეს მშობლიურ ენაზე, მაგრამ ამ უბრალო ჭეშმარიტებას გვერდს უხვევენ და პოლიტიკანობა შეაქვთ საქმეში იმათ ვინც სათავეში უდგას ამ საქმეს. ამასთან, არა სასურველ მოვლენას ადვილი არ უნდა ჟონდეს საეკლესიო საქმეებში მაინც, მაგრამ რას იზავთ: „ძალა აღმართს ხნავს!“... ბაქოელ ქართველობას, ყოველ კეთილ მისწრაფებაში მჭიდროთ შეკავშირებულს, რიცხვით სამი ათას სულამდის, ჯერჯერობით საკუთარი ეკლესია არა აქვს, რაც აიხსნება არა მათი ნივთიერი ხელმოკლეობით. იგინი მოკლებული არიან ღვთის მსახურების მოსმენას სამშობლო ენაზე. თუმცა ზოგიერთები კი ამტკიცებენ ქართველებისათვის საკუთარი ეკლესიის ზედმეტობას იმ მოსაზრებით, ვითომცა აქაურმა ქართველობამ კარგად იცის რუსული ენა მაგრამ ამისთანა ღალატება მოკლებულია სიმართლეს და თითქმის ორმა წილმა ეს ენა სრულიად არ იცის. ესეც რომ არ იყოს, თვითონ ქართველი ერის სულიერ მოთხოვნილებას შეადგენს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენა. ამ ვაჟბატონებს გონია, თუ ღვთისმსახურება შესრულდა ქართულ ენაზე, სახელმწიფო შეირყევა და განამტკიცებს ქართველების „სეპარატიულ“ მიდრეკილებას. წარსულ წელში ბაქოელმა ქართველობამ თხოვნით მიმართა რკინის გზაზე მომსახურეთა მოძღვარს, მამა სილობისტრო ხუნდაძეს, რათა მას თოთხმეტ იანვარს შეესრულებია წირვა თავის ეკლესიაში ქართულ ენაზე. მამა ხუნდაძემ ღებებით აღძრა შეამდგომლობა სადაც ჯერ არს, მაგრამ თხოვნა ესე დარჩა „ხმად ძლადღებელისა უდაბნოსა შინა“. და ასე ამნაირად ჩაუქრეს გულში ქართველობას ლოცვის სურვილი დედაენაზე. იმ დღეს რკინის გზის ეკლესია თავისუფალი იყო და წირვის შესრულება ქართულ ენაზე არავისთვის მეტი ბარგი არ იქნებოდა. განა სავალალო არაა ასე აბუჩათ

აგდება ხალხის წმინდა ლტოლვილებისა და მერე ვისვან? იმისგან, ვინც უნდა ზრუნავდეს ამ ლტოლვილებისა განმტკიცებაზე! წელს, ამავე დღეს, ძველი ფლოტის ეკლესიაში. ორი ქართველი ღვდლის მონაწილეობით შესრულებული იქნა ჩემგან ღვთისმსახურება სამშობლო ენაზე, რასაც დაესწრო ბევრი ქართველობა, რომელსაც სახეზე დიდი სიამოვნება ეტყობოდა და მადლობითაც დამაჯილდოვეს. ამ შემთხვევაში ნებართვა მე არავისაგან მიმიღია და არც წარმოდგენილი მქონდა, თუ ღვთის მსახურების შესრულებაზე ნებართვა ეჭირვებოდა, (უფლება წირვის შესრულებაზე უკვე მონიჭებული მაქვს დღიდან ჩემი ხელდასმისა) და ახლაც პრობლემატიურათ მიმაჩნია კითხვის აღძვრა ამის შესახებ. მით უმეტეს, რო მამა იოანე ლიაძემ ეკლესია დაგვიტოვა. ეს იმ დროს იყო, როდესაც აქაური ეპისკოპოსი, ყ-დ საღვდელი იმ ხანებში, როგორც წესია, თფილისში უმაღლეს მთავრობას წარუდგა, რომელმაც, სხვათა შორის, გაზეთი უჩვენა, სადაც ეწერა თითხმეტ იანვრის წირვაზე. „როგორ მოხდა ეს, ახალი ეპისკოპოსის ჩასვლისთანავე ქართველებმა წირვა დემონსტრაციულად ქართულ ენაზე გააჩაღესო“, ებრძანებია უფროსს, დაინიშნა ფორმალური გამოძიება თუ ვინ ითავა, ვინ სწირა და რამ გამოიწვია ეს წირვა? ნუთუ მართლა დემონსტრაციათ უნდა ჩაითვალოს წირვა იმ ენაზე, რომელზედაც ავრცელებდენ ქრისტიანობას საქართველოში ანდრია მოციქული, სიმონ კანანელი და ნინა კაბადოკიელი? განა ვალდებული არ არიან წელიწადში ერთჯერ მაინც ქართველებს ღვთისმსახურება უსრულდებოდეს რომელიმე თავისუფალ ეკლესიაში იმ ენაზე, რომელზედაც უფრო გულმისაწვდომია მისთვის? სიზმარში, თუ ცხადში ვარ, არვიცი მას შეძევ, რაც ჩემი წირვა საღვთო შეიქნა მიუხედავად ამისა, თანახმათ ქართველების სურვილისა, აღძრული იქნა ჩემ მიერ შეამდგომლობა ბაქოს ეპისკოპოსის წინაშე, რათა ნება დამრთოდა წელს, აღდგომის მესამე დღეს, კვლავ მეწირა ძველ საკათედრო ტაძარში ქართულად - აღდგომის მესამე დღეს იმისთვის, რომ მაშინ იყო „თავისუფალი ეს ტაძარი, მაგრამ აღარ მოხერხდა,

თუმცა ქართველები „ზეციური მანანასავით“ მოელოდენ წირვის მოსმენას დანიშნულ დღეს. ადვილი მისახვედრია, თუ რისთვის არ დაკმაყოფილდა აღძრული შუამდგომლობა. პატრივცემულ ღვდელმთავარს მოსვლისთანავე გაზეთი შეაჩეჩეს ხელში, პასუხიც მოთხოვეს, თუ რისთვის შესრულდა რუსების ეკლესიაში წირვა ქართულად და, რასაკვირველია, ის უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ საყვედური არ მიეღო თავისი უფროსისგან. უსამღვდელოესი გრიგოლი ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ყველაზე, განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისა, თავისი მწყემსმთავრული ღირსებებით, ამისთვის ქართველი ღვდლებიც დიდ პატივს სცემენ მას და, დაიმედებულნიც არიან, ის რომ არ შესცვლის ამ ტაქტიკას მომავალში; რისთვის შეეკეცა ფრთები უბრალო განკარგულების მოხდენაში ამისთანა ღირსეულ ღვდელმთავარის, ვერ ამინსნია როგორც გამომიკვია ყ-დ საღვდელო გრიგოლს უმაღლესი მთავრობისათვის წარუდგენია ჩემი რაპორტი წირვის შესახებ, მაგრამ მას არავითარი განკარგულება არ მოუხდენია. არ მჯერა, რომ დეკანოზ იუნიცკის წილი არ ედვას ამ უარის თქმაში, რადგანაც მას ყველა ბაქოს ეკლესიები სამღვდელოებითურთ თავის საკუთრებათ მიაჩნია. მამა იუნიცკი ამ ბოლო დრომდე ბაქოსა და მის არემარეში „ეპისკოპოსობდა“.

ამას წინათ დიდი ხვეწნის შემდეგ იუნიცკიმ ნება დართო ქართველებს, რომ ახალ აღექსანდრე ნეველის სობოროში პანაშვიდი გადაეხადათ არჩილ ჯორჯჯაძის სულის მოსახსენებლათ. მეც, რასაკვირველია, როგორც ქართველი დავესწარი და ზოგიერთების თხოვნით მონაწილეობაც მივიღე პანაშვიდის შესრულებაში, რაც ბოლოს სანახებლათ შემექნა, ერთი ამისთვის, რომ პანაშვიდი ძალაუხებურათ აჭრელებულათ შესრულდა და მეორეთ იმისთვის, რომ მამა იუნიცკი ძალზე განრისხდა თურმე, რომ გაივო მეც მონაწილეობა მივიღე და რამოდენიმე სიტყვა ქართულათ წარმოვსთქვი არჩილზე. უნდა აღვიარო, რომ განსვენებულს პირადათ ვერ ვიცნობდი, მხოლოდ წაკითხული მქონდა რამდენიმე მისი ნაწერი და რა უნდა

მეთქვა „რაც ეკიდრებოდა ჩვენ ნიჭიერ მწერალს. მე შევასრულე წინადა-  
დება, მომართული ჩემდამი ქართველი საზოგადოებისგან და რა იყო აქ  
საწინააღმდეგო? რამ ააშფოთა დეკანოზი იუნიცკი და რა უნდა მეთქვა  
არჩილზე იმისთანა, რომ უსათუოდ უნდა გაცხრილოყო ყოველივე მის  
ცენზურაში? ან და ნეტავ ვამბებია ვინ ამხითა მას ბაქოს სობორო, რომ  
გამვლელ-გამომვლელს ეკითხება თურმე, რა წარმოთქვა დეკანოზმა კან-  
დელაკმაო? ყველასგან პატრეცემულმა მასწავლებელმა სპირიდონ თოფუ-  
რიამ ცოტათი დააშოშმინა, როდესაც გადასცა რუსულათ ჩემი სიტყვის  
შინაარსი, მაგრამ მაინც არ დასჯერდა და მიხივლა ეპისკოპოსთან, რომ-  
მელმაც უყურადღებოთ დასტოვა მისი გოდება.

ასე, ამგვარათ იუნიცკები და მზვავსნი მათნი უღვათ ჩვენში საეკლესიო  
საქმეს სათავეში და „სასურველათაც“ განაგებენ. არ ეყოთ ქართულ  
ენაზე წირვის აკრძალვა და ახლა იმასაც ხელს უშლიან, რომ ქართველებმა  
თავისი ეკლესია არ აიშენონ. ალბათ საეკლესიო საქმეთა მესვეურთ ესეც  
„სეპარატიზმის“ შიშით მოსდით. აბა რას მივაწერო მთავრობის მოქმედე-  
ბა, რომელმაც ქართველებს ეკლესიის აშენების ნება დართო და შეწირუ-  
ლობის მოკრეფაზე კი უარი უთხრა?

თუ რუსეთში ამგვარათ შეგროვებული ფულებით ბევრი მონასტრები  
და ეკლესიები შენდება, (ვფიქრობ, ჩვენი წვლილიც ურევია) ბაქოელმა  
ქართველობამ რა დააშავა? იქნება მათი ქართველობაა დამნაშავე ყველა-  
ფერში?“

გაზეთი „იმერეთი“

1913, №152

**ჩვენი შკოლები. ახალი განკარგულება**

„როგორც ვიცით, ბ. გროზდოვმა თავისი რაიონის პირველდაწყებითი  
შკოლების გამგეებს გოგებაშვილის «Русское Слово»-ს ნაცვლად გრი-

გორჯენისა და ოლენინის წიგნის შემოღება უბძანა.

ჩვენც და ჩვენი მასწავლებლებიც კარგათ ვიცნობთ ბ. გროზდოვს და, ცხადია, მას აწუხებს არა ის უკუღმართი ვაზა, რომელზედაც ჩვენი შკოლებია დღეს დაყრდნობილი, არამედ ის, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს სხვა კარგ მხარეებთან ერთად ქართულ ენასთან აქვს მჭიდრო კავშირი და მას სურს ეს კავშირი გაწყდეს, რომ ჩვენმა შკოლებმა სამუდამოთ დაკარგოს ეროვნული სახე - თანდათან გამოეცალოს იქ სამშობლო ენას არსებობის უფლება.

ეს რომ ასე არ იყოს და პედაგოგის მუნდირებში გახვეულ ბიუროკრატი-პოლიტიკანებს აზრათ არ ქონდეთ დასავაძობი მიზნის განხორციელება ჩვენი შკოლების საშუალებით, განა წარმოსადგენია საუკეთესო სახელმძღვანელოს ნაცვლად ცუდის და არა შესაბამის შემოღება?

ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელი პედაგოგიის საღ მოთხოვნილებათა მიხედვით შედგენილ სახელმძღვანელოს უპირველეს ყოვლისა მოეთხოვება, რომ იქ ძველი მასალა იყოს აღებული თვით იმ ხალხის ცხოვრებიდან, რომლის შკოლებისთვისაც არის ის შედგენილი. სახელმძღვანელოში უნდა იყოს სურათად განხორციელებული და აზრად შექმნილი ბავშვის სამშობლოს ჰაერი, მიწა-წყალი, მისი ერის ზნე-ჩვეულება და ცხოვრების მხარეები, რომ მისთვის ცოდნის შეძენა და უცხო ენის შესწავლა იყოს ადვილი და სასიყვარულო.

ეს უმთავრესი მოთხოვნილება გოგებაშვილის სახელმძღვანელოში დღეს არსებულ სხვა სახელმძღვანელოებზე ბევრათ უკეთაა დაცული. რაც შეეხება დანარჩენ მოთხოვნილებას, აქაც ჩვენ ვხედავთ ამ სახელმძღვანელოს უპირატესობას. ვრცელი და მრავალფეროვანი მასალა ბავშვის სულიერის და ზნეობრივის მხარის გასავითარებლად, სხვადასხვა სახის სავარჯიშოები ენის კანონების შესასწავლად, მოთხრობები, რომელსაც ხელოვნური და სინამდვილეს მოკლებული ხასიათი არა აქვს, საჭირო ადგილს სურათები, ბევრი ისეთი მოთხრობა, სასაუბრო, ანდაზა და გამოცანები,

რომელიც ბავშვს უკვე გამოუვლია დედა-ენაზე, თავისუფალი და ბავშვისთვის ადვილი გასაგები ენა და მასალის თანდათანობით დალაგება--ნათლად ამტკიცებს ამ სახელმძღვანელოს უპირატესობას.

ხოლო რაც შეეხება გრიგორიევის და ოლენინის სახელმძღვანელოს, ამაზე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ის ჩვენი შკოლისთვის უკარგესია, ვინაიდან ის შედგენილია რუსის შკოლებისთვის.

როგორ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ბავშის აზრმა და გონებამ შესძლოს გავითარება ისეთი მოთხრობებით, რომელიც მას ვერ წარმოუდგენია, ან შეითვისოს ისეთი საგნის აწერა, რომელიც მას თვალითაც არ უნახავს, ან განიმტკიცოს ნათელი წარმოდგენა ისეთი მოვლენის შესახებ, რომელსაც ბავშის ქვეყანაში ადვილი არ აქვს!

აი, როგორი ცუდი და ჩვენი შკოლებისთვის არა შესაფერისი სახელმძღვანელო მოიწონა და შემოიღო ბ. გროზდოვმა!

მოიწონა...

მაგრამ «Русское Слово» არ არის მოწონებული უმაღლესი საშკოლო მთავრობის, ოლქის მზრუნველისა და უწყინდესი სინოდის მიერ? განა ცნობილმა პედაგოგებმა, როგორიც არიან ბ. ბ. ალექსი ჭიჭინაძე, ფ. იანოვიჩი და სხვ., არ გაარჩიეს ყველა სახელმძღვანელოები და უპირატესობა არ არგუნეს გოგებაშვილის წიგნს და ეს გარჩევა-რეფერატი ოლქის მზრუნველის კანცელარიაში არ მოათავსა შარშან თავის ცირკულიარის მეორე ნომერში?

მაგრამ დღეს ხომ ჩვენი სიმართლე არ სიმართლეობს და უფლება არ უფლებაობს!

ცხადია, რომ ბ. გროზდოვის აზრი, ცდა და შრომა მიმართულია იმიტომ, რომ ჩვენს შკოლაში არ იზრდებოდეს ხალხის შვილი, რომელიც სიყრმიდანვე შეისისხლხორცებს თავის ერის ნახულ-ნაცადს, ნავრძნობს და ნაფიქრ-ნააზრებს!

ახალი განკარგულება მოითხოვს ჩვენი მასწავლებლების მკვეთრს

ხმას და მიემართავთ მათ ქურნალ „განათლების“ სიტყვებით: „თუ მასწავლებელი მოიწადინებს, არავის შეუძლია წინაღუდგეს და მიაჩნოს სხვა წიგნი, მით უფრო რუსული ენის სახელმძღვანელოები, რომელთა შორის ჩვენი შკოლებისათვის გოგებაშვილის ორივე რუსული სახელმძღვანელო უაღრესად მოწონებელია მთავრობის მიერ და არავის აქვს უფლება პურის ნაცვლად ქვა მიაწოდოს. ეს დიდი დანაშაულობა იქნება, რადგანაც Русское Слово-ს მაგიერობას, როგორც ეს განუზრახავს ბ. გროზდოვს, ვერასოდეს სხვა რუსული სახელმძღვანელო, როგორც არის მაგალითად, გრიგორიევის და ოლენინის წიგნი, ვერ გასწევს. ეს კარგათ უნდა იცოდენ ჩვენი შკოლის მასწავლებლებმა და სხვა სიკეთესთან ერთად მედგრათ უნდა დაიცვან შკოლებში სახელმძღვანელოების საკითხიც. ამას დიდი გმირობა არ სჭირია, საჭიროა მხოლოდ ცოტა გამბედაობა, საკუთარი ინიციატივა და კანონის დაცვა და ვინც ამას მოკლებულია - ის შკოლაში შესაძლებელიც არ არის“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №161

### სამშობლო ენის აბუხათ ავღება

„ერთ-ერთ ჩვენს სამაზრო დაბაში წელს, ენკენისთვიდან გაიხსნა უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. დაბას სასწავლებლის განსნის დღე უდღესასწაულია; უკურთხებიან შენობა, გაუმართავთ სადილი, წარმოუთქვამთ შესაფერისი სიტყვები. მაგრამ... სიტყვები წარმოუთქვამთ დამტვრეული რუსულით. დამსწრეთა შორის ყოფილა მხოლოდ ერთი რუსი - ახალი სასწავლებლის გამგე. ამას წინათ ამ გამგესთან მომიხდა საუბარი შესახებ იმისა, თუ რა გზით შეიძლება ჩვენს შკოლებში რუსული ენის საუკეთესოთ შესწავლა. ამ საუბარში, სხვათა შორის, მან სიამოვნებით აღნიშნა, რომ ქართველი საზოგადოება რუსულ ენას გაცილებით მაღლა აყენებს თავის სამშობლო ენაზე, რომ სამშობლო ენა მას მიაჩნია მხოლოდ

საშინაო, საოჯახო ენით. ამ აზრის დასამტკიცებლათ მან მოიყვანა ზემო-  
აღნიშნული ფაქტი. ამასთან ისიც აღნიშნა, რომ სწორი რუსული ენით  
ვერც ერთმა ვერ მოახერხა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ ნათლათ ეძინეო-  
დათ, რომ სურვილი ძლიერი ქონდათ რუსულათ წარმოთქვათ სიტყვაო.  
ამნაირათ ჩვენვე, ჩვენსავე ოჯახებში, დაბებში, საზოგადოებებში აბუჩათ  
ვივდებთ, ფეხქვეშ ვსთელავთ ჩვენს წმინდათა-წმინდას, უძლიერეს ია-  
რალს გონებრივ-ზნეობრივი განვითარებისას - სამშობლო ენას. ნეტა რათ  
დასჭირდათ იმ კუთხეულებს ასეთი მატრიაზობა, რათ ჩავივდეს თავი სა-  
ტანჯველში, რათ ცდილობენ დამტვრეული რუსული ენით სიტყვების  
წარმოთქმას?! ამით კი მათ მისცეს საბუთი რუსის მთავრობის წარმომად-  
გენელს, რომლის ხელშიცაა ჩვენი ენის „ბედ-იღბალი, დაესკვნა: ქართვე-  
ლი საზოგადოება თვით არ აფასებს თავის ენას, თვით არ სცნობს საჭი-  
როთ თავის ენაზე იმსჯელოს; იბაასოს; თავისი ენა მხოლოდ საშინაო ენათ  
აქვსო და სხვა. ცხადია, თუ რა მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის რუსის მოხე-  
ლის ასეთ დასკვნას“.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №165

### ქუთაისი, 13 ოკტომბერი

„ქართველებს ერთი დაწესებულება გვაქვს - თეატრი. მას, გარდა სა-  
ერთო მნიშვნელობისა, რომელიც ყველა ხალხისთვის და ყველა დროში  
ქონია, ჩვენს ბედში მყოფი ერისთვის განსაკუთრებული ხასიათი ეძლევა.  
ჩვენ არ მოგვეპოვება დამოუკიდებელი თავისუფალი წმინდა და ეროვნუ-  
ლი ორგანოები, აღარაა გვაქვს ას წელზე მეტია ჩვენი პოლიტიკური დაწე-  
სებულება, დიდი ხანია მოისპო ქართული სამართალი, დამოუკიდებელი  
ეკლესია, შკოლა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ერის მთლიანობის, მი-  
სი ორგანიზაციის გამომსახველია.

ქართული ენა გამოდევნილია ყოველგვარი დაწესებულებიდან, და სა-



დაც არის, იქაც მას, როგორც გერს ისე ეპყრობიან. მას არც შინაური ინ-  
დობს, არც ვარეშე. ასეთ პირობებში თუატრი თითქოს ერთადერთი დაწე-  
სებულეებაა, სადაც ჩვენს ენას ავათ თუ კარგათ თავი შეუფარება”.

გაზეთი „იმერეთი“

1913, №166

### სახალხო შკოლის ცხოვრებიდამ

„Русская школа-ს 33-ე ნომერში მოთავსებულია წერილი ამ სათაუ-  
რით: „ახალი წესები არა რუსთა სახალხო შკოლებში“. ეს წერილი თავისი  
შინაარსით ჩვენ ახალს არათურს ვუაძლევეს, მხოლოდ განმარტავს და  
ადასტურებს იმ არა სასიამოვნო მოვლენას, რომელიც გულის მოძველე-  
ლია საერთოდ ყველა სალი მოაზრების ადამიანისათვის, და კერძოთ კი  
ჩვენთვის – ქართველებისთვის. და განა რა არის აქ გასაკვირველი! „კოკასა  
შინა, რაც სდგას, იგივე წარმოადინდების“, თუ არა ამას, მაშ რას წარმოად-  
გენდა შარშან და, იმაზე წინ ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლებში  
„გროზდოვ-კრუპსკი ზმის“ მოთხოვნილება?!

იმათი სურვილი იყო და არის კიდევ, ჩვენს ნორჩ თაობას დაუჩლოუნ-  
გონ ჭკუა-გონება, რომ მოძავალში ბრმა იარაღათ გამოიყენოს, თორემ  
რომელი სალი პედაგოგი იმოქმედებს ასე?! ან როდის, სად და ვისგან გა-  
გონილა, რომ შვიდი, რვა წლის ბავშვს მიუჯდეს მასწავლებელი და ნაც-  
ვლად დედა-ენისა, სხვა ენაზე ეჩუროტოს (სწორეთ ეჩუროტოს!) და ეს  
აზრი თავის ხელდასმით დაუდასტურებია სახალხო მინისტრს 1913 წელს 14  
ივნისს: პირველ განყოფილებაში რუსული დაიწყონ სწავლის დაწყებიდან  
არა უგვიანეს 3 თვისა. ძალა აღმართსა ხნავს, მაგრამ დამქაშებიც რომ ბევ-  
რი გაჩნდა! დაუდგათ ღრო სულ მდაბალ მოხელეებს, ბრმა მოჩილეებს კა-  
ნონის ანბანისა! თვით მოქმედების უნარწარმთეულნი, ისინი აღრეც ხელს  
უწყობდენ ბავშვთა გადაგვარებას და დღეს ხო... დღეს ხო საბუთი ექნებათ

ხელთ, უსაბუთოდაც უსაბუთოდ მოქმედებდნენ და აწ რა გადაელობება მათს უკუღმართობას! ნუ თუ!”

გაზეთი „იმერეთი“

1913, №168

### ქუთაისელ ქალებს

„პარასკევს ქალთა ჩვეულებრივ კრებაზე, რომელიც წინა პარასკევს არ შესდგა ქალთა მოუსვლელოების გამო, მეორე პარასკევს ვიმედოვნებდით ბევრი ქალი დაესწრებოდა. იმედი მქონდა - ერთი წლის წრის არსებობა სასურველ ნაყოფს მოიტანდა, გაუღვიძებდა ქუთაისელ ქალებს სიყვარულს სააზოგადო საქმისადმი, სინარულით გულს აუძვერებდა მათი მომავლის გაუმჯობესების წინაგზობით, ძალას გაუასკეცებდა და ფრთებს შეასხამდა თვით შეგნების სურვილს.

საუბედუროთ ოთხი თვის დასვენების შემდეგ, ძალის მობილიზაციის მაგივრად ქალებს საშიში გულგრილობა დაეტყოთ. გასულ წელსაც გააკვირებდა მეთვალყურეს გულგრილობა ქუთაისელი ინტელიგენტი ქალების თავის წრისადმი. ძალაუნებურათ მისცემდი თავს კითხვას: ნეტავ, სად არიან ახლა ეს ქალები, როცა იქ არ არიან, სადაც უნდა იყვნენ? ნეტა ვის და რას ემსახურება, როცა თავისი ინტერესების დასაცველი ადგილისთვის ვერ მიუგნიათ?

გაოცებას იწვევს ქალთა იმ ნაწილის საქციელი, რომლებიც გაურბიან წრეს, სადაც ქალთა საკითხები უნდა გადაწყდეს. ძირითადად ესენი არიან მასწავლებელი ქალები, რომელთაგან ძალიან მცირე ნაწილი ესწრებოდა ქალთა საზოგადოების კრებას. ტყუილი იმედია, თავისით არ გამოცხვება ის უფლებები, რომელიც ჩვენთვის ასე საჭიროა, არც გამოჩნდება ვინმე, რომ პრომეთეოსის მზვავსად მოსტაცოს აკრძალული ბედნიერების ცეცხლი იმათ, ვისაც ის ქალისთვის არ ემეტებათ.

მაშასადამე ჩვენ თვითონ უნდა ვეცადოთ შევკავშირდეთ, რათა მოვი-

პოლოთ აუცილებელი ძალა ბრძოლისათვის. რამდენიმე პირის მეცადინეობით დააარსებული ქალთა კავშირი ვაჟამავრეთ და შევექმენით ძლიერი წრე, რათა გვებრძოლა ჩვენი მომავლის გასაუმჯობესებლად. და დღეს ინტელიგენტი ქალები, შეკითხვაზე, თუ რატომ არ ესწრებიან ქალთა კრებას, ასე პასუხობენ, „რა მინდა რომ წამოვიდუ, არაფერია საინტერესო!“

ბუნებრივია, ქალთა საზოგადოება იქნება ისეთი, თუ როგორ ყურადღებას გამოვიჩინებთ საქმისადმი“.

გაზეთი „ერი“

1914, №17

### ქალთა გიმნაზიები

„სახალხო განათლების მინისტრმა ქალთა გიმნაზიის საქმეთა რეფორმის პროექტი მოიწონა. გიმნაზიები რვა კლასიანი იქნება და ლათინური ენის სწავლას სავალდებულოთ განდიან. ქალთა გიმნაზიის დასრულება ქალებს იმგვარ უფლებას ანიჭებს, რაც ვაჟთა გიმნაზიის დასრულება მამაკაცებს“.

გაზეთი „იმერეთი“

1914, №71

### ჩვენ შორის

„ქართველი ერის არსებობისათვის საჭიროა: ენისა, ტერიტორიისა, სახელისა და გვარის შენარჩუნება. ჩვენს ენას, ტერიტორიას, სახელსა და გვარს სამი უმთავრესი მტერი ყავს. ეს მტრები არიან: გარეშე უხეში ძალა, ნაციონალური შეუგნებლობა და მამულის უსიყვარულობა. გარეშე უხეში ძალას სულითა და გულით სურს ჩვენი გადაგვარება და ამ მიზნისათვის არაფრითა იარაღის ხმარებას არ ერიდება, ჩვენდა საუბედუროდ და სამწუხაროდ ჩვენდა, ნაცვლად იმისა, რომ ძალას ძალა დაუპირისპიროთ, ჩვე-

ნი ნაციონალური შეუგნებლობის და მამულის უსიყვარულობის გამო, ხშირათ ამ გარეშე ძალას ხელს ვუწყობთ და, ამ რიგათ, ჩვენი გადაგვარების „პროცესს“ ვაჩქარებთ.

ყოველი შეგნებული ქართველისათვის ცხადია, რომ დღეს ჩვენ ენას მთავრობის სკოლებში მაინც შესაფერისი ადგილი არ უჭირავს და მას (ენას) იქიდან კიდევაც სდევნიან, მაგრამ ერთი ეს მიბძანეთ, ჯერჯერობით ოჯახში ხომ მაინც არაფერს შემოგვებტომია და არ აუკრძალავს ჩვენთვის ქართულათ ლაპარაკი, რომ ჩვენი ინტელიგენციის უძრავლესობა სულ რუსულათ ქღურტულებს თავის ცოლ-შვილში?! ორი და სამი ქართველი რომ თავს ვიყრიდ ერთად, ჩვენს მუსაიდეს ქართულად რომ ვიწყებთ (ხშირათ საუბედუროთ დაწყებითაც სხვა ენაზე ვიწყებთ) რუსულათ რათ ვათავებთ ან ერთმანეთში დომხალივით რათ ვურევთ?! უსათუოდ მკითხველს პასუხი ძხად აქვს, რომ ეს აღზრდის ბრალია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენ ჩვენ სკოლებს ისე არა ვზრდით, როგორც ნაციონალური შეგნება მოითხოვს, პედაგოგიკას რომ თავი დავანებოთ. თქვენი შვილი შვიდ წლამდის ხომ თქვენ ოჯახში გყავთ, აკვანშივე ნუ ჩასციცინებთ მას მამის ნაცვლად „პაპას“ და დედის ნაცვლად „მამას“, ბავშვობიდანვე შეაყვარეთ მას სამშობლო ენა და გწამდეს, რომ დანარჩენი აღზრდის დროს ის უხეში ძალა და სასკოლო ბიუროკრატიული რეჟიმი თავის ღვარძლის დასათესად მომზადებულ ნიადაგს ვერ იპოვის თქვენი შვილის გულში. ჩვენი ენის მოსაზებაში თუ ხელს უწყობთ ბიუროკრაციას ნაკლებ ენერჯიას არც ტერიტორიის განადგურებაში და სახელისა და გვარების შეცვლაში ვიჩენთ, ქართლში თუ ძალით გვართმევენ ტერიტორიის ველსა, სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხეებში ჩვენი თავად-აზნაურობა თავის ნებით ყიდის ჩაღის ფასად მამულსა უცხო ტომის ხალხზე და აქირავებს სხვადასხვა ბანკებში და ანაღები ფულეებით „პარიარალოს“ იძახის.

ჩვენი ისტორიული სახელების აღმოსათვზრელად დიდ ცდაშია სასულიერო ბიუროკრატია, მაგრამ, ჩვენ თუ ეროვნული შეგნება არ გვაკლია,

ქართულ სახელებს, რომლის დარქმევის ნებას მაინც ვვაძლევენ, რატომ ქართულია? ნუ თუ „ნინოჩკა“ სჯობია ნუცას, „ვარვარა“ – ბარბარეს, „სონია“ – სოფიოს, „მინაილ“ – მიხეილს, „ვასილ“ – ბასილს, „ვარდიტ“ – ბავრატს და სხვა?

რაც შეეხება ჩვენი გვარების რუსულათ დაბოლოებასა და გამოთქმას, ამის შესახებ ნომ პირდაპირ ბოროტათ ვიქცევით: განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. თუ ბოროტება არა, აბა რა არის, ერთი მიბძანეთ, როდესაც რობიტა შვილი თავის გვარს „რობიტოვ“ სწერს; ხანია შვილი – „ხანაევ“; გულისა შვილი – „გულისოვ“; მაისურაძე – „მაისუროვ“; ალადა შვილი – „ალადოვ“, ბარათა შვილი – „ბარატოვ“; ეზიკა შვილი – „ეზიკოვ“ და სხვა, ვინ ჩამოთვლის? ქართველმა მაჰმადიანებმა შეინარჩუნეს თავისი ქართული გვარი ოსმალების ხელში და ჩვენ ქრისტიან ქართველებს რა გვეძარება ეს?! დამწვარზე ძღუთარეს რას ვასხამთ?“

მ. ფარცხნალოელი.

გაზეთი „იმერეთი“  
1914, №72

### ჩვენი პრესა

„წ. კ. გ. საზოგადოება ჩვენში ერობის მაგიერობას ასრულებს. ცხადია, ის ძალაღო ფარდებს უნდა მოშორდეს და თავისი მოქმედების სიმძიმის ცენტრი თვით ხალხში გადაიტანოს. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ ომს ვუცხადებთ წ. კ. საზოგადოების ძველ მოღვაწეობას. ეს აბსურდია. ყოველი ხანა თავისებურ მოღვაწეობას მოითხოვს. მარა „ისა სჯობს მამული-სათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

საჭიროა ხალხს მივეშველოთ, – წ. კითხვის შესწავლა ვაუყადვილოთ და მით კულტურული სამეფოს წევრი ვავხადოთ. ეს შეიძლება საკვირაო შკოლები და საღამოს კურების მოწყობით. ამავე საქმეს ემსახურებიან სახალხო უნივერსიტეტებშიც. საჭიროა მათთან შეთანხმება ან დამოუკი-

დებლათ საქმის გახარზვა.

ჩვენი მიზანია ყველა მოქალაქე, განურჩევლათ სქესისა, წერა-კითხვის მცოდნე გაახადოთ. თუ ამ საქმისათვის სისტემატიურათ ვიზრუნებთ, 15-20 წლის განმავლობაში მიზანი თითქმის მიღწეული იქნება და ჩვენც თინ-ლანდიელებსავით შეგვეძლება თავი განათლებულ ერთა შორის ჩავრი-ცხოთ.

ქუთაისში საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსე-ბია გახსნილი. კურსებზე მოწვეულია იმერეთის, გურია-სამეგრელოს ზო-გიერთი საეკლ. სამრევლო სკოლების მასწავლებლები, რიცხვით სულ 60-მდე კაცი. კურსებს ხელმძღვანელობს დეკანო ზი მიხეილ პაშკევიჩი.

რუსული ენის სანიმუშო გაკვეთილების მისაცემათ და ამავე ენის მე-თოდის ლექტორათ მოუწვევიათ ლევიცკის მუნჯური მეთოდის ღრმა პატივისმცემელი ბ. მკურნალი.

ბ. მკურნალმა რუსული ენის ლექსიკური განყოფილების სწავლების შესახებ თავისი პირველი ლექცია უამბო მსმენელთ სამ ივნის, საღამოს ხუთ საათზე, ლექტორმა სრულებით უარყო თარგმნითი მეთოდი და სამ-შობლო ენის დახმარება ლექსიკური განყოფილების გაფლის ღროს. ერთის სიტყვით, მან სავსებით ის აზრი გაატარა თავის ლექციაში, რომ თარგმნი-თი მეთოდზე აშენებული სახელმძღვანელოები უვარვისია ქართული სკო-ლებისთვის და უპირატესობა ლევიცკის მუნჯურ მეთოდს დაუთმო; ასევე საშუალება იხმარა ბ. მკურნალმა 1895 წ., როდესაც პირველათ იყო იგი მოწვეული იმერეთის ეპრაქიის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსებზე რუსული ენის სანიმუშო გაკვეთილების მოსაცემათ, მაგრამ, ვვიკვირს, რატომ არ ახსოვს ბ. მკურნალს, რომ მისი რუსული ენის სანიმუ-შო გაკვეთილი გარჩევის ღირსათაც არ იცნო მაშინდელმა იმერეთის საე-პარქიო საბჭოს თავმჯდომარემ და კურსების ხელმძღვანელმა დიდათ პა-ტივისმცემელმა დეკანო ზმა მ. ვაბრიელ ცავარეიშვილმა. დღეს კი დრო გა-მოიცვალა და ახლანდელი კურსების ხელმძღვანელი არამც თუ მუნჯური

მეთოდით ბ. მკურნალისაგან მიცემულ ვაკვეთილს მოიწონებს, არამედ მკონია გასამრჯელოსაც კი მისცემს. მაგრამ ამათ ხარჯავს იგი თავის ენერჯიას. სალი პედაგოგიკის პრინციპების წინააღმდეგ ვალაშქრება მარტო წყლის ნაყვანა, ვუსურვებთ დღევანდელ კურსისტებს მეტი ფხა და სიყვარული გამოეჩინოსთ ჩვენი დევნილი ენის დაცვის საქმეში“.

მ. ბუაჩიძე.

გაზეთი „იმერეთი“

1914, №80

### ქართული ენა

„ქართულ სცენის მოღვაწეთა ყრილობის დადგენილებათა შორის ყურადღებას ერთი დადგენილება იპყრობს, რომელიც ყრილობამ შეძვე სიტყვებში გამოხატა: „სცენა ზე და დრამატულ ლიტერატურაში გაბატონებულ უნდა იქნას ქართული სალიტერატურო ენა და განდევნილ იქნას პროვინციალური ჟარგონი, არა გვეკონია ასეთი რეზოლუცია საჭირო ყოფილიყო ფრანგ სცენის მოღვაწეთა, ან რუს სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე. თავისთავად ცხადია, რომ სცენა ზე ენა ლიტერატურული უნდა იყოს. ან რაც უფრო გასაოცარია, მსახიობმა ენა კარგად უნდა იცოდეს. მაგრამ როცა ჩვენ სცენის მოღვაწეთა ყრილობა ასეთ ტრუიზმს იმეორებს – ამას თავის საფუძველი აქვს, არსად ენა ისე არ არის შეწყვნილი, როგორც ჩვენში საზოგადოთ და კერძოთ სცენაზე. სად არის ამის მიზეზი? იმის თქმა, რომ ჩვენმა მსახიობებმა ლაპარაკი არ იციან, უსამართლობაა. ვლ. მესხიშვილის ქართული ან მ. საფაროვის გამოთქმა კლასიკური ქართულია. მაშასადამე ჩვენ ახალგაზრდა მსახიობებს ჰყავთ თავისი მასწავლებლები, რომელთაგანაც შეუძლიათ ნამდვილი ქართულის შესწავლა. თუ ასეა, მაშ საიდან გაჩნდა ჩვენ სცენაზე ის, რასაც ყრილობა თავის რეზოლუციაში „ჟარგონს“ ეძახის? ამაში დამნაშავენი მსახიობები კი არ არიან, რომელთა ენასაც რეპრესიებით ბრძოლას უპირებენ, დამნაშავეა ძველი ჩვენი ლიტე-

რატურა საზოგადოთ და კერძოთ დრამატიული.

მოიგონეთ რითი დაიწყო ქართული თეატრი? ვ. ერისთავის პიესებით, რომლებშიც ჟარგონს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამას ვერ ასცდა აქვს. ცავარელი და ამ რიგად ორმა ჩვენმა საუკეთესო დრამატურგმა ისეთი მდგომარეობა შექმნეს სცენაზე, როცა საუკეთესო კომიკ-მსახიობათ ის მსახიობი ითვლებოდა, რომელიც უფრო მეტათ დაამახინჯებდა ქართულს აგრეწოდებულ სომხურ „ყაიდაზე“.

როდესაც სომხური „ყაიდა“ ქართული ენისა საკმაო არ ვახდა ქართველ მაყურებლისთვის, მას მიაშველეს იმერული, გურული, ტეტიური და სხვა გამოთქვა-ჟარგონები. ამ რიგათ ქართველი მსახიობი ქართულმა მწერლობამ ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში. რეზოლუციის სიტყვები - „სცენაზე გაბატონებული უნდა იქნას ლიტერატურული ქართული“ - გაუგებარი დარჩება მსახიობისთვის, რადგანაც რეზოლუცია არ საზღვრავს, რომელია ლიტერატურული ქართული? აიღეთ ჩვენი საუკეთესო ბელეტრისტები: ა. ყაზბეგი მოხევეურ გამოთქმას დიდ ადგილს უთმობდა თავის ნაწარმოებში, დაუ. კლდიაშვილი სწორედ იმერულ გამოთქმაში ჰპოვებს თავის ჰუმორს, ეგნატე ნინოშვილი „კი გურულათ“ სწერდა, თუ შეიძლება ასე ითქვას. იმის თქმა რომ ამ მწერლების ენა ლიტერატურული არ არის, - შეუძლებელია, რადგანაც თვით „ჟარგონიც“ ლიტერატურულ ენად ჩაითვლება, თუ კი ის მხატვრულად არის შესრულებული. მხატვრობას კი ზემოთ დასახელებულ მწერალთა ნაწარმოებს ვერვინ გამოსწირავს. ასეთი მწერლები კი ჩვენ მრავლად გვყავს, მათი ნაწარმოები სცენაზე ვადადის და ამრიგათ ჟარგონს მსახიობები კი არა ჰქმნიან, მწერლები, ამიტომ, თუ ყრილობის რეზოლუცია სავალდებულოა მსახიობებისთვის, უფრო მეტად სავალდებულოა მწერლებისთვის.

ის მოვლენა, რომ ჩვენი მწერლები პროვინციალურ გამოთქმებით სწერენ გაცილებით მეტია, ვიდრე „ჟარგონი“. ეს არის ლიტერატურული პარტიკულარიზმი ენისა, რომელსაც დასაწყისი ჩვენ წარსულ პოლიტიკურ პარტიკულარიზმში აქვს. მაგრამ ჩვენი ცხოვრება სავრძნობლად შეიცვა-



ლა, გაერთიანება ქართველი ერისა, მის ყოფილ სამთავროთა და სამეფოთა უკვე მოხდა. ეკონომიკური და პოლიტიკური პარტიკულარიზმი წარსულს ხაბარდა, წარსულსავე უნდა ხაბარდეს განსხვავება ლიტერატურული მართლწერისა და გამოთქმისა. მაშასადამე, ჩვენ უნდა შევქმნათ ერთი ენა, ერთი მართლ-წერა და ერთი გამოთქმა, ეს არის უდიდესი მოვალეობა არა მარტო ჩვენი ლიტერატურისა, ჩვენი პოლიტიკურის შეგნებისა. განათლებული გურული, მეგრელი, იმერელი და ქართლელი ერთის ენით და ერთის პრონონსით უნდა ლაპარაკობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უფლება გვაქვს ასეთი ქართველი გაუნათლებელი ქართველათ ჩავსთვალოთ, რომელმაც „ლაპარაკიც კი არ იცის“. აქ გასაოცარი არაფერია! ფრანგი, რომელიც მე-19 საუკუნეში პარიზის სალონში ბრეტონელ გამოთქმით ილაპარაკებდა, „მოვეტონის“ სახელს დაიმსახურებდა. ამიტომ ყოველი ახალგაზრდა პროვინციელი უპირველესად ენას სწავლობდა პარიზში. ის დადიოდა თეატრში, რომ გაეგო ენა რასსინისა, კითხულობდა ვოლტერს, რომ შეეთვისებინა მისი სტილი და ამ რიგად ფრანგი გამხდარიყო.

სამწუხაროდ, არც ჩვენი ახალგაზრდობა იძლევა ამის ნიშნებს, არც ჩვენი ძწერლობა. ეს ჩვენ კულტურულ და პლასტიურ გაერთიანებას აგვიანებს. გაერთიანებას კი ისე არავინ საჭიროებს, როგორც ქართველი ერი. ვერავითარი პოლიტიკური იდეა ვერ გავგაერთიანებს, თუ ერთი ქართული იერი არ შევქმენით. ეს იერი უნდა გამოიხატებოდეს ჩვენს პსინიკაში და ფინიკაში. თუ ორი ქართველი ერთმანეთს არა ჰგავს თავის სხეულით, ერთი მათგანი უკვე დეგენერატია, თუ ორი ქართველი ერთნაირად არ ლაპარაკობენ, ერთის ენით და ერთის გამოთქმით, ერთი მათგანი ჯერ კიდევ ქართველი არ არის. აი რას უნდა ჩაუფიქრდეს მთელი ჩვენი ახალგაზრდობა! ამაზედვე უნდა იფიქროს ჩვენმა ლიტერატურამ და ერთის ენით შექმნით ქართველ ხალხს ერთი ფინიკა და ერთი ფსინიკა უნდა მისცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევქმნით ერს“.

შ. ამირეჯიბი.

**სამრევლო შკოლების მასწავლებელთა კურსებზე**

„ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამჟამად ქუთაისში იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო შკოლების მასწავლებელთა კურსები მოქმედობს. ამ კურსებზე დაუჯერებელი ამბები ხდება. კურსების ლექტორი ბ. მკურნალი, როგორც ჩვენს გაზეთში იყო აღნიშნული, „ისე სიტყვას არ წარმოთქვამს, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელო უდიერად არ მოიხსენიოს“. ამასთანავე კურსების მსმენელები მოკლებული არიან უფლებას, პასუხი გასცენ ისეთ საზიზღარ საქციელს ბ. ლექტორისას, რომელიც აშკარათ მუნჯურ მეთოდის უპირატესობას ქადაგობს.

ჩვენ გაზეთში აღნიშნული იყო, სხვათა შორის, ისიც, რომ მუნჯურ მეთოდს თვით ჩვენ მოსწავლეთა შორის აღმოუჩნდა მოძნრე და, როგორც მაგალითი, მოყვანილი გვყავდა მასწავლებელ ქალის ქალბ. ანა გეგენავას საქციელი“.

**ქართული ენა**

„ჩვენს გაზეთში რამდენიმე წერილი დაისტამბა ქუთაისის გუბერნიის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა საზაფხულო კურსების შესახებ, რომელიც ამჟამად მოწყობილია ქ. ქუთაისში. ამ წერილებმა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვიეს, როგორც აქაურ, ისე თფილისის ქართველ საზოგადოებაში.

უძთავრესი ნაკლი ამ კურსებისა ის არის, რომ მისი ხელმძღვანელნი ბ-ნ მკურნალის სახით იცავენ ლევიცკის მუნჯურ მეთოდს, უდიერათ ეპყრობიან განსვენებულ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს და მით, რასაკვირველია, აბუჩათ იგდებენ სამშობლო ენას.

ვინც კი იცის გულისთქმანი უმაღლესის სასულიერო მთავრობისა, ვინც კი იცნობს ზეენებურ სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში გამეფებულ რეჟიმს სწავლისას, იმისათვის არაფერი საკვირველი არ არის, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის კურსების მომწყობნი და მათი ხელქვეითნი „მუნჯურ მეთოდს“ აძლევენ უპირატესობას პედაგოგიკაში. მათი უწმინდესი მიზანი და დანიშნულებაა, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიექცეს ამა თუ იმ არარუსთა სამშობლო ენა, – საკვირველი ის არის, რომ ზეენ, ქართველები, მხოლოდ სიტყვიერ აღმფოთებით ვეკმაყოფილდებით და სრულიადაც არ ვცდილობთ რაიმე რეალური გამოხატულება მივცეთ ხოლმე ზეენს აღმფოთებასა და სამართლიან გულშისთქმას.

ბ-ნი მკურნალი, რომელსაც თურმე თავიც კი მოაქვთ თავის ქართველობით, მხარს უჭერს „მუნჯურ მეთოდს“, მასწავლებელნი კი, სოფლის მასწავლებელნი, რომლებიც მხსნელნი და დამცველნი უნდა იყვნენ სამშობლო ენისა, ყურს უვდებენ თავის ხელმძღვანელებს და მხოლოდ ხუმად იტანჯებიან; კორესპონდენტები სწერენ სამართლიან წერილებს, საზოგადოება კითხულობს მათ (შეიძლება არც კი კითხულობდეს. ესეც ერთგვარი სენია ზეენის ინტელიგენციისა და შესმენილ „ნოქრების“ ერთის ნაწილისა). ხოლო „ზეენი ხელმძღვანელნი“, კი ხითხითობენ და კვლავ თავის „საქმეს“ განავრძობენ. ასე იყო უწინ, ასეა დღესაც.

ერთ წელიწადზე მეტია, ქართულმა პრესამ აღძრა საკითხი ქართული ენის სასწავლებლებში კარგად დაყენების შესახებ; ბევრი მშვენიერი სიტყვა წარმოითქვა, ბევრი გულის ტკივილი გამოითქვა, მაგრამ კი არა გაკეთებულა რა, გარდა იმისა, რომ ყველას დიდი სურვილი აქვს ქართული ენის მოწყობისა. ერთის მხრით ესეც სანუგეშო მოვლენაა, რადგანაც ნათლად მოწმობს იმ გარემოებას, რომ ზეენი ხალხი არა მდგარა გადაგვარების გზაზე, და დღეს თუ არა, ხვალ, მაინც მიაღწევს თავის სურვილის განხორციელებას, სავალალოთ მათდა, ვინც „მუნჯურ მეთოდში“ ხედავს ლოკმა პურის ძიებას.

ამისათვის კი, ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა:

1) მოწვეულ იქნეს სრულიად საქართველოს ყველა სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელთა ყრილობა;

2) შემუშავებულ იქნეს საერთო პროგრამა როგორც დაბალ, ისე საშუალო სასწავლებელთათვის და

3) ყოველი ღონე უნდა იქნეს მიღებული, რომ კანონმდებლობისა თუ უმაღლესის ნებართვით ქართულ ენას მიენიჭოს სავალდებულო საგნის უფლება.

მაშინ მუხჯური მეთოდი და მისი მოძიებე მშიშარა მოხელეები გაქრებიან, ვით შარშანდელი თოვლი და ქართულ ენასაც დაედება ის პატივი, რომელიც მას ღირსეულად ეკუთვნის.

საქართველოს სკოლებში სახელმწიფო ენასთან ერთად უნდა გაბატონდეს ქართული ენაც“.

გაზეთი „იმერეთი“

1914, №85

„პედაგოგიური კურსების ლექტორი ბ-ნი მკურნალი ისე სიტყვას არ წარმოსთქვამს, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები უდიერათ არ მოიხსენოს, კურსების მსმენელები კი მოკლებული არიან პასუხი ვასცენ ასეთს საზიზღარ საქციელს ბ-ნი ლექტორისას, რომელიც აშკარათ მუხჯური მეთოდის უპირატესობას ქადაგობს.

პედაგოგიურ საკითხში, ცოტათ თუ ბევრათ, გაწრთვნილ სოფლის მასწავლებელს, ნუთუ არ უნდა შეეძლოს გამოსთქვას თავისი მცირედი აზრი უსამართლობის წინააღმდეგ, რათა ამით მაინც არის ალღო აუღონ ამგვარს შეუფერებელ მეთოდს სწავლისას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხინოვნიკურ სამსახურში გამოინატება, აშკარაა, რომ ამგვარი „უფლება მოკლებულ“ მუხჯური მეთოდის ხელმძღვანელთ სურთ გვერდი აუქციონ სამართლიან კროტიკას და „ამ ქვეყნის ძლიერთა“ გულის მოსა-

გებათ ამგვარი მეთოდი გააგრძელონ სუსტ ხასიათიან მასწავლებლებზე მაინც. მიზანსაც აღწევენ; განა ამას არ მოწმობს ქ-ნ გეგენაუას გაკვეთილი?

და ამ დროს „უფლება მოკლებულ“ მასწავლებელთ ენა დაუბიათ და უფროსების შიშით საწინააღმდეგო ვერაფერი უთქვამთ. განა შეიძლება ასე?...

ქება და დიდება გეგენაუას ქალს, რომ მისმა გაკვეთილმა ასე მშვენიერათ, სრულიად უკრიტიკოდ ჩაიარა, მაგრამ დარწმუნებული იყავით ქ-ნო, რომ ეგ თქვენდამი აღსარებული მეთოდი დროებითია, გავა ხანი და თქვენ მიერ ნაწამებ მოწაფეებს შესაფერ დაღს დაასუამს ამგვარი სწავლება - ისინი მხოლოდ მოიღალეებიან, მოიქანცებიან და წლის ბოლოს შეგჩნებათ გონება აბნეული მოწაფე, რომელსაც თვითვე არ ეცოდინება, რასაც ლაპარაკობს. მაშინ თქვენ თვითონ უკუაგდებთ ამგვარ მეთოდს სწავლისას და კვლავ დაუბრუნდებით ქართველი ბავშვის ბუნებასთან შესისხლხორცებულს, მის საყვარელ ენის საშუალებით უცხო ენის სწავლებას. ელემენ. პედაგოგის პრინციპის მიხედვით, ცხადია, რომ ნაცნობ ენის შემწეობით უფრო ადრე შეითვისებენ უცხო ენას, ვიდრე თვით ამ უცხო ენის შემწეობით. ამას ჩვენ გვიმტკიცებს თვით თვით პრაქტიკული ცხოვრებაც ზოგიერთ იმ ცოტათ თუ ბევრათ ნორმალურ შკოლებისა, სადაც თარგმნითი მეთოდია გაბატონებული“.

გაზეთი „იმერეთი“

1914, №88

### ქართული ენის მღვთმარება ჩვენს სკოლაში და მწერლობაში

„ყველას კარგად უნდა ახსოვდეს შარშანდელი პოლემიკა აწ განსვენებული პედაგოგის ი. გოგებაშვილისა ბ. ხუნდაძესთან ქართულის ცოდნა არ ცოდნის შესახებ. ჩვენი აზრით, დიდი გაუგებრობა გამოიჩინა განსვენებულმა პედაგოგმა, როცა მან ბ. სილოვან ხუნდაძეს, თითქმის ლალატი

დასწამა ი. ჭავჭავაძის ენის დაწუნებისათვის: როგორ თუ დიდმა ილიამ წერა არ იცოდა, რომელმაც ქვეყანა თავისი ნაწერებით აავსო?! გაუგებრობა იყო მეტი არაფერი! ერთი ამტკიცებდა, ქართველმა მწერლებმა ქართული მართლწერა არ იციანო, მეორე უმტკიცებდა, როგორ თუ არ იციან, იციან და კარგად იციანო!

ჩვენ ქართველები ძლიერ ხშირათ ვატყუებთ ასე თავს! გვეონია, რაღაცა ვიცით და საქმით კი სულ სხვა გამოვვდის! ეს საკითხი ძლიერ მოძიებულია ჩვენში, მასთან თითქმის, ჯერ სრულიად ხელუხლებელიცაა და ღირს მასზე შეხერება. ვეცდები, რომ ეს დიდი გაუგებრობა მალე გაუფანტო და დაუამტკიცო უტყუარი საბუთებით, რომ, თუ სიმართლეს ვიტყვით და პირადი უხერხულობით არ მივაფუჩხებთ საქმეს, არც პედაგოგებმა და არც ერთმა კალმოსანმა, არც შენ, მკითხველო, და არც მე, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, ქართული მართლწერა რიგიანათ არ ვიცით ანუ არ დაგსდევთ მას, რადგან ქართულში წერა იგივეა, რაც ლაპარაკი, ამიტომ არც ვვაწუხებს არც მართლწერა და არც მართლმეტყველება!

რალა თქმა უნდა, რომ საშინელებაა ეს საქმე! როგორ?! მწერლებმა არ იციან წერა? არ იციან ის წერა, რომელიც სხვა კულტუროსან ერებში ბავშვებსაც კი ევალებათ 7-8 წლიდან?! ღიად, არ იციან და არც უნდათ, იცოდენ, თითქმის ვერც-კი ამჩნევენ, რომ ეს სწორეთ ასეა!

შეიძლება, ელტი ძხრით, ეს სამწუხარო მოვლენა არც ისე ძნელი ასახსნელი იყოს. მართალია, ან სულ რათ გვინდა ეს რაღაცა მართლწერა და მართლმეტყველობა, როდესაც უამათოდაც იოლათ გამოვდივართ?! ვინ ვვაჯარიმებს ცუდი წერისათვის?! ან ცუდი ლაპარაკისათვის?! ან კლასში ვინ გტოვებს მაგის გამო, ან კლასში მიღებაზე ვინ ვეუბნება უარს? ან ვისი ვეშინია?! ვინ დაგიწუნებს და დაგემღურება!? ვინ გიკეთებს კრიტიკას?! დაგიმადლებენ კიდევაც გარედან, შიგნიდან კი ვინ შევიტყობს, რომ ცუდად სწერ?!

საწყლები ვართ ჭეშმარიტათ! იმას ველარ ვგრძნობთ, რასაც ყველაზე

მეტათ უნდა ვგრძნობდეთ! იმისი აღარ გვრცხვევია, რითაც სხვები სირცხვილით დაიწვოდენ! სადმე დიდ შეკრებულობაში რომ რუსულათ ღაპარაკობდე და წამოგცდეს *один кость, одна время*, თავში წვეთი ავივარდება სირცხვილით, მაყურებელი საზოგადოება გიკვილებს, ზნეობრივათ გაგანადგურებს, მთავრობა სამსახურიდან გამოგაგდებს, თორმულიარს წავიხდენს, მაგრამ ქართულში დიდიდან საღამომდინაც რომ იღაპარაკო ასე, და უარესადაც, რა გიშავს?! ვინ შეგიტყობს?! ვინ გაგცემს ხმას?! რომელი ყურნალი, რომელი გაზეთი, რომელი თუნდა პირველხარისხოვანი მწერალი სწერს ქართულათ დღეს ისე სწორა, რომ გაარჩიო ნაწერი, როგორც შევირდის რვეული, და ყოველ სიტყვას, ყოველ წინადადებას წითელი ხაზი არ გაუსვა ქვეშ?! აბა, მაჩვენეთ, თუნდ ერთი გვერდი მაინცა, რომ გასწორება არ სჭირდებოდეს! დამერწმუნეთ, რომ ვერ მაჩვენებთ!

აი, ბატონებო, რატომ დავიწყეთ საუბარი შორიდან! აქ, სწორეთ აქ გაჰქრა ჩვენი ეროვნული გრძნობიერება, სული, ალოლო! აი, სად არ გაგვაჩნია დისციპლინა და სკოლა!...პაერი მოიშხამა და ოდესღაც საოცრად გაფურჩქნელი ენა თვალწინ გვიტყუნება, გვენგრევა „ტადარი წმინდა“ და ჩვენ გვასხენ თვალნი ხედვად და ვერ ვხედავთ! მოისპო ბაზარი კაი, სწორი დარბაისული ქართულისა და აღარავის აღარ გამოაქვს იგი გასასაღებლათ! აღარ არის საზოგადოებრივი მოთხოვნილება ასეთ საქონელზე, როგორც არის ქართული მართლმეტყველობა და მართლწერა და გაჰქრა ერთიცა და მეორეც: არც კი ვიცით, არსებობს თუ არა კიდევ ასეთი საკითხი? ის აზრიც კი ტრიალობს ჩვენში, რომ ქართულში მართლწერა არ არისო, როგორც უნდა დაწერო, სულ ერთია, ყველა კაი გამოვაო! ხედავთ, ბატონებო, გრძნობთ, სად მივდივართ?! ბედნიერნი, **ბ**-სა და **ბი**-სა და **ბ**-ს რომ ვერ პოულობენ, მიტომ ეჩვენებათ ასე!

აი, სამარცხვინო საქმეზეა ღაპარაკი და სამართლიან შენიშვნაზე ბრაზდებათ, ერთსაც არ დაფიქრებიათ, თუ რაშია საქმე! ეს მარტო ქართველს მოუვა, მარტო ქართველის სპეციფიკური სენია! არა მგონია, რომ

სხვას ვისმე ეს მოუვიდეს!

რა თქმა უნდა, რომ ყალბმა პირობებმა, უკუღმართმა დრომ შექმნა ეს ატმოსფერო და გადაგვარების ვ ზა ზე დაგვაყენა, უფსკრულისაკენ გვიქნა პირი და ნელ-ნელა, თითქმის შეუძინველათ მიგვაცურებს ქვევით, მაგრამ მაინც თავს არ უნდა ვიძარტლებდეთ და არც საფრთხეს ვმაღავდეთ; ვმაღავთ და განა შეიძლება ამ სენის განკურნება?! იმ სნეულს ვინ მოარჩენს, რომელიც სნეულობას არავის უძნელს და მუდამ იმას გაიძახის არაფერი მტკივაო?! შეიძლება მას ძილში მაინც შეაპაროს წამალი ჭირისუფალმა, მაგრამ ჩვენ სიტუბი ზღოეში რომ არავინ გაგვაჩნია ჭირისუფალი, ძილში ვინ-ღა ეშმაკი მოგვეძალება?! აღარც თვითონ ვაქცევთ ჩვენ თავს ყურადღებას და სრულიად ტყე-ტყე წავედით, „ბნელით მოსილ პირველყოფილობას“ განვიცდით!

წინდაწინვე ვგრძნობთ, რომ ჩვენში ბევრი მეტიხარა და ურწმუნო თომა აღმოჩნდება, ბევრიც შემოგვეწყრება, ვინ ოხერია ეს, ყველას რომ ქართულს გვიწუნებს, თვითონ რაღა დიდი მოქართულეა და ან რა საბუთით ამაგრებს ასეთს საშიშარ ბრალდებასო. ამ „საბუთებს“, ბატონ ურწმუნო თომებს და ძალით ფილოსოფოსებს, შემდეგ წერილში მივართმევ; აქ კი შევნიშნავთ ერთს: ჩვენ შორს ვართ იმ ფიქრიდან, რომ ყველას ქართულის არცოდნა ვუყიყინოთ, ჩვენი თავი კი დიდ მოქართულეთ წარმოდგინოთ, ღმერთმა გვაშოროს ასეთი სიბრძავე და თავხედობა! არც ის გვაქვს მიზნათ, სხვას ქართული ვასწავლოთ. ჩვენზე უკეთესი მოქართულე ბევრია, მაგრამ ნამდვილი მოქართულე კი არც ერთი“.

გაზეთი „იმერეთი“

1914, №94

### პროტესტი სამრევლო სკოლების მასწავლებლებისა

„იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლის მასწავლებელთა კურსებზე ჩვენ იძულებული ვხდებოდით მოგვესმინა ბ-



მეურნალის მუნჯური მეთოდზე დამყარებული ლექციები. არაერთხელ შეგვხვდა მის ლექციებს და არსებითად გაგვიცხეთ, მაგრამ საშუალება არ გვქონდა საჯაროთ დაგვეგმო ის. ვაცხადებთ პროტესტს საზოგადოთ მუნჯური მეთოდის წინააღმდეგ და ზიზღს ვუცხადებთ თვით მეურნალს და ყველა იმ პირს, რომელნიც ცდილობენ ჩვენი სახალხო სკოლებიდან გააძეონ სამშობლო ენა, ამასთანავე ერთმანეთ შორის, ვსდებთ მტკიცე პირობას დავიცვათ მ1 წლის გეგმა, მტკიცედ დავიცვათ სამშობლო ენა სკოლებში და საჯაროთ გაგვიცხოთ ის სულიერად დამახინჯებული ამხანაგები, რომელნიც შეეცდებიან მუნჯური მეთოდი გაატარონ თავის სკოლებში“.

გაზეთი „იმერეთი“  
1914, №119

#### ახალი ამბავი

„ამ ქადათ ქუთაისში იმყოფება კავკასიის სასწავლებლის ოლქის მზრუნველის თანაშემწე ბ-ნი ლარიონოვი. იგი ჩამოსულია ქართული გიმნაზიის მერვე კლასის ეგ ზამენებზე დასასწრებლათ. ხსენებულ გიმნაზიაში გამოცდების გავრძელება დღეს პირველ აგვისტოს დაიწყება. პირველი ეგ ზამენი ფრანგულ ენაში არის დანიშნული“.

გაზეთი „იმერეთი“  
1914, №126

„თფილისის პოლიცემისტერმა ბრძანება მისცა პრისტავებს, გერმანული წარწერები და პლაკატები შეცვლილ უნდა იქნეს რუსული წარწერებით“.

**ცოტა რამ უწესოება ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში**

„არა ერთხელ ვყოფილვარ აქაურ კათოლიკეთა ეკლესიაში და სწორედ რომ აღტაცებაში მოვსულვარ იმ წესიერებით, რომელიც ამ აღნიშნულ ეკლესიაში არის გამოფეხული.

მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც არა სასიამოვნო ამბები ხდება, რომელსაც ეკლესიის მოძღვარი, პატრივცემული მამა დამიანე, თუ ხელს არ უწყობს, ყურადღებასაც არ აქცევს, და ამდგვარ უწესოებას დიდი დისონანსი შეაქვს ქართულ კათოლიკეთა ცხოვრებაში... კათოლიკეთა ეკლესიაში წირვას ძველდელი ლათინურათ ასრულებს, მხოლოდ სახარებას წაიკითხავს ქართულათ. გალობა კი ლათინურია, მაგრამ აქამდის გალობდენ ალაგ-ალაგ ქართულათაც. ახლა კი ჩამოუყვანიათ ვიღაც პოლონელი ორლანოს დამკვირველი, რომელმაც თავისი არა სასიამოვნო გალობა შემოიღო. ქართული გალობა, რომელსაც წირვის დროს ხალხი ხანდახან ისმენდა თანდათან მოისპო, და ახლა გესმის რაღაც პოლონურ ჰანგებზე აწყობილი ლათინური გალობა. ერთხელ, კვირა დღეს, წირვას დავესწარი და, როგორც რომ მოისმა ასეთი გალობა, მთელი ახალგაზრდობა და რამდენიმე ხანშიშესული პირი ეკლესიიდან გამოვიდა. ძლიერ აღელვებულნი იყვნენ.

რა დაგეძარათ-მეთქი? - ვკითხე ახალგაზრდებს.

რალა რა იყო, თავი გვეჭრება საზოგადოებაში, თითო ვიღაც ჩამოვა და თავზე წამოგვაჯდებაო, - იყო პასუხი.

ამის შესახებ თურმე რამოდენიმეჯერ განუცხადეს ძველდელს, მაგრამ, როგორც ეტყობა, მას ყურადღება არ მიუქცევია ამ განცხადებაზე.

...კიდევ გალობაზე... როდესაც დავსწრებივარ პანაშვიდს, ან მიცვალებულის წირვას, გალობა ყოველთვის ყოფილა მხოლოდ ქართული. ახლა კი (მაგ. 16 აგვისტოს დავესწარი წირვას) გალობა სულ ლათინურია. რას ნიშნავს ეს? სად უნდა ვეძებოთ ამის მიზეზი?

ვინ გვაძალეებს გინდა თუ არა ლათინურათ ივალობეთო? თუ კი აქამდის ყოფილა ქართული, რა არის ახლა რომ შეიცვალა?

აქაურ კათოლიკეთა ეკლესიის მრევლმა ამ გარემოებას უეჭველად ყურადღება უნდა მიაქციოს, მით უმეტეს, რომ უდიდესი ნაწილი მრევლისა შეგნებულ ნაწილათ ითვლება ქართველ საზოგადოებაში. კმარა სიჩუმე...“

გაზეთი „იმერეთი“  
1914, №133

„ყ-დ სამღვდელთა იმერეთის ეფისკოპოსი გიორგი ქალაქის გამგეობას სთხოვს, აცნობოს მას, იმ შემთხვევაში თუ ქალაქს სალორიაზე ქალაქის მახლობლად მოეპოება საკმაო ადგილი, რომ მომავალი სასულიერო სემინარია მოთავსდესო. სამღვდელოებას ქუთაისში სემინარიისათვის თავისუფალი ადგილი კიდევ მოეპოება საფიხნიაზე ე.წ. „ხარაზოვის ბაღი“, მაგრამ ეს ადგილი უწმინდეს სინოდს უვარგისათ უცვნია“.

გაზეთი „იმერეთი“  
1914, №136

**ორიოდე სიტყვა ვალობის შესახებ კათოლიკეთა ეკლესიაში**

„გაზეთ „იმერეთი“-ს №132-ში მოთავსებული იყო წერილი „ცოტა რამ უწესოება ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში“, სადაც ბ. კეთილის მსურველი შეეხებოდა სხვათა შორის ვალობას, რომელიც სრულდება სავსებით ლათინურათ. რა არის ამის მიზეზი, რისთვის არის ასეო - უსაყვედურებდა ბ. კეთილის მსურველი მამა დამიანეს.

ამის შესახებ ჩვენ მამა დამიანესთან ვუქონდა მოლაპარაკება, რომელსაც დაესწრო აგრეთვე მამა შიო ბათმანიშვილი. ამ მოლაპარაკების დროს გამოიჩინა შემდეგი:

წირვა საზოგადოთ ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში (გარდა სამცხისა და ჯავახეთისა) სრულდება ლათინურათ, რადგან ეს ეკლესიები ეკუთვნიან რომის კათოლიკეთა რიგს. რაც შეეხება გალობას - გალობა არის და ყოფილა ლათინური, მხოლოდ ალაგ-ალაგ ხანდახან იგალობებდენ ხოლმე ქართულათ სხვადასხვა ლოცვებს.

ყოფილა ეკლესიის ერთი ბრძანება, რომლის ძალითაც წირვის დროს გალობაში ხართული უნდა იყოს, ეგრეთწოდებული გრიგოლისეული შეერთებული გალობა - პლან ცჰანტ - გალობა გრიგოლ პაპისა. პაპა გრიგოლ I (590-604 წ.) შეიმუშავა და გადასწყვიტა ხმარება ამნაირი გალობისა, რომელსაც შემდგეი დაერქვა ცანტუს გრექორიანუს - გრიგოლისეული გალობა. პაპი პიო X-ს დეკრეტით (11 აგვ. 1905 წ.) კვლავ დადასტურდა ეს გალობა, რომლის შესრულებაც ევალება ყველა ეკლესიებს ლათინის რიგის. და რადგან ეს გალობა ქუთაისის ეკლესიაში ლათინურ გალობის დროს არ იყო ხმარებაში, ამისათვის მამა დმიანემ ეს გალობა კვლავ განაახლა (ვინაიდან ეს გალობა ძნელი შესასრულებელი იყო და ქუთაისის ეკლესიას აქამდის სპეციალისტი პრვანისტი არ ყავდა, ამისატვის შესრულებაში ვერ მოეყვანათ).

უნდა აქვე შევნიშნოთ ის, რომ ეს 'პლან ცჰანტ' — ი აქაურ ეკლესიაში წინათაც იგალობებოდა და ახლაც იგალობება ქართულათ შობის მარხვაში და დიდ მარხვაში, როდესაც წირვის დროს მუსიკა უკრავს და მთელი გალობა სრულდება ქართულათ (ეს ლოცვები მთელი წირვისა შეგროვებულია ერთ წიგნში, სახელად „ცისკრის ლოცვანი“, რომელიც შეიცვას 654 ვვერდს; რამდენიმე ძველი ხელნაწერები ამ წიგნისა ინახება ქუთაისის ქართველ-კათოლიკეთა დავთარხანაში).

მიუხედავათ იმისა, რომ პაპი გრიგოლის გალობა წირვის დროს შეიძლება შესრულდეს ქართულათ, რაიცა ხანს სხვადასხვა წერილებიდან. მაგ. უფროს პატრი ფილიპეს წერილიდან, რომელიც საქართველოდან გაიგზავნა რომს 23 იანვარს 1815 წ. და საღაც შემდგეია მოხსენებული „.....რო-

დესაც იქ პატრი იქ იმყოფება, წირვა ლათინურათ სრულდება და მგალობ-  
ლები (იქ დიაკვნებათ წოდებულნი) ხმოან წირვაზე გალობენ და პასუხს  
აძლევენ ქართულად; აგრეთვე ამავე ნაირად ამბობენ ჟამ-კანონს და სხვა  
ლოცვებს“. (იხ. მღვ. მიხ. თამარაშვილის წიგნი „ისტორია კათოლიკოსებისა  
ქართველთა შორის“. გვ. 503).

...ამას ყველაფერს აქვს რამდენიმე დამაბრკოლებელი მიზეზები, მაგ.  
1) ახალმოყვანილმა ორგანიზტმა ჯერ ქართული კარგად არ იცის, 2) თვი-  
თონ ეს გალობა ძალიან ძნელია, ით უმეტესი, რომ ქართულ გალობისათ-  
ვის ამ ხმაზე ნოტები არ არსებობენ, 3) ხორო ძნლოდ ახლა დგება და სხ.  
და ეს ყველაფერი შეძრევ ში რასაკვირველია დაძლეული იქნება“.

სოსო ასლანიშვილი.

გაზეთი „იმერეთი“

1914, №138

### დიდ მნიშვნელოვანი საკითხი

„კერძო სასწავლებლების გახსნის შესახებ, კანონი სათათბიროსა და  
სახელმწიფო საბჭოში გატარებული, 1 ივლისს უმაღლესად დამტკიცდა.  
ეს კანონი დიდ ნაბიჯს წარმოადგენს ენათა გათანასწოებისაკენ. მისი ძა-  
ლით ძლიერ გადავიღებულია კერძო სასწავლებელთა გახსნა. ამგვარი  
სასწავლებლების დაარსება შეუძლიათ: საქალაქო და საერობო, თვითმარ-  
თველობათ, კერძო ამხანაგობათ და კერძო პირთ.

მეორე: დამაარსებელს ყოველგვარი ტიპის სასწავლებლის დაარსება  
შეუძლია მდაბლის, საშუალოსი და უმაღლესისა, საზოგადო განმანათ-  
ლებლისა, საეციალოურისა და შერეული პროგრამისა: ისეთისაც კი, რო-  
მელშიაც ორივე სქესის მოსწავლენი ერთად სწავლობენ: პანსიონითურთ  
და სხვა.

მესამე: კერძო სასწავლებელში, რომელსაც არ ექნება სახელმწიფო  
სასწავლებლის უფლება, სწავლა შეიძლება სწარმოებდეს დედა-ენაზე.

მეოთხე: ვისაც სურს სასწავლებლის დაარსება, უნდა წარადგინოს თხოვნა, სადაც ჯერ არს, კანონიერი ფორმით და, თუ ორი თვის (მდებალი სასწავლებლისთვის) ან სამი თვის (საშუალო და უმაღლესი სასწავლებლისთვის) განმავლობაში არ მოუვიდა უარი სათანადო მთავრობისაგან, ნება ექნება განსნას სასწავლებელი. მხოლოდ ორი გამორიცხვა საზღვრავს დედა-ენის უფლებას: 1) ქალაქის ან ევროპის ხარჯით დაარსებულ სასწავლებლებში სწავლა უნდა სწარმოებდეს სახელმწიფო ენაზე და 2) კერძო სასწავლებელში მასწავლებლობის უფლება არ ექნება მას, ვინც კერძო სასწავლებელი დააასრულა, თუ სახელმწიფო სასწავლებლის ატესტატი ან დიპლომი არ აქვს.

მაგრამ, იმედია, ბოლოს ამ განსაზღვრასაც აღარ ექნება ადგილი. დღევანდელი კანონი კი, შედარებით, დიდ უფლებას ანიჭებს დედა-ენას.

დღეიდან კერძო დაწესებულებათა და კერძო პირთ შეუძლიათ დაარსონ, როგორც ტაძისაც კი სურთ, სასწავლებლები: სამეურნეო, სატექნიკო, პროფესიონალური, საზოგადო განმანათლებელი და სხვა.

ამგვარ სასწავლებლებში სწავლა შეიძლება სწარმოებდეს დედა-ენაზე. მხოლოდ რუსული ენისა და რუსული სიტყვიერებისა და ისტორიის სწავლება უნდა სწარმოებდეს რუსულად. მაგრამ საშუალო სასწავლებლის პირველ კლასში და სასწავლებლის პირველ განყოფილებაში რუსულს დედა-ენის საშუალებით უნდა ასწავლიდენ.

უნდა მოვფინოთ ჩვენი ქვეყანა ქართული სახალხო სასწავლებლებით. რუსული ენის სწავლა, როგორც საგნის, სრულიადაც ვერ შეაფერხებს მოსწავლეთა განვითარებას. და, ოთხი წლის განმავლობაში რომ მოსწავლე ყველა საგანს ქართულად ისწავლის, ის უეჭველია, განათლებული კაცი შეიქმნება.

საჭიროა გვექონდეს აგრეთვე ერთი საშუალო ქართული სასწავლებელი, სადაც სწავლა ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს, რადგან, ჯერ ერთი, დედა-ენის საშუალებით უფრო ადვილია სწავლა და განვითარება და,

მეორე, ამგვარ სასწავლებელს დიდი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა ექნება. მხოლოდ აქ რუსული ენის სწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს სახელმწიფო ეგზამენების ჩაბარება და ატესტატის აღება. მაშ, აუცილებელია შემუშავდეს ამგვარი სასწავლებლის ნორმალური პროგრამაც.

რაც შეეხება ქართულს უმაღლეს სასწავლებელს, უნდა დაარსდეს შესაფერისი ლაბორატორიები, მუზეუმები და სხვა და ამგვარს უმაღლეს სასწავლებელში შეგვიძლია ვასწავლოთ ყოველგვარი მეცნიერება: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ისტორია და სხ. ყველას, ვისაც კი უნარი და ხალისი ექნება. ერთი სიტყვით, უნდა დავაარსოთ ქართული უმაღლესი სახალხო უნივერსიტეტი“.

გაზეთი „შინაური საქმეები“

1915, №10

### საღვთო სჯულის მასწავლებელთა საყურადღებოთ

„არავისთვის ახალი ამბავი არ არის, რომ ჩვენი სკოლები ძლიერ ღარიბია ქართული სახელმძღვანელო წიგნებით. თუმცა საღვთო სჯულის სახელმძღვანელოები უფრო მეტია სხვაზე, მაგრამ აქაც პედაგოგიური თვალსაზრისით ბევრი ნაკლოვანება უნდა აღვიაროთ. ზოგს ლოცვანი არ ახლავს თან, ზოგი ენის ძნლით ნამეტანი მიძეა, ზოგი პროგრამასთან არ არის შეთანხმებული; ერთნი ძალიან გრძლად აგვიწერენ ისტორიულ მოთხრობებს, მეორენი ნამეტან მოკლეთ და სხ. ამიტომაც ჩვენ განვიძრახეთ გამოგვეცა ქართული სახელმძღვანელო საღვთო სჯულისა. ჩვენი გამოცემა ცდაა ამ ნაკლების თავიდან აშორებისათვის და რამოდენიმე სხვა ახალი დადებითი მხარეების შემოტანისათვის“.

მღვდელი ს. მჭედლოძე.

## დაბა-სოფელი

„ს. მანდაეთი (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი ჭიათურიდან 20-25 ვერსით არის დაშორებული და ეკუთვნის ხნირაულის საზოგადოებას. თვით ხნირაულის საზოგადოება რამდენიმე სოფლისგან შესდგება. მთელ საზოგადოებას აქვს ერთადერთი ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც სრულებით ვერ იტევს ამ საზოგადოების შემადგენელი სოფლების მოსწავლეთა რიცხვს. და კიდევაც რომ მოთავსდეს ამ სასწავლებელში ყველა მოსწავლე, მაინც მოუხერხებელია სკოლით სარგებლობა, განსაკუთრებით იმ სოფლებისთვის, რომელნიც სასწავლებლიდან დაშორებული არიან 5-6 ვერსით. სოფელი მანდაეთიც ასეთ სოფელთა რიცხვს ეკუთვნის და მიტომაც არის, რომ სასწავლებელში ძალიან ცოტა და, შეიძლება ითქვას, სულაც არ დაიარებიან ამ სოფლის შვილნი. თვით სოფელ მანდაეტში 240 კომლამდი მცხოვრებია და მათ თავისუფლათ შეუძლიათ თავის სოფელშივე განსნან ერთკლასიანი სკოლა და მით თავის შვილებს წერა-კითხვა მაინც ასწავლონ. სიმართლე უნდა ითქვას და ამ სოფლისთანა ჩამორჩენილ სოფლათ ზემო იმერეთში, მგონი, არც ერთი სოფელი არ უნდა იყოს. დროა ახლა მაინც ჩაუფიქრდნენ მკვიდრნი ამ საქმეს და მომავლისთვის მაინც იზრუნონ რამე სკოლის გახსნისათვის. თუ კი მეზობელი სოფელი წასრი, სადაც მხოლოდ 70 კომლამდი მცხოვრებია, ახერხებს მომავალი წლიდან სკოლის გახსნას, ეს უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელია ს. მანდაეთისათვის.“

მართალია, მონიტელიგენტო პირების რიცხვი ამ სოფელში ძლიერ მცირეა და სულაც არ არის, გარდა მღვდლისა და იმ მასწავლებლებისა, რომელნიც აღნიშნულ სასწავლებელში მსახურობენ, მაგრამ ამ პირებსაც შეეძლოთ ამ საქმისთვის ყურადღება მიექციათ, სოფლისთვის მეთაურობა გაეწიათ და სკოლის გახსნის საქმე მოეგვარებიათ ამდენხანსაც.“



„უწმინდესი სინოდი შეჰკითხებია საქართველოს სამღვდელთა, რამდენათ სასურველია საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლებშიო. ეს საკითხი ახლა წინ უდევს განსახილველად იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა კრებას და მოელის მისგან ყოველ მხრივ მოსაზრებულ და ბრძნულ პასუხს. ამისათვის მეტად არ მიგვაჩნია, რომ ამ საკითხზე ჩვენი აზრიც გავუზიაროთ საზოგადოებას, რომელსაც სამშობლო ენა და ქრისტიანული სარწმუნოება ბერების გამოგონილ მასწრობათ არ მიაჩნია. ბევრს შეიძლება, ეს საკითხი დღეს მეტად მიაჩნდეს, - დღეს, როცა ჭიამაც კი პოლიტიკაზე დაიწყო ლაპარაკი; ასეთი მომენტია ეხლა, როცა სინოდი გვეკითხება, სასურველია თუ არა საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლებაო. ამ ორი საძიწლის წინადა, რომ გამოგეთქვა ასეთი გაბედული აზრი, პოლიტიკურ დამნაშავედ შეგრიცხავდნენ და ირკუტსკის გუბერნიაში ვიკრავდენ თავს. ამიტომაც იყო და არის, რომ დაბაღო სახალხო სკოლებში, სადაც რუსულად პურის სახელს ვერ ახერხებენ, სამღვთო სჯულს რუსულ ენაზე ჯიჯინიდენ ამის შესახებ ხმა ვერავის ამოელთ, კრინტი ვერ დაეძრა, თუძცა გვიან, მაგრამ ეხლა მაინც შეიგნო უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ დიადი აზრი იმ დიდებული მოვლენისა, როცა მოციქულებმა სული წმიდის ძალით დაიწყეს უცხო ენებზე ლაპარაკი. მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მოძღვრები ყოველთვის იმ აზრისა იყვნენ, რომ სარწმუნოება უნდა ამყარებდეს ქვეყანაზე სასუფეველს და ამ მიზნის მისაღწევად სარგებლობდეს უმახლობელესი გზებით, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს სამშობლო ენას. ეს გზათვით საღვთო განცხადებამ გვაუწყა და ამის უარის ყოფას ბევრი არა სასურველი და პირდაპირ მავნებელი შედეგი მოყვება, როგორც უკვე ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელი ეკლესია სახელმწი-

ფომ ხაყლაპა და თავის საამქვეყნო მიზნების მისაღწევ საშუალებად გაი-  
ხადა. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ივერიის ეკლესიის მმართველი იერარქე-  
ბი - ექსარხოზები ასე თავგამოდებით იცავენ საღვთისმეტყველო საგნების  
რუსულად სწავლას, რომლითაც უნდოდათ მიეღწიათ ერთ უმთავრეს პო-  
ლიტიკურ მიზანს - ქართველების გარუსებას. გარუსებით კი ვერ გაარუ-  
სეს ქართველები, მაგრამ სარწმუნოება კი სრულიად დაუკარგეს და  
ოდესმე მართლ-მადიდებლობისათვის თავდადებული ხალხი ურწმუნოე-  
ბის და უღვთოების უფსკრულის პირს დააყენეს; და სამშობლოსთვის თავ-  
განწირულ მამა-პაპათა შვილები საბრალო კოსმოპოლიტებად გადააქცი-  
ეს. ასე, რომ დღევანდელი ქართველი აღარც რუსია და აღარც ქართველი.

მართლა, რას ნიშნავს ეს სასულიერო სასწავლებლის გამოთიშვა სხვა  
სასწავლებელთაგან? ნუთუ გიძნა ზიელი ისეთივე ძვირუფასი არ არის  
ღვთისთვის, როგორც სემინარიელი? დეე, იმანაც სამშობლო ენაზე გაი-  
გონოს და შეისწავლოს უკუდავი, სამარადისო მოძღვრება მაცხოვრისა! ეს  
ზიანს, ვფიქრობთ, არ მოუტანს მის გონებრივ და მით უფრო ზნეობრივ  
აღზრდას?

ვინც ერთ დღეს მაინც ყოფილა „ზაკონოუხიტლად“ განსაკუთრებით  
დაბალ კლასებში, ის ადვილად წარმოიდგენს იმ ტანჯვა-წვალებას, რომ-  
ელსაც განიცდის მასწავლებლის და მოსწავლეც სამღვთო სკულის რუ-  
სულად სწავლის დროს. ეს ქალაქში, სადაც ბავშვის ყური ასე თუ ისე ცო-  
ტა შეჩვეულია რუსულ ენას და რა იქნება სოფლის სკოლაში, განსაკუთ-  
რებით სამინისტროში, სადაც სამშობლო ენის ხმარება აღკრძალულია. ად-  
ვილი წარმოსადგენია, რა ზნეობრივ გავლენას იქონიებს ქართველი ბავ-  
შვის გულზე რუსულად გადაცემული იგავი მოწყალე სამარტელზე, ან  
შემაძრწუნებელი თავის საშინელებით ჯვარცმა ქრისტესი და არა ადამიან-  
ური ქცევა მწიგნობართა და მღვდელმთავართა. ერთი სიტყვით, სამღვთო  
სკულის რუსულ ენაზე სწავლების გამო სულ გაბათილებულია ამ საგნის  
ზნეობრივი გავლენა და ამ გარემოებას უნდა მიეწეროს განსაკუთრებით

ის სამწუხარო მოვლენა, რომ თანამედროვე ვითომდა საღვთისმეტყველო განათლება მიღებული სამღვდელოება ყოვლად ურწმუნოა და ზნე-დაცემული.

ამის შემდეგ რაღა თქმა უნდა, რომ იმერეთის სამღვდელოების კრება სიამოვნებით მიეგება სინოდის წინადადებას და არათუ უარყოფს მას სასულიერო სასწავლებელთათვის, არამედ მოითხოვს, რომ ეს საგანი ყველა ქართველთათვის ქართულად ისწავლებოდეს ყველა სასწავლებლებში, როგორც დაბალში, ისე საშუალო შიდაც. საქმის ასეთ დაყენებას არავითარი ზიანი არ მოყვება არც სახელმწიფოსთვის და არც კერძოთ სამღვდელოებისთვის.

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს შეიძლება სამღვდელოება იმაზე შესდგეს, რომ ჩვენ სასულიერო სასწავლებლებში კურსდამთავრებულებს დაეხურებათ გზა საშუალო და მაღალ სასწავლებლებში შესვლისა. ეს ტყუილი მიზანია, თუ მართებლობა არ გაჯიუტდება და განძრახ არ დაგვიბრუნავს ამ გზას. მაღალ სასწავლებელში შესვლისთვის საჭიროა ენის ცოდნა და საშუალო საზოგადო განათლება, რომელ ენაზეც უნდა იყოს ეს განათლება მიღებული. ამ დებულებით სარგებლობენ უცხო ტომის სტუდენტნი, რომლებიც მიდიან რუსეთის აკადემიაში უმაღლეს საღვთისმეტყველო კურსებზე, მაგ. სერბები, ბოლგარები და ჩეხები, რომელთაგან რამდენიმე ნაწილი ისევ რუსეთში რჩება სამსახურში და საპატრიარქოსადგინებლად იჭერს სხვადასხვა დაწესებულებებში. მაშასადამე, ამ მხრივ ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ, თუ ვიმეორებთ, მართებლობა განძრახ არ დაგვიბრუნავს მაღალ განათლების კარებს, მაგრამ ის ამას არ იზამს, რადგან ცვლილება მისივე თაოსნობით ხდება.

საჭიროთ მივგაჩნია აღვნიშნოთ, რომ გურია-სამეგრელოს სამღვდელოებას უკვე ჰქონდა მსჯელობა ამ საგანზე და აუცილებელ საჭიროებად აღიარა საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება“.

**Sociolinguistic Picture of Imereti According to Kutaisi Press of 80-90s of XIX Century and 10-20s of XX Century**

Summary

Along with a number of other cases confirmed in the history of Georgia, the language issue has become much more topical since the events taking place in the early 20<sup>th</sup> century; The extent to which linguistic component was and is presented in these events is quite large. The reason for this magnitude was a set of the political processes that began as a result of the aforementioned peripeteias leading to such political and social events that were followed by the creation of new state institutions. Many socio-economic problems had to be resolved in Georgia; language issues occupied one of the leading places among them. It was necessary to study the existing language situation and to carry out an appropriate language policy based on the results obtained. We believe that the topicality of the issue has obviously made politicians as well as scientists realize the necessity of its study. However, before the formation of sociolinguistics as the specialized linguistic discipline focused on language and social relations the study of the language situation and its related problems lacked systematicity and consistency, which was reflected in the absence of adequate methods, common criteria, and in terminological ambiguity; from a scientific standpoint, all of this, of course, led to a biased result. It is hard to say that modern sociolinguistics has solved all these intra-disciplinary methodological problems, but it is a fact that the proper conceptual apparatus and the system of the corresponding terms have already been clearly established. There are several, qualitatively different, but complementary approaches, etc.

The growth of scientific (and not only scientific) interest in the problem of a language situation was caused by realizing the fact, that the language factor plays a very important role both in the life of a single state and in international relations. Language policy has become an integral part of the common policy of each country. In order to properly define the directions of the language policy for a given country, it is necessary to adequately study the linguistic situation of that country, in particular, of Georgia (Chachanidze 2005, 3). M. Tabidze notes that the following factors influenced the major

trends in the language policy:

1. When did different languages meet in the area?
2. To what extent are the languages that meet different or related?
3. Which language prevailed: autochthonous or a foreign one?
4. What is the ratio between the “guest“ (foreign) and “host“ (local) cultures?
5. What stages did the autochthonous population go through on the path of state arrangement and to what extent did another state interfere in its political and economic life?
6. To what extent did the ethnoculture impact the “guest“ (foreign) population and to what extent is it acceptable for its “linguistic awareness“ to use the language of the autochthonous population, and vice versa, to what extent did the “guest“ (foreign) language influence the “host“ (local) one?
7. What degree of bilingualism are we dealing with in the area?
8. Are linguistic contacts peaceful or is there a linguistic conflict?
9. To what extent is the population ready to adopt and use (in all areas of public life) its own or the other language? (Tabidze 1999).

There are three periods in the development of the Georgian literary language: the Old Georgian Language (V-XI cc); the Middle Georgian Language (XII-XVIII cc); the New Georgian Language (XIX-XX cc) (Shanidze 1953). In terms of the norms of the Georgian literary language, every epoch has its say. Moreover, the epoch socially and politically directs different aspects of the language situation of that period. The sociolinguistic picture of the 10-20s of the 20<sup>th</sup> century is one of the most acute periods accompanied by never-ending disputes, and that is why, it may be referred to as “a micro-epoch“.

The revival of the Georgian literary language at the beginning of the 20<sup>th</sup> century is connected with the foundation of the Georgian University, one of the major goals of which was to expand the range of functioning of the Georgian language. This is what Besarion Jorbenadze says: “The revolutionary transformations of life in the 10-20s of the 20<sup>th</sup> century, the foundation of the Georgian University, the revival of national self-consciousness, the declaration of the Georgian language as a state language opened new doors for the Georgian literary language. The language policy that was previously more or less elemental is already well-planned and scientifically conceptualised“ (Jorbenadze 1989, 166).

The aim of the present paper is to examine the sociolinguistic picture of Georgia in the Imereti press of early 20<sup>th</sup> century; sociolinguistic analysis of the retrieved material, typological research of the linguistic situation, analysis of the issue of the mother tongue in relation to Russian, and identification of the main tendencies of educational policy.

The main trends of the epoch to be analysed will be revealed using the sociolinguistic method. In particular, the language situation and its related models, the issue of mother tongue and the main problems of educational policy will be described. In addition, one of the main objectives of the study is to review the policy of Russification using the analysis method.

At the end of the 19<sup>th</sup> century and the beginning of the 20<sup>th</sup> century the Imereti press was particularly focused on the issues of functioning of the Georgian language in Imereti.

After the abolition of the statehood of Georgia in 1801 the Georgian language became part of the linguistic policy of the Russian Empire. As a result, the Russian government abolished the liturgy and the teaching process in the Georgian language, ethnic and national conflicts were provoked between the inhabitants of the territory of Georgia, etc. In 1881, the supervisor of the Caucasian Educational District K. Ianovsky issued a circular, which declared the Russian language to be a compulsory subject from the primary level of any kind of schools, whereas the mother language was declared non-compulsory. In 1885, pursuant to the second circular, the Georgian language was completely removed from the syllabuses (Tavzishvili 1948). Teaching of the Georgian theological and secular literature was banned in the theological seminary. Under the order of the Exarch, Georgian teachers were dismissed from theological schools. By the beginning of 20<sup>th</sup> century the Tsarist regime had entirely removed the Georgian language from public schools.

In parallel with this anti-national policy, at the expense of self-sacrifice Georgian intellectuals started to take a number of measures, more specifically, in 1879 the Literacy Society was established. At the initiative of the Society, non-state schools were set up in the Caucasus in every area inhabited by the Georgians and the Georgian Drama Society was founded in 1880. The Society started to issue numerous journals and newspapers.

Hundreds of periodical publications covered Russia's assimilative linguistic or ethnic policy and contributed to national mobilization.

Obviously, it was the most productive phase of “linguistic planning“ In this period the cultural life of Imereti, more specifically of Kutaisi, was characterized by a significant expansion of publishing activities, which was caused by an explicit negative attitude of the Tsarist regime towards this region as the latter was distinguished by a particularly Georgian nature: “In parallel with Tbilisi, literary and publishing activities are rapidly developing in the capital of Imereti – Kutaisi“ (Kvitsaridze, I. Journal ‘Gantiadi’ (The Dawn), #6, #25, 1915)

There is an impressive list of periodical publications issued in Kutaisi in the 80s and 90s of 19<sup>th</sup> century and the beginning of 20<sup>th</sup> century — newspapers: *Shinauri Sakmeebi* [Home Affairs] — 1908-1915, *Kolkhida* — 1911-1913, *Imereti* — 1912-1915, *Shroma* [Labor] — 1908, *Akaki's Tviuri Krebuli* [Akaki's Monthly Collections] — 1897-1900, *Eri* [The Nation] — 1913-1914, *Samshoblo* [The Homeland] — 1915-1917, *Mtskemi* [The Shepherd] — 1883-1910, *Tskhovreba da Metsniereba* [Life and Science] — 1914, *Poni* [The Background] — 1909-1910, *Khma Kartveli Kalisa* [Voice of a Georgian Woman] — 1917-1918; the journals: *Gantiadi* [The Dawn] — 1913-1915, *Tsisperi Kantsebi* [The Blue Horns] — 1916 etc. Regardless of the nature of the publication, an emphasis was placed on linguistic, educational and religious issues. The material included the questions concerning not only Kutaisi but the entire region of Imereti.

The Imereti press systematically published informational and polemical letters on functioning of the Georgian language, and how the Georgian language was oppressed at the expense of Russian. To confirm this, we can refer to one of the letters that reads:

*“Here, the Russian culture holds the place of the Georgian one, and acts as its substituent: - a Russian book instead of a Georgian one, a Russian newspaper instead of a Georgian one, a Russian theater, Russian speech instead of Georgian!“*

Prominent Georgian political figures, writers and publicists actively opposed the forceful use of the Russian language in Georgia, the neglect of national culture and the cruelty of tsarist officials. They tried to develop new views of education in the society, to support schools financially and morally. At their initiative, in 1879, “the Society for the Spreading of Literacy among Georgians“ was established, which aimed at getting education in the mother tongue in primary schools. One of these figures was a grammarian and

publicist Silvan Khundadze, who defended *Georgian Deda Ena* (the primer “Mother Language”) in the Imereti press and sharply criticized officials of the Tsarist regime:

*“According to Mr. Grozdov's instruction \_ the inspector of public schools in Kutaisi Governorate, Georgian children who have just entered the school (the first graders) will have the lessons of the Russian language from September; B. Grozdov, as a teacher, probably understands very well that, until a child has learned to read and write in his/her native language, and is not on a close terms with the teacher, thinking and learning in a foreign language from the first day of school is completely anti-pedagogic. But as an official, B. Grozdov probably does not want to understand this, and is eager to serve the government by exceeding the law“* (Newspaper "Imereti", Silovani, #47, 1912).

The approach of the Russian linguist and publicist Nikoloz Durnovo (1876-1936) to the issue of the situation of the Georgian language is of a particular interest. He raises his voice in defense of the Georgian Church and language in his famous work entitled “The Issue of Autocephaly of the Georgian Church“ In the work he notes: *“In the hands of the bureaucracy the Georgian school has become a tool for banishing the interests of people. The bureaucracy imposed minor and secondary goals on schools that failed to meet the common state objectives. In any case, the unity and prosperity of the Russian state is more ensured when a Georgian remains to be a true Georgian, who speaks and thinks in his native language, and not in case when no good basic principles are developed and only the Russian alphabet is taught“* (Durnovo 1907. *The Issue of Autocephaly of the Georgian Church*, p. 103).

In Georgia, every effort was made to ensure that the liturgy was performed in Russian. Initially, in Georgian churches on weekends and on church holidays, and later on public holidays, in large cities including Kutaisi, liturgy was performed in Russian leaving Georgian clergymen, who couldn't speak Russian, jobless.

In the 70s of the 19<sup>th</sup> century, the reform of teaching foreign languages was carried out in America. One of its methods was the direct or the natural method of teaching. The direct method was opposed to the grammar-translation method, which preached complete ignorance of grammar rules and gave the main priority to spoken language. The term “direct“ refers to the



acquisition of a foreign language without the use of a native language as an intermediary language, since according to this concept the native language is perceived to be a barrier when acquiring a foreign language. One of the founders of this method is American linguist Maximilian Berlitz (1852-1921) and it is known as the Berlitz Method (Berlitz 1921). Later, this method reached Russia as well and, “thanks to“ the Tsarist regime, so called “the immersion method“ was introduced in various schools of Georgia in order to banish the Georgian language.

The discussion on educational reform and the necessity of teaching Georgian became wide-ranging and covered almost all issues concerning the linguistic situation in Georgia. Kutaisi newspapers: “*Imereti*“, “*Shinauri Sakmeebi*“ [Home Affairs], “*Kolkhida*“, “*Mtskemi*“ [The Shepherd], etc. systematically published polemical and informative letters on these issues. One of these issues was so called “the immersion method“ for the exarchate parochial schools of Georgia approved by the Synod of 1902 which actually meant banishing the Georgian language. On the papers of “*Shinauri Sakmeebi*“ [Home Affairs] we read: “*Levitsky — Director of public schools of the Kutaisi Governorate, who is fascinated by the idea of Russification based on so called “the immersion method“ brainwashed the Georgian youth. Blinded russifiers do not realize that they are fascinated by false and harmful thoughts, that they will never reach their goals as russifying Georgian people in Georgia is absolutely unimaginable, so all their trouble is flogging a dead horse and nothing more*“ Newspaper ‘Shinauri Sakmeebi’ (Home Affairs), #13, 1912).

In regard to “the immersion method“, Durnovo's opinion is also of much interest. In his paper he writes: “*The rejected immersion method should be buried forever with its deceased creator, and a completely new elementary school curriculum should be designed, but it should be developed locally, in Georgia not in St. Petersburg. Only in this case will elementary school serve the common state interest of Georgia and not the bureaucratic ambitious dreams*“ (Durnovo 1907. *The Issue of Autocephaly of the Georgian Church*, p. 112).

The concept of language policy is essentially associated with language planning, which is carried out in two directions: a) the state plans the course of the official language development, as well as the issue of relationship of other languages spread across the territory of the country, and the areas of

functioning of languages; b) the linguistic situation in the state changes due to the impact of various external factors, and language planning takes another direction; mostly, it is managed from outside.

The Georgian historical sources contain information about the particular attention that was paid to the use of the Georgian language at the state level. In essence, the state of Georgia was defined by the territory on which the Georgian language was the language of the governance and the Christian religion. This, in turn, conditioned its use in all areas of political, social and cultural life.

The state function of the Georgian language was exposed to danger in the 19th century. At the beginning of the same century, the Russian Empire annexed parts of Georgia and the Georgian language lost the status of an official language. The official language of the country (clerical work, education, court, liturgy) was Russian. In the 60s of 19th century, a large-scale national-liberation movement was started, one of the main aims of which was to regain a proper position of the Georgian language and to restore the rights taken away by the Russian language: two and four-grade Georgian parish schools were opened throughout the country, the Georgian theater was restored, magazines and newspapers in the Georgian language were published.

In parallel with this anti-national policy, the Georgian intelligentsia started carrying out a number of measures at the expense of great self-sacrifice. In particular, the Society for the Spreading of Literacy was established (1879).

With the initiative of this society in the Caucasus, in every place where the Georgians lived, non-state schools were opened, the Georgian Dramatic Society (1880) was founded and numerous newspapers-magazines were published. Hundreds of periodical publications covered the issues of assimilative language and ethnic policies of Russia and cared for national mobilization. It can be said, that it was the most productive phase of “language planning”.

The list of periodical publications that were published in the 80s and 90s of 20th century in Kutaisi is impressive. The newspaper “Imereti” of the first decade of 20th century will be reviewed and the issues of the native language, educational policy and gender will be discussed. The Georgian press at the end of 19th century and the beginning of 20th century paid

special attention to the issue of functioning of the Georgian language in Imereti. From 1801, after the abolition of the statehood of Georgia the Georgian language came under the control of the language policy of Russia. The consequences were immediate: the Russian government abolished the liturgy in the Georgian language; the Russian language was the language of instruction in Georgian schools; the ethnic and national conflicts of the inhabitants on the territory of Georgia intensified, etc. In 1881, the overseer of Caucasian education authority K. Yanovsky published a circular stating that in all types of schools the Russian language should be taught from the primary grades, and Georgian was declared to be non-mandatory.

The newspaper “Imereti” systematically published the informative and polemical letters dedicated to these issues. To confirm this fact, we can learn from the letter published in one of the editions of the newspaper, that the Georgian language is oppressed at the expense of the Russian language thanks to the Georgians and their assistance. “We have long heard a serious insult of our language and many of us are not very concerned about this situation! It is more unfortunate and regrettable that there are many people among us who are “sympathetic” to the existing situation. Terrible cold-heartedness and indifference has been so spread among some part of our society that even some Georgian school teachers shun to use the Georgian language and to read the Georgian newspapers saying “It’s nouse!” It’s an unpleasant and unpalatable fact!” (“Imereti”, 1912, #44) Similarly, the 55th edition of the newspaper of 1914 harshly criticizes teaching and educational issues arising as a result of Tsarist policy in Imereti: “It’s heart-rending when a pupil of a rural school, of the fourth-fifth grade reads “Ruskie Pisateli” (Russian Writers) by Martinovsky and recites the poems by Pushkin and Krylov like a parrot. S/he even knows their biographies and the reason why Krylov wrote the fable “Volk Na Pserne” (Wolf in the Kennels), or “Demianova Ukha” (Demian’s fish soup). Indeed, Indeed, such things can often be heard here. However, the same pupil can tell you almost nothing from the native Georgian literature. If s/he knows anything about Ilia and Akaki it is because he has heard about them somewhere in the village but not in the school.” (“Imereti”, 1914, #55)

The press paid close attention to the speech of the writers and artists, especially of the actors. According to “Imereti”, the worst situation was created in theaters in this regard: “Besides many other purposes that a theater

has in general, here it should serve to the purpose of making the Georgian language more beautiful...When staged the play must be refined and accurate in terms of the language. The original plays show the ignorance of the language and some translations are absolutely unacceptable ... It seems that some actors don't use Georgian in their everyday life, and can't think in Georgian. Therefore, they formulate and change the words provided by the theatre prompter in a Russian manner.” (“Imereti”, 1912, #54)

Language and gender problems, particularly the issues of the education of the Georgian women and their attitude towards the literary language were discussed on the pages of "Imereti". In one of the letters published in "Imereti" (7 February, 1913) the issue of opening the circles for women is put forward and the author welcomes the steps taken to improve the situation in terms of women's education: “Last year (1912), the number of women's circles increased noticeably. In Western Georgia there was an attempt to establish such circles in almost every village. Women's circles of Kutaisi and Khoni showed particular strength and eagerness to work. Discussions are held in these circles and women get familiar with native literature, history, women's issues and etc. The heads of Kutaisi women's circles intend to facilitate the development of the network of such circles throughout the country as much as possible after which they believe to hold the general meeting, congress of women. The congress will be of great importance to us. Women from different parts of Georgia will get acquainted with each other, share their opinions and aspirations, learn about each other's beliefs and attitudes, have a positive impact on each other and this way the Georgian mother with her modern image, everyone is longing for, will be born soon.” (“Imereti”, 1913, #30).

In order to improve the existing situation concerning women's linguistic issues, the author of one of the publications addresses the public as follows:“Today Georgian women tend to ignore the Georgian language. Only empty words won't be of much use. Our society should try to improve the conditions and take advantage of the opportunity. We shouldn't lose what we have obtained today. It is not the first time we have given advice to one another but still we are unable to put anything into practice.” (“Imereti”, 1913, #102)

As we can see, according to the correspondence of the newspaper “Imereti”, the problem of the attitude towards the Georgian literary language

in Imereti is entirely coincidental with the problems found in today's sociolinguistic studies. The recommendations given in the 19-20th century have not only museum significance but practical values as well and they contain valuable observations and findings of meeting global linguistic policy and maneuvering in it.

In the work of an American sociolinguist Joshua Fishman “The Earliest Stage of Language Planning“ (Fishman 1993, 351) language conflicts and conflict-sensitive situations in different countries (Macedonian, Polish, Dutch, Hebrew, Korean, Belarusian, Ukrainian, etc.) are discussed. It presents various linguistic situations with internal contradictions in different countries, on the basis of which the following trends emerge in the course of a political crisis:

a) the subconscious recognition of the cultural and linguistic superiority of the country having political influence;

b) intensifying the sense of national self-assertion and protection of the national language in a much larger part of the society, reflected in the aspiration to improve the normalization of the language and to expand the range of its functioning (Fishman 1993, 351).

It is noteworthy that the models proposed by Joshua Fishman are a universal way of describing the linguistic situation in Georgia at the beginning of the 20<sup>th</sup> century. Discussions in the name of protecting the purity of the Georgian language are evident in the publications and correspondences of Georgian public figures, educators, publicists and grammarians printed in the Imereti press of that time.

The discussion on the educational reform that covered the issues of the necessity of teaching Georgian became wide-ranging and brought together almost all issues concerning the linguistic situation in Georgia. In particular, the bilingualism which according to Ch. Ferguson refers to the type of standardization in which two languages in the language community have their own social function (Ferguson 1959, 325-340). In the present paper we cannot bypass the aforementioned phenomenon when studying the problem. Besarion Jorbenadze's approach is also interesting in this respect: *“Bilingualism might have a forceful nature. In the Russian Empire, for example, education in the mother tongue was severely restricted. When they were forced to open the schools where teaching was in the mother tongue, everything was geared towards keeping such graduates substantially*

*illiterate. An artificial barrier was created“* (Jorbenadze 1997, 28-29).

One of the main tasks of sociolinguistics is to develop an adequate model to describe the given language situation. This means that the developed model should reflect the current situation as realistically as possible. In special literature (Kloss 1966, 1968; Rustow 1968; Stewart 1962, 1968; Ferguson 1962, 1966) there are several attempts of functional classification of the languages and language situation. In the present paper we intend to rely on Charles Ferguson's National Sociolinguistic Profile Formula (National Sociolinguistic Profile Formula (Ferguson 1966).

Initially, Ch. Ferguson divided languages according to their communication value: (a) major language (L maj), (b) minor language (L min), (c) language of special status (L spec). It should be admitted that his criteria are not very strict. This gap can be partially eliminated by considering the second stage. Here five language types are acknowledged: 1) Vernacular (V), 2) Standard (S), 3) Classical (C), 4) Pidgin (hybrid language having one language vocabulary and second language grammar (P), 5) Creole (hybrid language that has turned into the native) (K). At first glance, it is clear that such a model can only be useful for certain societies. At the third, final stage, the author identifies seven societal functions of the language: 1) Group function (g), 2) Official use (o), 3) Language of wider communication (w), 4) Educational use (e), 5) Religious purposes (r), 6) International use (i), 7) School subject (s).

Considering Ferguson's experience, the formula of a national sociolinguistic profile at the beginning of the 20<sup>th</sup> century in Georgia is as follows:

$$1 \text{ L maj ( Sg, So, Sr, Ss) + 1 L min (Co, Ce, Cr, Ci, Cs)}$$

Where **L** is the language in general, **maj** - the Georgian language, **min** - the Russian language, **S** - the native or the Georgian language, **g** - the Georgian language used in daily communication, **o** - the Russian language used in official business relations, **r** - the language used in religious service. We should admit that Ferguson's model needs some clarification. This is natural, since the universalization of the models of linguistic situation rarely gives us even a slightly accurate picture in such specific cases. Therefore, according to Ferguson's model, from one of the typical areas of language use \_ the language of religious service (r), it is necessary to distinguish its two variants **Sr** and **Cr**, as according to Georgian historical

sources and press materials, in the late 19<sup>th</sup> and early 20<sup>th</sup> centuries, in Georgia both the Georgian and Russian languages were equally used in religious service.

In this regard, it is important to note the position of V. Avrorin that is as follows: “if we do not find out what are the forms existence with which a language is presented in a situation, and if we do not analyze languages in the framework of their interrelationship, if we do not establish means and domains of language use, if we do not consider the conditions languages are used in, we are not going to be able to have an even slightly complete view of a language situation“ (Avrorin 1975, 51).

V. Avrorin was one of the rare Russian sociolinguists of the Soviet era who tried to express the approach to the issues at stake that was far from being nomenclative. That is why his vision is valuable and the parameters offered by him allow us to see a more complete picture. According to Avrorin, the language situation involves the following essential components:

- 1) Social conditions of functioning of the language;
- 2) Areas and environment of its use;
- 3) Forms of language existence;

Avrorin concludes that language functions, forms of language existence, areas and environment of its use, and the nature of language interaction are the basic concepts of sociolinguistics and are interrelated: “Function is the aim; the form of existence is a kind of tool; the environment is a condition, and the field is the area of using the tool” (Avrorin 1975, 83).

Consequently, according to the Imereti press materials of the early 20<sup>th</sup> century, based on elaborated models of the linguistic situation the fate of the Georgian language mostly affected the educational field. Several key issues can be identified: a) the issue of the interrelation of the Russian and Georgian languages; b) the suitability of “the immersion method“ prevailing in Georgian schools; c) discussions and statements of public figures reflecting the status of the Russian and Georgian languages, indicating the existence of a targeted language policy of that time. Today the materials featured in the Imereti press of the early 20<sup>th</sup> century are not only of museum importance but of practical value as well and contain valuable observations and conclusions about meeting the global language policy and maneuvering in it.

დამხმარე პერსონალი:  
ნინო ბაკურაძე  
მარიამ ფორჩხიძე

ქალაქის ზომა 1/16  
ნაბეჭდი თაბახი 20  
ტირაჟი 200

ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 98  
ტელ.: 599-18-20-98; 592-02-25-55; 579-10-13-23  
E-mail: [levanistamba@mail.ru](mailto:levanistamba@mail.ru)



